

სამართლა

SN 0868-4537

178/3
2000

1/3

2000. №2



ეაცნოანება

პურულიცისი

პრაქტიკა

საქართველო, თბილისი



ეპრნალ «სამართლის» სავიზიტო ბარათი “SAMARTALI”* journal visit-card

გამოსვლის თარიღი – 1926 წელი.
სტატუსი – იურიდიული პროფილის ერთადერთი რეცენზირებადი გამოცემა საქართველოში.
პერიოდულობა – წელიწადში გამოდის 12 ნომერი
ტირაჟი – 1000 ეგზემპლარი
დამფუძნებელი – საქართველოს იურისტთა კავშირი (1999)
იურიდიული მისამართი – 380046, საქართველო, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი 30.

ეპრნალის მიზნები:

- ხელი შეუწყოს საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმის განხორციელებას და მის წარმოჩენას;
- დაეხმაროს პრაქტიკოს-იურისტებს (მოსამართლებს, პროკურორებს, აღვიკატებს, ნოტარიუსებს და სხვა) ახალი კანონმდებლობის უკეთ შემცნებაში;
- ქართველი და უცხოელი სპეციალისტების მეშვეობით გააცნოს საქართველოს იურიდიულ საზოგადოებას საზღვარგარეთის ქვეყნებში მიმდინარე სამართლებრივი პროცესები;
- ხელი შეუწყოს მოსახლეობის სამართლებრივი კულტურისა და ცნობიერების დონის ამაღლებას;
- იურიდიული მეცნიერების, იურიდიული განათლების რეფორმირებისა და სტუდენტთა სასწავლო პროცესისათვის ხელშეწყობა.

განხორციელების ფორმები:

- ქართველ და უცხოელ იურისტ მეცნიერთა და პრაქტიკოს-იურისტთა შემოქმედებითი პროდუქციისა და მათი საქმიანობის ამსახველი მასალების გამოქვეყნება;
- ნორმატიული მასალის გამოქვეყნება და ახალი კანონმდებლობის პროპაგანდა;
- ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოსა და საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების გამოქვეყნება;
- სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა;
- ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის გათვალისწინებული იურიდიული კონსულტაციების გამოქვეყნება;
- სასწავლო და აკადემიური მასალის გამოქვეყნება.

Date of issuance – year 1926

Status – the only reviewed legal-profile edition in Georgia

Periodicity – 12 editions annually

Circulation – 1000 units

Founder – Georgian Lawyers Union (1999)

Legal address – 380046, Rustaveli 30, Tbilisi, Georgia

Objectives of the journal are:

- To promote effectuation of the judicial reform which is under way in Georgia;
- To assist practician lawyers (judges, prosecutors, advocates, notaries and others) in better cognition of new legislation;
- To get Georgian legal society acquainted with the judicial process in foreign countries by means of Georgian and foreign specialists.
- To promote raising legal culture and legal consciousness of the population;
- To promote reforms of legal science and legal education and to foster students' study process.

Forms of effectuation

- Publication of materials resembling activity and creative production of Georgian and foreign scientist and practician lawyers;
- Publication of normative materials and propaganda of new legislation;
- Publication of decisions rendered by the European Court of Human Rights and by Georgian courts;
- Judicial practice review;
- Publication of legal consultations foreseen for juridical and natural persons;
- Publication of studying and academic materials.

* Term “SAMARTALI” in English means
“Law”

«ს ა მ ა რ თ ა ლ ი»

“S A M A R T A L I”

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

Scientific-practical juridical journal

№2, 2000 წლის ოქტომბერი

ISSN 0868-4537

© ჟურნალი „სამართალი“, 2000 წ.

მთავარი რედაქტორი
პაათა ცნობილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე
გელა ბერძენიშვილი

EDITOR IN-CHIEF
PAATA TSNOBILADZE

VICE-EDITOR IN-CHIEF
GELA BERDZENISHVILI

სარედაქციო საბჭო: EDITORIAL COUNCIL:

რომან შენგელია – (თავმჯდომარე)
ჯამლეთ ბაბილაშვილი
ავთანდილ დემეტრაშვილი
ბესარიონ ზოიძე
კახა თარგამაძე
გივი ინწკირველი
გია მეფარიშვილი
თევდორე ნინიძე
ნუგზარ საჯაია
მინდია უგრეხელიძე
ლადო ჭანტურია
ჯონი ხეცურიანი

ROMAN SHENGELIA - (chairman)
JAMLET BABILASHVILI
AVTANDIL DEMETRASHVILI
BESARION ZOIDZE
KAKHA TARGAMADZE
GIVI INTSKIRVELI
GIA MEPARISHVILI
TEVDORE NINIDZE
NUGZAR SADJAIA
MINDIA UGREKHELIDZE
LADO CHANTURIA
JOHN KHETSURIANI

სარედაქციო კოლეგია: EDITORIAL BOARD:

გელა ბერძენიშვილი
ნინო გვენეტაძე
მზია ლექვეიშვილი
ვალერიან მეტრეველი
გიორგი ტყემელიძე
შალვა ჩიკვაშვილი
პაარა ცნობილაძე
გია ხუბუა

GELA BERDZENISHVILI
NINO GVENETADZE
MZIA LEKVEISHVILI
VALERIAN METREVELI
GEORGE TKESHELIADZE
SHALVA CHIKVASHVILI
PAATA TSNOBILADZE
GIA KHUBUA

რედაქციის მისამართი: 380046 თბილისი, რუსთაველის გამზ. №30.

ტელ: 99 02 45, 98 41 50, 99 51 01

ფაქსი: (995 32) 99 02 45

„საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“
თბილისი, რუსთაველის გამზ. 30.

ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

სადღეისო თემა

მაღაზ ბაბალუა – კონცეპტუალური
წინადადებები ანტიკორუფციული
საკონფიდენციულო ანალიტიკური ცენტრის
შექმნისა და უზრუნველინების შესახებ 5

საკონსტიტუციო სამართლი

განონი ჯანჯღავა – საქართველოს
პრეზიდენტის არჩევის წესი და მისი
იმპირიული აშშ-ის კონსტიტუციასთან
შედარებით 7

ქართლის ფრიდონაშვილი – სახალხო
დამცველის ინსტიტუტი და საქართველოს
სახელმწიფო სამართლის ისტორიის
რეალიები 12

ნათია კინტურაშვილი – საკონსტიტუციო
სასამართლოს გადაწყვეტილებათა
აღსრულების უზრუნველყოფისათვის 16

დიმიტრი ბარამია – ფედერალიზმი 20

სამოქალაქო სამართლი

დავით ძამუკაშვილი, სანდრო ჯორბენაძე –
ინტელექტუალური საკუთრების დაცვის
ნორმების სრულყოფისათვის სისხლის
სამართლის აზალ კოდექსში 25

ლელა კოპალეიშვილი – სამართლებრივი
დაცვა ფალსიფიკაციისაგან 35

ნანა ყურუა – დაუსწრებელი წარმოების
როლი სამოქალაქო პროცესში 39

სისხლის სამართლი:

კრიმინოლოგია

ანზორ გაბიანი, ლალი ღვინევაძე – მოზარდთა
შორის მავნე ჩვევების გავრცელების
სამედიცინო-სოციალური საკითხები 43

ქახა წიქარიშვილი – ბრალის გარეშე
პასუხისმგებლობა ინგლისურ-ამერიკულ
სისხლის სამართალში – სამართლებრივი
ანომალია თუ რეგულირების ეფექტიანი
მექანიზმი 49

ალექსანდრე კაცმანი – კომპიუტერულ
დონაშაულთა სისხლის სამართლებრივი და
კრიმინალისტიკური დახასიათება 53

Search guide

Today's theme

Malkhaz Badzagua – “Conception
sentences about creation and function
of Anti-corruption Coordinate
Analytic Center” 5

Constitutional Law

Manon Djandjgava – “Rule of president’s
election in Georgia and his
impeachment comparing with the
constitution of USA” 7

Kartlos Pridonashvili – “Institute of
Ombudsman and horizon of history of
State Law of Georgia” 12

Natia Kintsurashvili – “For guaranteeing
execution of decisions of Constitutional
Court” 16

Dimitri Baramia – “Federalism” 20

Civil Law

David Dzamukashvili, Sandro Djorbenadze –
“For improvement of norms about
protection of intellectual property in
a new Criminal Code” 25

Lela Kopaleishvili – “Legal protection
from falsification” 35

Nana Kurua – “Role of judgment in
nonattendance in civil procedure” 39

Criminal Law, Criminology

Anzor Gabiani, Lali Gvinepadze – “Medical-
social question of spreading of harmful
habits among youth” 43

Kakha Tsikarishvili – “Strict liability in
English-American Criminal Law – law
anomaly or an effective mechanism of
regulation” 49

Alexander Katsman – “Criminal
characterization of computer crimes” 53

სისხლის სამართლის პროცესი.

კრიმინალისტიკა

იური გაბისონია – სისხლის სამართლწარმოებაში საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისა და წესრიგის დარღვევისათვის არასისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ კანონმდებლობის სრულყოფისათვის	61
---	----

გოჩა სისაური – ნარკოტიკების კონტროლირებადი მიწოდება, როგორც ოპერატორულ-სამძებრო ღონისძიება	68
--	----

სახელმწიფოსა და სამართლის

ისტორია, თეორია

ნინო ცნობილაძე – ხევისბერის ინსტიტუტი ფუნდ-ხევისურეთში ვაჟა-ფშაველას რამდენიმე მოსაზრების მიხედვით	72
--	----

თემურაზ სილაგაძე – პიროვნების კანონთან დამოკიდებულების ზოგიერთი ფისქოლოგიური ასპექტი	77
--	----

მანანა მოსულიშვილი – კანონიერება – სამართლის ერთ-ერთი პრინციპი	81
---	----

საერთაშორისო სამართლი.

ურთიერთობები

ალექსანდრე მიქაელიძე – ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს ადგილმდებარეობა, სხდომები და კომპეტენცია	85
---	----

ადამიანის უფლებების ევროპის

სასამართლოში

ადამიანის უფლებების ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: კანის კათოლიკური ეკლესია საბერძნეთის წინააღმდეგ	92
---	----

ინფორმაცია

მსოფლიო იურისტთა ასოციაციაში	99
რეზიუმე	100

Criminal Procedure,

Criminalistics

Juri Gabisonia – “For improvement of legislation about non-criminal liability for disturbing order and non-compliance of procedural obligations in criminal proceeding”	61
---	----

Gocha Sisauri – “Giving narcotics under control, as the operational-search measure”	68
---	----

History of State and

Law, Theory

Nino Tslobadze – “Institute of Khevisberi in Pshav-Khevsureti according to several considerations of Vaza-Pshavela”	72
---	----

Teimuraz Silagadze – “Some psychological aspects of person’s regard with law”	77
--	----

Manana Mosulishvili – “ Legality – one of law principles”	81
--	----

International Law,

International Relations

Alexander Mikaberidze – “Situation, sessions and competence of the European Court of Human Rights”	85
--	----

In the European Court of

Human Rights

Decision of ECHR on case: Canea Catholic Church vs Greece	92
--	----

Information

In the World Jurist Association	99
---------------------------------------	----

REZUME	100
--------------	-----



ს ა ღ ღ ე ი ს თ თ ე ქ ა

მალხაზ ბაძალუა

კონცეპტუალური წინადაღები ანტიკორუფციული საკონტრინაციო ანალიტიკური ცენტრის შექმნისა და უზრუნველყოფის შესახებ

რეფორმების მიმდინარეობის პერიოდში ქვეყნის სახელმწიფო ურთიერთობათა განვითარებას თან სდევს კორუფციის გავრცელება, რომელმაც თანამედროვე პირობებში მიიღო ფართო მასშტაბები, რაც აშკარად ემუქრება ქვეყნის დამოკრატიზაციის პროცესს, თანმიმდევრულად ძირს უთხრის დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობას.

შექმნილ კრიმინოგენურ სიტუაციაში სახელმწიფოს ჯერ არ ძალუბს ისეთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი სტრუქტურის შექმნა, რომელიც უფლებიანად შეეძროლება კორუფციას. თუმცა ხელისუფლების ყველა დონეზე ნათელია, რომ მარტო სამართალდამცავი ორგანოების მიერ ოპერატორ-სამძებრო ღონისძიებების გააქტიურებით ვერ აღმოიფხვრება კორუფცია.

ბოლო პერიოდში ნიშანდობლივია საზოგადოების გარკვეული ნაწილის მცდელობა და სურვილი ამ მიმართულებით ბრძოლის გააქტიურებისათვის, თუმცა რიგ შემთხვევაში მას, როგორც წესი, არასპეციალისტები ანხორციელებენ, შედეგი ლოგიკურია, უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ კორუფციის გამო შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის ფიქსირებით შემოიფარგლებან, სხვა შემთხვევაში, განსაკუთრებით მასმედიის წარმომადგენლები, საბაზრო ურთიერთობისა და კონკურენციის ფონზე ცდილობენ გამოიჩინონ ზედმეტი აქტიურობა, ხანდახან სათანადო ანალიზისა და დაუზუსტებელ ფაქტებზე დაყრდნობით წარმოადგინონ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა.

ასეთი აქტიურობა იძენს მოჩვენებით ხასიათს და, როგორც წესი, გარკვეული პერიოდის შემდეგ ხელს უწყობს საზოგადოებაში სრული ნიკილიზმის ჩამოყალიბებას.

კორუფციასთან ბრძოლაში წარმოშობილ უკიდურესობათა დაძლევის აუცილებლობა დიდი ხანია მომწიფდა, მაგრამ დღევანდელ ეტაპზე მსჯელობამ უფრო საგნობრივი ხასიათი მიიღო.

კორუფციასთან ბრძოლის ოპტიმალური მოდელის ძიებისას, მთელი საზოგადოების, განსაკუთრებით მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ინტელექტუალური ნაწილის გაერთიანებას, მათი აქტიურობის ამაღლებას არაერთხელ მოითხოვდა საქართველოს პრეზიდენტი, ბაზონი ელუარდ შევარდნაძე თავის გამოსვლებში. ამ მიმართულებით ჩვენს მიერ გასული წლის დამდეგს, დოცენტ გიორგი თოდრიასთან ერთად, შევიმუშავეთ გარკვეული მოდელი – ანტიკორუფციული საზოგადოებრივი მოძრაობისა და საკონდინაციო ცენტრის სახით.

აღნიშნული ცენტრის შექმნის იდეა თვითმიზანი როდია, არამედ ითვალისწინებს საზოგადოების, ხელისუფლების ყველა შტოს ქმედით თანამშრომლობას კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებაში, რომელიც დღითი დღე იხვეწება – ობივატელური მსჯელობიდან გადადის პროფესიონალურ დონეზე, რასაც ადასტურებს მიმდინარე წლის 18 იანვარს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკურ-სამართლებრივი და ეკონომიკური საფუძვლები“, რომელმაც მხარი დაუჭირა ჩვენს წინადადებას საზოგადოებრივი საკონდინაციო ცენტრის ჩამოყალიბების შესახებ.

მიმდინარე წლის 30 იანვარს მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე, რომელიც კანონიერებ-

ის, მართლწესრიგის განმტკიცების, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის და ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით 1999 წლის გაწეული მუშაობის შედეგებსა და 2000 წლის ამოცანებს შეეხებოდა, ქვეყნის პრეზიდენტმა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პირველ ეტაპზე მიზანშეწონილად მიიჩნია საკოორდინაციო ცენტრის ჩამოყალიბება – ანალიტიკური ფუნქციით.

ამრიგად, თანამედროვე პირობებში როგორც
აღმასრულებელმა ხელისუფლებამ, ასევე საზოგა-
დოებრიობამ მხარი დაუჭირა იდეას – ანტიკო-
რუფციული საზოგადოებრივი მოძრაობისა და
მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის
– საკოორდინაციო-ანალიტიკური ცენტრის ჩამოყ-
ალიბებას.

აღნიშვნული ცენტრის ფუნქციონირება ურთულესი პრობლემაა სერიოზული წინააღმდეგობებით. ამიტომ ჩანასახშივე სჭირდება ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალთა მხრიდან მხარდაჭერა. ამ მიზნით მიგვაჩნია პირველ ეტაპზე საკოორდინაციო ანალიტიკური ცენტრი შეიქმნას ქვეყნის უშიშროების საბჭოსთან.

ცენტრის ძირითადი ამოცანები უნდა იყოს:

I. პრევენციული საქმიანობის ორგანიზაციის
საერთო სოციალური კუთხით:

- კორუფციისა და მისი გამომწვევი მიზეზე-ბის ანალიზი;
 - ანტიკორუფციული კანონმდებლობის შე-მუშავება;
 - კორუფციის თავიდან აცილების მიზნობრივი პროცესის შემუშავება;
 - კორუფციის თავიდან აცილების ღონისძიე-ბათა კოორდინაციის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა;
 - საზოგადოებრივი ინსტიტუტების, იურიდი-ულ პირებთან თანამშრომლობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა;
 - სპეციალიზებული დანაყოფების კადრების პროცესიული ღონის ამაღლება;
 - მასშედის წარმომადგენლებთან ურთიერთ-თანამშრომლობა მოსახლეობის ინფორმირებუ-ლობის სისტემის ჩამოყალიბებისათვის.

II. სპეციალურ-კრიმინოლოგიური კუთხით:

- ნორმატიულ აქტებში არსებული ვაკუუმის აღმოფხვრა, რომელიც ხელს უწყობს კორუფციის განვითარებას;
 - მოზელის შემოსავლებზე და ხარჯებზე კონტროლის ფორმების სრულყოფა;
 - კორუფციის ლატენტურობის ფაქტორების შესწავლა და განზოგადება;
 - სამართლებრივი დახმარების გაწევა იმ პირებისათვის, რომლებიც დაზარალა თანამდებობის პირთა უკანონო მოქმედებამ.

ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია საერთო სო-
ციალური და სპეციალური კრიმინოლოგიური
ამოცანებიდან გამომდინარე, უნდა იყოს კორუფცი-
ის შესახებ მოპოვებულ ანალიტიკურ ინფორმა-
ციაზე შესაბამისი ორგანოების მიერ რეაგირება-
ზე კონტროლი.

რაც შეეხება ცენტრის ორგანიზაციულ-სტრუ-
ქტურულ მოწყობას, იგი ჩვენი წინადადებით,
შეიძლება განისაზღვროს 6 პასუხისმგებელი
მუშაკის საშტატო ერთეულით (ცენტრის უფრო-
სი; ცენტრის უფროსის მოადგილე – საორგა-
ნიზაციო-ანალიტიკური მუშაობის კოორდინა-
ტორი; მასში შემავალი უზრუნველყოფის ჯგუფი
– პროგრამისტები, ოპერატორები ხელშეკრულებ-
ის საფუძველზე; საკანონმდებლო ხელისუფლე-
ბასთან ურთიერთობის კოორდინატორი; აღმას-
რულებელ ხელისუფლებასთან ურთიერთობის
კოორდინატორი; სასამართლო ხელისუფლებასთან
ურთიერთობის კოორდინატორი; არასამთავრო-
ბო ორგანიზაციებთან და მასმედიასთან ურთ-
იერთობის კოორდინატორი).

აღნიშვნული ამოცანებისა და კონკრეტული
ფუნქციების სიმრავლე საშტატო ერთეულების
რაოდენობას არ შეესაბამება, რადგან მიგაჩნია,
რომ ეს ვაკუუმი უნდა შეავსოს საკონტრაქტო
ურთიერთობებზე დამყარებულმა მეცნიერებისა და
პრაქტიკოსთა საქმიანობამ.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის
მიერ დასახული ამოცანა რეალურ განხორციელე-
ბას ექვემდებარება და ქვეყნის ინტელექტუალური
ძალების სწორი, მიზანდასახული მოქმედებით
ლოგიკურად დასრულდება.

საქონისტიტუციო სამართალი

მანონი ჯანჯლავა

საქართველოს პრეზიდენტის არჩევის წესი და მისი იმპირატორი აშშ-ის კონსტიტუციასთან შედარები

საქართველოში არსებულმა მიმდინარე პროცესებმა და სახელმწიფო მმართველობის ეფუქტიანობის გაზრდამ მოითხოვა ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლების ჩამოყალიბება. ამ პოლიტიკური და ეკონომიკური მოთხოვნილების ადეკვატური შეიძლება იყოს მხოლოდ ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლება, რადგან, როგორც კონსტიტუციის 69-ე მუხლის შე-2 პუნქტისა ნათქვამი, სწორედ საქართველოს პრეზიდენტმა უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ერთიანობა და მთლიანობა. საკმარისია გადავხედოთ საქართველოს კონსტიტუციის დებულებებს და დავასკვნით, რომ საქართველოში დამკვიდრდა საპრეზიდენტო მმართველობის ფორმა. კერძოდ, 69-ე მუხლის თანახმად «საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური». 77-ე მუხლით პრეზიდენტი აყალიბებს მთავრობის შემადგენლობას და წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად, ე. ი. საქართველოს კონსტიტუციაში მთლიანად გაიზიარა ის თეორიული საფუძვლები, რაც ახასიათებს საპრეზიდენტო რესპუბლიკის მმართველობის ფორმას.

საქართველოში დამკვიდრდა საპრეზიდენტო ხელისუფლება. ამიტომ საჭიროდ მიმართია ყურადღება შევაჩერო საქართველოში პრეზიდენტის არჩევის წესსა და მის იმპირატურულ აშშ-ს კონსტიტუციის მიხედვით. მართალია, სანამ კატეგორიულად არ ამოქმედდება იმპირატურის მექანიზმი საქართველოში, მანამდე ძნელია მასზე ლოგიკური დასკვნის გაკეთება, მაგრამ ბევრი რამეც ხელმისაწვდომია აშშ-ის კონსტიტუციასთან მიმართებაში. რამდენადაც

ეს შესაძლებელია, შემიძლია გამოვთქვა გარკვეული მოსაზრება ამასთან დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, საქართველოს პრეზიდენტის არჩევის წესსა და მის სამართლებრივ სტატუსს განსაზღვრავს სახელმწიფოს ძირითადი კანონი, მოქმედი კონსტიტუცია, რომელიც მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს. კერძოდ, მისი მეოთხე თავი (69-ე – 81-ე) მუხლები და საქართველოს კანონი „საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“, რომელიც მიღებულია 1995 წლის 1 სექტემბერს.

პრეზიდენტს ირჩევენ პირდაპირი ან ირიბი გზით. საქართველოში პრეზიდენტის არჩევა ხდება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების ჩატარების გზით. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად ზედიზედ მხოლოდ ორჯერ შეიძლება იყოს არჩეული. პრეზიდენტად არჩეული პირი უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ პირობებს, უნდა იყოს დაბადებით საქართველოს მოქალაქე, ასაკით არანაკლებ 35 წლისა, საქართველოში ნაცხოვრები უნდა იყოს არანაკლებ 15 წელი და არჩევნების დანიშვნის დღეს უნდა ცხოვრობდეს საქართველოში, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ასარჩევ კანდიდატთა სიაში არ შეიტანება, თუნდაც არჩევნების ჩატარების დღისათვის ჩამოვიდეს საცხოვრობლად საქართველოში.

პრეზიდენტის არჩევა ირიბი არჩევნების გზით დაწესებულია აშშ-ში და არგენტინაში. ჯერ (საქართველოსაგან განსხვავებით) ამომრჩევლები ირჩევენ ამომრჩევლებს, ხოლო შემდეგ ამომრჩევლები თავიანთ ხმას აძლევენ პრეზიდენტობის გარკვეულ კანდიდატს. იყო ცალსახა წინადაღებაც იმაზე, რომ ამერიკის პრეზიდენტი აერჩია კონგრესს, მაგრამ გამოითქვა საწინააღმ-

დევო მოსაზრებაც, რადგან ნიუ-იორკის გუბერნატორის არჩევნებისას აღმოჩნდა, რომ არჩევნების დროს შესაძლებელია ამომრჩევლებზე გარკვეული ზეგავლენის მოხდენა, ამიტომაც აშშ-ში დამკვიდრდა ირიბი არჩევნების სისტემა.

მონარქისაგან განსხვავებით, პრეზიდენტს, როგორც ვიცით, ირჩევენ გარკვეული ვადით. პრეზიდენტად შეიძლება გახდეს ქვეყნის ყოველი მოქალაქე, რომელმაც მიაღწია გარკვეულ ასაკს, წესის თანახმად 35-40 წელს (იტალიაში-50 წელს). კონსტიტუციებში მითითებულია, აგრეთვე, სხვა სპეციალურ მოთხოვნებზე: მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე ცხოვრების გარკვეული ვადა, უმაღლესი განათლება, ასაკობრივი ცენზი და სხვა.

ამერიკის 1787 წლის კონსტიტუციით პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის განსაზღვრისას გამოითქვა მოსაზრება, რათა პრეზიდენტის სტატუსი გათანაბრებოდა მონარქის სტატუსს, ე. ი. შემოღებულიყო მუდმივი პრეზიდენტურა. დებატების შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ პრეზიდენტი არჩეულიყო ოთხი წლის ვადით, ხოლო იგივე პრეზიდენტის ახალი ვადით არჩევის შესახებ საკითხი კვლავ გადაუწყვეტელი დარჩა. ამერიკის პირველი პრეზიდენტი ჯორჯ გაშინგტონი ამ თანამდებობაზე იყო ორი ვადით, რაც ტრადიციად იქცა. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ პრეზიდენტმა თ. რუზველტმა ეს ტრადიცია დაარღვია და წარმატებით იყარა კენჭი ოთხჯერ (1932-1944). მხოლოდ 1951 წელს მიიღეს კონსტიტუციის 22-ე შესწორება, სადაც ნათქვამია: „არავინ შეიძლება იყოს არჩეული პრეზიდენტის თანამდებობაზე ერთზე მეტჯერ, ვისაც ორ ვადაზე მეტი წნის განმავლობაში ეკავა პრეზიდენტის თანამდებობა ან ასრულებდა პრეზიდენტის მოვალეობას სხვა პრეზიდენტად არჩეული პირვენების უფლებამოსილების ვადის ფარგლებში“¹.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა სხვადასხვაა. იგი შერყეობს ერთიდან შვიდ წლამდე. პრეზიდენტის არჩევა საყოველთაო პირდაპირი არჩევნებით: საფრანგეთი (7 წლით), ავსტრია (6 წლით).

¹ აშშ კონსტიტუცია; კომპრომისის ხელოვნება ანუ მართალთა მმართველობა, 1997, გვ 258.

პორტუგალია, პოლონეთი (5 წლით), რუმინეთი (4 წლით), სერბია, უკრაინა, ლიტვა, ესტონეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი, რუსეთი (4 წლით), საქართველო (5 წლით).

პრეზიდენტის არჩევა რეფერენდუმის გზით: ევკიპტე, სირია. პრეზიდენტის არჩევა პარლამენტის და სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ: სლოვაკეთი (5 წლით), იტალია (7 წლით), შვეიცარია (1 წლით), თურქეთი (7 წლით), ლატვია, მოლდავეთი, გერმანია (5 წლით), ინდოეთი (5 წლით), ისრაელი (5 წლით), უზბეკეთი, ყირგიზეთი, საბერძნეთი (5 წლით), პაკისტანი, უნგრეთი (5 წლით).

როგორც აღნიშნე, აშშ-ი პრეზიდენტს ირჩევენ ოთხი წლის ვადით. ყოველი ნაკიანი წელიწადის ნოემბრის პირველი ორშაბათის მომდევნო სამშაბათს. პრეზიდენტობის კანდიდატი უნდა იყოს აშშ-ს მოქალაქედ დაბადებული, არანაკლებ 35 წლისა და აშშ-ში ცხოვრობდეს არანაკლებ 14 წლის განმავლობაში. პრეზიდენტობის ოთხწლიანი ვადა დაწესებულია აგრეთვე ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა არგენტინა, გვატემალა, ირლანდია, ეკვადორი, კოსტა-რიკა, კორეა, ნიგერია, ერთწლიანი ვადაა შვეიცარიაში, სამწლიანი – ნაურუში.

დღეს ჩვენს პლანეტაზე 120-ზე მეტ სახელმწიფოს პრეზიდენტი უდგას სათავეში. მათ შორის ეკვადორის პრეზიდენტი ველასკო იბრა ხუთვერ აირჩიეს ამ თანამდებობაზე, ხოლო მაკარიოსი სამჯერ აირჩიეს კვიპროსის პრეზიდენტად.

პრეზიდენტობის კანდიდატს ასახელებს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ან საინიციატივო ჯგუფი, კანდიდატის წარდგენა და-დასტურებული უნდა იყოს არანაკლებ 50 ათასი ამომრჩევლის ხელმოწერით. ამასთან, ხელმოწერის ბლანკებში აღნიშნული უნდა იყოს ხელ-მოწერით პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. კანონიერებისათვის აუცილებელია არჩევნების ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის უმრავლესობის მონაწილეობა. კანდიდატი არჩეულად ჩაითვლება, თუ მან მიიღო არჩევნებში მონაწილე წმათა ნახევარზე მეტი.

თუ არჩევნების პირველი ტურის შემდეგ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო წმათა საჭირო რაოდენობა, ორი კვირის თავზე უნდა გაიმართოს მეორე ტური. სიაში შეიტანება ის ორი კანდიდატი, რომლებმაც ყველაზე მეტი წმა მო-

აგროგეს პირველ ტურში. მეორე ტურში ამომრჩევლების საერთო რაოდენობის ერთი მესამედი მაინც უნდა მონაწილეობდეს. გაიმარჯვებს ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს, მაგრამ ხმათა რაოდენობა არ უნდა იყოს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არააკლებ ერთი მესამედისა. თუ პირველი და მეორე ტურით არ მოხერხდა პრეზიდენტის არჩევა, ორი თვის ვადაში უნდა გაიმართოს ახალი არჩევნები. პრეზიდენტის არჩევნები არ შეიძლება ჩატარდეს საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს. კონსტიტუციის ეს მოთხოვნა გამომდინარეობს ქვეყნის სტაბილურობის პირობიდან.

პრეზიდენტის მორიგი არჩევნების ტური ეწყობა წინა არჩევნების ჩატარებიდან მეხუთე წლის აპრილის მეორე კვირა დღეს. თანამდებობის დაკავების წინ პრეზიდენტი წარმოთქმას საპროგრამო სიტყვას და დებს ფიცს.

რამდენადაც ქვეყნის ახლანდელი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე არჩეულია 1995 წელს, პრეზიდენტის მორიგი არჩევნები საქართველოში ჩატარდება 2000 წლის აპრილის მეორე კვირა დღეს, ე.ი. 9 აპრილს.

საპრეზიდენტო არჩევნების პირობებში პრეზიდენტის პასუხისმგებლობას განსაზღვრავს კონსტიტუცია, რომლის მიხედვით სწორედ პარლამენტი ახორციელებს პრეზიდენტის პასუხისმგებლობის მკაცრ კონტროლს იმპიჩმენტის მექანიზმის საშუალებით.

ჩემი აზრით, მართალია, იმპიჩმენტის მექანიზმი საქართველოში არა დამკვიდრებული, ვფიქრობ, მისი პრაქტიკაში განხორციელება უპირველესად დამკიდებულია იმაზე, თუ რა როლს დაიკავებს ეს მექანიზმი ხელისუფლების განაწილების სისტემაში, როგორია საერთოდ სამართლებრივი ინსტიტუტების სიმწიფე ქვეყანაში და სხვა. ვფიქრობ, ამგვარი საკითხების ამოწურვის გარეშე ძნელია მის როლზე მსჯელობა, მაგრამ ზოგიერთი რამის მსგავსება-განსხვავების გამოყოფა შესაძლებელია აშშ-ის იმპიჩმენტის მექანიზმთან შედარებით.

რამდენადაც ცნობილია, საქართველოს პრეზიდენტი სარგებლობს ხელშეუხებლობის იმუნიტეტით, არ შეიძლება მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა და დაპატიმრება. თუ პრეზიდენტი ჩაიდენს დანაშაულს, მაშინ ის

ჯერ უნდა გადავირჩიოთ პრეზიდენტობიდან და ამის შემდეგ შეიძლება მსჯელობა მის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, საქართველოს პრეზიდენტი პასუხისმგებელია ქვეყნისა და ხალხის წინაშე თავისი მოქმედებისათვის, სამართლებრივი მოვალეობის შესრულებისათვის. იგი პასუხს აგებს კონსტიტუციისა და კანონის განვებ დარღვევისათვის, სახელმწიფო ღალატისთვის, სახელმწიფოს დამოუკიდებლობისთვის მიუწებული ზიანისათვის, მექრთამებისა და სხვა მძიმე დანაშაულისათვის.

აშშ-ში იმპიჩმენტის საფუძველია „დალატი, ქრთამი, სხვა მძიმე დანაშაული და მისდიმინორი“. ამასთან, აშშ-ში იმპიჩმენტის საფუძველი შეიძლება იყოს თანამდებობისათვის შეუფერებელი საქციელი, რომელიც კანონის დარღვევა არ არის, ასევე სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების უუნარობა, რასაც საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს. ამასთან, საგულისხმოა, რომ საქართველოში იმპიჩმენტის საფუძველი მარტო სისხლის სამართლებრივ დარღვევებს არ მოიცავს.

ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანია ისიც, რომ საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლით იმპიჩმენტს მოსამართლები არ ექვემდებარებიან, გარდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა. საკონსტიტუციო სასამართლოს და სხვა მოსამართლეთა გამორიცხვა იმპიჩმენტიდან მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, რამდენადაც აშშ-ში იმპიჩმენტი კონგრესის მხრიდან სასამართლოზე კონტროლის ერთადერთი ფორმაა, იქ ფედერალური მოსამართლეები ექვემდებარებიან იმპიჩმენტს.

ჩემი აზრით, საქართველოში მხოლოდ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის იმპიჩმენტისადმი დაქვემდებარება ვერ უნდა ჩაითვალოს პოლიტიკურ ვალდებულებად. თუკი სხვა მოსამართლები, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა ჩათვლით, გამორიცხული იქნებიან იმპიჩმენტიდან, მაშინ გაუგებარია, რატომ არის აღნიშნული საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის იმპიჩმენტი.

აღსანიშნავია ისიც, რომ აშშ-ში იმპიჩმენტის საფუძველია პოლიტიკური დანაშაული, საერთოდ იმპიჩმენტიდან ქმედება, რომელიც ხალხის ნდობის ღალატის ტოლფასია, იქ ფაქტების

დადგენას და შეფასებას ახდენს ხელისუფლების პოლიტიკური განმტოვება.

საქართველოს კონსტიტუციით კი განსაზღვრულია, რომ დანაშაულის ჩადენა და კონსტიტუციის დარღვევა არ არის პოლიტიკურ შეხედულებაზე დამოკიდებული, არც ფაქტების დადგენა და შეფასებაა მისდამი დაქვემდებარებული, უნგბლიერ მეტადება კითხვა, მაში ვინ ადგენს ამ ფაქტებს? პარლამენტი არ მონაწილეობს ფაქტების დადგენისა და შეფასების საკითხში, ის მხოლოდ სასამართლოს დასკვნებს ეყრდნობა. ე.ი. პარლამენტის პოლიტიკურ შეხედულებაზე მხოლოდ ის არის დამოკიდებული, რომ როცა მისი მონაწილეობის გარეშე დადგინდება იმპიჩირებადი პირის იმპიჩირებადი ქმედების ჩადენა, ამის შემდგომ გადაწყვიტოს, გადააყენოს თუ არა ის თანამდებობიდან.

რამდენადაც ცნობილია, საქართველოში იმპიჩირების საკითხის აღმრის უფლება პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთ მესამედს აქვს. აშშ-ში კი არსებობს პროცესუალური სტადია, რომელსაც ესაჭიროება კონგრესის ლიდერებისა და წარმომადგენელთა პალატის უმრავლესობის თანხმობა, იქ იმპიჩირების უფლებამოსილება მიკუთვნებული აქვს მხოლოდ კონგრესს, ე.ი. ხელისუფლების პოლიტიკურ განმტოვებას, რომელიც გულისხმობს კონგრესის მეორ ფაქტების დადგენასა და შეფასებას, გამოაქვს გამამართლებელი ან გამამტყუნებელი ვერდიქტი, პალატა აწარმოებს გამოძიებას, აყალიბებს ბრალდებას, აგროვებს მტკიცებულებებს, სენატი კი იხილავს მას.

ჩვენთან კი ამ პროცედურაში სასამართლო ხელისუფლება მონაწილეობს – საკონსტიტუციო სასამართლო ან უზნაესი სასამართლო უგზავნის პარლამენტს თავის დასაბუთებულ დასკვნას. თუ დასკვნით დადასტურდება პრეზიდენტის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა ან კონსტიტუციის დარღვევა, პარლამეტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას, რომ კენჭისყრაზე დაისვას იმპიჩირების წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხი. პრეზიდენტი გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არაკულებ ორი მესამედი.

ჩემი აზრით, საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება უფრო რთულია, რადგან საჭიროა აბსოლუტური უმრავლესობა, აშშ-ში კი თანამდებობიდან გადაყენებისათვის აუცილებელია დამსწრე სენატორთა ორი მესამედის თანხმობა, იმის მიუხედავად, თუ ვის შეეხება საქმე. პარლამენტართა აბსოლუტური და უბრალო უმრავლესობის შესაბამისი ოდენობა დამსწრე პარლამენტართა რიცხვიდან კი არ გამოითვლება, როგორც ეს აშშ-ში ხდება, არამედ პარლამენტართა საერთო რიცხვიდან.²

საქართველოში თანამდებობიდან გადაყენების გარდა სხვა რაიმე სასჯელი არ არის გათვალისწინებული, აშშ-ში კი იმპიჩირების შეიძლება მოჰყვეს დისკვალიფიკაციის სასჯელი. თუ იმპიჩირებული ბრალდება წაყენებულია და პიროვნება არ გადადგა თანამდებობიდან, ამას აუცილებლად მოჰყვება სენატში იმპიჩირების განხილვა და კენჭისყრა.

საქართველოში კი აუცილებელი არ არის, რომ საქმე კენჭისყრამდე მივიდეს. საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება პრეზიდენტის იმპიჩირების წესით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 30 დღისა. თუ ამ ვადაში არ მოხდა გადაწყვეტილების მიღება, მაშინ საკითხი მოხსნილად ითვლება და მომდევნო ერთი წლის განმვლობაში დაუშვებელია იმავე ბრალდების წარდგენა.

ისტორიულად იმპიჩირებული გამოყენებული იყო მხოლოდ ერთი ამერიკელი პრეზიდენტის ჯონ-სონის მიმართ, თუ არ გავითვალისწინებთ პრეზიდენტ ნიქსონს, რომელმაც გარდაუვალ იმპიჩირების დასწრო და გადადგა პოსტიდან. 1974 წელს რ. ნიქსონი იმპიჩირების წესით პასუხისებაში მისცა სენატმა იმის გამო, რომ რესუბლიკური პარტია ცდილობდა მოსასმენი მოწყობილობის დაყენებას „უოთერვეითის“ პოტელში, სადაც განლაგებული იყო დემოკრატიული პარტიის შტაბ-ბინა. რაღაც ამ პროცედურის შედეგი ყველასათვის აშკარა იყო, რ. ნიქსონმა თავიდან

² ურნალი „მართლმსაჯულების მაცნე“, №4, ობ., 1996 – ევა გოცირიძე, იმპიჩირები; ქართულად და ამერიკულად. გვ. 11.

აიცილა სენატის საბრალდებო ვერდიქტი და „ნებაყოფლობით“ გადადგა პრეზიდენტის თანამდებობიდან.

ჩვენი საუკუნის 90-იან წლებში იმპირიულტის რამდენიმე შემთხვევას ჰქონდა ადგილი (ბრაზილია, ვენესუელა). ამომრჩეველთა რეფერენდუმის გზით ორჯერ გადააყენეს აზერბაიჯანის პრეზიდენტი, ხოლო, მორდვეთის პრეზიდენტი გადაყენებულ იქნა თვით თანამდებობის გაუქმების გამო.³ საქართველოს პრეზიდენტმა 1992 წლის 6 იანვარს დატოვა ქვეყანა დაპირისპირებული ძალების მხრივ დევნის გამო.

არსებობს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის რამდენიმე ხერხი. ერთ-ერთია ნებაყოფლობითი გადადგომა, როცა პრეზიდენტი რაიმე მოსაზრების გამო ვადამდე ტოვებს თანამდებობას, ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პრეზიდენტი ვეღარ ახორციელებს თავის მოღვაწეობას, ეს იგივეა, რაც გადადგომა, მაგრამ კონკრეტულ მიზეზებზე მითითებით. ამასთან დაკავშირებით ზოგჯერ საჭირო ხდება სამედიცინო დასკვნა. გადადგომა არის თანამდებობიდან ნებაყოფლობით წასვლა, რისთვისაც სახელმწიფო-სამართლებრივ პრაქტიკაში დამკვიდრებული წესის მიხედვით საჭიროა წერილობითი განცხადება თანამდებობიდან წასვლის შესახებ. კონსტიტუცია არ აკონკრეტებს გადადგომის შემთხვევას, არ ადგენს ასეთი გადაწყვეტილების მიღების მოტივებს, არ იძლევა პასუხს იმ კითხვაზე, მიღებულ იქნას თუ არა რაიმე გადაწყვეტილება. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ გადადგომის ინსტიტუტი ჩვენს კონსტიტუცია-

ში არ არის საკმაოდ დამაჯერებლად დასაბუთებული. კიდევ უფრო რთული სიტუაცია დგება, მაშინ როცა გამოყენებულია საპრეზიდენტო უწყესიერის შეწყვეტის საფუძვლიანობა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

აშშ-ს კონსტიტუციის მიხედვით პრეზიდენტი თავის გადადგომის შესახებ წერილობით დეკლარაციას უგზავნის სენატის თავმჯდომარესა და წარმომადგენელთა პალატის სპიკერს, რითაც ის ამცნობს მას, რომ არ შეუძლია შესრულოს თავისი უფლებები და მოვალეობები. ამ წერილობითი დეკლარაციის შემდეგ პრეზიდენტის უფლებები და მოვალეობები უნდა გადაეცეს ვიცე-პრეზიდენტს, როგორც პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს.⁴

ამრიგად, პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტა შესაძლებელია ვადის გასვლასთან დაკავშირებით. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად პრეზიდენტის არჩევნები ტარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის დროიდან 45 დღის განმავლობაში. ამ ხნის მანძილზე პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარე.

ერთი სიტყვით, გადადგომის ინსტიტუტი, ჩემი აზრით, საქართველოს კონსტიტუციაში არ არის საკმაოდ დამაჯერებლად დასაბუთებული. სანამ იმპირიულტის მექანიზმი საქართველოში პრაქტიკულად არ განხორციელდება და დამკვიდრდება, რომელიც, ჩემი აზრით, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია ისევ და ისევ პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტის სიმწიფეზე ქვეანაში, მნელია მის ავკარგიანობაზე მსჯელობა.

მანონი ჯანჯლავა,
იურისფი.

³ Чиркин В.Е. «Государство и право» N 5, 1997, с 15-23.

⁴ აშშ კონსტიტუცია. კომპრომისის ხელოვნება ანუ მართალთა მმართველობა, თბ., 1997, გვ. 259.

ქართლის ფინანსური

სახალხო დამცველის ინსტიტუტი და საქართველოს

სახელმწიფო სამართლის ისტორიის რეალიები

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამოხატულებად
შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს პარლამენ-

ტის მიერ მიღებული კანონი „სახალხო დამცველის“ შესახებ. არც თუ ისე დიდი ხანია, რაც ომბუდსმენის ინსტიტუტი საჯარო განხილვის საგნად იქცა. მას საქართველოში გაიაზრებენ, როგორც ადამიანის თანდაყოლილი ბუნებრივი უფლებების დაცვის სრულიად ახალ ფორმას, რომელიც სამართალმცოდნობაში გავრცელებული აზრის თანახმად, ისტორიაში პირველად შვეციაში გამოჩნდა 1713 წელს, 1809 წელს კი მმართველობის ფორმით ჩამოყალიბდა. თავისთვად იბადება კითხვა: იცნობს თუ არა საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია მსგავსი შინაარსისა და ფუნქციების მქონე ორგანოს, დაწესებულებას? დღეს ამ კითხვაზე თამამად შეიძლება დადგითით პასუხის გაცემა. ამის თქმის საფუძველს ქართული სამართლის ერთ-ერთი უნიკალური ძეგლი „ხელმწიფის კარის გარიგება“ იძლევა. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ კარის გარიგების 55-ე სტრიქონს: „ჭყონდიდელი ორშაბათს დღეს საჯარო კარსა შიგან დაკლების, ობოლთა და ქვრივთა და მიმდლავრებულთა, მოჩივართა განიკითხავს. და ყოველი [საჭორო ჯდომის ქამსა?] საწოლის მწიგნობარი გვერდს უზის. და ზარდახანის მწიგნობარს გაგზავნის და მისის პირით მოახსენებს, რაც ვის რა სჭირს. და რასაც მისის პირით ვერ დაიურვებს, ადგების და, რა ჟამსაცა ჟამი იყოს, თვით მივა და მაშინ იურვის, რაც ვის უსამართლო სჭირს. არ მოუშენების, რომ არ დაიურვოს“.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ ერთადერთი ხელნაწერი, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილმა აღმოაჩინა, მოთავსებული იყო გიორგი ბრწყინვალეს „მეგლის დადების“ ნუსხასთან ერთად ერთ ხელნაწერ კრებულში. ისტორიკოსთა აზრით,

„ხელმწიფის კარის გარიგება“ შექმნილი უნდა ყოფილიყო მეცამეტე საუკუნის ბოლოსა და მე-თოთხმეტე საუკუნის დასაწყისში.

ქვეთომე თაყაიშვილი ძეგლის შესახებ წერდა: „ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კარის გარიგების აღმოჩენა ზეიმია ჩვენი ისტორიისათვის“. თავის მხრივ ივანე ჯავახიშვილი კარის გარიგების შესახებ აღნიშნავდა: „ამ ძეგლის შინაარსი იმდენად მრავალფეროვანია, რომ მას საქართველოს როგორც სახელმწიფო წყობილების, ისე კულტურული, ეკონომიკური და ნივთიერი კულტურის შესასწავლად უაღრესი მნიშვნელობა აქვს...“ ამჯერად ჩვენი კვლევის საგანია კარის გარიგებით გათვალისწინებული სახელმწიფო წყობილება და მართვის მექანიზმი.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ თანახმად, ქვეყანა იმართებოდა „ერთიანობით“, ე.ი. მეფე და დიდებულები ერთობლივი შეთანხმებით მართავდნენ. ის ორგანო, რომლის საშუალებითაც მეფე და ფეოდალები სამეფოს განაგებდნენ, დარბაზად იწოდებოდა. დარბაზში შედიოდნენ მსხვილი მოხელეები: ვაჭირები, ერისთავები, ეპისკოპოსები. ამასთანავე, მისი წევრები იყვნენ ე.წ. „უხელონიც“, ე.ი. ისეთი პირები, რომელთაც რაიმე თანამდებობა არ გააჩნდათ. ასეთები შეიძლება ყოფილიყვენ მსხვილი ფეოდალები. ის გარემოება, რომ ფეოდალს მამულები პქონდა, იმასაც ნიშნავდა, რომ იგი პოლიტიკური ხელისუფლების გარკვეულ ნაწილს იზიარებდა.

დარბაზს იწვევდნენ დროდადრო, საგანგებო შემთხვევის ან კიდევ დიდ დღესასწაულებთან დაკავშირებით. „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ მოცემულია განაწესი, რომელიც გათვალისწინებული იყო ნათლისძებისა და აღდგომის დღესასწაულების დროს დარბაზის მოწვევისათვის. როგორც ჩანს, ამ დღესასწაულების დროს დარბაზის მოწვევა სავალდებულო ყოფილა. გარდა ამისა, დარბაზი უნდა მოწვეულიყო ომის, მეფის ტახტზე აყვანისა და სხვა სახელმწიფო საკითხების განსახილველად, აგრეთვე ნებისმიერ დროს „ვითარცა მეფეს ეპრიანოს“. ასებობდა დარბაზის მოწვევის შემდეგი ფორმები: „დიდის წესითა და თუ უმცროსითა“. თუ რაში მდგომარეობდა ამ წესებს შორის განსხვავება, ძეგლში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. სავარაუდოა, რომ პატარა დარბაზის

მოწვევა ხდებოდა სასწრაფო საკითხების მოსაგვარებლად.

დარბაზი, ძირითადად, დიდებულთა ორგანო იყო, რომელიც ზღუდავდა და გასაქნის არ აძლევდა მეფის ხელისუფლებას.

„ხელმწიფის კარის გარიგებაში“ გათვალისწინებული სახელმწიფო სამართალი იცნობს „სავაზიროს“ ინსტიტუტს. ის მთავრობის მსგავსი დაწესებულება იყო. სავაზიროში შედიოდნენ ვაზირები და მისი თანაშემწევები: მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი, რომელიც იმადროულად სავაზიროს თავმჯდომარის მოვალეობასაც ასრულებდა, ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეოთუხუცესი და მსახურთუხუცესი. აგრეთვე, საწოლისმწიგნობარი, ამილახორი და ამირეჯიბი.

საწოლის მწიგნობარი მწიგნობართუხუცესის მოადგილედ ითვლებოდა და ვაზირობის დროს მწიგნობართუხუცეს – ჭყონდიდელის მხარეს იდგა, „შუაზე“ კი ამირაჯიბი. სავაზიროს გარშემო მანდატურები იდგნენ, რომლებიც სხდომის დროს არავის უშვებდნენ. ხოლო, თუ ვინმეს გამოძახების აუცილებლობა შეიქმნებოდა, იმას შემოიყვანდნენ. სავაზიროს დადგენილების დაწერა მწიგნობარს ევალებოდა. მეაბჯრეთუხუცესი, გამგეოთუხუცესი, საჭურჭლისნაცვალი, მესტუმრე, ზარდახნის მწიგნობარი და სხვა ხელისუფალი ვაზირობის დროს გარეთ იცდიდნენ, რომ საჭიროების შემთხვევაში სავაზიროს განკარგულება სასწრაფოდ შეესრულებინათ.

ამგვარად, როგორც ჩანს, სავაზირო ბიუროკრატიული სამოხელეო მმართველობის ჩანასახია. იგი ქვეყნის მმართველობის საუწყებო სისტემის შემოღებას გულისხმობდა და მეფის ხელში სახელმწიფო მმართველობის ცენტრალიზაციას ემსახურებოდა.

„ხელმწიფის კარის გარიგებით“ დადგენილია ხელისუფლების თითოეული ორგანოს უფლებამოვალეობათა მკაცრი რეგლამენტაცია. მათი ფუნქციების ერთმანეთისაგან გამიჯვნა და გაერთიანება ერთი გარკვეული ნიშნის – ცენტრალიზაციის საფუძველზე გვაფიქრებინებს იმას, რომ სახეზე ხელისუფლების გადანაწილების პრინციპი. ამის შემდეგ, საუბარი შეიძლება ამ ისტორიული სამართლის ძეგლის არა მარტო როგორც უბრალო მნიშვნელობის საკანონმდებ-

ლო დოკუმენტზე, არამედ, როგორც ქვეყნის
ძირითად კანონზე. იგი კონსტიტუციურ რანგ-
შია აყვანილი. გარდა ამისა, თუ გავითვალ-
ისწინებთ მაშინდელ საერთო მდგომარეობას
საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარების
თვალსაზრისით, მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუ-
ნებში დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნის
მცდელობამ აპოვეას მიაღწია, რომელიც წარ-
მატებით დაგვირგვინდა და ქართულ სახელმ-
წიფო სამართალში მმართველობის ფორმით
ჩამოყალიბდა სახალხო დამცველის ინსტიტუ-
ტი. ის ძველ ქართულ სამართალში სააჯო კარის
სახელით არის ცნობილი. აქვე საჭიროდ მიგ-
ვაჩნია აღვნიშნოთ, რომ სახალხო დამცველი
სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახელწოდებ-
ითაა ცნობილი. მაგალითად: მედიატორი, პროვე-
დორი, პროკურატორი, ადამიანის უფლებათა
დაცვის რწმუნებული. ავსტრიაში კი სახალხო
დამცველის ინსტიტუტი კოლეგიური სახითაა
წარმოდგენილი.

სააჯო კარი მწიგნობართუხუცეს – ჭყონდიდე-ლის გამგებლობაში შედიოდა. თანამდებობით იგი მეფის შემდეგ პირველი კაცი იყო სახელმწიფო-ში და ზედამხედველობას უწევდა მმართველო-ბის ყველა დარგს. მწიგნობართუხუცესის ეს-ოდენ მაღალი თანამდებობრივი მდგომარეობა, დამოუკიდებლობა მმართველობით სისტემაში და მისი, როგორც ზედამხედველის უფლებებით აღჭურვა იყო ლოგიკური გარანტი სააჯო კარის ყოველმხრივ შეუზღუდველობისა, რაც სახალხო დამცველის ინსტიტუტის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი ნიშანია. სააჯო კარის ფუნქ-ციონირებისათვის შექმნილი იყო მისი სამუშაო აპარატი, რაც შემდეგი სიტყვებიდან ჩანს: „...სა-წოლის მწიგნობარი გვერდს უზის და ზარდახ-ანის მწიგნობარს გაგზავნის და მისის პირით მოახსენებს, რაც ვის რა სჭირს“.

ქვრივ-ობოლთა და უღონოთა საჩივრებს მწიგნობართუხუცესი – ჭყონდიდელი განიხილავდა ორშაბათს, ე.ი. მისთვის სპეციალურად გამოყოფილ დღეს, ეს კი, თავისთავად სააჯო კარს უფრო მეტად აძლევს ოფიციალურ ელფერს. კანონმდებელი ყურადღებას ამახვილებს ჭყონდიდელის უმაღლეს საპასუხისმგებლო დამოკიდებულებაზე „მიმდლავრებულთა მიმართ“, რომელიც გამოხატულებას პოულობს შემდეგ

სიტყვებში: „და რასაც მისის პირით ვერ დაიურ-ვებს, ადგების და რა უამსაცა უამი იყოს, თვით მივა და ოურვის, რაც ვის უსამართლო სჭირს და არ მოეშვების, რომ არ დაიურვოს“. როგორც ჩანს, მწიგნობართუხუცესი საჭიროების შემთხ-ვევაში, ნებისმიერ დროს ვალდებული იყო გაჭირვებულისათვის და უსამართლოდ და-ჩაგრულისათვის დახმარების ხელი გაეწოდები-ნა, იქნებოდა ეს მატერიალური შემწეობა თუ მომჩივანის შელახული უფლებრივი მდგომარე-ობის აღდგენა.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ შექმნას წინ უსწრებდა საქართველოს ისტორიაში ცნობილი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები, რომელიც ყუთლუ-არსლანის სახელთან არის დაკავშირებული. ყუთლუ-არსლანსა და მის თანამოაზრებს გააჩნდათ სერიოზული პოლიტიკური პროგრამა, რომლის მიხედვითაც უნდა დაარსებულიყო „კარავი“. კარავის იმაზე მეტი უფლებრივი დატვირთვა უნდა ჰქონდა, ვიდრე სამეფო კარზე არსებულ საბჭოს – დარბაზს. კერძოდ, ისნი ითხოვდნენ მეფისგან დამოუკიდებლად და მეფის დაუსწრებლად სახელმწიფოს მართვა-გამგებასა და უზენავს მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საქმეების განხილვას. ამ დაწესებულების გადაწყვეტილება მეფისათვის უნდა ეცნობებინათ, რომელსაც გადაწყვეტილების მხოლოდ აღმასრულებელი უფლება ჰქონდა დატოვებული. აღსანიშნავია, რომ თანამოდასები თავიანთ წრეში იმდენ ძალას ხედავდნენ, რომ „ისნისაცა შემომად განემზადნეს“, ე.ი. სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ შეძრობლებასაც კი ბედავდნენ. ეს გარემოება მეჭურჭლეოთუხუცესის პოლიტიკურ თანამოაზრეთა დასის საკმარისო მრავალრიცხოვნობაზე მეტყველებს. როგორც ჩანს, საზოგადოებრივი აზრიც გარკვეულწილად მათ მხარეზე ყოფილა. ყუთლუ-არსლანისა და მისი პოლიტიკური დასის სამოქმედო გეგმის გასათვალისწინებლად შეიძლება თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის შემდეგი მნიშვნელოვანი ცნობა გამოვიყენოთ, რომელშიც მას ყუთლუ-არსლანის შესახებ გაკვრით აქვს მოხსენიებული: შეიპყრეს „ყუთლუ-არსლან მეჭურჭლეოთ უხუცესი“, რომელიც „აწ თავისა (თვისისა) ამირსპასალარად და სომხითისა, სომებთა მეფისა ადგილსა, ლორესა დაჯდომად გამნზადებული“ იყო. როგორც ჩანს, თანამოაზრეთა გუნდს



კარგად ჰქონდა გააზრებული, რომ სახელმწიფო წესწყობილების ასეთი კარდინალური ცვლილებების მოსახლენად შესაფერისი ძალა და მხარდაჭერა იყო საჭირო არამარტო დღგვაროვანთა მხრიდან, არამედ ხალხის ფართო მასებიდანაც.

მიუხედავად ზემოთ მოყვანილი მოსაზრებებისა, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს თვით თამარ მეფის შეფასება ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამისა, ვითარცა „დასასრულისა ხელმწიფობისა პატრონისასა“. ეს მართლაც სამეფო ხელისუფლების დასასრული იქნებოდა, რომელიც მოლიანად კარავში დასხლომილთა განსაკუთრებულ კუთვნილებად უნდა ქცეულიყო.

საქართველოს სახელმწიფო წყობილებაში მომხდარი ეს დიდად მნიშვნელოვანი ცვლილება ქვეყნის პროგრესული განვითარების შედეგი იყო. ეს იმ ცვლილებების წინამორბედი და მსგავსი მოვლენაა, რომელიც მე-13 საუკუნის დამდეგს ინგლისში მოხდა, როდესაც „თავისუფლებათა დიდი ქარტით“ შეიზღუდა ინგლისის მეფის ხელისუფლება.

როცა თამარისდროინდელი საქართველოს პოლიტიკის რეფლექსურ ანალიზს ვაკეთებთ, რომელიც პოლიტიკურ იდეოლოგიას და პოლიტიკურ ფსიქოლოგიას მოიცავს, შევიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ მეთორმეტე საუკუნეში საქართველოს მოსახლეობა თავისი საზოგადოების პროგრესულ ნაწილთან ერთად მზად ყოფილა სერიოზული რეფორმებისათვის. ხოლო ანალიზის ინსტიტუციონალური მიდგომით, რომელიც პოლიტიკური ინსტიტუტების მთელი სისტემის შესწავლას გულისხმობს, მხოლოდ შემდეგი დასკვნის გამოტანა შეიძლება: საქართველოს საუკუნეთა სიძველიდან პარლამენტარიზმის ნიშნები მოჩანს და ქვეყნის ფეოდალურ რესპუბლიკად შექმნის მომენტიც ფიქსირდება.

პოლიტიკურ მეცნიერებაში ცნობილი თეორიების თანახმად, პოლიტიკური შეგნების ფორმირებისა და ფუნქციების მთავარი წყაროა საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრაქტიკა. მაშინ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნისათვის, რომელიც „ხელმწიფოის კარის გარიგების“ შექმნის საკარაულო თარიღია, ქართველერს უკვე ჰქონდა წინა ისტორიული გამოცდილება, ის მაღალი პოლიტიკური მზაობა და სიმწიფე, რაც აუცილებელი იქნებოდა ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებისათვის. აგრეთვე, ისეთი საკანონმდებლო ძეგლის შექმნისათვის, რომელიც სანიმუშო იქნებოდა იმჟამინდელი ქვეყნებისათვის.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ იურიდიული არსის გააზრებამ და მისი შექმნის წინა ისტორიულმა ექსკურსმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ არსებობდა სამოქალაქო საზოგადოების შექმნის ჰიპოთეტური გეგმა, რომელიც უკვე მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეებში კონკრეტულ ინსტიტუციურ მექანიზმებს ეყრდნობოდა. აღებულ მიმართულებას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისაკენ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დატვირთვა ჰქონდა მინიჭებული. საქართველო თავისი სახელმწიფოებრივი აღორძინება-განმტკიცების გზაზე სათუთად უფრთხილდებოდა პიროვნების ღრმა ინდივიდუალიზაციის იდეალებს, რომლებიც უამთა სიავისა და მტარვალთა თარეშის გამო დიდი ხნით იქნა ამძირკველი, ისევე როგორც არაერთი ცივილიზაცია აღვილა პირისაგან მიწისა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის თანახმად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დღეს მოქმედი ორგანული კანონი სახალხო დამცველის შესახებ არის ქართული სულის ფაქტობრივი გამოვლინება, რომელსაც ჩვენი სამშობლოს ისტორიის საუკუნეთა სიძველეში ღრმად აქვს ფესვები გადგმული.

ჩართლოს ფრიდონეაშვილი,
იურისტი.



ნათია კინწურაშვილი

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების უზრუნველყოფისათვის

მოცემულ სტატიაში არ ვიხილავ მთლიანად
სააღსრულებო წარმოების არს და მნიშვნელო-
ბას. როგორც სათაურიდან ჩანს, ამ შემთხვევა-
ში კენები მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართ-
ლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების უზრუნ-
ველყოფის საკითხებს, როგორც ოვითაღსრულე-
ბადი აქტების სპეციფიკურ ფორმებს. მოცემუ-
ლი პრობლემის სწორად გადაწყვეტა ბევრად
განაპირობებს საკონსტიტუციო სამართალწარ-
მოების ეფექტიანობას.

ჩემი აზრით, სასამართლოს მიერ სამართლიანი და გამართული გადაწყვეტილებების გამოტანაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი აღსრულების უზრუნველყოფა; მით უმეტეს, რომ საუბარი ეხება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს.

ამ საკითხთან მიმართებაში წამოიჭრება მრავალი პრობლემა, როგორიცაა: იმ პირთა წრის

დადგენა, თუ ვისზე ვრცელდება სასამართლოს გადაწყვეტილება; რა შედეგები მოვყება აქტის არაკონსტიტუციურად ცნობას; აქტის არაკონსტიტუციურად მიჩნევის შემთხვევაში საინტერესოა, თუ რა მომენტიდან უნდა ჩაითვალოს იგი ასეთად. აქ საგულისხმოა ორი მომენტი – განსახილველი აქტის ძალაში შესვლა და თვით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლა.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების, ან შესრულებისათვის ხელის შეშლის შემთხვევაში დგება პასუხისმგებლობის საკითხი, რასაც საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს საკონსტიტუციო კონფრონლის ქმედითობის თვალსაზრისით. ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, არსებობს ბევრი სხვა საკითხი, რაც დაკავშირებულია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასა-
მართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება უაღ-
რესად როგორი და პრობლემატური საკითხია.
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
იურისდიქცია და აქედან გამომდინარე, მის მიერ
მიღებული გადაწყვეტილებების სამართლებრივი
შედეგები ვრცელდება საქართველოს მთელ ტერ-
იტორიაზე.

საკონსტიტუციო სასამართლო თვითონ განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, ვისაც ეხება კონკრე-

ტული გადაწყვეტილების აღსრულება. საკონსტიტუციო სასამართლო შესაბამისი ორგანოებიდან და თანამდებობის პირებისაგან იღებს წერილობით ინფორმაციას, რაც წარმოადგენს გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე ზედამხედველობის განხორციელების ფორმას.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების კონკრეტული გზების ნათელსაყოფად მიზანშეწონილია მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი საზღვარგარეთის საკონსტიტუციო სასამართლოთა საქმიანობის პრაქტიკიდან. ერთი უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილებათა აღსრულება დამოკიდებულია ძირითადად იმაზე, თუ რამდენად სცემენ ერთმანეთს პატივს სახელმწიფო ხელისუფლების შტოები და რამდენად არიან ისინი დაინტერესებული სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობით.

აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა პროფ. ჯოზეფ ისენსის (გერმანია) განცხადება, რომლის მიხედვითაც ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო არ არის აღჭურვილი უფლებამოსილებით აღასრულოს საკუთარი გადაწყვეტილებები, იგი უნდა მიენდოს სახელმწიფო სამსახურების და მოქალაქეების მტკიცე რწმენას, რომ ეს უკანასკნელი დაქმორჩილებიან სასამართლოს ნებას, კერძოდ, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე აღასრულებენ მის გადაწყვეტილებებს. ამისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს თვით გადაწყვეტილებათა ცალკეული ტიპების ბუნებას, რადგან სწორედ ეს ფაქტორი განასხვავებს ერთმანეთისაგან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა სამართლებრივ განხორციელებადობას და მათი განხორციელების რეალურ შესაძლებლობას.

ისენსი ეხება საერთო სასამართლოების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა შესრულებას და აღნიშნავს, რომ რადგან არ არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღმასრულებელი სამართლებრივი მექანიზმი, საერთო სასამართლო არ შეიძლება იძულებულ იქნას დაემორჩილოს მას, გადაწყვეტილებათა შედეგი დამოკიდებულია ამ უკა-

ნასკნელთა სურვილზე ნებაყოფლობით შესარულონ იგი.¹

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებასთან დაკავშირებით საინტერესოა საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა ეს უკანასკნელი თვითაღსრულებადი აქტი. ამ კონცეფციის თვალსაზრისით აღსანიშნავია სლოვაკეთის მაგალითი. კერძოდ, საკანონმდებლო ან სხვა ორგანოს მიერ სასამართლოს ნებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, რაც გამოიხატება იმაში, რომ იგი არ ცდილობს არაკონსტიტუციურად ან საერთაშორისო ხელშეკრულებისადმი შეუსაბამოდ ცნობილი აქტის კონსტიტუციურ შესაბამისობაში მოყვანას, არც თვით საკონსტიტუციო სასამართლოს და არც რომელიმე სხვა ორგანოს არა აქვს უფლება აღასრულოს სლოვაკეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ამგვარი გადაწყვეტილება. ამის საშუალებას არ იძლევა ხელისუფლების დანაწილების პრინციპი. ყველაფერი ეს კი ხაზს უსვამს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების, როგორც თვითაღსრულებადი აქტის, ხასიათს.

სხვანაირადაა მოწყობილი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების მექანიზმი ავსტრიაში. კერძოდ, ამ საქმეს აქ ხელმძღვანელობს საერთო სასამართლოები და პრეზიდენტი, რაც გამოიხატება შემდეგში: ზოგიერთი სახის პროცესში, როგორც ვიცით, დამარცხებული მხარე შეიძლება დაექვემდებაროს სასამართლო ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნას მოგებული მხარის სასარგებლოდ. ამასთან დაკავშირებით უფლებამოსილი მხარე განცხადებით მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მიმართვას უგზავნის პრეზიდენტს. ეს უკანასკნელი კი გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის უზრუნველყოფას დად-

¹ ვინენ გუბლერი, საკონსტიტუციო სასამართლოს და თანამარტინ იურისდიქციის მქონე ორგანოების გადაწყვეტილებათა აღსრულება, უურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1997, №4, გვ. 26.

გენილებით აკისრებს საერთო სასამართლოებს. აღნიშნული მექანიზმი წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა განხორციელების მაღალი ეფექტურობის უზრუნველყოფის ძალზედ მოქნილ და მოხერხებულ საშუალებას.

აღნიშნულ საკითხთან მჭიდროდაა დაკავშირებული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის შედეგი, რაც შეიძლება გამოიხატოს აღნიშნული აქტის მთლიანდ ან ნაწილობრივ გაუქმებაში ან მის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანაში. აღნიშნული კი, როგორც ვიცით, შედის თვით იმ ორგანოს კომპეტენციაში, რომელმაც მიიღო ესა თუ ის აქტი. ამიტომ აქ ყოველგვარი იძულების მექანიზმის გამოყენება და მის კომპეტენციაში სხვა ორგანოს ჩარევა ეწინააღმდეგება თვით კონსტიტუციით განმტკიცებულ ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. სწორედ აქედან გამომდინარე ენიჭება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას თვითაღსრულებადი აქტის მნიშვნელობა.

რაც შეეხება იმის გარკვევას, თუ რა მომენტიდან უნდა ჩაითვალოს არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი ასეთად, როგორც აღვნიშნეთ, არსებობს ორი ვარიანტი – განსახილველი აქტის ძალაში შესვლა და თვით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლა. ჩემი აზრით, უფრო მისაღებია არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი ასეთად ჩაითვალოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტიდან შეძლევი მოსაზრების გამო: როგორც ვიცით, ნებისმიერი ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის საფუძველია საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი სარჩელი, რასაც, თავის მხრივ, საფუძლად უდევს აღნიშნული აქტის მიერ ამა თუ იმ უფლების დარღვევა. ამ ფაქტის აღმოჩენამდე მოცემულმა აქტმა შეიძლება იმოქმედოს დიდი ხნის განმავლობაში, რაც წარმოშობს მრავალფეროვან სამართლებრივ ურთიერთობებს, რომელთა შედეგების აღმოფხვრა შეიძლება დიდ სირთულეებთან იყოს დაკავშირებული, ხოლო ხშირად

შეუძლებელია კიდევ. სწორედ ამიტომ არაა მიზანშეწონილი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისათვის უკუძალის მინიჭება და ამიტომ უნდა ჩაითვალოს განხილული აქტი არაკონსტიტუციურად სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტიდან.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების თვალსაზრისით საინტერესოა პასუხისმგებლობის საკითხი, რომელიც დგება გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების და შესრულებისათვის ხელის შეშლის შემთხვევაში. ქვეყნის უმრავლესობა ზუსტად განსაზღვრავს სამართლის სუბიექტების პასუხისმგებლობის ზომებს. უმეტეს შემთხვევაში დაწესებულია სისხლისსამართლებრივი და პოლიტიკური პასუხისმგებლობა (უკრაინა, აზერბაიჯანი).

საერთოდ, ჩემი აზრით, პასუხისმგებლობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სუბიექტთა სტატუსი. ესენი არიან ხელისუფლების უზენაესი ორგანოები, სახელმწიფოს მეთაური, მთავრობა და სხვა. ამიტომ მათ-თვის პასუხისმგებლობის ყველაზე ოპტიმალურ სახედ პოლიტიკური პასუხისმგებლობა მიმაჩნია.

კონსტიტუციურ საკითხებზე სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრისადმი თავისებური მიღვიმა აქვს აშშ-ს. აქ სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების აუცილებლობა გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ სასამართლოს აქტი არის ბევრად უფრო კანონიერი, ვიდრე ნებისმიერი სხვა პროცედურული სანქცია. კონსტიტუციურ გადაწყვეტილებათა აღსრულება ყველაზე მეტად დამოკიდებულია ქვეყნის საკანონმდებლო ტრადიციებსა და პოლიტიკურ განვითარებაზე. სასამართლოებს მხედველობაში უნდა ჰქონდეთ მათი ქმედების პოლიტიკური შედეგები და გააკონტროლონ ისინი, რათა თავიდან აიცილონ ნეგატიური პოლიტიკური შედეგები. გადაწყვეტილებათა აღსრულებაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმულების გამოყენებას (სამოქალაქო და სისხლის სამართლის სანქციები): ჯარიმებს,

მომსახურე პირების გადაყენებას, რესურსების კონფისკაციას, დაწესებულებათა დახურვას.

აშშ-ის უზენაესი სასამართლოს ძალაუფლება უმთავრესად პოლიტიკური ფაქტორებითაა განპირობებული. იგი არის უბადლო მაგალითი იმისა, თუ როგორ მოქმედებს სასამართლო, როგორც პოლიტიკური სუბიექტი, რომელსაც გააჩნია შეზღუდული უფლებამოსილების იმულების მხრივ, მაგრამ – დიდი ძალაუფლება დარწმუნების მხრივ. ამ თვალსაზრისით აშშ-ის უზენაესი სასამართლო წარმატებით იცავს თავის პრესტიჯს, ლეგიტიმურობას და პოლიტიკურ ძალაუფლებას, რითაც აიხსნება კონსტიტუციური მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილებების განუხრელი და ყოველმხრივი აღსრულება.²

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების სირთულე განსაკუთრებით დამახასიათებელია იმ ქვეყნებისათვის, რომელთაც დიდი ხანი არაა, რაც თავი დააღწიეს ტოტალიტარული სოციალიზმის რეჟიმს და გეზი აიღეს დემოკრატიის მშენებლობისაკენ. აღნიშნულ ქვეყ-

ანათა რიცხვს მიეკუთვნება საქართველოც, სადაც აღნიშნული პრობლემა მანამ იქნება მწვავე, სანამ არ ამაღლდება სამართლისა და კონსტიტუციის, როგორც ქვეყნის უზენაესი კანონის, პრესტიჯი; სანამ თანამიმდევრულად არ დაიცავნ ხელისუფლების დაყოფის და, პირველ რიგში, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების უზენაესობის პრინციპებს.

დასკვნის სახით მინდა განვაცხადო, რომ მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი სირთულეებისა, აუცილებელია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილები აღსრულდეს ნებაყოფლობით, ყოველგვარი იძულების მქანიზმის გარეშე; ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში დადგება შესაბამისი სუბიექტების პასუხისმგებლობის საკითხი. ამისთვის კი საჭიროა სასამართლოს მაღალი ავტორიტეტი, ნათლად მოტივირებული გადაწყვეტილებები და, რაც მთავარია, სახელმწიფოში დემოკრატიის, სამართლებრივი შეგნებისა და სამართლებრივი კულტურის მაღალი დონის დამკვიდრება.

ნათია კინეურამვილი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული
ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი.

² ლორენს ლესიგი, კონსტიტუციურ საკითხებზე სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება, უურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია”, 1997, №4, გვ. 65.

დიმიტრი ბარამია

ვ ე დ ე რ ა ჭ ი ფ ი ზ ე ბ ი

ვედერალიზმი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „კავშირს“, „გაერთიანებას. რომაელი პოეტი პუბლიუს ოვიდიუს ნაზო, მაგალითად, ლაპარაკობს „*foedus sociale*“-ზე, რომელშიც ის საზოგადოებას, უწინარეს ყოვლისა. საზოგადოებრივ სტრუქტურას გულისხმობს.

რომის იმპერიაში როგორც „*foederati*“ იწოდებოდნენ კავშირის დამყარების მქონე ტომები. ეს უკანასკნელნი ერთგვარ ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ პეგემონთან, რომის იმპერიასთან.

სხვა, ტრადიციული პოლიტიკურ-იურიდიული კატეგორიებისაგან განსხვავებით, ფედერალიზმი არც ბერძნული და არც რომაული წარმოშობისაა. თავისი ჭეშმარიტი მნიშვნელობით იგი მხოლოდ შუა საუკუნეებში გვხვდება. ამ დროისათვის ცნებები „*foedus*“ და „*confederatio*“ გამოიყენებოდა კავშირის მნიშვნელობით, ძირითადად, ხელშეკრულებებში. საყოველთაოდ ცნობილი სიტყვა „*confederatio*“ პირველად გვხვდება კაიზერ ფრიდრიხ II-სთან, 1220 წელს. ამასთანავე, იგი აღნიშნავდა შეთანხმებას ორ თანასწორუფლებიან სუბიექტს შორის.

ფედერალიზმი პირველად ინგლისური ფორმით – **federalism** – ჩამოყალიბდა 1645 წელს, ინგლისში მიმდინარე სამოქალაქო ომის დროს და თავისი დღევანდელი მნიშვნელობა მიიღო 1777 წელს, ამერიკული რევოლუციის პერიოდში.

ფედერაციები წარმოიქმნება ან დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის დადგებული ხელშეკრულებებით, რომლებიც აღიარებენ სახელმწიფოებრივი გაერთიანებების აუცილებლობას საერთო ინტერესების განსახორციელებლად და ფედერაციის სუბიექტებად გარდაიქმნებიან, ან სახელმწიფოს

მიერ ტერიტორიების მიერთების შედეგად, მათი განსაზღვრული განცალკევების შენარჩუნების, ან კიდევ ტერიტორიული ერთეულების მიერ ავტონომიის ხარისხის გაზრდისა და მათ მიერ სახელმწიფოსაგვარი თვისებების მოპოვების გამო.

აქედან გამომდინარე და ამასთან დაკავშირებით განასხვავებენ ხელშეკრულებით და კონსტიტუციურ ფედერაციებს. მაგ., აშშ წარმოიქმნა 13 შტატს შორის დადგებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელთაც ბრიტანეთის კოლონიურ მმართველობას ბოლო მოუდეს. ამის შემდეგ, იერთებდნენ რა ამა თუ იმ სახით ახალ-ახალ ტერიტორიებს, მათაც შტატების სტატუსს ანიჭებდნენ (ასე შეიქმნა მაგ., ლუიზიანა და ტეხასი), ასევე შტატებად გარდაქმნიდნენ ზოგიერთ ტერიტორიებს (მაგ., ჰავაის კუნძულები). გერმანიის ზოგიერთი მიწა ყოფილი მონარქიებია (მაგ., საქსონია და ბავარია) პრუსიის მიერ დაპყრობილები. როგორც ამ პროცესის ხელმძღვანელმა ოტო ფონ ბისმარკმა წარმოთქვა, „რკინითა და სისხლით“ მოხდა გერმანიის გაერთიანება. მიწებად გადაიქცნებ ყოფილი ჰანზის ქალაქები – ბრემენი და ჰამბურგი. რიგი დღევანდელი მიწებისა წარმოიქმნა ყოფილი პრუსიის პროვინციების ბაზაზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (მაგ., ბრანდერბურგი და ჰერცოგიანია).

ფედერაციულ სახელმწიფოებს ზოგჯერ საგავშიროებსაც კი უწოდებენ, რაც, თავის მხრივ, აისახება მათ ოფიციალურ დასახელებაში. მაგ., იუგოსლავის საკავშირო რეპუბლიკა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა – **Bundesrepublik Deutschland** – პირდაპირ თარგმანში ნიშნავს გერმანიის საკავშირო რესპუბლიკას, ხოლო მისი ფედერაციული ორგანოების დასახ-

ელექტაც სიტყვასიტყვით უნდა გადავთარგმნოთ როგორც საკავშირო: საკავშირო პრეზიდენტი – Bundespräsident, საკავშირო კანცლერი – Bundeskanzler და ასე შემდეგ.

უმეტეს შემთხვევაში ფედერაციებს მართვის რესპუბლიკური ფორმა გააჩნიათ, მაგრამ არის გამონაკლისებიც, მაგალითად, არაპეთის გაერთიანებული ემირატები. როგორც დასახელებიდან ჩანს, ეს არის მონარქიების ფედერაცია და ერთერთი მონარქი – ემირი ირჩევა ქვეყნის თავისებურ პრეზიდენტად. ნაწილობრივ, ანალოგიური მდგომარეობაა მაღარაში, სადაც ფედერაციის სუბიექტების ნაწილს რესპუბლიკური მართვის ფორმა აქვს, მაგრამ უმაღლეს მართველად ირჩევა ერთ-ერთი მონარქი – სულთანი, რომელიც სათავეში უდგას ფედერაციის სხვა სუბიექტებს. მონარქიული არიან ისეთი ფედერაციები, როგორიცაა ბელგია, კანადა, ავსტრალია, მაგრამ ფედერაციის სუბიექტები ამ ქვეყნებში რესპუბლიკური პრინციპით არიან ორგანიზებულნი.

ფედერაციული ტერიტორიული მოწყობის დემოკრატიულობა გამოიხატება იმაში, რომ იგი ვარაუდობს ხელისუფლების დეცენტრალიზებას, მის პოლიცენტრიზმს და დიქტატურისაგან დაცულია (მართალია, ეს ყველაფერი ერთი პირობით, თუ ფედერაცია რეალურია და არა ფიქტიური, როგორც საბჭოთა ფედერაცია) და რომ ფედერაციის სუბიექტები ორგანიზებულნი არიან დემოკრატიულად. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოიქმნება დეცენტრალიზებული ბიუროკრატიული დიქტატურა, რომელიც ადამიანზე კიდევ უფრო უარყოფითად მოქმედებს, ვიდრე ცნობილი ზებული. არსებობს მრავალი თეორიული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ფედერალიზმი უფრო მიზანშეწონილი მართვის სისტემაა. მაგალითად, დუალისტური ფედერალიზმის კონცეფცია, რომელიც განვითარდა მისი შექმნის ადრეულ ეტაპზე და რომელმაც თავისი ცნობილი ასახვა პოვა აშშ-ის 1787 წლის კონსტიტუციაში, წარმოადგენდა ფედერაციის და მისი სუბიექტების თანასწორუფლებიანობას, სადაც თითოეულ მათგანს აქვს თავისი კომპეტენცია და არ ერევიან ერთმანეთის საქმეში. ეს, რა თქმა უნდა, იდეალური წარმოდგენა გახლავთ. რეალურ ცხოვრებაში მდგომარეობა სულ სხვაგვარი იყო და მკვეთრად განსხვავდებოდა ზემოთ აღნიშნულის-

აგან. უფრო გვიან შემუშავდა კონცეფცია კონკრეტული ფედერალიზმისა, რომელიც ცენტრისა და ფედერაციის სუბიექტების იდეების ურთიერთდამატებას, მათ ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობას ეყრდნობოდა. აღნიშნულ იდეაზე არის დამყარებული მრავალი თანამედროვე ფედერალური კონსტიტუცია, კერძოდ, გერმანის ძირითადი კანონი.

ამავე დროს, ფედერაცია არის ერთიანი, მთლიანი სუვერენული სახელმწიფო საერთო კონსტიტუციით, ფედერალური სახელმწიფო ორგანოებისა და დაწესებულებების ერთიანი სისტემით, საერთო ტერიტორიით, საერთო მოქალაქეობით. უმეტესი ფედერალური სახელმწიფოების კონსტიტუციები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ ქვეყნის ერთიანობას.

პრაქტიკულად არც ერთი დღეის მდგომარეობით მოქმედი კონსტიტუცია არ ითვალისწინებს ფედერაციის სუბიექტებისათვის სეცესის უფლებას, ანუ ფედერაციიდან გამოსვლის უფლებას. გასულ საუკუნეში შვეიცარია (1847 წელი) თავისი ტერიტორიული მოწყობით კონფედერაციული იყო, მაგრამ სეცესიის მცდელობა ე.წ. ზონდერბერგისა, რომელიც რიგ კანტონებს აერთიანებდა (განსაკუთრებული კავშირი), ძალისმიერი მეთოდით აღმოიფხვრა. იგივე ბედი გაიზარდა 1861-1865 წლის სამოქალაქო ომის პერიოდში აშშ-ს სამხრეთ კონფედერაციის შტატებმა. შედარებით ახლო წარსულში, 60-იანი წლების ბოლოს, სამხედრო ძალით ჩაეხშო სეცესიის მცდელობა ე.წ. ბიაფრებისა ნიგერიაში. ანალოგიური მცდელობები ეხშობა ინდოეთის ზოგიერთ შტატშიც. მაგრამ ცნობილია წარმატებული სეცესიებიც, რომლებიც განხორციელდა როგორც მშვიდობიანი, ასევე სამხედრო ხერხებით. სავსებით მშვიდობიანად, ორივე მხარის კმაყოფილებით, 1965 წელს სინგაპური გამოეყო მაღაიზიას. აჯანყების შედეგად, ინდოეთის დახმარებით, 1971 წელს პაკისტანს გამოეყო აღმოსავლეთ პაკისტანი, რომელმაც შექმნა დამოუკიდებელი სახელმწიფო ბანგლადეში. სამხედრო კონფლიქტებით გამოირჩეოდა და დღესაც ანალოგიურად გრძელდება სოციალისტურ-ფედერაციული იუგოსლავის გაყოფა. მშვიდობიანად დაიშალა ყოფილი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც თავი-

სი არსებობის ბოლო პერიოდში ჩეხოსლოვაკეთის ფედერაციულ რესპუბლიკად იწოდებოდა.

აღსანიშნავია ერთიანობის გარანტიები, რომელსაც აშშ-ს კონსტიტუცია ითვალისწინებს. მე-10 თავის თანახმად (მუხლი I) არც ერთ შტატს არა აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა მოლაპარაკებებში, კავშირებში და კონფედერაციებში, გამოუშვას ფული ან საკრედიტო ბილეთები, მიიღოს კანონი პირის კანონგარეშე გამოცხადების შესახებ, ანუ არასამართლებრივი წესით გაუსწორდნენ პიროვნებას, აგრეთვე არა აქვს უფლება მიიღოს კანონი, რომელსაც უკუქცევის ძალა არა აქვს და არღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, არა აქვთ უფლება თავადაზნაურის ტიტულის მინიჭებისა, კონგრესის თანხმობის გარეშე გაატარონ საგადასახადო პოლიტიკა ექსპორტისა და იმპორტის საკითხებში, მშვიდობიან პერიოდში იქმნიონ საჯარისო ფორმირებები და სამხედრო ფლოტი, ხელშეკრულება დადონ სხვა შტატთან ან სხვა ქვეყანასთან, ომში ჩაებან, თუ თავდასხმას ან მცდელობას არ ჰქონია ადგილი უშუალოდ. თითოეულ შტატში, პირველი თავის მე-4 მუხლის თანახმად, სხვა შტატის მიერ მიღებულ ოფიციალურ დოკუმენტს, მათ შორის სასამართლოს, ღებულობენ ნდობით, ხოლო მე-2 თავის თანახმად, თითოეული შტატის მოქალაქე სარგებლობს ყველა პრივილეგითა და იმუნიტეტით სხვა შტატებში. პირი, რომელმაც მძიმე დანაშაული ჩაიდინა ერთ შტატში და იმაღლება მეორე შტატში, დაუყოვნებლივ უნდა გაიცეს თითოეული შტატის კონსტიტუციის თანახმად (მე-4 თავი), გარანტირებული აქვს რესპუბლიკური მმართველობის ფორმა და დაცულია სხვა ქვეყნის თავდასხმისაგან. საკანონმდებლო ყრილობის ან აღმასრულებელი ხელისუფლების თხოვნით, თუ საკანონმდებლო ყრილობას შეკრების საშუალება არა აქვს, გარანტირებულია აღილობრივი ძალებისაგან დაცვა. მე-6 თავის მე-2 ნაწილის თანახმად: ნამდვილი კონსტიტუცია და შეერთებული შტატების კანონები, რომლებიც კონსტიტუციის შესაბამისად უნდა იქნენ მიღებული, ყველა ხელშეკრულება, რომელიც დადებულია, ან კიდევ შემდგომში უნდა დაიდოს, შეერთებული შტატების კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფოს უმაღლესი კანონია და თი-

თოეული შტატის მოსამართლეები უნდა ითვალისწინებონ ამ გარემოებას, რათა საწინააღმდეგო არ იქნეს „ჩადებული“ კონსტიტუციაში ან ნებისმიერი შტატის კანონში.

პირველი თავის ცვლილებებში (მე-14 ცვლილება) დადგენილია, რომ ყველა პირი დაბადებული ან ნატურალიზებული აშშ-ში და მის იურისდიქციის ქვემდებარე აშშ-ს და იმ შტატის მოქალაქეები არიან, სადაც ცხოვრობენ; შტატს არა აქვს უფლება აშშ-ს მოქალაქეების პრივილეგიები და იმუნიტეტები შეზღუდოს და აღკვეთოს ცხოვრების სახე, თავისუფლება ან საკუთრება შესაბამისი იურიდიული პროცედურის გარეშე, ან უარი ეთქვას პირს კანონის დაცვაზე. როგორც ხედავთ, ამერიკის კონსტიტუციაში საკამაოდ დიდი ყურადღება გამახვილა ფედერაციის ერთიანობაზე.

ალბათ, ზინდერბურგის მიერ სეცესიის მცდელობის გამო, შვეიცარიის 1874 წლის ფედერალურ კონსტიტუციაში შეტანილ იქნა მე-7 მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმადაც კანტონებს კვრძალებათ ურთიერთშორის რაიმე ხელშეკრულების დადება, სეპარატისტული კავშირების სახით და პოლიტიკური ხასიათის ხელშეკრულებების დადება.

ფედერალური მოწყობა, უმეტეს შემთხვევაში, ეყრდნობა სუფთა ტერიტორიულ პრინციპს (აშშ, ბრაზილია, მექსიკა, ავსტრალია, გერმანია, ავსტრია და ა.შ.), მაგრამ ზოგიერთ შემთხვევებში ყველა ფედერაციის სუბიექტი ან ნაწილი ორგანიზებულია მოსახლეობის ნაციონალური (ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი) შემადგენლობის მიხედვით; კანადაში 9 პროვინცია ინგლისურნოვანია, ხოლო ერთი (კვებეკი) – ფრანგულენოვანი, ბელგიაში ფედერაციის ერთ-ერთი სუბიექტი ფრანგულენოვანია, მეორე – ნიდერლანდურნოვანი, მესამე – შერეული (ამასთან ერთად, ბელგიის კონსტიტუცია, 1880 წლის დამატებით, მიიჩნევს სამი გაერთიანების არსებობას – ფრანგული, ფლამანდიური და გერმანულენოვანი, რომელთაც საბჭოები გააჩნიათ და უზრუნველყოფებ ამ გაერთიანების კულტურულ-ნაციონალური ავტონომიების არსებობას). 1956 წელს, ინდოეთის შტატების სისტემაში რეფორმირება განიცადა ე.წ. ლინგვისტური პრინციპით, მაგრამ ამ დებულებამ ყველგან როდი მიიყვანა პრინციპამდე „ერთი ენა – ერთი შტატი“. შვეიცარია-

ში, სადაც მოსახლეობა ოთხ ენაზე საუბრობს, ფედერაციის სუბიექტი 23 კანტონია, მაგრამ, როგორც წესი, თითოეული კანტონი ნაციონალურ-ენობრივი კუთხით ერთჯეროვანია. დღევანდელ იუგოსლავიაში, სადაც ორივე წევრი-რესპუბლიკის მოსახლეობა, სერბები და ჩერნოვორიელები არიან, არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არც ენით და არც რელიგიით, მაგრამ ჩერნოვორიელები ოდითგანვე მიიჩნევდნენ თავს ეთნიკურ ჯგუფებად და სერბებისაგან განსხვავებით, სახელმწიფოებრიობაც დიდი ხანია განსაკუთრებული აქვთ. ამავე დროს ნიგერიაში ფედერაციის ფორმირების დროს, ყურადღება ექცევა იმ გარემოებას, რომ შტატების საზღვრები არ ემთხვეოდეს თემების განსახლების არეალებს. ეს იმიტომ არის საჭირო, რომ ხელი შეეშალოს ტრაიბალიზმის განვითარებას და საფუძველი ჩაეყაროს ერის ფორმირებას.

თავის დროზე ჩვენთან არსებობდა მარქსისტული ფედერაციის კონცეფცია, რომლის მიხედვითაც, ფედერაცია ნაციონალური საკითხების მოგვარების საშუალება იყო, ანუ მის სუბიექტებად უნდა ყოფილიყვნენ ნაციონალ-სახელმწიფოებრივი ერთეულები, რომლებიც, და მთელი ფედერაცია მთლიანობაში, ერთა თვითგამორკვევის უფლებას ითვალისწინებდა. აღნიშნულ იდეოლოგიურ საფუძველზე (რა თქმა უნდა, პრაქტიკაში დიდი გადახრებით) შეიქმნა „სოციალისტური ფედერაციები“ – საბჭოთა კავშირი, რომელშიც რუსეთის ფედერაციაც შედიოდა, იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია. ყველა ისინი, როგორც ცნობილია, სოციალიზმის „დაცემის“ შემდეგ დაიყვნენ, გარდა რუსეთისა, რომელიც სინამდვილეში არც კი ყოფილა ფედერაცია და ასეთად თანდათან ხდება, 1992 წლიდან. სხვა ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ე.წ. ნაციონალური სახელმწიფოებრიობა ფედერირების არასაიმედო ფაქტორია. ეთნოკრატიის (ეთნიკური ზედაფენის, კლანის) განვითარება ფედერაციის სუბიექტებს უფრო ხელს უშლის, ვიღრე ამაგრებს სახელმწიფოების ერთობლიობას ფედერაციულ კავშირში. მნელია არ დაეთანხმო აკადემიკოს ა. ნ. იაკოვლევს, როგორც იგი ამბობს, რომ ნებისმიერი ერის ადამიანის უფლებათა დაცვის შესანარჩუნებლად, ენის, კულტურის, ტრადიციების, რელიგიის, რწმენის განვითარებ-

ისათვის სრულიად არ არის საჭირო დამოუკიდებელ სახელმწიფოში ცხოვრობდე. პირიქით, როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, ანალოგიური მოთხოვნილების განხორციელება ძნელდება, ან სულაც შეუძლებელს ხდის ადამიანის უფლებების დაცვის რეალურ უზრუნველყოფას. ხელახლა შექმნილი ნაციონალური სახელმწიფოები, რომელთათვისაც ისტორიულად მრავალენობრიობა არის დამახასიათებელი, უფრო დესტაბილიზაციური პრივილეგიაა.

ფედერაციის სუბიექტების რაოდენობა სხვადასხვა შეიძლება იყოს. დღევანდელ იუგოსლავიაში და კომორის კუნძულებზე ორია, ბელგიაში – სამი, ავსტრალიაში – ექვსი, არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში – შვიდი, ავსტრიაში – ცხრა, კანადაში – ათი, გერმანიაში – თექვსმეტი, შვეცარიაში – ოცდასამი, ინდოეთში – ოცდახუთი, აშშ – ორმოცდათი. როგორც ვხედავთ, ფედერაციის სუბიექტების რაოდენობა ქვეყნის ტერიტორიაზე არ არის დამოკიდებული. ერთი და იგივე ფედერაციაში მისი სუბიექტების პარამეტრები, ძირითადად, ფედერაციის სიდიდე და მოსახლეობის რაოდენობა ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგალითად, აშშ-ში აღიასკის შტატის ტერიტორია (570 833 კვ/მილი), რამდენიმე ასეულჯერ აღემატება როდალლენდის შტატის ტერიტორიას (1055 კვ/მილი), კალიფორნიის მოსახლეობა (23 668 ათასი ადამიანი) 60-ჯერ აღემატება აღიასკის მოსახლეობას (402 000 ადამიანი). ასეთი განსხვავების მიუხდავად, მათი სტატუსი ერთნაირია, ანუ აშშ-თან მიმართებაში ფედერაცია სიმეტრიულია.

ზოგიერთ სახელმწიფოში ტერიტორიული მოწყობის ასიმეტრიულობა ვრცელდება ფედერაციის სუბიექტებზე, მაგ., ინდოეთში მხოლოდ ერთი შტატი – ჯამე და ქაშმირი ფლობს კონსტიტუციას და თავის მოქალაქეობას, კიდევ რამდენიმე შტატს გააჩნია თავისებურებანი, რაც სხვა შტატებს არა აქვთ (სიკიმა, მეგზალაი, ნაგალენდა და სხვა).

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ფედერაციის სუბიექტების დასახლება სხვადასხვაგვარია: შტატები – აშშ, მექსიკაში, ვენესუელაში, ბრაზილიაში, ავსტრალიაში, ინდოეთში, ნიგერიაში; კანტონები – შვეიცარიაში; პროვინციები – კანადაში, არგენტინაში, პაკისტანში; მიწები – გერმანია-

ში, ავსტრიაში; ოლქები – ბელგიაში; რესპუბლიკა-წევრები – იუგოსლავიაში და ა.შ. მაგრამ ყველანა, საზღვარგარეთულ ფედერაციებში, მათი სუბიექტები, ერთი და იგივე ქვეყნის ფარგლებში, ერთნაირად იწოდება.

მრავალი კონსტიტუცია წყვეტს საკითხს ფედერაციის შესაძლებელი შეცვლის შესახებ, ახალი სუბიექტების მიღებასთან ძველის გარდაქმნით. მაგ., აშშ-ის კონსტიტუციის პირველი თავის მე-3 ნაწილის მე-4 მუხლის შესაბამისად, ახალი შტატები შეიძლება შექმნას კონგრესის მიერ, მაგრამ არც ერთი შტატის შექმნა არ შეიძლება ორი ან მეტი შტატის ან მათი ნაწილების შეერთების გზით, ამ შტატების საკანონმდებლო ორგანოს თანხმობის და ამავე დროს, კონგრესის თანხმობის გარეშე.

ბრაზილიის კონსტიტუციის მე-2 პარაგრაფის მე-18 ნაწილის თანახმად, საკითხი ფედერალური ტერიტორიის შტატად გადაქცევის ან იმ შტატში დაბრუნების შესახებ, რომელსაც იგი ადრე გამოიყო, რეგულირდება დამატებითი კანონით (გავიხსენოთ, რომ ბრაზილიის დამატებითი კანონი ფრანგული ორგანულის ან იტალიური კონსტიტუციურის ტოლფასია და ა.შ.), ხოლო მე-3 პარაგრაფის თანახმად, შტატები შეიძლება გაერთიანდნენ, გაიყონ, შეირწყენ სხვა შტატში შესვლის მიზნით, ან კიდევ ახალი შტატები წარმოიქმნან, მაგრამ ამას ყველაფერს თანხმობა ესაჭიროება უშუალოდ მოსახლეობისა, რომელიც თავის აზრს პლებისციტის საშუალებით გამოხატავენ, და აგრეთვე ნაციონალური კონგრესის კანონის მიღების სახით.

გერმანიის ძირითადმა კანონმა 29-ე მუხლში გაითვალისწინა ფედერალური ტერიტორიის გადაფორმების შესაძლებლობა ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს მიწების ზომები და საწარმოო შესაძლებლობანი, თავიანთი ფუნქციების უფერტიანად შესასრულებლად. ამასთან, გათვალისწინებულ უნდა იყოს ისტორიული და კულტურული ურთიერთობანი, საწარმოო მიზნობრიობა, აგრეთვე რეგიონალური ტერიტორიული მოწყობა (Roumordnung) და ტერიტორიული

დაგეგმვა (Landesplanung). გადაწყვეტილება ფორმდება ფედერალური კანონის შესაბამისი მოსმენის შემდეგ მიღებით, რომელსაც რეფერენდუმი ამტკიცებს, ეს უკანასკნელი ხორციელდება შესაბამის მიწებზე და ფორმულა უნდა შეიცვდეს შემდეგ საკითხს: საჭიროა მიწები დარჩეს ისეთი, როგორც იყო, თუ მოითხოვს ახალი მიწების შექმნას ახალ სახელმწიფოში? მეორე საკითხზე პასუხი გაცემულად ჩაითვლება, თუ ხმა მისცა მოსახლეობის უმეტესობამ, რომელთაც ეხება კანონის შეცვლა. თუ საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა მოსახლეობის უმეტესობამ, მაშინ გადაწყვეტილება არ მიიღება, მაგრამ კანონი მაინც მიიღება, თუ ეს უმეტესობა 2/3-ზე ნაკლებია, ხოლო ტერიტორიებზე, რომელთა კუთვნილება იცვლება, ხმა მიეცემა ცვლილებას ამომრჩეველთა 2/3-ით. ამ მუხლითვე რეგულირდება ერთი მიწის ფარგლებში ტერიტორიების გაერთიანება, რომელიც განსაზღვრული ერთიანობით გამოირჩევა, მაგრამ მიწების განსაზღვრებით არის განცალკევებული. ამ შემთხვევაში მიიღება ისეთი ინსტიტუტის, როგორიცაა სახალხო ინიციატივა, სახალხო გამოკითხვა და სახალხო კენჭისყრა (რეფერენდუმი).

1894 წლიდან ძირითადმა კანონმა უფლება მისცა მიწებს მათი ტერიტორიების კუთვნილების შეცვლისა სახელმწიფო ხელშეკრულების მეშვეობით, შესაბამისი თემებისა და მაზრების აზრის გათვალისწინებით. ხელშეკრულებები უნდა დამტკიცდეს შესაბამის ტერიტორიებზე ჩატარებული რეფერენდუმით და ბუნდესტაგის თანხმობით.

1992 წლის იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკის კონსტიტუციამ მე-2 მუხლში დაადგინა, რომ ფედერალური შედეგები მიუთითა აგრეთვე სხვა რესპუბლიკა-წევრისაგან და მიუთითა აგრეთვე სხვა რესპუბლიკა-წევრების შესვლის შესაძლებლობაზეც. მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საზღვარი მათ შორის შეიძლება შეიცვალოს რესპუბლიკა-წევრებს შორის მოლაპარაკებით, ასე რომ, სხვა რაიმე ტერიტორიული ცვლილება, ან წარმოშობა, რომელიც რესპუბლიკა-წევრების საზღვრებს ეხება, საერთოდ არ არის შესაძლებელი.





საქართველოს სამართლი

დავით ბამუქაშვილი, სანდრო ჯორბეგიაძე

ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ნორმების სრულყოფისათვის სისხლის სამართლის ახალ პოდემსში

1 999 წელს საქართველო განდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) წევრი¹. აქედან გამომდინარე საქართველომ იკისრა საერთაშორისო ზელშეკრულებით ვათვალისწინებული ყველა ის მოვალეობა, რაც ინტელექტუალურ საკუთრებაზე ვაჭრობას ეხება, კონტრაფიციული საქონლით ვაჭრობის ჩათვლით. აღნიშნული ზელშეკრულების მე-3 თავი საგანგებოდაა მიძღვნილი ინტელექტუალური საკუთრებიდან ვამომდინარე უფლებათა უზრუნველყოფისადმი, რომლის ძალითაც ვმო-ს მონაწილე ქვეყნებს ევალებათ, ეროვნული კანონმდებლობით დააწესონ სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

საქართველოს კანონმდებლობა მეტ-ნაკლებად ამ მოთხოვნებს პასუხობს, კერძოდ, შესაბამისი ზომის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს ახლად მიღებული სპეციალური კანონები, სამოქალაქო, ზოგადადმინისტრაციული და სისხლის სამართლის კოდექსები.

პასუხისმგებლობის დადგენის პონდლემა ინტელექტუალურ საკუთრებაზე, უფლებათა დარღვევის შემთხვევაში, დაკავშირებულია ობიექტურ და სუბიექტურ თავისებურებებთან, აგრეთვე ქვეყანაში მიღებულ იურიდიულ ტრადიციებთან.

¹ ქართულ პრესაში, ტელევიზიაში, ლიტერატურაში და ნორმატიულ აქტებში გავრცელებული ამ ორგანიზაციის განსაზღვრება – „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია“ არაკონექტულად გვჩენება, რადგან დაწესებულება თუ უწყება არ შეიძლება იყოს „სავაჭრო“. სწორედ ამიტომ ჰქვია საქართველოს ერთ-ერთ უწყებას ვაჭრობის და არა სავაჭრო სამინისტრო.

როგორც ცნობილია, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი ვრცელდება საავტორო და მომიჯნავე უფლებებზე, სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე და სხვა ისეთ ობიექტებზე, რომლებიც პირდაპირ არ ეკუთვნის არც საავტორო და არც სამრეწველო საკუთრებას. მაგალითად, სასელექციო მიღწევა, ნოუ-ჰოუ, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა და სხვა.

საავტორო და მომიჯნავე უფლებები

სპეციალისტები აღნიშნავნ, რომ საავტორო და მომიჯნავე უფლებები თავისი ბუნებით სუბიექტურ სამოქალაქო უფლებებს წარმოადგენს². ამიტომ უფლებათა დაცვა შეიძლება განხორციელდეს უფლებათა აღიარების, უფლებათა დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენის, ზიანის ანაზღაურების ან კომპენსაციის მოთხოვნის გზით³, ანუ სამოქალაქო სამართლებრივი საქეციების განხორციელების გზით. გარდა აღნიშნულისა, იმ პირებმა, რომელთა უფლებებიც დაირღვა, შეიძლება მოითხოვონ სამართალურითიერთობის შეწყვეტა ან შეცვლა, მორალური ზიანის ანაზღაურება და სხვა. თუ გამოვლინდა, რომ უფლებათა დარღვევა ხორციელდება კონტრაფაქციის გზით, მაშინ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს კონტრაფაქციული ეგზემპლარების, აგრეთვე მათი რეპროდუცირებისათვის საჭირო მასალებისა და ტექნიკური

² А. П. Сергеев, Право интеллектуальной собственности в РФ, М., „Теис“, 1996, с. 335.

³ საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, 59-ე მუხლი.

საშუალებების ჩამორთმევა. სასამართლომ შეიძლება გამოიტანოს გადაწყვეტილება მათი განადგურების შესახებაც⁴. ეს სანქციები ადმინისტრაციულ-სამართლებრივია.

საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონი ადგენს, რომ უფლებათა დარღვევას შეიძლება მოჰყევს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (58-ე მუხლი), რაც გაითვალისწინა ჯერ კიდევ ძალაში არ შესულმა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლმა. ამ და სხვა მუხლების ანალიზს ქვემოთ გთავაზობთ.

სამრეწველო საკუთრება

სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს საპატენტო, სასაქონლო ნიშნების, საქონლის ადგილწარმოშობისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ კანონები. სამრეწველო საკუთრებაზე უფლებები, ისევე, როგორც ინტელექტუალური საკუთრების სხვა ობიექტებზე, სუბიექტურ ხასიათს ავლენს და ამდენად პასუხისმგებლობა მათი დარღვევისათვის, ისეთივე შეიძლება დადგეს, როგორც ზემოთ იყო აღწერილი საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევისათვის.

საქართველოს საპატენტო კანონი მიუთითებს, რომ საპატენტო უფლებათა დარღვევისათვის შეიძლება გათვალისწინებული იქნეს პასუხისმგებლობა კანონმდებლობით დადგენილი წესით, მაგრამ კონკრეტულ სანქციებს არ ჩამოთვლის. პირმა, რომლის უფლებებიც დაირღვა, უნდა გამოიყენოს სამოქალაქო, ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის კოდექსებით გათვალისწინებული ნორმები. შესაბამისად მნელი იქნება მოთხოვნილი იქნეს გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის კონტრაფრიციული გზით დასამზადებელი ტექნიკური საშუალებების, მათ შორის სათადარივო ნაწილების ჩამორთმევა და განადგურება.

სასაქონლო ნიშანზე უფლებების დარღვევის შემთხვევაში დაცვის საშუალებებზე პირდაპირ არის მითითებული, რომ სასაქონლო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს სამოქალაქო-სამართლებრივი ზომების მიღების გარდა, მოითხოვოს

⁴ საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, მე-60 მუხლი.

სასაქონლო ნიშნის გამოსახულების, ეტიკეტის, ანაბეჭდის, შეფუთვის, შესაფუთი მასალისა და სარეკლამო განცხადების განადგურება, აგრეთვე ნიშნის დასამზადებელი კლიმშების, მატრიცების, ხოლო თუ საქონლისაგან განცალკევება ვერ ხერხდება, თვით საქონლის განადგურებაც კი⁵.

სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონი არ მიუთითებს.

უფლებათა დაცვის იგივე საშუალებებია გათვალისწინებული საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ საქართველოს კანონით.

სხვა ობიექტები

საქართველოში მოქმედებს სპეციალური კანონები ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიისა და სელექციური მიღწევების შესახებ. ეს ობიექტები სამრეწველო საკუთრების ან საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სამართლის არ მიეკუთვნება და ნოუ-პაუსთან, აგრეთვე არაკეთილისინდისიერ კონკურენციის აღკვეთასთან ერთად შეადგენს ინტელექტუალური საკუთრების განსხვავებულ ჯგუფს.

ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის დაცვას, მასზე უფლებების მოპოვებას, საკმაო მსგავსება აკავშირებს, როგორც საავტორო, ისე საპატენტო სამართლთან. შესაბამისად დაცვის საშუალებებიც ანალოგიური უნდა იყოს. ეს დასტურდება ამ ობიექტის დაცვის შესახებ საქართველოს კანონით, რომელიც ითვალისწინებს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ანალოგიურ ზომებს⁶. სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე არც ეს კანონი არ მიუთითებს.

საქართველოში, სელექციური მიღწევის დაცვას ორი კანონი აწესრიგებს. ესენია: საქართველოს კანონები სელექციური მიღწევების დაცვის შესახებ და სასოფლო-სამურნეო კულტურების ჯიშების გასავრცელებლად დაშვების, ხარისხის თესლისა და სარგავი მასალის შესახებ. ორივე კანონი მხოლოდ ჩამოთვლის დარღვევის

⁵ საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ, 45-ე მუხლი.

⁶ საქართველოს კანონი ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის შესახებ, მე-15 მუხლი.

სახეებს, მაგრამ პასუხისმგებლობის ზომებს პირდაპირ არ ითვალისწინებს და მხოლოდ მიუნაშებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სანქციებზე.

ნოუ-ჰაუ განიმარტება, როგორც საწარმოო-კომერციული საიდუმლოება⁷. მას შეიძლება მიეკუთვნოს ნებისმიერი სახის ტექნიკური, კო-მერციული, მათ შორის საბანკო საიდუმლოება. პასუხისმგებლობა ნოუ-ჰაუზე უფლებების დარღვევის შესახებ განსხვავდება ინტელექტუალური საკუთრების სხვა განხილულ ობიექტებისაგან. მისი მფლობელი ვერ მოითხოვს მორალური უფლებების დარღვევის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, რადგან იქამდე, სანამ ნოუ-ჰაუ არ გაიხსნება, მის მფლობელს მორალურ ზიანს ვერ მიაყენებენ, ხოლო თუ გაიხსნა, იგი ნოუ-ჰაუს უკვე აღარ წარმოადგენს. ამ ობიექტზე უფლებათა დაცვის საშუალებები, ასევე შეიძლება იყოს სამოქალაქო-სამართლებრივი, ადმინისტრაციული და სისხლისამართლებრივი. სპეციალური კანონის არარსებობის პირობებში, აღნიშნულთან ერთად შეიძლება გამოყენებული იქნეს სამრეწველო საკუთრების, საბანკო და სხვა სახის კანონმდებლობა, რომლებიც ამ ობიექტზე უფლებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობას პირდაპირ არ ითვალისწინებს. აღსანიშნავია, რომ ამ ობიექტის დაცვას გულისხმობს მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონი, რომელიც კრძალავს არა-აკეთილსინდისიერ კონკურენციას (ამდენად, ეს კანონი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის სპეციალური კანონია) და ჩამოთვლის მის სახეებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთში უკვე შემუშავებულია კანონპროექტი „კომერციული საიდუმლოების შესახებ”, ხოლო პოსტკომუნისტური სივრცის სხვა ქვეყნებმა, ანალოგიურ პროექტზე დაიწყეს მუშაობა. მიგვაჩინია, რომ ქალბატონ მარიამ ცაცანაშვილის მოთხოვნა⁸, კომერციულ საიდუმლოებაზე ცალკე კანონის შემოღების შესახებ საქართველოში, დორული და აუკიდებელიკ არის.

⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1105-ე მუხლი.

⁸ მარიამ ცაცანაშვილი. ინფორმაციული საზოგადოება და ინფორმაციის სამართლებრივი რეგულირება. „ტექნიკორნიკი”, თბ., 1999.

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ერთ-ერთ
მნიშვნელოვან აქტად მიჩნეულია სამეცნიერო-
ტექნიკური, საწარმოო, საგაჭრო ინფორმაცი-
ისა და კომერციული საიდუმლოების მართლ-
საწინააღმდეგო მიღება, მოპოვება, გამოყენება
ან გავრცელება⁹. არაკეთილსინდისიერი კონ-
კურენციის გამოვლინების სხვა აქტები ნათ-
ლად მიუთითებენ, რომ არაკეთილსინდისიერი
კონკურენციის აღკვეთა არ არის დაკავშირებუ-
ლი მხოლოდ სამრეწველო საკუთრების ობი-
ექტებთან. ამის გამო, მივაჩნია, რომ ეს ობიექტე-
ბი, ისევე როგორც საწარმოო-კომერციული
საიდუმლოება, მიეკუთვნება ინტელექტუალური
საკუთრების დაცვის სფეროს განსხვავებულ
ჯგუფს, თუმცა სამრეწველო საკუთრების დაცვის
პარიზის კონვენცია მას სამრეწველო საკუთრე-
ბასთან აკავშირებს.

საქართველოს კანონი მონოპოლიური საქმი-
ანობისა და კონკურენციის შესახებ მიუთითობს,
რომ მისი მოთხოვნების დარღვევისათვის შეი-
ძლება დადგეს მატერიალური, ადმინისტრაციუ-
ლი ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლო-
ბა. კონკრეტული სანქციები გათვალისწინებუ-
ლი არ არის.

ჩვენ მოკლედ მიმოვიზილეთ საქართველოს
კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაძლე-
ბლობებით ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლე-
ბების დარღვევისათვის. მიზანშეწონილად მიგ-
ვაჩნია, ქვემოთ, უფრო დეტალურად განვიხილოთ
ამ უფლებების დარღვევისათვის გათვალისწინებ-
ული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლო-
ბის ნორმები.

ქვეყნის დამოუკიდებლობამ, საბაზრო ეკონომიკის განვითარებამ წარმოშვა სისხლისა-მართლებრივი ნორმების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მოწესრიგების აუცილებლობა. უპირველესად ეს ეხება ეკონომიკური დანაშაულის სფეროს.

სისხლის სამართლის კოდექსის მერვე კარი
სწორედ ეკონომიკურ დანაშაულს ეძღვნება,
რომელიც რამდენიმე თავისაგან შედგება. მერვე
თავშია ის ნორმებიც, რომლებიც ინტელექტუ-
ალურ საკუთრებას ეხება.

⁹ საქართველოს კანონი მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ, მე-9 მუხლი.

მუხლი 189. ინტელექტუალური საკუთრების უფლების ხელყოფა, შევიდა საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის, ხოლო მუხლი 196. სასაქონლო (მომსახურების) ნიშის უკანონოდ გამოყენება — სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ მიძღვნილ თავში.

ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებები
არის ორგვარი, ესენია: პირადი არაქონებრივი
და ქონებრივი. შესაბამისი კანონები აწესრიგე-
ბენ, როგორც ავტორის, ასევე ინტელექტუალური
საკუთრების ობიექტის სხვა მფლობელის ამ
უფლებებს.

პირადი არაქონებრივი უფლებებიდან გამოსაყოფა ავტორობისა და სახელის უფლება, აგრეთვე რეპუტაციის პატივისცემის უფლება. აქედან გამომდინარე, პრინციპულად უნდა გადაწყდეს საკითხი, თუ სისხლის სამართლის კოდექსის რომელი თავით უნდა იქნეს გათვალისწინებული სანქციები უფლებათა დარღვევისათვის.

პირადი არაქონბრივი უფლებების დარღვევა
პიროვნების (პირის) წინააღმდეგ მიმართული
დანაშაულია.

პირადი არაქონებრივი უფლებები ავტორს
ეკუთვნის მისი ქონებრივი უფლებებისაგან
დამოუკიდებლად და უნარჩუნდება ქონებრივი
უფლებების დათმობის შემთხვევაშიც. საავტორო
და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მე-
7 მუხლით, მატერიალური ობიექტის საკუთრებ-
ბის ან მფლობელობის გადაცემა თავისთავად არ
იწვევს ამ ობიექტში გამოხატულ ნაწარმოებზე
საავტორო უფლების გადაცემას.

არაქონებრივი უფლების, ანუ არამატერა-
ლური ქონებრივი სიკეთის ცნებას იძლევა
საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 152-ე
მუხლი: არამატერიალური ქონებრივი სიკეთე
არის ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც
შეიძლება გადაუცეს სხვა პირებს, ან გამიზნულია
საიმისოდ, რომ მათ მფლობელებს შეექმნას
მატერიალური სარგებელი, ანდა მიერიჭოს
უფლება მოსთხოვოს სხვა პირებს რაიმე. ამგ-
ვარი სიკეთე წარმოადგენს როგორც ვალდე-
ბულებითი, ისე სანივთო-სამართლებრივი ურთ-
იერთობის ობიექტებს. პროფ. ბესარიონ ზოიძე
სამართლიანად აღნიშნავს, რომ „სასამართლო
პრაქტიკაში უნდა გაიმიჯნოს ნივთებზე უფლე-
ბა არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებ-

ისაგან.”¹⁰ 147-ე მუხლის კომენტირებისას კი აღნიშნავს, რომ „მართალია, სამოქალაქო კოდექსი, როგორც ნივთებს, ისე არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებს ქონების საერთო ცნებაში აერთიანებს, მაგრამ იგი ამით სულაც არ აიგივებს მათ ერთმანეთთან.”¹¹

ვფიქრობთ, რომ საკუთრების წინააღმდეგ მი-
მართულ 25-ე თავში პირად არაქონებრივ უფლე-
ბებთან დაყავშირებული პასუხისმგებლობის ასახვა
არაზუსტია და უმჯობესი იქნებოდა იგი შე-
სულიყო ადამიანის წინააღმდეგ დანაშაულის
კარში, რადგანაც საქართველოს კონსტიტუცია-
ში ინტელექტუალური საკუთრების ხელშეუვალო-
ბა ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუ-
ფლებების თავშია მოქცეული.

მიგვაჩნია, რომ ნივთებსა და არამატერიალურ
ქონებრივ სიკეთეზე (როგორც ხშირად მას „უსხ-
ეულო ნივთებს“ უწოდებენ) უფლებებს შორის
არსებული სპეციფიკური განსხვავება, უფრო
ძვალიოდ უნდა აისახოს სისხლის სამართლის
კოდექსში, რათა გამოსწორდეს არსებული ხარვე-
ზები და თავიდან ავიცილოთ ის გაუგებრობები,
რომელიც შეიძლება გამოიწვიოს 189-ე და
196-ე მუხლების ინტერპრეტაციაში.

189-ე მუხლის სათაურია „ინტელექტუალური საკუთრების უფლების ხელყოფა.“ რადგანაც ინტელექტუალური საკუთრება შედგენილი ცნებაა, რომელიც აერთიანებს შემოქმედებით საქმი-ანობასთან დაკავშირებულ ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს, ამიტომ იგი შეიძლება განვიხილოთ ინტელექტუალური საკუთრების ამა თუ იმ ობიექტზე მესაკუთრისათვის მინიჭებულ უფლებად. ეს უფლება, მონოპოლიური უფლებაა, გონებრივი შრომით შექმნილი ობიექტიდან გამომდინარე უფლების სარგებლობისა და განკარვისათვის, რაც საკუთრების ძირითადი არ-სია. ამიტომ მუხლის სათაურის შინაარსი – „უფლების უფლების“ ხელყოფად მოიაზრება. მართალია, საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლით აღიარებულია ინტელექტუალური საკუთრების უფლების ხელშეუვალობა, მაგრამ მისი უზრუნველყოფა სწორედ კოდექსებითა და შესაბამისი კანონებით ხორციელდება. ინტელექ-

¹⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მცორე, გვ. 34, გამ. „სამართალი”, 1999.

" օյջ, օյջ. 15.

ტუალურ საკუთრებას რომ სხვაგვარი მიღვომა უნდა, ამას თვით კონსტიტუციაც აღიარებს და ანსხვავებს ნივთზე საკუთრებას ინტელექტუალური საკუთრებისაგან, რის გამოც მათ ცალკელკე მუხლებში (შესაბამისად, მუხლი 21 და მუხლი 23) მოიხსენიებს. ყოველივე ამის გამო მიგვაჩნია, რომ 189-ე მუხლის სათაური უნდა ჩამოყალიბდეს ასე: „ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფა”.

189-ე მუხლი შედეგი შინაარსისაა:

1. სხვის მეცნიერულ, ლიტერატურულ ან ხელოვნების ნაწარმოებზე, გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელზე, სამრეწველო ნიმუშზე ან ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის სხვა შედეგზე სავტორო უფლების ანდა ამ უფლების მომიჯნავე უფლების მითვისება, აგრეთვე ავტორის, სავტორო უფლების სხვა მფლობელის ან მომიჯნავე უფლების მფლობელის თანხმობის გარეშე ასეთი ნაწარმოების უკანონოდ გამრავლება გავრცელების მიზნით, გავრცელება, განკარგვა, საჯაროდ შესრულება, იმპორტირება, ექსპორტირება ან სხვაგვარად გამოყენება, —

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებული სამუშაოთი ვადით ორ წლამდე.

2. სხვისი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის იმ შედეგით უკანონოდ სარგებლობა ან მისი სხვაგვარად უკანონოდ გამოყენება, რომელიც სავტორო ან მომიჯნავე უფლების ობიექტს წარმოადგენს, ანდა ავტორის ან სავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობის გარეშე გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის შესახებ მონაცემის განმაურება, —

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი არაერთგზის, ანდა რამაც მნიშვნელოვნად დააზიანა ავტორის, სავტორო უფლების სხვა მფლობელის ან მომიჯნავე უფლების მფლობელის ინტერესი, აგრეთვე თანავტორობისათვის იძულება, —

ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

მუხლის პირველ ნაწილში სავტორო უფლების ობიექტების გვერდით, ჩამოთვლილია სამრეწვე-

ლო საკუთრების ობიექტები. მომიჯნავე უფლებების ობიექტები აღიარებათ „სხვა შედეგში” იგულისხმება.

ამავე ნაწილშია სავტორო უფლების ან მომიჯნავე უფლების მითვისება, რომელიც გულისხმობს: „სხვისი ნაწარმოების სრული მოცულობით ან მისი ნაწილის გამოცემა თავისი სახელით, ანდა სხვა თანავტორებთან შექმნილი ნაწარმოების მხოლოდ თავისად აღიარება სხვა ავტორთა გვარების მითითების გარეშე და სხვ.”¹²

მიგვაჩნია, რომ მითვისების ამგვარი ახსნა შეესაბამება მის შინაარსს, მაგრამ არ შეესაბამება მუხლში ჩამოყალიბებულ ფორმას, რადგანაც მითვისებაში, მუხლი გულისხმობს არა მთლიანად სავტორო ან მომიჯნავე უფლებებს, არამედ მხოლოდ ავტორობას, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების ერთ-ერთი უფლებათაგანია. გარდა ამისა, ამგვარი ახსნა ეკუთვნის მხოლოდ სავტორო და მომიჯნავე უფლებებს და არავითარ შემთხვევაში გამოგონებას, სასარგებლო მოდელსა და სამრეწველო ნიმუშს.

გამოგონება, სასარგებლო მოდელი ან სამრეწველო ნიმუში, ანუ პატენტით დაცული ობიექტები ნაწარმოებად მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ მოიხსენიება, მათ შორის არც ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) მიერ.

სრულიად გაუგებარია აგრეთვე, რას ნიშნავს მათი ნაწილის გამოცემა. ცხადია, რომ მითვისების ზემოთ მოყვანილ დეფინიციაში იგულისხმება ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები, ხოლო მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადებაში ნაწარმოების ავტორის ქონებრივი უფლებები, ფაქტობრივად, განსაკუთრებული უფლება, რომელიც ისეთი უფლებაა, როდესაც არავის არ შეუძლია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის გამოყენება მფლობელის (მესაკუთრის) ნებართვის, თანხმობის გარეშე.

მითვისებაში აღნიშნულ უფლებათა გამოყენება ნიშნავს: „ობიექტის ასახვას, გავრცელებას, დემონსტრირებას, გადამუშავებას სათანადო ნებართვის გარეშე, ასევე ავტორის ნებადაურთველად ნაწარ-

¹² მზა ლეკვეიშვილი, გოჩა მამულაშვილი, პასუხისმგებლის ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომენტარი). გვ. 72.

მოქმედი ცვლილებების შეტანას, მის დამატებას ან შემოკლებას, ხელახლა გამოცემას და ა. შ.”¹³

აქაც, ისევე როგორც მუხლის მეორე ნაწილში, ობიექტებში მხოლოდ საავტორო და მომიჯნავე უფლებები იგულისხმება. სამრეწველო საკუთრების ობიექტები, უკანონო გამოყენების ამგვარ დეფინიციაში ვერ თავსდება, რადგან, მაგ., გამოგონების გადამუშავებამ, ცვლილების შეტანამ, დამატებამ ან შემოკლებამ შეიძლება გამოიწვიოს მისი გაუმჯობესება, რაც დამოუკიდებელი პატენტის მიღების საშუალებას მისცემს მის მფლობელს.

189-ე მუხლი ცდილობს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე ავტორობისა და განსაკუთრებული (ქონებრივი) უფლების მფლობელთა დაცვას მათი გაერთიანების გზით და აწესებს სანქციას, მაგრამ მათი გაერთიანება ამგვარი ფორმით დაუშვებლად მიგვაჩნია, რადგან, თუ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ კანონით ნაწარმოების ავტორი ან მომიჯნავე უფლებათა მფლობელები არიან სრული მესაკუთრები მათ მიერ შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტისა, მათვე გააჩნიათ პირადი არაქონებრივი და ქონებრივი უფლებები – განსაკუთრებული უფლება უშუალოდ თვითონ ფლობდნენ, სარგებლობდნენ და განკარგავდნენ ამ ნაწარმოებებს, პატენტით დაცულ ობიექტზე, ავტორი შეიძლება არ იყოს პატენტ-მფლობელი, ე. ი. განსაკუთრებული უფლება შეიძლება ეკუთვნოდეს სხვას (განმცხადებელს-პატენტმფლობელს) და არა ავტორს.

ამრიგად, ამ მუხლით დაიცვება სამრეწველო საკუთრების შემქმნელის – ავტორის ავტორობის უფლება, მაგრამ განსაკუთრებული უფლების მფლობელის – პატენტმფლობელის ქონებრივი უფლებები კი დაცვის მიღმა რჩება.

უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ მუხლის სათაურის მიხედვით, ის უნდა ვრცელდებოდეს ინტელექტუალური საკუთრების ყველა ობიექტზე, მაგრამ ანალიზი ცხადყოფს, რომ მის მიღმა დარჩენილია ისეთი ობიექტები, როგორიცაა სასაქონლო ნიშნები, საფირმო სახელწოდება, ნოუ-ჰინი, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგია, სასელექციო მიღწევა, გეოგრაფიული

აღნიშვნა და სხვა. ამასთან, თუ სასაქონლო ნიშანთან, გეოგრაფიულ აღნიშვნასთან და ნოუ-ჰინისთან დაკავშირებით, კოდექსი ითვალისწინებს სხვა მუხლებს, სასელექციო მიღწევა და ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგია, საერთოდ არ არის მოხსენებული კოდექსის არც ერთ მუხლში.

აღნიშნული სიტუაციის მოსაგვარებლად ორი გზის არსებობა გვესახება:

1. უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი შინაარსის მუხლი, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების ყველა ობიექტზე გავრცელდება.
2. ობიექტების მიხედვით ჩამოყალიბდეს ცალკე გამოყოფილი მუხლები.

მიგვაჩნია, რომ არსებობს კიდევ ერთი შესაძლებლობა – ინტელექტუალურ საკუთრებას ცალკე თავი მიეძღვნას, რომლითაც გათვალისწინებული იქნება პირადი არაქონებრივი და ქონებრივი (განსაკუთრებული) უფლებების დარღვევისათვის ცალ-ცალკე მუხლები. ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი ყველაზე მისაღებია, მაგრამ ვთვალისწინებთ რა არსებული კოდექსის სტილს, შევეცდებით მივყვეთ მას და კანონმდებელს შევთავაზოთ ის მინიმალური ცვლილებები, რაც უფრო ნათლად წარმოგვიდგენს ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებით არსებული მუხლების შინაარსს.

აღნიშნული შენიშვნების გამო, მიგვაჩნია, რომ ეს მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

მუხლი 189. ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფა.

1. საავტორო და მომიჯნავე უფლებების ობიექტების, ან გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის, სასელექციო მიღწევის, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის ავტორობის მითვისება,

ისჯება ჯარიმით, ან გამასწორებული სამუშაოთი ვადით ორ წლამდე.

2. სხვისი საავტორო ან მომიჯნავე უფლებათა ობიექტების, გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის, სასელექციო მიღწევის, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის, მართლ-საწინააღმდეგოდ კომერციული გამოყენება,

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი არაერთ-

¹³ იქვე, გვ. 73, თბ., „მერიდიანი”, 1999.

გზის, ანდა რამაც მნიშვნელოვნად დააზიანა ავტორის ან განსაკუთრებული უფლების მფლობელის ინტერესი, აგრეთვე თანავტორობაზე იძულება, —

ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამწლამდე ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

კოდექსის მეორე ნორმა, რომელიც ინტელექტუალურ საკუთრებას ეხება, ესაა:

მუხლი 196. სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის უკანონოდ გამოყენება.

1. სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის ან რეგისტრირებული საფირმო სახელწოდების უკანონოდ გამოყენება, საქონლის უკანონი ნიშანდება ან საქონლის დამზადების ადგილის არასწორად მითითება, რამაც შემიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, —

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე.

2. საქართველოში არარეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის უკანონოდ გამოყენება ან საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებით ანდა გეოგრაფიული აღნიშვნით სარგებლობის უფლების დარღვევა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, —

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი არაერთგზის, —

ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამწლამდე ან ტუსაღობით ვადით ოთხ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე და ჯარიმით.

ამ მუხლის პირველ ნაწილში ბუნდოვანია, თუ რას ნიშნავს სხვისი რეგისტრირებული საფირმო სახელწოდების უკანონოდ გამოყენება. მეწარმეთა შესახებ კანონის მე-6 მუხლი აწესრიგებს საფირმო სახელწოდებებს (ფირმას) ანუ სახელს, რომლითაც საქმიანობს საწარმო. საფირმო სახელწოდების რეგისტრაციას ახორციელებს სასამართლო. მართალია, საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკით ერთი და იგივე სახელწოდების რეგისტრაცია მოცემულ სასამართლო-

ში არ შეიძლება, მაგრამ სხვა სასამართლო ვერ უკრძალავს სხვა მეწარმეს იგივე სახელწოდების რეგისტრაციას. ამის გამო თითოეულ სასამართლოში შეიძლება არსებობდეს რეგისტრირებული საწარმო ერთნაირი სახელწოდებით, მაგ., „ნიკე”.

ბატონი თედო ნინიძე აღნიშნავს: „თუ სასამართლოს მიერ აღიარებულ იქნა საფირმო სახელწოდებათა იგივეობის ან დამთხვევის ფაქტი, რასაც შეეძლო გამოიწვია ან გამოიწვია სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთა აღრევა, მომხმარებლის შეცდომა, სახელწოდების დამრღვევის მიმართ გამოიყენება პასუხისმგებლობის სხვადასხვა სახეები — ქონებრივი, ადმინისტრაციული, სისხლისსამართლებრივი.”¹⁴

სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა საქმიან მკაცრია, მაგრამ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული 196-ე მუხლი იმ პირების მიმართ, რომელთაც თავის საფირმო სახელწოდებად „ნიკე” დარეგისტრირებული აქვთ საბურთალოს, ისნის, მთაწმინდის რაიონებში, აგრეთვე ქუთაისში, ბათუმში, გორში და ა. შ., არიან ერთმანეთისგან აბსოლუტურად დამოუკიდებლები და კანონიერად ფლობენ ამ სახელს. ჩაითვლებიან კი ისნი სახელწოდების დამრღვევად? რატომ ჩაითვლება სხვისად ამგვარი საფირმო სახელწოდება?

ასეთი ვითარების თავიდან აცილება, ისეთი ტერიტორიის მქონე სახელმწიფოსათვის, როგორიც საქართველოა, დიდ ტექნიკურ სიძნელეს არ წარმოადგენს. შვეიცარიის გამოცდილებიდან გამომდინარე, საქმარისია შეიქმნას ფირმების ერთანი მონაცემთა ბაზა, რომელიც დაეგზანება ყველა მარეგისტრირებულ ორგანოს. ეს უკანასკნელი, ცხადია, მეორე იდენტურ ფირმას აღარ დაარეგისტრირებს.

ამ საკითხის მოწესრიგება შეიძლება სხაგვარადაც. კერძოდ, თუ რაიონული სასამართლო საფირმო სახელწოდების რეგისტრაციის დროს გასცემს ამ სახელწოდების დროებითი გამოყენების უფლებას, რის შემდეგაც გადააგზავნის მას უზენაეს სასამართლოში, სადაც შექმნილი

¹⁴ ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, გვ. 99, თბ., გამ. „სამართალი”, 1998.



იქნება საფირმო სახელწოდებათა სპეციალური რეესტრი. უზენაესი სასამართლო მოახდენს შედარებას სხვა საფირმო სახელწოდებასთან და რაიონულ სასამართლოებს გარკვეული ვადის (მაგ., 7 დღის) გასვლის შემდეგ შეატყობინებს საფირმო სახელწოდების საბოლოო რეგისტრაციის შესახებ. თუ აღმოჩნდება, რომ წარდგენილი საფირმო სახელწოდება დაემთხვევა ან იმდენად მსგავსი იქნება სხვა სახელწოდების, რომ მომხმარებელი შეიძლება შეცდომაში იქნეს შეყვანილი, რაიონულ სასამართლოს გაევზავნება რეგისტრაციაზე უარის შეტყობინება და მისი შეცვლის აუცილებლობის მოთხოვნა.

რადგან ფირმის რეგისტრაციას ახდენს სასამართლო, კოდექსის ამ მუხლში სიტყვა „რეგისტრირებული“ სრულიად ზედმეტია, იმ გაგებით, რომ თუ სამეწარმეო საქმიანობა რეგისტრაციის გარეშე ხორციელდება, მაშინ იგი უკანონო სამეწარმეო საქმიანობად ჩაითვლება, ხოლო ასეთ ქმედებაზე პასუხისმგებლობა სხვა ნორმებით ხორციელდება.

გასათვალისწინებელია აგრეთვე ისიც, რომ მეწარმეობა შეიძლება განხორციელდეს ფირმის რეგისტრაციის გარეშეც. ამას ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლი, რომელიც ადგენს ამხანაგობის შექმნის წესს. ამდენად, თუ მუხლს უცვლელად დავტოვებთ, გამოდის, რომ კანონიერი გზით მოქმედი ამხანაგობა სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის ობიექტი იქნება, მიუხედავად იმისა, რომ მას არანაირი დანაშაული არ ჩაუდენია¹⁵.

ამავე პუნქტიდან, გაუვებარია, თუ რას ნიშნავს საქონლის უკანონო ნიშანდება. როგორც კომენტარიდან¹⁶ ჩანს, ნიშანდება გულისხმობს სხვისი სასაქონლო ნიშნის გამოყენებას, რაც პირველი წინადაღების ტავტოლოგიაა. ჩვენი ვარაუდით, კანონმდებელი გულისხმობს საქონელზე აღნიშვნის დატანას, მაგალითად გამაფრთხილებელი, აღნიშვნის (მასზე ქვემოთ გვექნება საუბარი) დატანას იმის შესახებ, რომ სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია. ეს თუ ასეა,

¹⁵ უფრო დაწერილებით ამ საკითხის შესახებ იხ. დ. ძამუკაშვილი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბ., 2000, გვ. 256-266.

¹⁶ მზა ლეკვეიშვილი, გოჩა მამულაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 98.

მაშინ მუხლის რედაქცია აუცილებლად უნდა შეიცვალოს.

ძალიან ძნელი იქნება, აგრეთვე საქონლის დამზადების ადგილის არასწორად მითითების დადგენა, რადგან საქართველოს კანონმდებლობა განსხვავებულ დეფინიციების იძლევა დამზადების ადგილის შესახებ, მაგ., საბაჟო კოდექსი და კანონი ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ.

საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნით სარგებლობის უფლების დარღვევა მეორე პუნქტშია მოთავსებული, სადაც უფრო მსუბუქი სანქცია გათვალისწინებული. ადგილწარმოშობის დასახელება და გეოგრაფიული აღნიშვნა, ისეთი პროდუქციის მოსანიშნად გამოიყენება, რომლის გამორჩეული თვისებები და ხარისხი დაკავშირებულია გარკვეულ ადგილმდებარეობასთან, ამიტომ ასეთი საქონელი უფრო ადვილად იხვეჭს სახელს და პოპულარული ხდება. ამის გამო პირდაპირპორციულია მათი ფალსიფიცირებაც. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება აღკოპოლურ სასმელებს, ლუდს, მინერალურ წყლებს, სოფლის მეურნეობის პროდუქტებს და სხვ.

1999 წლის 22 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი „ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“, აწესრიგებს მათ რეგისტრაციასთან, გამოყენებასთან და დაცვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

ვიფირობთ, რომ ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნით სარგებლობის უფლების დარღვევა 196-ე მუხლის პირველ ნაწილშიც უნდა გადავიდეს, ე. ი. უფრო მკაცრი სანქცია იქნეს გათვალისწინებული იმ ქმედებისათვის, რასაც შედეგად პროდუქციის ფალსიფიცირება მოჰყება.

196-ე მუხლის მეორე ნაწილი ეძღვნება საქართველოში არარეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის უკანონოდ გამოყენებას. უნდა აღინიშნოს, რომ არც პარიზის კონვენცია, არც საქართველოს კანონი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“, არ ითვალისწინებს სასაქონლო ნიშნების აუცილებელ რეგისტრაციას. ასეთი ნორმა არ არსებობს მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში, თუმცა ყველა მეწარმე ცდილობს თავისი

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას, რათა საშუალება ჰქონდეს მოიპოვოს ამ ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დაცვის ურყევი მტკიცებულება და ამით აუკრძალოს სხვას მისი უკანონო გამოყენება.

არარეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი პარიზის კონვენციის ძალით დაიცვება იმ შემთხვევაში, თუ იგი არის საყოველთაოდ ცნობილი. ეს აისახა „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონშიც, რომლის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით: „საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნები დაცულია რეგისტრაციის გარეშე, პარიზის კონვენციის მე-6-ბის მუხლის შესაბამისად”. ამრიგად, თუ სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს საქართველოში საყოველთაოდ ცნობილ ნიშანს (მაგ., „კოკა-კოლა”, „ადიდასი” და ა. შ.), იგი დაცულია რეგისტრაციის გარეშეც, ე. ი. მის მფლობელს განსაკუთრებული უფლებები ისევე ენიჭება, როგორც რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელს. იმ პირს კი, რომელიც უკანონოდ გამოიყენებს ასეთ ნიშანს, დაუკისრება პასუხისმგებლობა 196-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომელიც თვის მხრივ გულისხმობს, რომ სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია.

მეორე შემთხვევა, რომელიც შეიძლებოდა შეულიყო სისხლის სამართლის კოდექსში, დაკავშირებული არარეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანთან, ეს არის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა, მოტყუება, სასაქონლო ნიშანთან ერთად გამაფრთხილებული აღნიშვნის დატანით. გამაფრთხილებული აღნიშვნა ეს არის – ⑧ ან წრეში ჩასმული ასე-“რ” ან წარწერა – „რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი” და მისთ., რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნული სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია. იმ შემთხვევაში, თუ არარეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანთან ერთად დასტული იქნებოდა ასეთი გამაფრთხილებული აღნიშვნა, შეიძლებოდა გამოყენებულიყო მუხლის მეორე ნაწილის სანქცია, მიუხედავად იმისა, რომ ახალმა კანონმა „სასაქონლო ნიშნების შესახებ”, რომელიც მიღებულ იქნა 1999 წლის 5 თებერვალს, 1992 წლის „სასაქონლო ნიშნების შესახებ” დებულებისაგან განსხვავებით, გამაფრთხილებული აღნიშვნის შესახებ ასეთ ნორმაზე უარი თქვა, თუმცა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების”,

„ინტელექტური მიქროსქემის ტოპოლოგიის” შესახებ კანონებით იგი გათვალისწინებულია, შესაბამისად – „©” და „T” წრეში.

აღნიშნულის გამო მიგვაჩნია, რომ 196-ე მუხლის მეორე ნაწილი მთლიანად უნდა იქნეს ამოღებული ან არსებითად შეცვლილი.

სასაქონლო ნიშნის დაცვისათვის აუცილებელია მასთან მსგავსი სასაქონლო ნიშნების გათვალისწინებაც, ამას მოითხოვს როგორც პარიზის კონვენცია, ასევე TRIPS-ის ხელშეკრულებაც. ყოველი სასაქონლო ნიშანი შედგება ელემენტებისაგან. ეს ელემენტები შეიძლება იყოს სუსტი ან ძლიერი. ერთნაირი (ძირითადად, ძლიერი) ელემენტების არსებობის გამო, სასაქონლო ნიშნები შეიძლება იყოს იმდენად ახლოს ერთმანეთთან, რომ მოხდეს მათი აღრევა. ეს, უმეტეს შემთხვევაში, ხდება ცნობილი სასაქონლო ნიშნების მიმართ. თავისი პროდუქციის გასაღებისა და მოგების მიღების მიზნით, მეწარმეები ცდილობენ მიამსგავსონ თავიანთი სასაქონლო ნიშნები, უკვე სახელმოხვეჭილ, მაღალი რეპუტაციის მქონე სასაქონლო ნიშნებს. მაგალითად, საქართველოში იყიდება აზიის ქვეყნებიდან შემოტანილი საათები – „SITEZIN”, რომელიც „SITIZEN”-ის რეპუტაციას იყენებს, ასევე, სპორტული ფეხსაცმელები – „adibbass”, იმერუთის ერთ-ერთ ქალაქში ლიმონათი – „კოტეკოლა” და ა. შ. მსგავსი ან იდენტური სასაქონლო ნიშნის ან სხვა სახის აღნიშვნის გამოყენება კონტრაფაქტის წარმოადგენს. ასეთი ქმედება კი მკაცრად ისჯება. ეს განსაკუთრებით განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში იგრძნობა¹⁷.

კეთილსინდისიერ მეწარმეს უნდა ჰქონდეს იმის საშუალება, რომ დაიცვას თავისი კანონიერი უფლებები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ 196-ე მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

¹⁷ აშშ-ში საქონლის განზრახ ვასაღება ან გასაღების მცდელობა ფალბი (ცრუ) სასაქონლო ნიშნის გამოყენებით, ისჯება ჯარიმით 250.000 ლოდართ და 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით. ასეთი დანაშაული ჩადენილი არაერთგზის, ისჯება კოდვ უფრო მკაცრად. იხ. „Применение законов о защите прав на интеллектуальную собственность в США”. М., 1998.



მუხლი 196. სასაქონლო ნიშნის ან სხვა კო-
მერციული აღნიშვნის მართლსაწინააღმდეგოდ
გამოყენება.

1. სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშ-
ნის, საქონლის აღგილწარმოშობის, გეოგრაფი-
ული აღნიშვნის იდენტური ან მსგავსი, ან საფირ-
მო სახელწოდების არაკეთილსინდისიერი გამოყ-
ენება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია,—
ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი
ვადით ორ წლამდე.

2. არარეგისტირებულ სასაქონლო (მომსახ-
ურების) ნიშანთან, აღგილწარმოშობის დასახ-
ელებასა და გეოგრაფიულ აღნიშვნასთან ერთად
გამაფრთხილებელი აღნიშვნით ყალბი ნიშანდე-
ბა, აგრეთვე პატენტის, ლიცენზიის ან სხვა გამ-
აფრთხილებელი აღნიშვნის ყალბი მითითება,—

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის
სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას
ოთხმოც საათამდე ანდა გამასწორებელი სამ-
უშაოთი ერთ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილით
გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი არაერთ-
გზის,—

ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ
წლამდე ან ტუსალობით ვადით ოთხ თვემდე
ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე
და ჯარიმით.

აღნიშნული მუხლების გარდა, ყურადღება
გვინდა გავამახვილოთ, აგრეთვე, სისხლის სა-
მართლის კოდექსის 202-ე მუხლზე, რომელიც
ეხება კომერციული ან საბანკო საიდუმლოების
შემცველი ინფორმაციის უკანონოდ შეგროვებას
ან გავრცელებას. ვფიქრობთ, რომ ამ მუხლის
სათაური უნდა დაიწყოს სიტყვით — „საწარ-
მოო“.¹⁸ ამ შემთხვევაში მუხლი მოვა სამოქალაქო
კოდექსის სრულ შესაბამისობაში. ამ სიტყვის
დამატება ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგანაც,
იგი საშუალებას მოგვცემს გათვალისწინებული
იქნეს კიდევ ერთი ფაქტი.

მხედველობაში გვაქვს სიტუაცია, როდესაც
საწარმოს ტოვებს თანამშრომელი და თან მი-
აქვს მისთვის ცნობილი ნოუ-ჰაუ ან სხვაგვარი
საიდუმლოება, რასაც შემდგომ არაკეთილსინ-
დისიერად იყენებს, მისი აღრინდელი მფლობე-
ლის საზიანოდ. მივაჩნია, რომ არაკეთილსინ-
დისიერი თანამშრომლის ან ყოფილი თანამშრომ-
ლის მიმართ უფრო მკაცრი სანქცია უნდა იქნეს
გამოყენებული. აღნიშნულზე მეტყველებს უცხო
ქვეყნების პრაქტიკაც. ვფიქრობთ, რომ არასტა-
ბილური ეკონომიკის პერიოდში, არაკეთილსინ-
დისიერი მეწარმების წინააღმდეგ მიმართული
მკაცრი სანქციის არსებობა სასარგებლო იქნება
საქართველოსათვის.

კარგი იქნებოდა 202-ე მუხლითვე ყოფილიყო
გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, უცხო
ქვეყნის პირთა სასარგებლოდ საწარმოო-კომერ-
ციული საიდუმლოების გაცემისათვის — ტექნი-
კურ-ეკონომიკური ჯაშუშობისათვის.

გარდა ზემოთ განხილულისა, უნდა დაწესდეს
პასუხისმგებლობა უცხო ქვეყანაში გამოგონების
უნებართვოდ დასაპატენტებლად განაცხადის
წარდგენისათვის, თუ გამოგონების საგანი სახ-
ელმწიფო საიდუმლოებას შეაღენს¹⁸. ეს პასუხ-
ისმგებლობა აღნიშნული ქმედებისათვის შეიძლება
დაწესდეს 320-ე მუხლის უმნიშვნელო რედაქცი-
ული ცვლილებით.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ს
ყოველწლიური ბიუჯეტი, მარტო საავტორო
და მომიჯნავე უფლებების დაცვით ივსება 150
მილიარდი დოლარით, ხოლო ჯარიმების სახ-
ით, დამატებით 100 მილიარდი დოლარით. არც
ერთი სფერო იმდენ შემოსავალს არ აძლევს
აშშ-ს სახელმწიფოს, როგორც ინტელექტუ-
ალური საკუთრება. ეს, პირველ რიგში, სა-
კანონმდებლო ბაზის სრულყოფისა და მკაცრი
სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის
დამსახურებაა. იმედი გვაქვს, რომ საქარ-
თველოშიც ასე იქნება.

დავით მამუკაშვილი,
ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქათაფენგის“
გენერალური დირექტორის მოაღილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი;

სანდორ ხორბენაძე,
ეურნალ „უბენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანის“ რედაქტორი.

¹⁸ საქართველოს საპატენტო კანონი, 71-ე მუხლი.

ლელა კოპალეიშვილი

სამართლებრივი დაცვა ფაზიზიკაციისაბან

გომხმარებელთა უფლებების დაცვა აქტუალური პრობლემაა ყველა ქვეყნისათვის. განსაკუთრებით საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ეტაპზე, ტრადიციული სამეურნეო კავშირების რღვევისა და ახალი ურთიერთობების ფორმირების პერიოდში. პრაქტიკა ადასტურებს, რომ საბაზრო სტრუქტურები არ არის დაცული არაკეთილსინდისიერი კონკურენციის და მონოპოლიური ქმედებებისაგან. ხშირია არაკეთილსინდისიერ ვაჭრობასთან დაკავშირებული პრობლემები. ამ პრობლემებს კი ქმნის ისეთი არამართლზომიერი ქმედებები, როგორიცაა სასაქონლო ნიშნების მეკობრეობა, ფალსიფიკაცია და იარღიყებისა და შეფუთვების იმიტაცია.

ფალსიფიკაცია, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ნაწარმის იმიტაციას. ფალსიფიკირებული საქონლი არა მხოლოდ იდენტურია მოცემული დასახელების პროდუქციისა, არამედ გარეგნულად ნამდვილი მწარმოებლის ან გამსაღებლის ორიგინალური პროდუქციის ზუსტი ასლია.

ფალსიფიკირებული პროდუქციის გასაღებას, რაღა თქმა უნდა, აზრი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორიგინალური პროდუქცია ცნობილია მომხმარებლისათვის. აქედან გამომდინარე, ხშირად ფალსიფიკირებული პროდუქცია მიეკუთვნება ფუფუნების საგნების სფეროს და აქვს ცნობილი ფირმების სასაქონლო ნიშნები. ფალსიფიკირებული პროდუქცია შეიძლება მიეკუთვნებოდეს მასობრივი მომხმარებელის საგნების სფეროს, ან ისეთი საქონლის კატეგორიას, რომელი

საც არა აქვს სასაქონლო ნიშანი, მაგრამ დაცულია ინტელექტუალური საკუთრების სხვა ფორმით, როგორიცაა, მაგ., საავტორო უფლება, ან უფლება დიზაინზე.

ფალსიფიკაცია მსოფლიო მნიშვნელობის ეკონომიკური მოვლენაა. რეალურად გაყიდული ფალსიფიკირებული პროდუქციის რაოდენობა მსოფლიო ვაჭრობის 5%-ს შეადგენს. ეს ციფრი კიდევაც იზრდება. უნდა ვაღიაროთ ის ფაქტი, რომ ფალსიფიკაცია ქურდობის ტოლფასი ეკონომიკური დანაშაულია. ყალბისმქედლები არა მხოლოდ ატყუებებს მომხმარებელს, არამედ ზიანს აყენებენ ორიგინალური მწარმოებლის რეპუტაციას. გარდა ამისა, ისინი სახელმწიფოს არ უხდიან საშემოსავლო და სხვა სახის გადასახადებს.

ეტიკეტებისა და შეფუთვის იმიტაციის შემთხვევებს შუალედური ადგილი უკავია სასაქონლო ნიშნების დამახინჯებასა და ფალსიფიკაციას შორის. ისე, როგორც ფალსიფიკაციის დროს, ხდება ამა თუ იმ საქონლის ეტიკეტისა და შეფუთვის იმიტარება, მაგრამ ამ შემთხვევაში იმიტაცია არ ტოვებს ნამდვილის შთაბეჭდილებას. ორიგინალური და იმიტარებული პროდუქციის დაკვირვებით შედარებისას (რასაც მომხმარებელი იშვიათად აკეთებს) საკმაოდ იოლია მათი გარჩევა. იმიტატორი ჩვეულებრივ არ ეფარება ნამდვილი პროდუქციის მწარმოებლის სახელს და საკუთარი სახელით მოქმედებს. იგი დამნაშავე არ არის, ის უფრო კონკურენტია, რომელ-

იც იყენებს კონკურენციის უსამართლო მეთოდებს.

იმიტატორი, მის ნაცვლად, რომ შექმნას საკუთარი ეტიკეტი ან შეფუთვა თავისი პროდუქციისათვის, ცდილობს გამოყენოს კონკურენციუნარიანი პროდუქციის რეპუტაცია საკუთარი პროდუქციის მისთვის იმ დონეზე მიმსგავსების გზით, რომ შესაძლოა მოხდეს მათი არევა ბაზარზე.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ უკანონობაა საკუთარი პროდუქციის კონკურენციის პროდუქციად გასაღება. თუ ამ პროდუქციის ეტიკეტი ან შეფუთვა ისე ჰგავს კონკურენციის პროდუქციის ეტიკეტს ან შეფუთვას, რომ შესაძლებელია მათი არევა, ამ შემთხვევაში ხდება სასაქონლო ნიშნის დამახინჯება და აქ ადგილი აქვს დარღვევას.

არსებობს პრაქტიკული პრობლემა მრავალი ქვეყნის იურისპრუდენციაში – მოსამართლეები ყოველთვის როდი აღიარებენ იმ საშიშროებას, რომელიც ემუქრება რიგით მომხმარებელს, რომელიც დიდ ყურადღებას არ აქცევს შეფუთვის მცირე განმასხვავებელ დეტალებს სუპერმარკეტებში, ან სხვაგან პროდუქციის შეძენისას, ვინაოდან იგი ჩშირად ჩქარობს და საქონლის დათვალიერებით კმაყოფილდება, ბაზრის შესწავლა მარტივად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მომხმარებლები, ყოველდღიური მოხმარების საგნების სისტემატური შეძენისას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას აქცევენ შესაძენი მასალის ფერს, შემდეგ უპირატესობას ანიჭებენ გრაფიკულ გამოსახულებას და მხოლოდ ამის შემდეგ აქცევენ ყურადღებას იმას, თუ რამდენად სწორია პროდუქციის დასახელება (სიტყვიერი ნიშანი). მიუხედავად ამისა, მოსამართლეები მაინც ზედმეტ ყურადღებას ანიჭებენ კონკურენციის მიერ გამოყენებულ სასაქონლო ნიშანს (პროდუქციის დასახელებას) და იმას, თუ რამდენად განსხვავდება იგი იმ სასაქონლო ნიშნისაგან, რომლითაც იყიდება იმიტირებული პროდუქცია. ამის შედეგად მოსამართლეები ხშირად უარყოფენ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტს, თუ სასაქონლო ნიშნები არასაკმარისად მსგავსია იმისათვის, რომ საქმე აღიძრას დამახინჯების საფუძველზე,

თუნდაც კონკურენციის მიერ გამოყენებული ფერები და გრაფიკული გამოსახულება ძალიან ჰგავდეს იმიტირებული პროდუქციისას. მოსამართლებისაგან განსხვავებით, იმიტატორებმა კარგად იციან, თუ როგორ იქცევა მომხმარებელი. ამიტომ ისინი იყენებენ ორიგინალური პროდუქციის მსგავს ან იდენტურ ილუსტრაციებს და სხვა გრაფიკულ გამოსახულებებს.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც უგულებელყოფილია ასეთ შემთხვევაში, წინასწარი განზრახვაა. ბაზარზე არსებული ყველა მსგავსი პროდუქციის პირველადი შეფასება, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ მომხმარებლის წინაშე არსებული არჩევანი, თუ მას სურს შეიძინოს გარკვეული კატეგორიის პროდუქცია, რომელიც თავისთვად მეტად მრავალრიცხოვანია გამყიდვების გამომგონებლობის წყალობით, როგორც წესი, ნათელს ხდის იმ ფაქტს, რომ იმიტატორი განზრახ ირჩევს მსგავს ფერებს, მსგავს გრაფიკულ გამოსახულებას და საერთო აღწერილობის ელემენტებს (ხშირად პროდუქციის გარკვეულწილად მსგავს სახელწოდებას). რატომ აირჩია მან ეს ელემენტები შეფუთვისათვის? პასუხი ამ შეკითხვაზე მხოლოდ ერთი არსებობს – მას სურს მომხმარებლმა არჩევანი გააკეთოს იმ მოსაზრებით, რომ იმიტირებული პროდუქცია სინამდვილეში ორიგინალურია, ან უკიდურეს შემთხვევაში, ხარისხობრივად მისი მსგავსია. იმიტატორი თამაშობს ორიგინალის რეპუტაციაზე და, ბუნებრივია, ამას მოპყვება მომხმარებლის შეცდომაში შეყვანაც.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, აღიარებულია, რომ პროდუქცია, რომლის საერთო მსგავსება ორიგინალურ პროდუქციისთან (არჩეული ფერების, გრაფიკული გამოსახულების და შეფუთვის სხვა ელემენტების გათვალისწინებით) იმდენად დიდია, რომ არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს უბრალო დამთხვევას, იგი გამიზნულია საზოგადოების შეცდომაში შესაყვანად. ეს კი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მაგალითია, მოუხედავად იმისა, არის თუ არა იმიტატორის მიერ შერჩეული დასახელება ორიგინალურის მსგავსი.



ფალსიფიკირებული პროდუქციის ყველაზე ცნობილი მაგალითებია LOUIS VUITTON-ის ჩანთები, ROLEX-ის, GARTIER-სა და სხვა ცნობილი ფირმების ძვირფასი საათები, PUMA-სა და REEBOK-ის სპორტული ფეხსაცმელი. მსოფლიოში გაყიდული ზემოთ აღნიშნული საქონლის რაოდენობა აღემატება ორიგინალური პროდუქციის რაოდენობას. თუ საქართველოს ბაზარს განვიხილავთ, საკმარისია ენახოთ, თუ როგორაა იგი გაჯერებული ფალსიფიკირებული „ბორჯომი“-ს, KONGRES MENI-ს (სიგარეტი) და PROQTEL და KEMBEL-ის იმიტირებული საქონლით.

იმისათვის, რომ ეფუძნებიანი იყოს ბრძოლა ფალსიფიკირებული და სხვისი სასაქონლო ნიშნების უკანონო გამოყენების ფაქტებთან, საჭიროა სათანადო სამართლებრივი ბაზის შექმნა. კერძოდ, კნონით გათვალისწინებული უნდა იყოს მკაცრი აღმკვეთი ზომები, თავისუფლების აღკვეთის ჩათვლით.

2000 წლის 15 თებერვლიდან ძალაში შევიდა ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის 197-ე მუხლი ფალსიფიკაციას შემდეგნაირად განმარტავს: „ფალსიფიკაცია, ესე იგი მოტყუებით ნივთის თვის სიბრიობის შეცვლა მწარმოებლის ან გამსაღებლის მიერ, ჩადენილი ანგარებით.“ ახალ კოდექსში შედარებით გამკაცრებულია აღმკვეთი ზომებიც. მაგრამ, მოუხდავად ამისა, ერთ-ერთ აღმკვეთ ზომად მაინც დარჩა ჯარიმა, რომლის ოდენობა კანონმდებულმა არ განსაზღვრა (ძველი კოდექსით ჯარიმა განსაზღვრულია და იყი შეადგენს შრომის ანაზღაურების ათას ზუთასიდან სამი ათას ლარამდე მინიმალურ ოდენობას). პრაქტიკაში აჩვენა, რომ ყალბისმქნელები ჯარიმას იხდიან, ხოლო თავისუფლების აღკვეთის მოთხოვნა კი ძალზე იშვიათია. აუცილებლად მიმაჩნია სწრაფი, შორის გამიზნული ზომების მიღება. ყალბისმქნელები თავიანთ საქმიანობას ჩვეულებრივ არ ეწევიან რეგისტრირებულ იურიდიულ მისამართზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ წინააღმდეგ საქმის აღძვრის შემთხვევაში ისინი თავისუფლად უჩინარდებიან. ხშირად მათი კვალის მიგნება შესა-

ძლებელი ხდება მხოლოდ ხანგრძლივი და რთული გამოძიების შემდეგ.

ფალსიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. ამიტომ აუცილებელია, აგრეთვე, რომ საბაჟო ხელისუფლებას მიეცეს სათანადო უფლებამოსილება, რათა შეამოწმოს საქონელი საზღვარზე და ამოიღოს ფალსიფიკირებული საქონელი შესაბამისი სასაქონლო ნიშნების მეპატრონების მოთხოვნით.

ქართული პროდუქციის, განსაკუთრებით ღვინოპროდუქტის და მინერალური წყლების ფალსიფიკაციის და სასაქონლო ნიშნების გაყალბების წინააღმდეგ მიზანდასახული მუშაობა აუცილებელი პირობაა ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობისათვის. უკანასკნელ პერიოდში ამ მიმართულებით საგრძნობლად გააქტიურდა მუშაობა. კერძოდ, მუშაობა მიმდინარეობს საკანონმდებლო სამართლებრივი ბაზის სრულყოფის მიზნით. საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულია კანონები – „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ და „საქონლის ადგილწარმოშობის დასახულებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ.“ 1999 წლის 4 ივნისს ხელი მოეწერა დსთ-ს წევრი ქვეყნების მთავრობათა მრავალმხრივ შეთანხმებას „ყალბი სასაქონლო ნიშნების და გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენების თავიდან აცილებისა და აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ“, „საქართველო-რუსეთის მთავრობებს შორის გაფორმდა ორმხრივი შეთანხმება „სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ.“

გარკვეული ღონისძიებები გატარდა საგარეო საქმეთა, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროებსა და სამართალდამცავი ორგანოების მხრივ ქართული პროდუქციის ფალსიფიკაციის აღკვეთის მიზნით და სხვა.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა და სხვა მრავალი ღონისძიებებისა, მიმდინარე მუშაობა არაეფექტურიანია და ვერ წყვეტს არსებულ პრობლემებს. ამის შედეგად დიდია ქართული ღვინოპროდუქციისა და მინერალური წყლების ფალსიფიკირების მასშტაბი, რითაც სერიოზულად ზარალდე-

ბა ქვეყნის უკონომიკა. აღნიშნული მდგომარეობის მთავარი მიზეზია ის, რომ ქვეყნაში ამ მიმართულებით ჩატარებულ მუშაობას არა აქვს სისტემატური ხასიათი. შესაბამისად, არ არის კოორდინაცია ამ საქმეში ჩართულ სტრუქტურებს შორის. ფალსიფიკაციის აღკვეთის საქმეში გამოკვეთილი არ არის თვით მეწარმეებისა და საზოგადოებრივი არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციების როლი. კერძოდ, არ ხდება არსებული ინფორმაციის გაცვლა, სისტემატური ანალიზი არ უკეთდება ფალსიფიკაციის შესახებ კანონმდებლობის დარღვევებზე მაკონტროლებელ ორგანოების არსებულ მონაცემებს.

ამდენად, საჭიროა რადიკალურად შეიცვალოს ამ პრობლემებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა. გაყალბებისადმი ბრძოლის მხოლოდ ადმინისტრაციული მეთოდები ვერ გადაწყვეტს არსებულ პრობლემას, თუ მის წინააღმდეგ არ გაერთიანდა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება, არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები, ასოციაციები და კავშირები, თვით მეწარმეები და რიგითი მომხმარებლები, როგორც ეს ხდება მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში.

ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია ქართული პროდუქციის დაცვისა და მისი ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლის კომპლექსური სამოქმედო პროგრამის შემუშავება.

უნდა მოხდეს უცხოეთის, მათ შორის დსტ-ს წევრ ქვეყნებთან ორმხრივი შეთანხმების გაფორმე-

ბა, რომელიც, ძირითადად, დაეფრდნობა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში მოქმედ წესებს; მათ შორის „ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების ასპექტების შესახებ“ შეთანხმების (TRIPS) ნორმებს. ამავე დროს, საქართველოს, როგორც მსო-ს წევრ ქვეყნას, სასაქონლო ნიშნების გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავისას, აქტიურად შეუძლია გამოიყენოს მსო-ს დავების მოგვარების სისტემაც.

მადრიდის პროტოკოლის თანახმად, ქართველ მეწარმეებს „საქატენტის“ მეშვეობით შეუძლიათ ერთი განაცხადით მოახდინონ თავიანთი სასაქონლო ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაცია ნებისმიერ ქვეყნაში, ან ერთდროულად ქვეყნათა ჯგუფში. მიუხდავად ასეთი უპირატესობისა, 1998 წლის აგვისტოდან დღემდე „საქატენტში“ ქართველ მეწარმეთა არც ერთი განაცხადი არ შესულა. შესაბამისად არ არსებობს სარჩელის აღძვრისა და არსებული დავის ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვეტის იურიდიული საფუძველი.

ამავე დროს, პროდუქციის ფალსიფიკაციასთან ბრძოლა უნდა გაძლიერდეს საქართველოს შიდა ბაზარზეც. პირველ რიგში, ეს ეხება იაფეთიან, გაყალბებული სასაქონლო ნიშნებით განხორციელებულ იმპორტს. გაყალბებული ფასებით იმპორტის აღკვეთას ხელს შეუწყობს აგრეთვე მსო-ს შეთანხმება „საბაჟო ღონისძიებების შეფასების შესახებ.“

ლელა კოკალევიშვილი,
საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური
სამსახურის იურიდიული სამმართველოს უფროსი.



ნანა კურუა

დაუსწრებელი წარმოების როლი სამოქალაქო პროცესში

სამოქალაქო პროცესში დაუსწრებელი წარმოებას დიდი ხნის ისტორია არა აქვს. მის შემოღებამდე დავის არსზე გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელი იყო მხოლოდ შეჯიბრებითობის საფუძველზე. რომელიმე მხარის გამოცხადებლობა ქმნიდა დაბრკოლებას საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოსატანად. ეს პრაქტიკაში მრავალ სირთულეს წარმოშობდა. ამიტომ საჭირო ხდებოდა ძველი ღოგმების თანდათანობით შეცვლა, კანონმდებლობით იმის აღიარება, რომ სასამართლოს შესაძლებლობა მისცემოდა რომელიმე მხარის დაუსწრებლად დაემთავრებინა საქმის წარმოება. დაუსწრებელი წარმოება სამოქალაქო პროცესში პირველად შემოიღეს ფრანგულ სამართალში /ordination, 1667წ./. უმრავლეს შემთხვევაში სასამართლოზე გამოცხადებისაგან თავის არიდებას ადგილი ჰქონდა მოპასუხის მხრიდან. გერმანულ /1877წ./ და შემდგომში ავსტრიულ /1895წ./ პროცესში დაუსწრებელმა წარმოებამ მიღო განვითარება იმ კუთხით, რომ იგი უკვე გამოიყენებოდა მოსარჩელის მიმართაც. დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც დადგენილი იყო ცალმხრივი მასალების საფუძველზე, შეიძლებოდა გაუქმებულიყო მოწინააღმდეგე მხარის განცხადებით, რათა მას საშუალება მისცემოდა მონაწილეობა მიეღო პროცესში და არ დარღვეულიყო შეჯიბრებითობის პრინციპი.

რუსეთის 1649 წლის წესდებით მოპასუხეს გამოცხადებლობისათვის გდებოდა სხეულებრივი სასჯელი, ხოლო არასაპატიო მიზეზით მესამედ გამოცხადებლობის შემთხვევაში ბრალს სდებდნენ სასამართლოს გარეშე. დანიშნულ ვადაში არასაპატიო მიზეზით პასუხის წარუდგენლობისას საქმე

წყდებოდა მასში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე. სასამართლო პრაქტიკაში მოპასუხის გამოცხადებლობა ითვლებოდა ბრალის აღიარებად და გადაწყვეტილება დგინდებოდა მის წინააღმდეგ. ამ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლებოდა მხოლოდ აპელაციის წესით. სავაჭრო სამართლწარმოებით მოპასუხის დაუსწრებლად დადგენილი გადაწყვეტილება ითვლებოდა ჩვეულებრივ გადაწყვეტილებად.

რუსეთის 1864 წლის სასამართლო წესდებაში შემოიღო დაუსწრებელი წარმოება ფრანგული წესდების ნიმუშის მიხედვით. თუკი მოპასუხე საერთოდ არ გამოცხადდებოდა, ან გამოცხადდებოდა სასამართლო სხდომის დროს, სასამართლო აღგენდა დაუსწრებელ გადაწყვეტილებას. ისევე როგორც ფრანგული წესდებით, გადაწყვეტილება par default დგინდებოდა მტკიცებულებათა განხილვის გარეშე. სასამართლო აკუთვნებდა მოსარჩელეს მხოლოდ მის მიერ დადასტურებულ მოთხოვნებს, ე.ი. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დადასტურებულ მოთხოვნებს.

რუსეთის 1890 წლის 12 ივნისის კანონით, დაუსწრებლად საქმის განხილვის და გადაწყვეტის მოთხოვნის უფლება, რაც დადგენილი იყო მხოლოდ მოპასუხის წინააღმდეგ 1864 წლის წესდებით, გავრცელდა მოსარჩელეზეც, რაც წინგადადგმული ნაბიჯი გახდა. მოსარჩელის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ, როცა იგი წარმოადგენდა იმავდროულად მოპასუხესაც, ე.ი. შეგებებული სარჩელის დროს.

დაუსწრებელ წარმოებას იცნობს რუსეთის მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსიც. ამ



კოდექსში დაუსწრებელ გადაწყვეტილებას ეთ-
მობა 16¹ თავი. დაუსწრებელი გადაწყვეტილებ-
ის გამოსატანად აუცილებელია განსაზღვრული
პირობების დაცვა. ჯერ ერთი, მოპასუხე სა-
თანადოდ უნდა იყოს ინფორმირებული სასამართ-
ლო სხდომის დროსა და ადგილის შესახებ და
საქმეში უნდა იყოს შესაბამისი ცნობები, მეო-
რეც, მოსარჩელე თანახმა უნდა იყოს დაუსწრებელ
გადაწყვეტილებაზე. სასამართლო, იხილავს რა
საქმეს დაუსწრებელი წარმოების წესით, იკვ-
ლებს მტკიცებულებებს, წარმოდგენილს მხარეების
მიერ საქმის აღმვრისას, მისი მომზადების დროს
უშალოდ სასამართლო სხდომაზე, ითვალ-
ისწინებს მხარეთა დასკნებს და შუამდგომლობებს
და ამ მასალების საფუძველზე გამოაქვს გადაწ-
ყვეტილება, რომელიც იწოდება დაუსწრებელ
გადაწყვეტილებად. რფ სსკ 213³-ე მუხლის მე-
ორე ნაწილი ითვალისწინებს დაუსწრებელ წარ-
მოებაში მოსარჩელის უფლებათა ზოგიერთ
შეზღუდვას, მაგ., მოსარჩელე, რომელიც თანახ-
მა დაუსწრებელი გადაწყვეტილების დადგენაზე,
მოკლებულია შესაძლებლობას, შეცვალოს სარ-
ჩელის საგანი ან საფუძველი, გაზარდოს სასარ-
ჩელო მოთხოვნების მოცულობა. რფ მოქმედი
კანონმდებლობის თანახმად, მიუხედავად დაუსწრე-
ბელი წარმოების შემოკლებული პროცედურისა,
იგი ისევე უნდა გადმოიცეს, როგორც ჩვეუ-
ლებრივი განხილვის შედეგად გამოტანილი გადა-
წყვეტილება. მისი რეკვიზიტები და გადმოცემის
თანმიმდევრობა მოცემულია სსკ 197-ე მუხლში.
დაუსწრებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო
ნაწილთან დაკავშირებით რფ სსკ 213⁴ მუხლი
შეიცავს სპეციალურ დამატებას. სასამართლოს
ჩვეულებრივი დასკნების გარდა სარჩელის დაკ-
მაყოფილების ან სარჩელზე სრულად ან ნაწილო-
ბრივ უარის თქმის, სასამართლო ხარჯების გა-
ნაწილების, საკასაციო გასაჩივრების ვადისა და
წესის შესახებ, მითითებული უნდა იყოს აგრეთვე
გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ განცხა-
დების შეტანის ვადა და წესი. რფ-ში დაუსწრებე-
ლი გადაწყვეტილების სპეციფიკური თავისებურე-
ბა ისაა, რომ მისი გასაჩივრებისათვის მოპასუხეს
აქვს ორი საშუალება /განცხადება ამ დაუსწრებე-
ლი გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ იმავე
სასამართლოში და საკასაციო საჩივარი/, ხოლო
მოსარჩელეს— ერთი / საკასაციო საჩივარი/.

ფრანგული პროცესის თანახმად, დაუსწრებე-
ლი წარმოების არსი მდგომარეობს იმაში, რომ
სასამართლო გადაწყვეტილება გამოიტანება სასა-
მართლოში მოპასუხის გამოუცხადებლობის ან
პროცესში მონაწილეობისაგან თავის არიდების
დროს. ზოგადი წესით, მოსარჩელის გამოუცხა-
დებლობა არ იწვევს დაუსწრებელი წარმოების
წესის გამოყენებას. სასამართლო სტატისტიკა
მოწმობს, რომ საფრანგეთის სამოქალაქო ტრი-
ბუნალში სასამართლო გადაწყვეტილებათა ნახ-
ევარზე ოდნავ მეტი გამოტანილია დაუსწრებე-
ლი წარმოების წესით. საფრანგეთის სამოქალაქო
საპროცესო კოდექსი არ განიხილავს სასამართ-
ლოში მოპასუხის გამოუცხადებლობას, როგორც
მის მიერ სარჩელის აღიარებას და არ აღჭურავს
მოსარჩელეს ფართო საპროცესო უფლებებით,
პროცესში მონაწილეობისაგან მოპასუხის მიერ
თავის არიდების შემთხვევაში. სასამართლოში
მოპასუხის გამოუცხადებლობის ერთადერთი
შედეგია გადაწყვეტილების გამოტანა საქმის
განხილვაში მოპასუხის მონაწილეობის გარეშე,
მაგრამ სასამართლო არ თავისუფლდება სარ-
ჩელზე შეკრებილი მტკიცებულებების განხილ-
ვისაგან და სასარჩელო მოთხოვნების დასაბუქ-
ბულობის შემოწმებისაგან. მიუხედავად მოპასუხის
გამოუცხადებლობისა, გადაწყვეტილების გამო-
ტანა ხდება ფორმალურად ჩატარებული სასა-
მართლო განხილვის შემდეგ.

1935 წელს საფრანგეთში მიღეს კანონი
დაუსწრებელი წარმოების შესახებ, რომლის
დებულებებიც ჩართულია სამოქალაქო საპრო-
ცესო კოდექსში და შეადგენდა ამჟამად მოქმედი
სსკ-ის 149-165-ე მუხლებს. 1935 წლის კანო-
ნის მიღებამდე დაუსწრებელი წარმოების წესით
გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელი იყო
ორ შემთხვევაში: 1. მოპასუხის გამოუცხადე-
ბლობისას /default fautede/ Comparaire და
2. მოდავე მხარეების მიერ საქმეზე საჭირო გან-
მარტებების წარუდებენლობისას /defaut fautede
conclure/. აღნიშნული კანონით დაუსწრებელი
გადაწყვეტილების გამოტანა მეორე საფუძვლით
გაუქმდა. სსკ 149-ე მუხლით, დაუსწრებელი
გადაწყვეტილება გამოიტანება მოსარჩელის თხ-
ოვნით იმ შემთხვევაში, თუკი მოპასუხის მხრი-
დან სასამართლოს სხდომის დღისათვის არაა
დანიშნული სასამართლო რწმუნებული. ამრიგად,

მოპასუხის მიერ სასამართლო რწმუნებულის დანიშვნა გამორიცხავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების დადგენას.

დაუსწრებელი წარმოების დროს სამოქალაქო ტრიბუნალი ვალდებულია განიხილოს მოსარჩელის მიერ წარმოებული სასარჩელო მოთხოვნები და დაკავშირებულოს ისინი იმ შემთხვევაში, თუკი წარმოადგენენ „სამართლიანს და დასაბუთებულს“ /justes et bien fies/. სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს მოსარჩელისაგან შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა.¹ სასამართლოს აქვს შესაძლებლობა გადადოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა შემდგომ სასამართლო სხდომამდე. კომერციულ სასამართლოში დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით გამოიყენება ძირითად იგივე დებულება, რომლითაც განისაზღვრება შესაბამისი საკითხები სამოქალაქო ტრიბუნალში.

აშშ-ში სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა დაუსწრებელი წარმოების წესით გათვალისწინებულია სამოქალაქო პროცესის ფედერალური წესების 55-ე მუხლით. მის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას აქვს ადგილი, თუკი მოპასუხე თავს არიდებს პროცესში მონაწილეობას. წესები არ მიუთითებს, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატება თავის არიდება მოპასუხის მხრიდან, მაგრამ 37-ე მუხლი ითვალისწინებს ორ კონკრეტულ შემთხვევას, რომელთა დროსაც მოპასუხის მიერ თავისი პროცესუალური მოვალეობების შეუსრულებლობისათვის სანქცია შეიძლება იყოს დაუსწრებული გადაწყვეტილების გამოტანა. ორივე შემთხვევა მიუკუთვნება მოპასუხის უარს, გაამჟღავნოს საქმისათვის არსებითი გარემოები /refusal to make discovery/ და მდგომარეობს იმაში, რომ თუკი შესაბამისი დებულების არსებობისას მოპასუხე უარს განაცხადებს მის წინაშე დასმულ საკითხებზე პასუხის გაცემაზე, არ წარმოადგენს დოკუმენტებს ან რაიმე ნივთს დასათვალიერებლად /მ. 37, პარ. „B“ /iii/ ან განზრახ განაცხადებს უარს ჩვენების მისაცემად შესაბამის თანადებობის პირთა გამოცხადებაზე ან უარს იტყვის საერთოდ ჩვენების მიცემაზე/მ. 37, პარ. „d“/.

¹ Cuche, Precis de procedure civile et commerciale, გვ.358.

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნული იყო, რომ მეორე მსოფლიო ომამდე ინგლისის უზენაესი სასამართლოს სამეფო სკამის განყოფილების გადაწყვეტილებათა რაოდენობის ნახევარზე შეტი დაუსწრებელი იყო.² ომის შემდგომი პერიოდის მონაცემები კიდევ უფრო შთამბეჭდავას: 1981 წელს სამეფო სკამის განყოფილებაში გამოტანილი იყო სულ 9 2103 გადაწყვეტილება, მათგან 2081 – სრული სასამართლო განხილვის შემდეგ, 76754 – დაუსწრებელი წარმოების შედეგად. საგრაფოთა სასამართლოში 99 6739 გადაწყვეტილებიდან 566485 იყო დაუსწრებელი.³

ინგლისში დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება მიმართული იყოს მოპასუხის ან მესამე პირის წინააღმდეგ მოპასუხის მიერ მისადმი პრეტენზიების წაყენებისას. დაუსწრებელი გადაწყვეტილების დაშვების საფუძველია მოპასუხის ან მესამე პირის მიერ ზოგიერთი პროცესუალური მოქმედების შეუსრულებლობა.

არსებობს თეზისი, რომლის თანახმადაც ინგლისში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მოტივების რიცხვს მიეკუთვნება სასამართლოს სხდომაზე მხარეთა გამოცხადებლობა,⁴ თუმცა, ნორმატიული აქტები ადგენენ რა ასეთი გამოცხადებლობის შედეგებს, ტერმინს „დაუსწრებელი გადაწყვეტილება“ არ იყენებენ.

იტალიის მოქმედი კანონმდებლობით დაშვებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა როგორც მოსარჩელის, ასევე მოპასუხის დაუსწრებლობისას.⁵ სსკ-ის 292-ე მუხლი ეხება ღონისძიებების შეტყობინებას სასამართლოში გამოცხადებელი მხარისათვის, 293-ე მუხლი კი განსაზღვრავს სასამართლოში გამოცხადებელი პირის უფლებებს. კანონში /მ. 290/ აღნიშნულია, რომ მოსარჩელის დაუსწრებლობა გამოიწვევს 171-ე მუხლით /დაგვიანებული მხარეების უფლებები/ გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას, მოპასუხის მოთხოვნის შემთხვევაში

² Кейлин А. Д., Судоустройство и гражданский процесс капиталистических государств, 1958, ст.164.

³ Judicial Statistics (1981), გვ. 45, 46,73.

⁴ Пучинский В. К., Заочное производство в английском гражданском процессе, ст.87.

⁵ CODICE DI PROCEDURA CIVILE, CAPO VI, art. 290, 291.



სასამართლო გამომძიებელი მეთვალყურეობას უწევს განჩინების აღსრულებას და იძლევა განკარგულებებს, რომლებიც 187-ე მუხლით /სასამართლო გამომძიებელის ღონისძიებები/ არის გათვალისწინებული, სხვარიგად იგი წერილობით ბრძანებას გასცემს, რომ საქმე დაიხუროს და პროცესი წყდება. თუ მოპასუხე არ გამოცხადდება პროცესზე და სასამართლო გამომძიებელი უწყებას ჩათვლის გაუქმებულად, მაშინ იგი მოსარჩევეს უნიშნავს ახალ ვადას. თუ ბრძანება სასამართლოში ხელმეორე გამოცხადების შესახებ კვლავ არ იქნება შესრულებული, მოსამართლე გასცემს ბრძანებას საქმის დახურვისა და პროცესის შეწყვეტის შესახებ. სსკ-ის 307-ე მუხლი ითვალისწინებს პროცესის შეწყვეტის შესაძლებლობას მხარეების უმოქმედობის გამო.

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსითაკ დაშვებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა როგორც მოსარჩევის, ასევე მოპასუხის მიმართ /§330-331/. საამისოდ უნდა არსებოდეს შესაბამისი წინაპირობები.⁶ §330 ითვალისწინებს, რომ თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩევე, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სარჩელზე უარის თქმის შესახებ. §331-ის თანახმად, თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე და მოსარჩევე ითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ჩაითვლება დამტკიცებულად. თუკი მხარე გამოცხადდება პროცესზე, მაგრამ მონაწილეობას არ მიიღებს საქმის განხილვაში, ითვლება, რომ იგი არ გამოცხადებულა /§333/. §335 ითვალისწინებს სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობის შემთხვევებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა დაუსწრებელი წარმოება შემოიღო 1999 წლის 15 მაისიდან, სასამართლო რეფორმის განხორციელების შემდეგ. სასამართლოებს საშუალე-

ბა მიეცათ ეფექტიანად გამოიყენონ კანონის ეს სიახლე სამოქალაქო საქმეთა განხილვის გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად, შეიძლება ითქვას, რომ ამ ინსტიტუტის როლი ჯერჯერობით არ არის გამოკვეთილი საქმეთა საერთო რაოდენობაში. პრაქტიკაში ნაკლებად არის დანერგილი სამოქალაქო საქმეთა განხილვა მოსარჩევის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებით. 1999 წლის მაისიდან დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ გამოიტანა 731 გადაწყვეტილება, აქედან დაახლოებით 45 დაუსწრებელია; 1999 წლის მაისიდან გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში გამოტანილი 2302 გადაწყვეტილებიდან 83-ია დაუსწრებელი. თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა სხვა რაიონულ სასამართლოებშიც. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ დაუსწრებელი წარმოება ჯერ კიდევ უკან დაინერგა სათანადოდ სასამართლო პრაქტიკაში. მიგვაჩნია, რომ სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში უფრო ეფექტიანად უნდა დაინერგოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის პრაქტიკა.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ახალი ინსტიტუტის შემოღება სათანადოდ უკან აისახა სასამართლოს სტატისტიკაში. სტატისტიკურ მონაცემებში იგი ცალკე გრაფად არ არის გამოყოფილი, რაც შეუძლებელს ხდის გაირკვეს ამ ინსტიტუტის როლი სასამართლო პრაქტიკაში. ვფიქრობთ, სტატისტიკამ ზუსტად უნდა დააფიქსიროს დაუსწრებელ გადაწყვეტილებათა გამოტანა, როგორც ეს მსოფლიოს ყველა ქვეყანაშია, სადაც ასეთი წარმოება არსებობს.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა გამარტივებული წესით არ ამცირებს მისი, როგორც მართლმსაჯულების აქტის მნიშვნელობას. იგი ითვლება კანონიერ ძალაში შესულ ჩვეულებრივ გადაწყვეტილებად, რომელიც იურიდიული ძალის მქონეა ყველა ვალდებული პირისათვის.

ნანა ყერსა,
თსუ-ს სამოქალაქო სამართლის კათედრის ასპირანტი.

⁶ იხ. Zoller zivilprozeßordnung, 16 Auflage, verlag dr. Otto Schmidt KG. Köln, 1990; Thomas - Putzo. zivilprozeßordnung, 18., neubearbeitete Auflage, München, 1993.

სისხლის საქართალი, კოიძინოლოგია

ანზორ გაბიანი, დალი ლეინეფაძე

მოზარდის შორის მავნე ჩვევების ბაზრცელების სამედიცინო-სოციალური საკითხები



ინამდებარე წერილში განხილულია მოზარდთა შორის ისეთი მავნე ჩვევების გავრცელების პრობლემა, როგორიცაა თამბაქოს წევა, სპირტიანი სასმელების ხმარება, ნარკოტიკული საშუალებებისა და ტოქსიკური ნივთიერებების მიღება საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის მაგალითზე. ამ პრობლემის კვლევის აუცილებლობა მისმა განსაკუთრებულმა აქტუალობამ გვიკარნახა, რადგან, როგორც ცნობილია, მთელს ცივილიზებულ სამყაროში ამ მავნე ჩვევებმა უკანასკნელ დროს მოზარდებში განსაკუთრებით ფართო გავრცელება პოვა და სწორედ ამიტომ არის იგი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთი საჭიროობო ფორმა მთელს მსოფლიოში. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი.

ვიდრე საკითხის არსებით განხილვას შევუდებოდეთ, გვსურს გულწრფელი მადლობა მოვახსენოთ საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, ბატონ ავთანდილ ჯორბენაძეს, რომელმაც ფასდაუდებელი დახმარება გაგვიწია ამ საკმაოდ ფართო მასშტაბის გამოკვლევის დაფინანსებასა და ჩატარებაში.

გამოკვლევისათვის ინფორმაციის შეგროვება დაიწყო 1998 წლის ბოლოს და თითქმის მთელი წელიწადი გაგრძელდა.

ამ მიზნით სპეციალურად შემუშავებული კითხვარის მეშვეობით სულ საქართველოში გამოიკითხა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ორივე სქესის მე-10—მე-11 კლასის 3461 მოსწავლე პროგრამის მოთხოვნათა შესაბამისად გამოკვლ-

ევამ მოიცვა საქართველოს ქალაქებში მცხოვრები მოზარდები, რადგან ეს მავნე ჩვევები, განსაკუთრებით კი ნარკოტიკული საშუალებებისა და ტოქსიკური ნივთიერებების ხმარება, სწორედ ქალაქის მოსახლეობაშია უფრო გავრცელებული.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 3461 მოსწავლიდან ქ. თბილისში გამოიკითხა 2004 ანუ 57,9%, ქუთაისში – 516 ანუ 14,9%, ბათუმში – 316 ანუ 9,1%, რუსთავში – 226 ანუ 6,5%, გურჯაანში – 171 ანუ 4,9%, ფოთში – 144 ანუ 4,2%, გორში – 84 ანუ 2,4%. ცნობილი მიზეზების გამო გამოკითხვა არ ჩატარებულა სოხუმსა და ცხინვალში, რამაც გარკვეულწილად „გააღარიბა“ მისი გეოგრაფია.

სოციალური წარმოშობის მიხედვით მოსამსახურების წრიდანაა 2276 მოზარდი ანუ 65,8%, მუშების წრიდანაა 710 ანუ 20,5%, დანარჩენი 474 ანუ 13,7% იზრდება თავისუფალი პროფესიის აღამისნების, ბიზნესმენების, კლექტების, სასულიერო პირებისა და სხვა ოჯახებში. მოსამსახურების წრიდან გამოსული მოზარდების ასეთი მაღალი ხვედრითი წილი იმან განაპირობა, რომ გამოკითხვა ქალაქებში ჩატარდა, სადაც, ბუნებრივია, მაღალია მოსამსახურეთა ხვედრითი წილი.

რაც შეეხება გამოკითხულთა სქესს, გოგონებმა შეადგინა 1825 ანუ 52,7%, ხოლო ვაჟებმა – 1636 ანუ 47,3%. დასასრულ, 14 წლისაა რესპონსტებიდან სულ 6 პირი ანუ 0,2%, 15 წლისაა – 729 ანუ 21,1%, 16 წლისაა – 1829 ანუ 52,9%, 17 წლისაა 73 ანუ 25,2% და 18 წლისაა – 24 ანუ 0,7%. ამგვარად, გამოკითხ-

ულთა მირითადი მასა – 99,3% 17 წლის ასაკს არ არის გადაცილებული.

თუ სწორად შევაფასებთ ამ მონაცემებს, გვაქვს საფუძველი დავასკვნათ, რომ გამოკვლევის პროცესში შეგროვებული ინფორმაცია სრულიად რეპრეზენტატიულია, ამიტომ გამოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია სწორი დასკვნების გაკეთება. ამასთან ერთად, გამოკითხულია მოსწავლე-აზალგაზრდობის სოციალურად ყველაზე ჯანსაღი ნაწილი, რომელიც კარგი სწავლითა და ქცევით უნდა ხასიათდებოდეს, ამიტომ მათში ნაკლებად უნდა იყოს გავრცელებული ყოველგვარი მავნე ჩვევა, განსაკუთრებით კი ნარკოტიკული საშუალებების თუ ტოქსიკური ნივთიერებების ხმარება.

აქვე უნდა აღვნიშოთ, რომ გამოკვლევის პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე სკოლიდან განთესილი ამავე ასაკის მოზარდების გამოკითხვას იგივე პარამეტრებით, მაგრამ ეს სამუშაო ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. საბოლოოდ გამოიკითხება ამ კატეგორიის დაახლოებით 350 მოზარდი (გამოკითხულ მოზარდთა 10%). მოზარდთა ეს კონტინგენტი გამოკვლევის საბოლოო შედეგების ანალიზისა და განზოგადების პროცესში შეფასდება როგორც საკონტროლო ჯგუფი იმ სრულიად საფუძვლიანი ვარაუდის შესაძლებლად, რომ მათ შორის მავნე ჩვევები მნიშვნელოვნად უფრო ფართოდ უნდა იყოს გავრცელებული, ვიდრე ჩვენს მიერ გამოკითხულ მოსწავლეთა ერთობლიობაში, რომელიც შემთხვევითი შერჩევის პრინციპით განისაზღვრა.

გარდა მასალის სტატიისტიკური გათვლისა, ვაწარმოებთ ორფაქტოროვან ანალიზს სქესის, ასაკის, აკადემიური მოსწრებისა და სხვა პარამეტრების მიხედვით, რაც, ალბათ, საკმაოდ საინტერესო შედეგებს მოგვცემს. მათი სრული განხილვა შეუძლებელია საუკუნალო სტატიის მოცულობის შეზღუდულობის გამო, ამიტომ მხოლოდ სტატიისტიკური გათვლის შედეგების გარკვეული ნაწილის მოკლედ გადმოცემით შემოვიდარგლებით.

შეკითხვაზე, თუ მათი თანაკლასელების, მეგობრების, ამხანაგების რა ნაწილი ეწევა თამ-

ბაქოს, რესპონდენტებმა შემდგენაირად გვიპასუხეს: ყველა – 1,7%, უმცირესობა – 31,5%, ნახევარი – 18,1%, უმცირესობა – 27,7%, არავინ – 6,2%, მინელდება პასუხის გაცემა – 14,8%, ამგვარად, გამოკითხულთა 51,3%-მა აღნიშნა, რომ მათი თანაკლასელების, მეგობრების, ამხანაგების ნახევარი და მეტი ეწევა თამბაქოს და მხოლოდ 6,2%-მა, რომ თამბაქოს არ ეწევა არც ერთი მათგანი. ამასთან, გამოკითხულთა 1/3-მა (31,5%-მა) აღიარა, რომ თვითონ ეწევა თამბაქოს.

რაც შეეხება იმას, თუ გამოკითხულ მოსწავლეთა თანაკლასელების, მეგობრების, ამხანაგების რა ნაწილი სვამს სპირტიან სასმელებს, აქ შემდეგი სურათი გამოიკვეთა: ყველა – 8,1%, უმცირესობა – 28,2%, ნახევარი – 18%, უმცირესობა – 25,6%, არავინ – 3,9%, მინელდება პასუხის გაცემა – 18,2%. შემდეგ შეკითხვაზე, სვამთ თუ არა თქვენ სპირტიან სასმელებს, დადგებითი პასუხი გაგვა 71,8%-მა.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ წესიერი მოსწავლეებისათვის სრულიად შეუფერებელია თამბაქოს წევა და სპირტიანი სასმელების ხმარება, მათი საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ეწევა და სვამს კიდეც, თანაც სმა მათ შორის მნიშვნელოვნად უფრო ფართოდ არის გავრცელებული, ვიდრე თამბაქოს წევა.

ყოველივე ეს, ბუნებრივია, ნეგატიურ შეფასებას იმსახურებს და ამ მავნე ჩვევათა მოსწავლეებში საკმაოდ ფართოდ გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა აქტივიზაციის აუცილებლობას გვიკარნაზებს.

ამასთან, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თამბაქოს წევა და სპირტიანი სასმელების ხმარება მთელს დედამიწაზე და საქართველოშიც უკვე ისე ფართოდ არის გავრცელებული, რომ ზნეობრივი გასაკიცხობის და მავნე შედეგების სიმძიმის თვალსაზრისით არ შეიძლება შევადაროთ ნარკოტიკული საშუალებებისა და ტოქსიკური ნივთიერებების მიღებას. სწორედ ამიტომა, რომ მოუხედავად მათი ადამიანის ორგანიზმზე მავნე ზემოქმედებისა, ხოლო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გაფრთხ-

იღება, რომ თამბაქოს წევა მაგნებელია, სამ-
წუხაროდ, დიდ პროფილაქტიკურ ეფექტს არ
იძლევა.

აქედან გამომდინარეობს, რომ თუმცა ჩვენ არ
უნდა შევეგუოთ მოსწავლეებს შორის თამბაქოს
წევისა და სპირტიან სასმელების მიღების მეტ-
ნაკლებად ფართოდ გავრცელებას, პირველ რიგ-
ში, მათი ასაკობრივი ქცევის ნორმებიდან გა-
მომდინარე, მაგრამ არ შეგვიძლია ეს მავნე ჩვევები
სოციალური საშიშროების, ზნეობრივი გადაგ-
ვარებისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყ-
ენების თვალსაზრისით გავაიგივოთ ნარკოტიკუ-
ლი საშუალებების და ტოქსიკური ნივთიერებე-
ბის ხმარების დამტკიცებულ ჩვენებთან.

სწორედ ამიტომ ამ საკითხების გარკვევას გამოკვლევის პროცესში განსაკუთრებით დღიდი მნიშვნელობა ეძლევა და მათ ჩვენს მუშაობაში ცენტრალური ადგილი ეთმობა.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ჯერ კიდევ სოციალურად მოუმწიფებელ მოსწავლებით განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს ისეთ დელიკატურ საკითხებზე საუბარი, როგორიც მათი ნარკოტიკულ საშუალებებთან მიმართებაა, ამიტომ ეს საუბარი საკმაოდ შორიდიან დავიწყეთ.

კერძოდ, მათ, პირველ რიგში, ვკითხეთ, სმენიათ თუ არა, რომ დღეს მოსწავლების გარკვეული ნაწილი იღებს ნარკოტიკულ საშუალებებს, რაზედაც დიდმა უმრავლესობამ 73,1%-მა დადგენითი პასუხი გაგვცა. ამის შემდეგ იმ რესპონდენტებს, ვისაც სმენია, რომ მოსწავლეებში ადგილი აქვს ნარკოტიკული საშუალებების მიღების ფაქტს, ვკითხეთ აზრი იმის შესახებ, თუ ეს მავნე ჩვევა რამდენად ფართოდ არის გავრცელებული და შემდეგი პასუხი მივიღეთ: ძალიან ფართოდ – 7,2%, ფართოდ – 18,9%, არც თუ ისე ფართოდ – 32,1%, მიმნელდება პასუხის გაცემა – 42%.

ამ პასუხის ანალიზის საფუძველზე საკმაოდ საინტერესო და სწორი სურათი იკვეთება. კერძოდ, რადგან ჩვენს მიერ გამოკითხულ მოსწავლეთა მეტ ნაწილს, საბედნიეროდ ჯერ მაინც

არა აქვს უშეალო შეხება ნარკოტიკულ ნივ-
თიერებებთან და მათ მომხმარებლებთან, ისინი
ბუნებრივია, მსჯელობები მოარყოლი ხმების ან,
თუ სხვა სიტყვებით ვიტყვით, კულუარებში
გავრცელებული მოსაზრების საფუძველზე.
სწორედ ამიტომ მათგან თითქმის ნახევარი (42%)
ამბობს, რომ უძნელდება კონკრეტულად უპა-
სუხოს დასმულ კითხვას.

მთავარ საკითხთან თანდათან მიახლოების
მიზნით, რესპონდენტებს ვკითხეთ – „ცნობილია
თუ არა თქვენთვის დანამდვილებით თქვენი თანაკ-
ლასელების, მეგობრების, ამხანაგების მიერ ნარკო-
ტიკული საშუალებების მიღების ფაქტები“, რაზე-
დაც დადებითი პასუხი მოგვცა უკვე გამოკითხ-
ულთა სულ 17,9%-მა. რადგან კითხვარის
შეღენისას ვითვალისწინებთ, რომ ამ საკმაოდ
პირდაპირ დასმულ კითხვას შეეძლო „დაეფრთხო“
ჩვენი ჯერ კიდევ ცხოვრების გამოცდილებას
მოკლებული რესპონდენტები, რომელთა მნიშ-
ვნელოვანი ნაწილი საზოგადოდაც ამ გამოკითხვას
საკმაოდ ფრთხილად ეკიდებოდა, შემდეგი შე-
კითხვა გარკვეულწილად საკონტროლო კითხ-
ვის სახით ჩამოყალიბდა.

კერძოდ, შეკითხვაზე, მოხვედრილნართ თუ არა ისეთ წრეში, საღაც იღებენ ნარკოტიკულ საშუალებებს, ჩვენმა ოგეპოლენტებმა შემდეგ-ნაირად გვიპასუხეს: ძალიან ხშირად – 2,2%, ხშირად – 4,8%, იშვიათად – 12,7%, ძალიან იშვიათად – 20,1%, არასოდეს – 60,1%. ამგ-ვარად, გარკვეული მნიშვნელობით ამ საკონ-ტროლო კითხვამ, რომელსაც პირობითად „კითხ-ვა-ხაფანგიც“ შეიძლება ეწოდოს, გვიჩვენა, რომ გამოკითხულ მოსწავლეთა საკმაოდ მნიშვნელო-ვანი ნაწილი ფლობს სარწმუნო ინფორმაციას მათ წრეში ნარკოტიკული საშუალებების მოხ-მარების შემთხვევების შესახებ.

შეკითხვაზე, თუ მათ წრეში რომელ ნარკოტიკულ საშუალების მიღებას აქვს ადგილი, რესპონდენტებმა შემდეგნაირად გვიპასუხეს: ჰაშიშის (პლანის) – 91,7%, მორფის – 6,2%, ჰეროინის – 6,1%, კოკაინის – 6%, კოდეინის (აბებში) – 5,6%, ოპიუმის – 4,3%, კოკნარის

– 1,8%, „ექსტაზის“ – 1,5%, კოდეინის ფხვნილის – 1,4% და ა.შ.

შემდეგ შეკითხვაზე, უხმარიათ მათ პირადად თუ არა რომელიმე ნარკოტიკული საშუალება, რესპონდენტთა 17,2%-მა დადებითი პასუხი გასცა, რაც ჩვენი გამოკვლევის შედეგების შეფასების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მონაცემია. გამოდის, რომ საქართველოს ქალაქებში მცხოვრებ მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეთაგან თითქმის ყოველ მეექვსეს უკვე აქვს ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების გარკვეული გამოცდილება და თუ ყოველი მათგანი არა, ყოველ შემთხვევაში, საქმაოდ დიდი ნაწილი პოტენციური ნარკომანია.

შედარებისათვის გავიხსენებთ საქართველოში ამ 12-15 წლის წინ ჩატარებული რამდენიმე მსგავსი გამოკვლევის შედეგებს, რომელთა მიხედვითაც გამოსაშვები და გამოსაშვების წინა კლასების მოსწავლეთა მხოლოდ 2-5%-ს ჰქონდა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების გარკვეული პრაქტიკა. იგივე ითქმის 1988-1989 წ.წ. ანალოგიურ საკავშირო გამოკვლევის შედეგებზე, რომელმაც სსრკ-ს 8 მსხვილი რეგიონი მოიცვა და გამოავლინა, რომ ნარკოტიკებს იმ დროს ხმარობდა მე-9-მე-10 კლასების მოსწავლეთა სულ 2 – 2,5%.

აქედან გამომდინარეობს მეტად მნიშვნელოვანი და სოციალური თვალსაზრისით შემაშფოთებელი დასკვნა, რომ განვლილი პერიოდის მანძილზე კატასტროფულად, დაახლოებით 4-5-ჯერ გაიზარდა საქართველოს ქალაქების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა შორის ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების მასშტაბი. აღნათ იგივე ითქმის საქართველოს შედარებით მცირე დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებ მოსწავლე-ახალგაზრდობაზე, სადაც უფრო ნაკლებად, მაგრამ მაინც საგრძნობლად იქნება მომატებული მოსწავლეთა ნარკოტიკაციის დონე.

სურათს კიდევ უფრო ამძიმებს ის გარემოება, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში ვინილავთ მოსწავლე ვაჟებისა და გოგონების ნარკოტიზაციის ჯამურ მონაცემებს, ამიტომ კიდევ უფრო დაამძიმებს

სიტუაციას ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციის ორფაქტოროვანი ანალიზი სქემის მიხედვით. კერძოდ, ჩვენი საფუძვლიანი ვარაუდით აღმოჩნდა, რომ მოსწავლე ვაჟებში ნარკოტიზაციის დონე კიდევ უფრო მაღალი იქნება, რადგან, საბედნიეროდ, საქართველოში გოგონები, ყოველ შემთხვევაში ჯერ კიდევ, ბევრად უკეთესი ქცევით ხასიათდებიან, ვიდრე ვაჟები, ამიტომ მათ შორის ამ შხრივაც დიდი განსხვავება გამოვლინდება.

ჩვენ აგრეთვე დავინტერესდით იმ საკითხებით, თუ რა სახის ნარკოტიკულ საშუალებებს ხმარობენ ის რესპონდენტები, რომელთაც აღიარეს, რომ უკვე აქვთ მათი მიღების გარკვეული გამოცდილება. აღმოჩნდა, რომ მათგან 94,5% ხმარობს ჰაშიშს (პლანს), 3,9% – ჰეროინს, 3,4% – კოკაინს, 3,7% – კოდეინს აბებში, 2,4% – ოპიუმს, 2% – მორფის, 4,2% – მანაგუას, 1,9% – „ექსტაზს“ და ა.შ.

ამგვარად, ჩვენს მიერ გამოკითხულ მოსწავლეთა იმ ნაწილის დიდი უმრავლესობა (94,5%), ვინც ამა თუ იმ სიხშირით ხმარობს ნარკოტიკულ საშუალებებს, ძირითადად, ჰაშიშს (პლანს) ეტანება, რაც სრულიად ბუნებრივია. საერთოდ ცნობილია, რომ ნარკომანია, უმეტეს შემთხვევებში, სწორედ პლანის მოწევით იწყება ხოლმე, რაც შემდგომში, როგორც წესი, ოპიატების და სხვა სახის ნარკოტიკების მიღებაზე გადასვლით მთავრდება.

შემდეგ შეკითხვაზე, თუ რამდენად ხშირად ხმარობენ ნარკოტიკულ საშუალებებს გამოკითხულები, ასეთი პასუხი მივიღეთ: სისტემატიურად – 1,3%, ძალზე ხშირად – 1,2%, ხშირად – 3,2%, არც თუ ისე ხშირად – 11,6%, იშვიათად – 19,8%, ძალზე იშვიათად – 62,9%. ამგვარად, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენს მიერ გამოკითხულ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნარკოტიზებულ მოსწავლეთა შორის უმეტესობა ნარკოტიკული საშუალებების ეპიზოდურად მომხმარებლების კატეგორიას მიეკუთვნება, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც ნარკოტიკების სისტემატიური მომხმარებლები ანუ ნარკომანები არიან.

ეს გარემოება სრულიადაც არ გვაძლევს დამშ-

კიდების საშუალებას, რადგან, როგორც ეს ჩვენთვის კარგად არის ცნობილი, მოზარდთა ნარკომანიაში ჩაბმა მუდამ ნარკოტიკული ნივთიერებების, საქართველოში კი სწორედ პლანის ეპიზოდური მოხმარებით იწყება ხოლმე.

რესპონდენტებს მიეცა აგრეთვე ისეთი შეკითხვები, რომლებიც ავლენენ მათ დამოკიდებულებას ნარკოტიკული საშუალებებისადმი, ნარკომანის საზოგადოებრივი საშიშროებისადმი და ა.შ. კერძოდ, ყველა გამოკითხულიდან 91,1% მიიჩნევს, რომ ნარკოტიკული საშუალებები უარყოფითად მოქმედებს ჯანმრთელობაზე, 3,7% მიიჩნევს, რომ არა, ხოლო 5,2%-ს უმნელდება პასუხის გაცემა. რაც შეეხება ჩვენი რესპონდენტების მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად დიდია საფრთხე, რომელსაც საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობას უქმნის ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება, შემდეგი სურათი იკვეთება: 68% ამ საფრთხეს აფასებს, როგორც ძალზე დიდს, 17,1% – როგორც დიდს, 4,8% – როგორც არც თუ ისე დიდს, 1,6% – როგორც მცირეს, 0,6% – ვერ ხედავს ვერავითარ საფრთხეს, ხოლო 8%-ს უმნელდება ამ კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა.

ამ პასუხების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობას, ყოველ შემთხვევაში მათ უდიდეს უძრავლესობას, კარგად აქვს გაცნობიერებული ის საფრთხე, რომელსაც ქმნის მოსწავლე-ახალგაზრდობაში ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების გავრცელების დღევანდელი მდგომარეობა, აგრეთვე ის ვნება, რაც ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას მოაქვს ადამიანის ჯანმრთელობისათვის. მიუხედავად ამისა, მათი საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი არა მარტო ეგუება ე.წ. ნარკოტიზირებულ სოციალურ გარემოს, არამედ თვითონ ხმარობს ნარკოტიკულ საშუალებებს და უკვე არის პოტენციური ნარკომანი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნარკომანთა არმიის რეალური რეზერვი.

დასასრულ, რესპონდენტებს მიეცათ კითხვები, რომლებიც ავლენენ მათ დამოკიდებულებას მოს-

წავლე-ახალგაზრდობის მიერ ტოქსიკური ნივთიერებების მოხმარების მიმართ. აქ ჩვენ, პირველ რიგში, იმით დავინტერესდით, სმენიათ მათ თუ არა, რომ უკანასკნელ ხანს ტოქსიკური ნივთიერებების მოხმარებამ განსაზღვრული გავრცელება პოვა საქართველოში მოზარდებსა და ახალგაზრდებს შორის. ამ კითხვაზე 43,5%-მა მოვცა დადებითი, ხოლო 56,5%-მა უარყოფითი პასუხი.

იმათ, ვინც დაადასტურა ტოქსიკური ნივთიერებების მოხმარების გავრცელების ფაქტი საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობაში, მიეცათ კითხვა, თუ მათი აზრით, ეს დღეს რამდენად ფართოდ არის გავრცელებული, რაზედაც შემდეგი პასუხი მივიღეთ: ძალიან ფართოდ – 11,4%, ფართოდ – 35%, არც თუ ისე ფართოდ – 32,1%, მიძნელდება პასუხის გაცემა – 21,5%. ამგვარად, რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი არა მარტო ინფორმირებულია მოსწავლე-ახალგაზრდობაში ტოქსიკური ნივთიერებების მოხმარების გავრცელების შესახებ, არამედ მიიჩნევს, რომ ეს დამღუპველი ჩვევა ძალიან ფართოდ ან ფართოდ არის გავრცელებული (46,4%).

როდესაც კითხეთ, თუ სახელდობრ რომელი ტოქსიკური ნივთიერებების მოხმარება არის უფრო მეტად გავრცელებული მათი თანაკლასელების, მეგობრების, ამხანაგების წრეში, გამოკითხულმა მოზარდებმა, პირველ რიგში, დაასახელეს წებო – 48,3%-მა, შემდეგ ბენზინი – 31,2%-მა, აცეტონი – 27,1%-მა, საღებავები – 11,8%-მა, დიხლოფოსი – 32,2%-მა, სამუხრუჭე სითხე – 1,9%-მა და ა.შ.

ამასთან, დავადგინეთ, რომ ყველა გამოკითხულთაგან 10,2%-სათვის დანამდვილებით არის ცნობილი მათი თანაკლასელების, მეგობრების, ამხანაგების მიერ ტოქსიკური ნივთიერებების მოხმარების ფაქტები. ამასთან, მათგან 14,2%-მა აღიარა, რომ ჰქონიათ შემთხვევა, მოხვედრილიყვნენ თანატოლთა ისეთ წრეში, სადაც ხმარობენ ტოქსიკურ ნივთიერებებს. შეკითხვაზე, თუ სახელდობრ რომელ ტოქსიკურ ნივთიერებებს ხმარობენ მათი თანატოლები, შემდეგი პასუხი

მივიღეთ: წებოს – 60,2%, ბენზინს – 40,4%, აცეტონს – 30,2%, სალებავებს – 11,4%, დიხლოფონს – 3,2%, სამუხრუჭე სითხეს – 3% და ა.შ. ამგვარად, დღევანდელ მოსწავლე-ახალგაზრდობაში ტოქსიკური ნივთიერებებიდან ყველაზე „პოპულარულია“ წებო, ბენზინი და აცეტონი, რაც უდაოდ არის გასათვალისწინებელი პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების დროს.

შემდეგ, გამოკითხულ მოზარდთა არც თუ ისე მცირე ნაწილი – 6,9% (აბსოლუტურ ციფრებში 240 ადამიანი), არა მარტო ინფორმირებულია თანატოლების მიერ ტოქსიკური ნივთიერებების მიღების შესახებ, არამედ თვითონაც ხმარობს ამ ნივთიერებებს. მათგან 50,8% ხმარობს ბენზინს, 46,2% – წებოს, 25,4% – აცეტონს, 12,8% – სალებავებს და ა.შ.

ერთი შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ტოქსიკომანია საქართველოს დღევანდელ მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის ნაკლებ საშიშია, კიდრე ნარკომანია, რადგან რაოდენობრივად ტოქსიკური ნივთიერებების მომხმარებლებს ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლები დაახლოებით 2,5-ჯერ სჭარბობენ. სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარადაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ 10-15 წლის წინ ჩატარებული ანალოგიური გამოკვლევების შედეგების მიხედვით, ტოქსიკური ნივთიერებების მოხმარება საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობაში არ გახვდებოდა. უფრო მეტიც, ქართველი ახალგაზრდობა ტოქსიკური ნივთიერებების მოხმარებას ყოვლად მიუღებლად მიიჩნევდა და სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა იმის წარმოდგენა, რომ რომელიმე ჭკუათმყოფელს აზრად მოუვიდოდა ბენზინით ან აცეტონით თავის გაბრუება.

როგორც ჩვენი გამოკვლევების შედეგები ცხადყოვს, დღეს, სამწუხაროდ, მდგომარეობა კარ-

დინალურად შეიცვალა და ტოქსიკომანია წარმოგვიდგა, როგორც მზარდი სოციალური პრობლემა, რომელიც თავისი სოციალური მნიშვნელობით დიდად არ ჩამოუვარდება ნარკომანიას, ხოლო გარკვეული თვალსაზრისით, მეტი სოციალური საშიშროებითაც კი ხასიათდება.

საქმე ისაა, რომ ნარკოტიკული საშუალებებისაგან განსხვავებით, რომელთა დამზადება, შექნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღება სისხლის სამართლის წესით დასჯადია და ამიტომ მათი შოვნა მეტად გაძნელებულია, თითქმის ყველა ტოქსიკური ნივთიერება ნებისმიერი ადამიანისა და მათ შორის მოზარდებისათვის ადვილად ხელმისაწვდომია. საკმარისია ტოქსიკური ნივთიერებების მოხმარებამ მოზარდებში მზარდი პოპულარობა მოიპოვოს, რომ შემდგომ მეტად გაძნელდეს ტოქსიკომანიის ზრდის შეჩერება.

გამოკვლევის შედეგად ჩვენ მივიღეთ აგრეთვე სხვა ინფორმაცია ტოქსიკური ნივთიერებების მოხმარების მიმართ მოსწავლე-ახალგაზრდობის დამოკიდებულების შესახებ, მაგრამ ჰუბლიკაციის მოცულობის შეზღუდულობის გამო, მათ განხილვას არ შევუდგებით.

რაც შეეხება დასკვნას, რომელიც ამ მასალის ანალიზიდან გამომდინარეობს, იგი ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა, რადგან სურათი, რომელიც ჩვენ მივიღეთ, საკმაოდ მძიმეა. იგი გვიჩვენებს, რომ უკანასკნელ ხანს მოსწავლე-ახალგაზრდობაში ნეგატიურმა მოვლენებმა, ჩვენს შემთხვევაში მავნე ჩვევებმა, პირველ რიგში, ნარკოტიკული საშუალებებისა და ტოქსიკური ნივთიერებების ხმარებამ, საშიშ ზღვარს მიაღწია, რასაც უდავოდ მოჰყვება შორსმიმავალი და ძნელად გამოსასწორებელი მრავალი მძიმე შედეგი, თუ დაუყოვნებლივ არ იქნება მიღებული აღეპვატური ზომები.

ანგორ გაბიანი,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე,
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
ლალი ლვინეგვაძე,
საქართველოს შეს აკადემიის დამნაშავეობის წინააღმდეგ
ბრძოლის პრობლემათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის უფროსი.

განა წიქარიშვილი

ბრალის ბარეში კასუსისმგებლობა ინგლისშრ-ამერიკულ

სისხლის სამართალში – სამართლებრივი ანომალია

თუ რეგულირების უფერტიანი მეშანიზმი*

ამ არალამჭვირი არგუმენტები და გათი კრიტიკა

არაბრალეული პასუხისმგებლობის მხარდამჭერ სხვადასხვა ავტორთა მიერ მოყვანილია ოთხი ძირითადი არგუმენტი, რომლებმაც, თავის მხრივ, მრავალმხრივი კრიტიკა დაიმსახურეს. ეს არგუმენტებია:

1. ბრალდების პრაქტიკული სიადვილე, ე.წ. ადმინისტრაციული ტვირთის (administrative burden) თავიდან არიდება;

2. სასჯელის პრევენციული ხასიათი;

3. „უცოდველი დამნაშავის“ ხატის დამსხვრევა, ანუ პასუხისმგებლობის მორალური დასაბუთება;

4. სასჯელის სიმსუბუქე.

გავაანალიზოთ თითოეული მათგანი.

1. ადმინისტრაციული ტვირთის პრობლემა

„Strict liability“ - ს ზოგიერთი თავგამოდებული დამცველი, მაგალითად, მოსამართლე ოლივერ კენდერ ჰოლმისი ამტკიცებს, რომ არაბრალეული პასუხისმგებლობა ვრცელდება ძირითადად იმ შემთხვევებზე, სადაც ბრალდებისათვის მეტისმეტად ძნელია დაამტკიცოს დამნაშავის რაიმე სახის ფსიქიური დამოკიდებულება მავნე შედეგთან. ამიტომ კანონმდებელმა ამ შემთხვევებში, ნაცვლად არაბრალეულობის პრეზუმუციისა, დაუშვა „ბრალეულობის პრეზუმუცია“, ესე იგი, ბრალი დამნაშავის მხარეზე თავისთავად ივარაუდება. ეს ბრალდებას თავიდან აცილებს უზარმაზარ მტკიცების ტვირთს და ამცირებს პროცესუალურ ხარჯებს.

ეს არგუმენტი strict liability-ის მოწინააღმდეგებს სასაცილოდაც კი არ ჰყოფნით. მკვლევარი ნორმან მორისი მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული ტვირთის პრობლემა თითოებან გამოწოვილია – „თუ ჩვენ ბრალის არარსებობას ამ შემთხვევაში მაინც ვუშვებთ სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებად, მაშინ რა გვიშლის ხელს, რომ იგი დავუშვათ პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად? ანუ, თუ ასეთი მტკიცება ერთი მიზნისთვის დაიშვება, რატომ არ დაიშვება ის მეორისთვის? ბრალდებები ქურდობის საქმეებზე უამრავია, მაგრამ არავის მოსვლია თავში ბრალდების საქმე გაადვილოს ბრალის მტკიცების ტვირთის მოხსნით. სხვათა შორის, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის ინსტიტუტი არა თუ ზოგავს დროსა და საშუალებებს, არამედ უფრო მეტ დროს შთანთქავს იმის სამტკიცებლად, ვრცელდება თუ არა იგი მოცემულ შემთხვევაზე“ (Norval Morris and Colin Howard , Studies in Criminal Law).

2. „Strict liability“ - ს მომხრეები ყველაზე მძლავრ საყრდენს არაბრალეული პასუხისმგებლობის ეფექტიანობაში და მის პრაქტიკულ საჭიროებაში ხდავენ. კურძოდ, მათი აზრით, ბიზნესის სწრაფი განვითარების ეპოქაში, სადაც ერთი ადამიანის საქმიანობა ათასობით ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას უკავშირდება, სადაც „საკვების ფართო განაწილება იქცევა საფრთხის ფართო განაწილების წყაროდ, არაბრალეულ პასუხისმგებლობაზე კონსტრუირებული შემადგენლობები უფრო მძლავრ პრევენციულ და რეგულაცი-

* დასასრული. დასაწყ. იხ. ურნ. „სამართალი“, 2000, №1.

ურ როლს შეასრულებუნ, ვიდრედაუდევრობაზე კონსტიტუირებული ნორმები. ესე იგი, კანონმდებელი საფრთხის წყაროებთან შეხებაში მყოფი პირებისაგან მოითხოვს არა მხოლოდ წინდაზღულობის, არამედ „ზეონივრული“ ნორმების დაცვას და ყველა შესაძლებელი გზებით შედეგის თავიდან აცილებას.

მკაცრი პასუხისმგებლობის და დაუდევრობის დღლიერების შორის საინტერესო პარალელის ავლებს „დანაშაულისა და მართლშავაულების ენციკლოპედია“, რომელიც კონცეფციურად არაბრალეულ პასუხისმგებლობას უჭერს მხარს. იგი ამტკიცებს, რომ თუ კანონმდებლობა ბიზნესის სფეროში მხოლოდ დაუდევრობითი ქმედებების კრიმინალიზაციას მოახდენს, მივიღებთ ორ არასასურველ უკიდურესობას:

1. თუ სასამართლოები წინდაზღულების ნორმებს ყოველ კონკრეტულ ინდივიდებს მოარგებენ, მაშინ სასამართლო განაჩენები შეუსაბამობაში იქნება ერთმანეთთან;

2. თუ სასამართლოები წინდაზღულობის ნორმებად საერთოდ აღიარებულ ნორმებს გამოაცხადებენ, მაშინ შეიძლება მთელმა საწარმომ პასუხისმგებლობისაგან თავი დაიძრინოს წინდაზღულობის ისეთი ნორმების შემუშავებით, რომლებიც არაპრაქტიკული და არაუფექტურიანია.

რჩება მესამე აღტერნატივა: კანონმდებელმა თვითონ განსაზღვროს, თუ რა ჩაითვლება წინდაზღულობის ნორმებად. აქ პრობლემა არის ის, რომ, რათა პასუხისმგებლობა თავიდან აიცილოს, ინდივიდი ყურადღებას გაამახვილებს ნორმებზე და არა შედეგზე, ანუ მან შეიძლება თავისი გამოცდილებით იცოდეს მავნე შედეგის თავიდან აცილების უფრო ეფექტურიანი ხერხი, მაგრამ არ მიმართოს მას იმის შიშით, რომ ეს ჩაითვლება დაუდევრობად.

აღნიშნული პრობლემის თვალსაჩინო დემონსტრაციის მიზნით ენციკლოპედია ერთ საინტერესო მაგალითს გვთავაზობს:

„დავუშვათ აღკოპოლური სასმელების გამყიდველს ემუქრება 100 დოლარის ოდენობით ჯარიმა სპირტიანი სასმელის არასრულწლოვანზე მიყიდვის შემთხვევაში. არაბრალეული პასუხისმგებლობის რეჟიმის არსებობისას, იგი

დანერგავდა A სისტემას (იგი ჯდება 400 დოლარი), რომელიც კარგად უგება მოცემულ პირობებს და რომელიც გამოიხატება მხოლოდ 5 „დარღვევაში“ (კერძო და სოციალური ხარჯები ერთად შეადგენს 900 დოლარს).

დაუდევრობის რეჟიმის შემთხვევაში მან შეიძლება შემოიღოს სისტემა B, რომელიც კანონმდებელმა ჩათვალა სტანდარტულად. ეს სისტემა მას უჯდება 600 დოლარი და იგი გამოიხატება 10 „დარღვევაში“ (ანუ 10 არასრულწლოვანს მიეყიდება არაყი), თუმცა გამყიდველი არ ჯარიმდება, ვინაიდან იგი წინდაზღულობის სტანდარტებს არ არღვევს, ე. ი. B სისტემის საერთო სოციალური ხარჯია 1600 დოლარი.

თუმცა გამყიდველი დარწმუნებულია, რომ A სისტემა უფრო ეფექტურია და უფრო იაფი, იგი იყენებს B სისტემას, რომელიც საზოგადოებრივად ძვირიცაა და საზიანოც (მაგრამ გამყიდველს უფრო იაფი უჯდება)“ (Encyclopedia of crime and justice p. 1557).

ამ ნაწილში, დასკვნის სახით, მთელი ზემომოყვანილი მსჯელობა შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: არაბრალეული პასუხისმგებლობა პასუხისმგებელინდივიდს განუყოფლად აჯაჭვებს შედეგზე და არა ნორმებზე (დაუდევრობისაგან განსხვავებით), ამიტომ ინდივიდი თვითონ ქმნის წინდაზღულობის ნორმებს, რათა ყველანარი საშუალებით თავიდან აიცილოს მავნე შედეგი. ამ გაგებით, არაბრალეული პასუხისმგებლობა მისი მხარდამჭეროა წარმოდგენით, მძლავრი პრევენციული მექანიზმია.

3. Strict liability-ს მხარდამჭერებმა გარკვეული წიაღსვლები განახორციელეს მორალის მიმართულებითაც. კერძოდ, ისინი შეეცადნენ დაქმსხვრიათ უცოდველი დამნაშავის ხატი, რომელიც მათ მოწინააღმდეგეთა ყველაზე მძლავრი საყრდენია: დანაშაულისა და მართლშავაულების ენციკლოპედია ამტკიცებს, რომ დამნაშავე, არაბრალეული პასუხისმგებლობის დროს, არც ისე უცოდველი არაა, როგორც ეს ერთი შეხედვით გვეჩვენება. ეს ნათლად ჩანს ორი სხვადასხვა გადასახედიდან:

ა) არაბრალეულობასა და დაუდევრობას შორის განსხვავება საგრძნობია დროის ვიწრო მონაკვეთ-



ში, როდესაც პასუხისმგებელი პირი რაიმე კონკრეტულ მოქმედებასა თუ უმოქმედობას სჩადის და ამით მიზეზობრივად უკავშირდება მავნე შედეგს. შეიძლება იყი ამ კონკრეტულ მომენტში არ ითვალისწინებს და არც შეუძლია გაითვალისწინოს შედეგის დადგომის საფრთხე, მაგრამ მას უფრო ადრე უნდა გაუთვალისწინებინა, რომ შეიძლებოდა მსგავს სიტუაციაში მოხვედრილიყო და სიფრთხილის ზომების დაცვით, იყი თავიდან აცილებინა. ესე იყი, დროის მომენტის უკან გადაწევით მსჯელობაში შემოდის ნორმატიული კატეგორია „უნდა“ და არაბრალეული პასუხისმგებლობა უტოლდება დაუდევრობას, ანუ, პასუხისმგებელ სუბიექტს მავნე შედეგის თავიდან აცილების სიმძიმე აწევს არა კონკრეტულ მომენტში, არამედ მთელი საქმიანობის მანძილზე. აშშ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უორენ ბურგერმა ეს იდეა შემდეგი სიტყვებით გამოხატა: „Dotterweich-ი და მისი მომდევნო საქმეები ნათელყოფენ, რომ კანონები, რომელთა სანქციები მიმართულია კორპორაციული მისის განმახორციელებელ ინდივიდებზე, აკისირებენ არა მხოლოდ დარღვევათა გამოვლენისა და აღმოფხვრის პოზიტიურ მოვალეობას, არამედ მოვალეობას გაატარონ ზომები, რომელიც გამორიცხავენ ასეთ დარღვევებს. შეიძლება სიფხიზლის და წინდახვდელობის მოვალეობა, რომელიც ამ პირებს აწევთ, მეტისმეტად მძიმეა, მაგრამ არა იმაზე მეტად მძიმე, ვიდრე საზოგადოებას, რომლის სიცოცხლე და ჯანმრთელობა მათი საქმიანობის გავლენის ქვეშ იმყოფება, აქვს უფლება მოითხოვდეს მათგან“ (United States v. Park 421 U. S 672-673 (1975)).

მოვიყანთ კიდევ ერთი ავტორის, ა. კენის მოსაზრებას ამ მოსაზრების გასამყარებლად:

„არაბრალეული პასუხისმგებლობის დაწესება შეიძლება გამართლდეს სპეციალურ შემთხვევებში: ამ დროს არაბრალეულ პასუხისმგებლობაზე კონსტრუირებულ კანონსაც კი მოქალაქე ლოგიკურ მსჯელობამდე მიჰყავს, კერძოდ, ბიზნესში ჩართვის წინ იგი აწონ-დაწონის „მკაცრი, პასუხისმგებლობის სიმძიმესაც და გადაწყვეტილებას შემდეგ იღებს. არაბრალეული პასუხისმგებლობა, ძირითადად, კორპორაციების

საქმიანობაზე გრცელდება. კორპორაციებში შეიძლება წინასწარ არც იყვნენ ფიქსირებული სუბიექტები, რომლებსაც კონკრეტულად წინდახვდელობის ნორმების დაცვა ევალებათ და პასუხს აგებენ დაუდევრობისთვის, ამიტომ კანონმდებლობის მიზანია აიძულოს კორპორაციები პასუხისმგებ პოსტებზე დანიშნონ ის პირები, რომლებსაც მავნე შედეგის თავიდან აცილების მოვალეობა მთელი სიმბიმით დაეკისრებათ“ (A. Kenny . Freewill and Responsibility . p. 325).

მკაცრი პასუხისმგებლობის მოწინააღმდეგებმა ამ მოსაზრებაზე სერიოზული შეტევა განახორციელეს. კერძოდ, მათი აზრით: „საფუძველს მოკლებულია იმის მტკიცება, რომ არაბრალეული პასუხისმგებლობის ნორმები წინდახვდელობის მაღალ სტანდარტებს წარმოშობენ. ის, ვინც ჩაბმულია ბიზნესის სფეროში, იმოქმედებს მხოლოდ გონივრულ ფარგლებში, რათა თავიდან აიცდინოს ზიანი. უფრო მეტიც, თუ სუბიექტმა იცის, რომ სიფრთხილის ზომების დაცვისას პასუხს მაინც აგებს, შეიძლება საერთოდ არავითარი ზომა არ დაიცვას. ასეთი ნორმები ვერ შექმნიან კანონისადმი პატივისცემის გრძნობას. უდანაშაულო პირი არა მხოლოდ ფიქოლოგიურ დისკომფორტში იგრძნობს თავს, არამედ მან შეიძლება საერთოდ თავი შეიკავოს საზოგადოებრივად სასარგებლო ბიზნესში შესვლისგან“ (C.M.V. Clarcson and H.m. Keating. Criminal Law. Text and Materials p. 194).

ამ ბოლო მოსაზრებას გამოეხმაურა ინგლისელი კრიმინალისტი ჯეიმს ბრენდი, რომელიც წერს:

„ამ არგუმენტზე ორი პასუხი არსებობს: ჯერ ერთი, ვერავინ დაამტკიცებს, რომ მკაცრმა პასუხისმგებლობამ საზოგადოებრივად სასარგებლო წარმოება ნაკლებად მიმზიდველი გახადა და მეორეც, პირი, რომელსაც არ შეუძლია თავიდან აიცილოს პროდუქტის ფალსიფიკაცია, არ უნდა იქნას დაცული მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ის ჩაბმულია „საზოგადოებრივად სასარგებლო“ წარმოებაში. რეალურად ის ჩაბმულია „საზოგადოებრივად მავნე“ წარმოებაში



და არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო, თუ ის ბიზნესში შესვლისაგან თავს შეიკავებს“ (დასახ. ნაშრომი, გვ.145).

„Strict liability”-ს მომხრეებმა ამ მსჯელობას ასევე დამხმარე არგუმენტად შეაშველეს ის, რომ ბრალდება მირითად შემთხვევებში „თავს შეიკავებს“, აშკარად არაბრალეული პირის პასუხისმგებაში მიცემისგან და მას არ „გასწირავს“. „Strict liability”-ს მოწინააღმდეგებები ამტკიცებენ, რომ ასეთი მსჯელობა საერთოდ „Strict liability”-ს უარყოფაში მიღის და იგი აბსურდულია.

ბ) არაბრალეული პასუხისმგებლობის მორალურობის მატკიცებელი შემდეგი მოსაზრება ენციკლოპედიაში შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „მართალია, დამაშავეს არ აქვს შეცნობილი, რომ იგი არღვევს სამართლის კონკრეტულ ნორმას, მაგრამ, სამაგიეროდ მან იცის, რომ არღვევს უფრო ზოგად მორალურ ნორმას. მაგალითად, პირი, რომელიც სექსუალურ კავშირს ამყარებს კანონში მითითებულ ასაკს მიუღწეველ არასრულწლოვანთან, შეიძლება ვერ ითვალისწინებდეს თავისი პარტნიორის ზუსტ ასაკს, მაგრამ მან ზოგადად ხომ იცის, რომ ჩაბმულია ამორალური ხასიათის გარყენილ ქმედებაში. ამიტომ მან თავის თავს უნდა დააბრალოს, თუ მისი ქმედება ამორალურთან ერთად, არაკანონიერიც აღმოჩნდება“ (Encyclopedia of crime and justice p. 1557).

„Strict liability”-ს მოწინააღმდეგეთა აზრით, ასეთი მსჯელობა უსუსურია, ვინაიდან თუ კანონმდებელი საერთოდ არასასურველად მიიჩნევს სქესობრივ კავშირს „უმანკო გოგონებთან“, მაშინ პირდაპირ ნორმაში უნდა ჩაწეროს, „რომ იკრძალება სქესობრივი კავშირი უმანკო გოგონებთან“.

(4) არაბრალეული პასუხისმგებლობის მოხრეებმა ერთგვარი „მორალური საყრდენი“ მოძებნებს სასჯელის სფეროშიც და მიუთითეს, რომ, ვინაიდან ეს ინსტიტუტი სანქციის სახით, ძირითადად, მხოლოდ ჯარიმას ითვალისწინებს

(რომელიც, თავის მხრივ „მძიმე მორალური დამღადა“ არ არის), არ ღირს მის უსამართლობაზე აქცენტის გაკეთება (Encyclopedia of crime and justice p. 1557).

ინგლისელი ავტორი პიტერ ბრეტი ამის შესახებ წერდა:

„საინტერესოა, რა მომავალი ელის არაბრალეულ პასუხისმგებლობას. არის ზალხი, რომელიც ფიქრობს, რომ იგი ემსახურება სოციალურ მიზნებს. Sayre-ს საბოლოო დასკვნა იყო ის, რომ იგი გამოიყენება შედარებით მცირემნიშვნელოვან დარღვევებზე საზოგადოებრივი კეთილდღეობის დაცვის სფეროში, თუმცა აქვს გამოყენების სხვა სფეროც, სადაც იგი სპეციალური მიზნებით საბუთდება. მისი აზრით, არაფერია მიუღებელი არაბრალეულ პასუხისმგებლობაში, რამდენადც იგი მსუბუქ სასჯელებს ითვალისწინებს, მაგრამ არ უნდა იქნას გამოყენებული ნამდვილ დანაშაულებზე (True crimes). ამის აღიარება ნიშნავს იმის თქმას, რომ „მოდით ვიყოთ უსამართლო მანამ, სანამ მეტისმეტად უსამართლო არ ვიქნებით. ჩემი პოზიცია არის ის, რომ ნებისმიერი დოქტრინა, რომელიც უშვებს მორალურად უცოდველი პირის დასჯას, უარსაყოფა“ (Peter Brett An Inquiry into Criminal Gilt. 1963, pp. 114-116).

როგორც ზემოთ მოყვანილი არგუმენტებიდან დავრწმუნდით, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა, თვით ინგლისურ-ამერიკულ სამართლებრივ სისტემაში, მწვავე დისკუსიების საგანია. მიუხედავად იმისა, რომ ეს ინსტიტუტი თავისი არსით ანგლო-ამერიკული სამართლის პირმშოა და ჩვენი ქვეყნის სამართლებრივი სისტემისათვის იგი პრაქტიკულად მიუღებელია, მისი გაზრება ქართული იურიდიული აზროვნებისთვის ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს, ვინაიდან იგი ბრალის და სასჯელის პრობლემატიკის ახლობური გაზრების საშუალებას იძლევა და ამ მხრივ იმსახურებს უდავო მეცნიერულ ინტერესს.



ალექსანდრე კაცმანი

კომპიუტერულ დანაშაულთა სისხლისსამართლებრივი და პრიმინალისტიკური დახასიათება

J

ართული საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის სტრატეგიული კურსით. სახელმწიფოში ხორციელდება რაღიალური სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები, მიმდინარეობს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარის დემორატიზაცია. რომელიც შეუძლებელია კანონიერების და მართლწესრიგის განმტკიცების, მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის უზრუნველყოფის გარეშე.

ამასთან, ბოლო წლებში მოხდა კრიმინალური მდგრამარეობის მკვეთრი გაუარესება, რომელიც დღესდღეობით ფასდება როგორც განსაკუთრებით მწვავე და რთული (მიუხედავად სამართალდამცავი ორგანოების ზოგიერთი თანამდებობის პირის ოპტიმისტური განცხადებებისა). აღნიშნება კრიმინალური პროფესიონალიზმის მკვეთრი ზრდა, მრავლდება ჩანაფიქრით კადნიერი და შესრულებით კკალიფიციური დანაშაულები.

ქურდობათა, ძარცვათა და დარბევათა საერთო რაოდენობის შემცირებასთან ერთად, იზრდება ბანქებიდან და საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებიდან მსხვილი ფულადი თანხების სხვა საწარმოთა და ორგანიზაციათა სალაროებიდან გატაცება. ეს ნათლად ჩანს იმით, რომ დანაშაულებრივი დაჯგუფებები და გაერთიანებანი აქტიურად იწყებენ თავიანთ მოღვაწეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწვევათა გამოყენებას. ამ კუთხით განსაკუთრებით საგანგაშოა საქართველოში დანაშაულებრივი ხელყოფის ახალი სახეობის წარმოშობისა და

განვითარების ფაქტი, რომელიც მანამდე უცნობი იყო სამამულო იურიდიული მეცნიერებისა და პრაქტიკისათვის და დაკავშირებულია კომპიუტერული ტექნიკისა და ინფორმაციულ-გადამამუშავებელი ტექნოლოგიის კომპიუტერულ დანაშაულთა გამოყენებასთან.

ამან ქართველ კანონმდებელთაგან მოითხოვა სასწრაფო ადეკვატური სამართლებრივი ზომების მიღება დანაშაულის ამ ახალი სახეობისათვის დასაპირისპირებლად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის განყოფილებაში, რომელიც ეხება უშიშროებასა და საზოგადოებრივ წესრიგს, შეტანილია ახალი თავი – „კომპიუტერული დანაშაულობანი“.

ერთი სიტყვით, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე პირობებში კომპიუტერული დამნაშავეობა იქცა საზოგადოებრივი ცხოვრების რეალობად.

მისი წარმოშობისა და განვითარების მიზნებთა დადგენა მოითხოვს შექმნილი კრიზისული სიტუაციის ანალიზს, რომელიც მოქმედებს ქართული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ და სამართლებრივ განვითარებაზე. დასავლეთის ქვეყნებში კომპიუტერული დამნაშავეობის პრობლემაზე ჩატარებულმა გამოკვლევებმა მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ მისი წარმოშობის თანმიმდევრულ ზრდას ხელს უწყობს რიგი ფაქტორები: პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი (იხ. Paul Jones „Computer Crimes“ №4 1992 p.12).

როგორც დისკუსიურ მასალათა ანალიზი გვიჩვენებს, ლიტერატურასა და პერიოდულ



პრესაში, ჩემს მიერ ჩატარებულ კვლევათა მონაცემები, ნეკატიური ტენდენციები მნიშვნელოვანწილად განპირობებულია სამეცნიერო-ტექნოლოგიური რევოლუციის სწრაფი განვითარების პროცესით. ამ რევოლუციამ, ისევე როგორც სხვა მისმა წინამორბედმა რევოლუციებმა, საზოგადოების ისტორიაში (აგრძელებულ და სამრეწველო) გამოიწვია სერიოზული სოციალური ცვლილებები, რომელთა შორისაც უფრო მნიშვნელოვანია საზოგადოებრივ ურთიერთობათა ახალი სახეობის და საზოგადოებრივი რესურსების – ინფორმაციების წარმოშობა. ეს უკანასკნელი, ადრე ცნობილი ნედლეული ენერგეტიკული რესურსებისაგან, განსხვავდება მთელი რიგი თავისებურებებით, კერძოდ:

1. ისინი გამოყენებადია და განიცდიან არა ფიზიკურ, არამედ მორალურ ცვეთას;

2. თავიანთი არსით ისინი არამატერიალური არიან და არ დაიყვანებან ფიზიკურ მატარებლამდე, რომელშიც განხორციელებული არიან;

3. მათი გამოყენება იძლევა საშუალებას მკვეთრად შემცირდეს დანარჩენი რესურსების გამოყენება, რასაც საბოლოო ჯამში მივყავართ საშუალებათა კოლოსალურ ეკონომიამდე;

4. მათი შექმნისა და გამოყენების პროცესი ხორციელდება განსაკუთრებული ხერხით - კომპიუტერული ტექნიკის საშუალებით (იხ. საველევა ი. ვ., პრავовая охрана программного обеспечения, МГУ, 1990, с. 9) ინფორმაცია იქცა თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში მისი მოღვაწეობის სენად და პროდუქტად და მისი შექმნის, დაგროვების, შენახვის, გადაცემის პირველსაწყისად და გადამუშავების პროცესი, თავის მხრივ, ასტიმულირებს მისი წარმოების პროგრესს - ელექტრონულ-გამომთვლელი, ტელეკომუნიკაციის და კავშირის სისტემას. ყველაფერი ეს ერთობლიობაში შედის ახალი ტექნოლოგიის ცნებაში, რომელიც ინფორმაციულ პროცესების მეთოდებისა და საშუალებების რეალიზაციის ერთობლიობაა, ადამიანების მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში, ე. ი. ადამიანის ინფორმაციული მოღვაწეობის რეალიზაციის ხერხია, რომლის განხილვაც შეიძლება აგრეთვე, როგორც ინფორმაციული სისტემისა. (იხ. Ст-

ась Е. В., Информатика и теория развития, М., 1989) სხვა სიტყვებით, ინფორმაცია ხდება საზოგადოებრივ (ინფორმაციულ) ურთიერთობათა პროდუქტი, იწყებს საქონლის თვისებების შეძენას და იქცევა ყიდვა-გაყიდვის საგად (იხ. Карась И. В., Экономический и правовой режим информационных ресурсов, МГУ, 1986, с. 40-41).

საზოგადოებაში მიმდინარე ინფორმაციული პროცესების შედეგად ხდება ახალ სოციალურ ურთიერთობათა წარმოშობა და განვითარება და უკვე არსებულთა შეცვლა. მაგ., უკვე ახლა შეიძლება სახელშეკრულებო ურთიერთობათა მნიშვნელოვანი მოცულობის კონსტატირება, რომელიც უკავშირდება გადაცემების დამზადებას, ინფორმაციის დაგროვებასა და გამოყენებას სხვადასხვა ფორმით: სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციის, მონაცემთა გარეშე პროგრამული უზრუნველყოფის, მონაცემთა ბაზის მართვის სისტემით და სხვა. (იხ. Савельева И. В., Правовая охрана программного обеспечения, МГУ, 1990, с. 9-10).

ამასთან დაკავშირებით, ახალმა ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა ბიძგი მისცეს არა მხოლოდ საზოგადოების პროგრესს, არამედ გახდნენ ადრე უცნობი ნეგატიური პროცესების წარმოშობისა და განვითარების სტიმულატორები. მისი ერთ-ერთი ფორმაა დამნაშავეობის ახალ ფორმათა წარმოშობა, მაგალითად, რევოლუციამ ელექტრონიკის დარგში დამნაშავეების, მათი დაჯგუფებებისა და გაერთიანებებისათვის მისაწვდომი გახადა ტექნიკური საშუალებები, რომელიც აძლევენ მათ შესაძლებლობას უკანონოდ მიითვისონ მილიონობით დოლარი, გადარიცხონ დანაშაულებრივი გზით მიღებული უზარმაზარი შემოსავლები, თავი აარიდონ გადასახადების გადახდას, გაატარონ დანაშაულის სხვადასხვა სახის მომზადების, ჩადენისა და შენიღბვის პოლიტიკური ღონისძიებები (იხ. გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება – ”ორგანიზებული დანაშაულებრივი მოღვაწეობის ზემოქმედება მთელ საზოგადოებაზე”, ვენა, 15\1993\3).

არსებობს მრავალი სხვა ფაქტორი, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია და არსებით გავ-

ლენას ახდენს საქართველოში მოცემული დანაშაულის ფორმის განვითარებაზე.

მათ შეიძლება მივაკუთვნოთ:

1. სახელმწიფო პარატის მიერ სრულფასოვანი საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვის ფუნქციის ნაწილობრივი დაკარგვა;

2. საკანონმდებლო ბაზის წინააღმდეგობრიობა და არასაკმარისობა;

3. სახელმწიფო ინსტიტუტთა უუნარობა მოსახლეობის სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაქმაყოფილებისა;

4. ქვეყნის ეკონომიკის განბალანსება განსაკუთრებით საკრედიტო-ფინანსურ, სავალუტო-ფულად და საქონელ-ნედლეულის სფეროში;

5. სახელმწიფო თანამდებობის პირთა და საფინანსო-კომერციულ სტრუქტურათა მხრივ მატერიალურ ფასეულობათა შენახვაში დაუინტერესებლობა.

სწორედ ამ ფაქტორთა ერთობლიობამ განაპირობა დანაშაულთა ახალ სახეობათა წარმოშობისა და განვითარების დინამიკური ზრდა, რომელთა რიცხვსაც განეკუთვნება კომპიუტერული დანაშაულობანი.

კომპიუტერულმა დამნაშავეობამ განაპირობა დანაშაულებრივ საშუალებათა მიმოქცევის გადასვლა შედარებით უფრო ხელსაყრელ კანონიერ საშუალებათა მიმოქცევაზე. კომპიუტერის მეშვეობით შეიძლება არშემდგარი მომსახურების საფასურის გადახდა, სინამდვილებში არარსებული ნავაჭრის ფასის გადაყვანა, ბირჟაზე აქციათა მცდარი კურსის ფორმირება (იხ. Samuel Jackson Computer and Law, 1990, p 64-65).

გაეროს გენერალური მდივნის მოხსენებაში აღნიშნულია: მსოფლიო გამოცდილება მოწმობს იმას, რომ ტექნიკის განვითარებისა და მეტი კვალიფიკაციის სპეციალისტთა გაჩენის კვალდაკვალ “...ჩნდება უფრო მეტი ნიჭიერი ადამიანი, რომელიც იგონებს დანაშაულთა ჩადენის ახალ უნიკალურ საშუალებებს”, განსაკუთრებით ინფორმაციულ-გადამამუშავებელი ტექნოლოგიის სფეროში.

მსოფლიოს ფინანსური სისტემები, უდავოდ უფრო მეტად დაეყრდნობიან ეგმ-ს ახალ ინფორმაციულ ტექნოლოგიათა მიერ მონაცემთა დამუშავების და ტექნიკის განვითარებასთან

ერთად, სულ უფრო მეტი ქვეყანა მიუერთდება არსებულ და სხვა წარმოქმნილ ელექტრონულ-კომპიუტერულ ინფორმაციულ ქსელებს, რომელთაც დღესდღეობით უფრდნობა მთელი მსოფლიო ეკონომიკა, რაც აუცილებლად გამოიწვევს დანაშაულებრივ დაჯგუფებათა და გაერთიანებათა უფრო მეტად გამდიდრების სურვილს.

საზღვარგარეთ კომპიუტერული ტექნოლოგიის გამოყენებით ხდება საბანკო ტრანს-ტრანზაქცია, რომელთა დღოსაც ხდება ათეულობით მილიონი დოლარის წუთების განმავლობაში უკანონო მოხსნა კორპორაციათა ანგარიშებიდან და აფიორულ ანგარიშებზე გადაყვანა, რომელთაც დამნაშავეები იყენებენ. ინტერპოლის სპეციალისტთა შეფასების თანახმად, ყოველწლიურად ტარდება დაახლოებით ათასი ასეთი ”ოპერაცია”, რომელთა კვალდაკვალ მიყოლა ჯერჯერობით არ ძალუბს არც გფბ-ს და არც სხვა სპეცსამსახურებს. (იხ. შაროვ С., ”Совершенно секретно”, №4, 1998).

ბოლო დრომდე ითვლებოდა, რომ კომპიუტერული დამნაშავეობა არის მოვლენა, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ საზღვარგარეთის კაპიტალისტური ქვეყნებისათვის და ჩვენი საზოგადოებისათვის უცხოა სუსტი კომპიუტერიზაციის მიზნით, ე.ი. სამრეწველო და საზოგადოებრივ ურთიერთობებში ინფორმაციულ ტექნოლოგიათა არასაკმარისი დანერგვით. სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია ის, რომ არ არსებობს ამ პრობლემის სამეცნიერო გამოკვლევები. მხოლოდ უკანასკნელ წლებში ავლაპარაკდით კომპიუტერულ დამნაშავეობაზე და მივიღეთ გადაწყვეტილება საქართველოს სისხლის სამართლის ახალ კოდექსში კომპიუტერულ დანაშაულებზე ცალკე თავის შეტანის შესახებ. კომპიუტერული დამნაშავეობის წარმოშობამ ჩვენს ქვეყანაში მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ეს მოვლენა დამახასიათებელია ყველა სახელმწიფოსათვის, რომელიც იწყებს თავისი მოღვაწეობის ფართო კომპიუტერიზაციის პერიოდს.

ყველა განვითარებულ სახელმწიფოში შეიმჩნევა იმ დანაშაულთა რიცხვის ზრდა, რომელიც დაკავშირებულია კომპიუტერულ დანაშაულობასთან.



მოცემულმა დანაშაულებრივმა ქმედებებმა შედარებით ფართო გავრცელება პოვა მეურნეობისა და მმართველობის სხვადასხვა დარგში, მათ შორის მრეწველობაში, საბანკო საქმეში და მოსახლეობის მომსახურების სფეროში. ასეთი სახის პირველი დანაშაული ყოფილ სსრკში რეგისტრირებულია 1979 წელს, ქ. ვილნიუსში. კომპიუტერული დატაცებით სახელმწიფოს მიადგა 78584 მანეთის ზარალი. მოცემული ფაქტი შეტანილია ამგვარი სახის სამართლდარღვევათა საერთაშორისო რეესტრში და ოქცა ამოსავალ წერტილად დანაშაულთა ახალი სახის წარმოშობისათვის მთელს ქვეყანაში.

დღესდღეობით ეს ტენდენცია საქართველოში განსაკუთრებით მყენტრად ვლინდება საკუთრების ყველა ფორმის ფინანსურ დაწესებულებებში კომპიუტერული ტექნიკის სხვადასხვა სახეობათა მზარდი გამოყენების შედეგად. თანდათანობით ფართო გამოყენებას პოვებს ელექტრონული ანგარიშების და ურთიერთანგარიშების ბანკთაშორისის სისტემა – ელექტრონული კავშირის კომპიუტერული სისტემა, რომელიც ბუნებრივია, ვერ იქნება აბსოლუტურად საიმედო. მაგ., 1995 წლიდან თბილისის რეგიონში ფუნქციონირებს ანგარიშების ავტომატიზირებული სისტემა, რომელიც აერთიანებს ქ. თბილისის ათობით ბანკს. ეს სისტემა ახორციელებს საქართველოს საბანკო ოპერაციათა 70%-ზე მეტს. ამ ფინანსურ ქსელს გააჩნია განვითარებული პერიფერიული კავშირი სხვადასხვა საფინანსო დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან (ბირჟებთან, კომპანიებთან, კომერციულ ბანკებთან) სხვა რეგიონებში და აგრეთვე საქართველოს ეროვნულ ბანკთან.

არსებული სიტუაცია იზიდავს დამნაშავეებს, რომელნიც “ტეხავებ” ელექტრონულ დაცვას (ხოლო ეს სისტემა ზოგიერთ რგოლში საერთოდ არ არსებობს). არასანქციონირებულად აღწევენ კომპიუტერის მონაცემთა ბანკში ანგარებით უკანონო მანიპულაციათა ჩადენის მიზნით (იხ. გაზეთი “რეზონანსი”, 1997, ი. გიორგაძე).

გვიხდება იმის კონსტატირება, რომ საზოგადოების კომპიუტერიზაციის პროცესი იწვევს კომპიუტერულ დანაშაულთა რიცხვის ზრდას,

მათი ფარდობითი წონის ზრდას გატაცებული თანხის რაოდენობის მიხედვით ჩვეულებრივი დანაშაულების მიერ მიყენებული მატერიალური ზარალის საერთო წილში, ამასთან ბევრი დანაკლისის ამოღება ვერ ხერხდება, ან მათ შესახებ არ აცხადებენ მოცემული დანაშაულის მაღალი ლატენტურობის (90%) მიზეზით.

ამასთან ერთად, მომავლის თვალსაზრისით დღევანდელი სიტუაციის განვითარების ანალიზისას სპეციალისტები პროგნოზირებენ ორგანიზებულ დანაშაულთა რიცხვის ზრდას, რომელიც დაკავშირებული იქნება ელექტრონულ საშუალებათა გამოყენებასთან. ერთ-ერთი მათგანია კომპიუტერი (იხ. გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება, E\CN 15\1998).

უცხოელ მეცნიერთა სამეცნიერო ნაშრომებისა და პუბლიკაციების ანალიზიდან გამომდინარე, რომელშიც ლაპარაკია კომპიუტერული დანაშაულის ცნებაზე, შეიძლება გაკეთდეს განმაზოგადებელი დასკვნა იმის შესახებ, რომ დღესდღეობით არსებობს სამეცნიერო აზრის ორი ძირითადი მიმართულება. მკლევართა ერთი ნაწილი კომპიუტერულ დანაშაულობებს მიაკუთვნებს ისეთ ქმედებებს, რომლებმიც კომპიუტერი ხელყოფის ობიექტი ან იარაღია. ამასთან, კერძოდ, თვით კომპიუტერთა და მასში შენახული ინფორმაციის ქსრდობას განიხილავენ როგორც კომპიუტერული დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთ ხერხს. მკლევართა მეორე ნაწილი კომპიუტერულ დანაშაულს მიაკუთვნებს მხოლოდ ინფორმაციის ავტომატიზირებული გადამუშავების პროცესში ჩადენილ უკანონო ქმედებებს. მთავარ მაკვალიფიცირებელ ნიშნად, რომლის მიხედვითაც ეს დანაშაულები შეიძლება მიეკუთვნოს განსაკუთრებულ ჯგუფს, ისინი გამოყოფენ ხელყოფის ხერხების, იარაღის და ობიექტების ერთობლიობას (იხ. ბატურიშ Ю., კომ्पიუტერная преступность и Компьютерная безопасность, М., 1991. с. 158). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელყოფის ობიექტია ინფორმაცია, რომლის დამუშავებაც ხდება კომპიუტერულ სისტემაში, ხოლო კომპიუტერი ითვლება ხელყოფის იარაღად.

მრავალი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობამაც ამ გზით დაიწყო განვი-



თარება, რადგანაც ეს გამომდინარეობს დანაშაულის მატერიალური, სამართლებრივი გაეციდან, ამიტომ ნებისმიერი დანაშაულის არსი მდგომარეობს იმაში, რომ იგი ცვლის, არღვევს კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომელიც წარმოდგენს ადამიანთა გარევეულ კავშირს მატერიალური, სოციალური და იდეოლოგიური ფასეულობების გამო, რომელთაც იცავს სისხლის სამართლებრივი ნორმები, ამავე დროს, ნებისმიერი საზოგადოებრივი ურთიერთობის სისტემის სტრუქტურა შედგება სამი ძირითადი ელემენტისაგან:

1. საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილეები (სუბიექტები);

2. საზოგადოებრივი ურთიერთობის საგანი;

3. ურთიერთობის შემადგენლობა, ურთიერთობის მონაწილეთა შორის კავშირი საზოგადოებრივი ურთიერთობის კონკრეტული საგნის ირგვლივ. ხოლო სამართლებრივი კანონმდებლობა ყოველთვის იცავს ზიანის მიერნებისაგან მხოლოდ:

ა) პიროვნებას;

ბ) საგნებს, სოციალურ და სულიერ ღირებულებებს, სიკეთებებს;

გ) სოციალურად სასარგებლო მოღვაწეობას (იხ. კორჯაშ. Объект и предмет уголовно-правовой охраны, 1980, с. 12).

დანაშაულის ობიექტის დასადგენად საზოგადოებრივ ურთიერთობათა საგნებიდან გამოყოფა ის საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომელთაც იცავენ სისხლის სამართლებრივი ნორმები. სისხლის სამართალში დანაშაულის საგნად ითვლება გარესამყაროს ყველა მატერიალური ნივთი, რომელზედაც უშუალოდ მიმართულია დამნაშავის ქმედება ობიექტზე ხელყოფისას. დავუბრუნდეთ ჩვენს მიერ განსახილველ დანაშაულებრივი ხელყოფის ობიექტის პრობლემას. ორი აზრი არ არსებობს - მას ბუნებრივია, წარმოადგენს ინფორმაცია, ხოლო დამნაშავის ქმედება უნდა განვიხილოთ როგორც საზოგადოების ინფორმაციული ურთიერთობების ხელყოფის ცდა. შემდგომ გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს კანონმდებლობით დაცულია ინფორმაციის სამი ძირითადი სახეობა (მათ შეიძლება პქონდეთ როგორც „მანქანური“, ისე „არამანქანური“ ხასიათი), რომელიც ამავდროულად დაცულია, კერძოდ:

იმის განსხვავება, იყო თუ არა ეს მანქანური ინფორმაცია, ე.ი. ინფორმაცია, რომელიც პროდუქტია კომპიუტერული ტექნიკისათვის, ნაწარმოებს ან კომპიუტერული ტექნიკისაგან, თუ მას პქონდა სხვა „არაკომპიუტერული“ ხასიათი.

ამისათვის უნდა განვმარტოთ, თუ რა არის მანქანური ინფორმაცია. მანქანური ინფორმაციის ცნების ქვეშ იგულისხმება ინფორმაცია, რომელიც ცირკულირებს გამოთვლით სფეროში, დაფიქსირებულია ფიზიკურ მატარებელზე იმ ფორმით, რომელიც მისაწვდომია ეგმ-ს აღთქმისთვის ან გადაიცემა ტელესაკომუნიკაციო არხებით: გამოთვლით სფეროში ჩამოყალიბებული და ელექტრო სიგნალების მეშვეობით გადაგხავნილი ერთი ეგმ-დან მეორეზე, პერიფერიულ მოწყობილობაზე ან მოწყობილების მისთვის გადამწოდებზე (იხ. კარას ი. ვ.. Экономический и правовой режим информационных ресурсов. МГУ. 1986, с. 40-41).

პირველ შემთხვევაში დანაშაული უნდა მივაკუთვნოთ კომპიუტერულ დანაშაულთა კატეგორიას, მეორე შემთხვევაში – იმ დანაშაულთა კატეგორიას, რომელნიც კერძოდ, მოხსენიებულია სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის სპეციალურ განყოფილებაში – „კომპიუტერული დანაშაულობანი“. ვფიქრობ, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ცნებათა კოლიზიის თავიდან ასაცილებლად ახალი სისხლის სამართლის კოდექსის ახალ განყოფილებას დავარქვათ – „კომპიუტერული ინფორმაციის სფეროში ჩადენილი დანაშაულები“, რადგანაც, სწორედ მანქანური ინფორმაცია არის დანაშაულთა ამ სამი სახის გვარობითი ობიექტი.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს კანონმდებლობით დაცულია ინფორმაციის სამი ძირითადი სახეობა (მათ შეიძლება პქონდეთ როგორც „მანქანური“, ისე „არამანქანური“ ხასიათი), რომელიც ამავდროულად დაცულია, კერძოდ:

1. ცნობები, რომელნიც წარმოადგენენ სახელმწიფო საიდუმლოებას შესაბამისი ორგანული კანონით, რომლის საფუძველზეც იგულისხმება სამხედრო, საგარეო-პოლიტიკური,

ეკონომიკური, სადაზვერვო, კონტრდაზვერვითი და ოპერატორულ-სამძებრო მოღვაწეობა, რომელთა გავრცელებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს საქართველოს უშიშროებას (იხ. საქართველოს კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ);

2. ცნობები, რომელნიც წარმოადგენენ სამსახურებრივ და კომერციულ საიდუმლოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, რომელშიც იგულისხმება ინფორმაცია, რომელსაც გააჩნია ნამდვილი ან პოტენციური ღირებულება, მათი მესამე პირთათვის უცნობიბის მიზეზით, თუ ისინი კანონიერად არ არის მისაწვდომი კანონიერ (სანქციონირებულ) საფუძველზე და ასეთი ინფორმაციის მფლობელი ღებულობს ზომებს მისი კონფიდენციალობის დასაცავად (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი);

3. ცნობები, რომელთაც გააჩნიათ პერსონალურ მონაცემთა სტატუსი.

ამრიგად, სისხლისსამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით, კომპიუტერულ დანაშაულთა ცნებაში იგულისხმება კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედებანი, რომელშიც მანქანური ინფორმაცია ითვლება დანაშაულებრივი ხელყოფის ობიექტად. დანაშაულის საგნად და იარაღად გამოდის მანქანური ინფორმაცია, კომპიუტერი, კომპიუტერული სისტემა ან კომპიტერული ქსელი. ამასთან გასათვალისწინებელია ერთი თავისებურება, კერძოდ, კომპიუტერი დანაშაულში შეიძლება ერთდროულად გამოდიოდეს როგორც დანაშაულის ჩადენის საგანი და როგორც იარაღი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXVI თავი განსაზღვრავს შემდეგ საზოგადოებრივად საშიშ ქმედებებს: მუხლი 266 – არამართლზომიერი დაუფლება, მუხლი 267 – ეგმ-ს დამაზიანებელი პროგრამის შექმნა, გამოყენება და გავრცელება, მუხლი 268. ეგმ-ის ექსპლოატაციის წესების დარღვევა.

კრიმინალისტიკური თვალსაზრისით კომპიუტერული დანაშაულები უნდა ვიგულისხმოთ ამ სიტყვის ფართო გაეგებით. მაგალითად, 1993 წლის მარტში ინტერპოლის მუშაობის ჩარჩოებში ორგანიზებულმა სემინარის – ”კრიმინალისტიკა და კომპიუტერული დანაშაული” – დროს იყო მცდელობა ”კომპიუტერული დანაშაულის” ცნების განმარტების მოცემისა (ამ

განმარტების თანახმად, კომპიუტერული დანაშაულის ქვეშ იგულისხმება ”...სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედება, რომელშიც მანქანური ინფორმაცია წარმოადგენს დანაშაულებრივი ხელყოფის საშუალებას ან ობიექტს) (იხ. ინტერპოლის მუშაობის ანგარიში, XXXVI ტომი, 46-48 გ.).

შედეგების შეჯამებისას შეიძლება გამოვყოთ მისი შემდეგი დამახასიათებელი თავისებურებანი:

1. ხელყოფის ობიექტის არაერთგვაროვნება;
2. მანქანური ინფორმაციის გამოსვლა როგორც ობიექტის, ასევე დანაშაულის საშუალების სახით;
3. დანაშაულებრივი ხელყოფის საგნებისა და საშუალებების მრავალფროვნება;
4. კომპიუტერის გამოსვლა დანაშაულის ჩადენის საგნის ან საშუალების სახით.

აღნიშნული თავისებურებების გათვალისწინებით, გვეძლევა შესაძლებლობა გავაკეთოთ დასკვნა, რომ კომპიუტერული დანაშაულების ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედებანი, რომელთა ჩადენაც ხდება ელექტროგამომთვლელი კომპიუტერული ტექნიკის საშუალებათა გამოყენებით (ასეთი მიღომა შესაძლებელია როგორც გამონაკლისი მხოლოდ კრიმინალისტიკური თვალსაზრისის ასექტებიდან, სისხლისსამართლებრივი გაგებით იგი მოუღებელია). ამასთან, დანაშაულის კომპიუტერულთა რიგისათვის მისაკუთხებლად გამოიყოფა ”კომპიუტერული ტექნიკის საშუალებათა გამოყენების” ცნება, მიუხედავად იმისა, თუ დანაშაულის ჩადენის რომელ სტადიაზეა იგი გამოყენებული – მისი მომზადებისას, ჩადენის თუ დამალვისას. ამ ტერმინის გამოყენების ფარგლები საკმაოდ ფართო და ამასთან საკმაოდ განსაზღვრულია, რასაც საბოლოოდ მივყავართ კომპიუტერული დანაშაულის განსაზღვრების უნივერსალურობამდე. ამ მტკიცების დასასაბუთებლად უფრო დეტალურად განვიხილოთ მისი შემადგენელი ნაწილები. განსაზღვრების ნაწილი არ მოითხოვს განსაკუთრებულ განმარტებას და დამოკიდებულია მხოლოდ იმაზე, თუ როგორი იქნება ამა თუ საზოგადოებრივად საშიში ქმედების



სახელი (კულტურული) სისხლის სამართლის კანონში ფორმულირებული. მაგალითად, ჯაშ-უშობას, კომპიუტერული ტექნიკის საშუალებათა გამოყენებით დაერქმევა კომპიუტერული ჯაშ-უშობა და კრიმინალისტიკური მეცნიერება მას მაკუთვნებს კომპიუტერულ დანაშაულებს (მაშინ, როდესაც სისხლის სამართლებრივი თვალსაზრისით ეს დანაშაული მიეკუთვნება სახელმწიფო დანაშაულთა კატეგორიას). ანალოგიურად: გაყალბება – კომპიუტერული გაყალბება, თაღლითობა – კომპიუტერული თაღლითობა, დატაცება – კომპიუტერული დატაცება. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ცნებები ძალიან ხშირად გამოიყენება საზღვარგარეთულ იურიდიულ პრაქტიკაში ამა თუ იმ კომპიუტერულ სამართალდარღვევათა კულტურული ცირკულაციისას. ამიტომ, ჩემი აზრით, შესაძლებელია აღნიშნული ტერმინოლოგიის გამოყენება სამაშულო პრაქტიკაში შემადგენლობით მსგავსი დანაშაულებრივი ქმედებების აღსანიშნავად, მათი კრიმინალისტიკური სპეციფიკის გამოსაყოფად.

განსაზღვრების მეორე ნაწილი მოითხოვს სერიოზულ განმარტებას და დაწვრილებით დეტალიზაციას. კომპიუტერული ტექნიკის საშუალებები (ადრე არსებული, დღეს არსებული და მომავალში შესაქმნელი ტექნიკის განვითარების კვალდაკვალ) ფუნქციური დანიშნულების მიხედვით შესაძლებელია დავყოთ ორ ძირითად ჯგუფად:

1. აპარატული საშუალებები (Hard Ware);
2. პროგრამული საშუალებები (Soft Ware).

კომპიუტერული ტექნიკის აპარატული საშუალებების ქვეშ იგულისხმება ტექნიკური საშუალებები, რომელიც გამოიყენება მონაცემთა დამუშავებისათვის; მექანიკური, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობანი, რომელიც გამოიყენება ინფორმაციის დამუშავების მიზნით. მათ განეკუთვნება :

1. პერსონალური კომპიუტერი – ტექნიკურ საშუალებათა კომპლექსი, რომელიც განკუთვნილია ინფორმაციის ავტომატური დამუშავებისათვის გამოთვლით და ინფორმაციული ამოცანების ამოხსნის პროცესში (იხ. განმარტებითი ლექსიკონი);

2. პერიფერიული მოწყობილობა – მოწყობილობა, რომელსაც გააჩნია დაქვემდებარებული

ლი კიბერნეტიკული სტატუსი ინფორმაციულ სისტემაში: ნებისმიერი მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს პროცესორსა და მოხმარებელს შორის მონაცემთა და ბრძნებათა გადაცემას განსაზღვრული ცენტრალური პროცესორის შესახებ. ეგმ-ს გარე მოწყობილობათა კომპლექსი, რომელიც არ იმყოფება ცენტრალური პროცესორის უშუალო მართვის ქვეშ (იხ. იქვე);

3. მანქანური ინფორმაციის ფიზიკური მატარებლები – კომპიუტერული ტექნიკის პროგრამული საშუალებების ქვეშ იგულისხმება მონაცემთა და ბრძანებათა ერთობლიობის წარმოდგენის ობიექტური ფორმები, რომელიც განკუთვნილია კომპიუტერსა და კომპიუტერულ მოწყობილობათა ფუნქციონირებისათვის განსაზღვრული შედეგის მიღწევის მიზნით. აგრეთვე ფიზიკურ მატარებელზე მომზადებული და დაფიქსირებული მასალები, რომელიც მიღბულია მათი შემუშავებისას ან აუდიოვიზუალური ასახვა, მათ განეკუთვნება:

1. პროგრამული უზრუნველყოფა: მართვის და დამამუშავებელ პროგრამათა ერთობლიობა, რომელიც განკუთვნილია გამოთვლითი პროცესის დაგეგმვისა და ორგანიზაციისათვის. გამოყენებით ამოცანათა ამოხსნის პროგრამების პროგრამირების ავტომატიზაციისა და მოწერიგებისათვის, რომელიც შედგება:

სისტემური პროგრამებისაგან (ოპერატიული სისტემები, ტექნიკური მომსახურების პროგრამები, დრაივერები, პროგრამა-გარსები, დამხმარე პროგრამები – უტილიტები).

გამოყენებითი პროგრამები – (სპეციალიზირებულ პროგრამათა კომპლექსი), რომელიც განკუთვნილია ამოცანათა გარკვეული კლასის ამოხსნისათვის, მაგ., ტექსტის რედაქტორები, ანტივირუსული პროგრამები და სისტემები, არასანქცირებული დაუფლებისაგან დაცვის პროგრამები, ცხრილური პროცესორები. გრაფიკული რედაქტორები, საქმიანი და სამეცნიერო გრაფიკის სისტემები, ავტომატიზირებული პროექტირების პროგრამები, ინტეგრირებული სისტემები, საბუღალტრო პროგრამები, ტექნიკოლოგიური პროცესების მართვის პროგრამები, სტანდარტულ პროგრამათა ბიბლიოთეკები.



ინსტრუმენტალური პროგრამები – (პროგრამირების სისტემები), რომელებიც შედგება პროგრამირების ენებისაგან turbo c, turbo c++, turbo Pascal, Microsoft c , Microsoft Basic, Clipper და სხვა და ტრანსლატორები – პროგრამების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს სიმბოლური ენებიდან ავტომატურ გადმოყვანას მანქანურ კოდებში;

2. მფლობელის, მომხმარებლის, მესაკუთრის მანქანური ინფორმაცია. კომპიუტერული ტექნიკის საშუალებათა ასეთი დაწვრილებითი სტრუქტურიზაცია მომყავს, პირველ რიგში, შემდგომში განსახილველი კომპიუტერული დანაშაულების არსის, საგნის და იარაღების დანაშაულებრივი ხელყოფის უფრო ნათლად გარკვევისათვის, აგრეთვე მათი ტექნოლოგიის გამო წამოჭრილ აზრთა სხვადასხვაობის თავიდან ასაცილებლად, რომელთაც აუცილებლად ექნება ადგილი შსს ორგანოების მოღვაწეობაში სხვადასხვა პროცესუალური დოკუმენტის გაფორმებისას. მაგალითად, როდესაც ხელყოფის საგანია კომპიუტერი, აუცილებელია მისი, როგორც სისტემის განხილვა და მისი ნაწილების განსხვავება, რადგან კომპიუტერი, სიტყვის ვიწრო გაგებით, არის მხოლოდ ინტეგრალური მიკროსქემების ბაზაზე რეალიზებული პროცესორი, მაგრამ პრაქტიკაში იგი, ძირითადად, არასოდეს გამოიყენება დამოუკიდებლად, არამედ პერიფერიულ მოწყობილებებთან ერთად, რომელიც ხშირად

ერთ ქსელში არიან გაერთიანებულნი. ეს ქსელი კი შეიძლება შეიცავდეს სხვა კომპიუტერებს ან კომპიუტერულ სისტემებს. დანაშაულის ჩადენის საგნად ან საშუალებად გახდომის საშიშროება რეალურად ემუქრება მის ნებისმიერ ნაწილს.

პროგრამული საშუალებები შეიძლება განვიხილოთ როგორც კომპიუტერული სისტემის ნაწილები ან როგორც დამოუკიდებელი საგნი, რომლისთვისაც კომპიუტერი პერიფერიული გარემოა. ეს ფაქტი უნდა დაადგინოს პროგრამულ-ტექნიკურმა ექპერტიზამ ყოველი კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე. იმ ძირითადი კომპონენტების დეტალური კვლევის შემდეგ, რომელთა ერთობლიობაც კომპიუტერული დანაშაულის ცნებაა, ჩვენ შეგვიძლია მოცემული სახეობის დანაშაულებრივი ხელყოფის კრიმინალისტიკური დახასიათების ძირითადი ელემენტების განხილვა.

კომპიუტერულ დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება განსხვავდება კრიმინალისტიკური მეცნიერებისათვის უკვე ცნობილი დანაშაულებრივ ხელყოფათაგან განსაზღვრული სპეციფიკით. პირველ რიგში, მასში უნდა შედიოდნენ კრიმინალისტიკურად მნიშვნელოვანი ცნობები სამართალდამრღვევის პიროვნების შესახებ, მისი დანაშაულებრივი ქმედების მოტივაციის ტიპიური ხერხების, საგნების, ადგილების, აგრეთვე დაზარალებული მხარის ხელყოფის შესახებ.

(გაფრთხელება შემდეგ ნომერში)

ალექსანდრე კაცმანი,
იურისტი.





სისხლის სამართლის პროცესუალისტი, კომისალისტი

იური გაბისონია

სისხლის სამართლადო მოვალეობათა შესრულებლობისა და მისრიგის დაზღვისათვის არასისხლისსამართლებრივი კასუსისმმდებლობის შესახებ კანონმდებლობის სრულყოფისათვის

1. **ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო და შიდასახელმწიფო ობრივი (უწინარესად-კონსტიტუციური) მაღალი სტანდარტების შესაბამისად, მთელი კარი (მეოთხე) უძღვნა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შეღლახვის მაღალი ჰოტენციის მატარებელი ისეთი “არქიპელაგის” დეტალურ სამართლებრივ რეგულირებას, როგორიცაა სისხლის საპროცესო სამართლებრივი იმულება.¹ კერძოდ, ეს კარი შეიცავს 79 მუხლისაგან შემდგარ 8 თავს. აღნიშნული ნორმების კორპუსში, ზემოხსენებული “ჰოტენციის” ასპექტში, უწინარესად, ყურადღებას იქცევს 133-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც ადგენს: “სისხლის საპროცესო სამართლებრივი იმულების ღონისძიების გამოყენებისას ანალოგის ან კანონის განვრცობითი განმარტება დაუშვებელია”. აშკარაა, რომ აქ კანონმდებელმა “დაზღვევაზე ითამაშა”, დააწესა რა გამონაკლისი მე-7 მუხლის მე-4 ნაწილში მოცემული ნორმა-პრინციპი პიდან: “კანონმდებლობაში ხარვეზის არსებობისას დასაშვებია სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ანალოგით გამოყენება, თუ ამით არ იღლახება ადამიანის უფლებები”. ეს კი იმის შედეგი უნდა იყოს, რომ ანალოგის – ადამიანის უფლებათა შეღლახვის რეალური საფრთხის**

(“მუხტის”) მატარებელი ამ ფენომენის–თუნდაც გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევას ამჯერად (ამ სფეროში) კანონი არ ენდო და საჭიროდ მიიჩნია ძირშივე აღვკვეთა ეს საშიშროება. ამგვარი საფრთხე (მაღალი ალბათობის შესაძლებლობა) კი გამომდინარებს განსახილველი მოვლენის სპეციფიკიდან: სისხლის სამართლის საქმის (პროცესის) მწარმოებელი ორგანო თუ თანამდებობის პირი (შემდგომში–”პროცესის მწარმოებელი”²) საპროცესო იმულების ღონისძიებას იყ-

³ სსკ-ის ათობით მუხლში ეს ცნება ტერმინოლოგიურად სულ სხვადასხვა ვარიაციით გვხვდება: “სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელი ორგანო”, “ორგანო, რომელიც სისხლის სამართლის საქმეს ან პროცესს აწარმოებს”. “პროცესის მწარმოებელი ორგანო”, ან კიდევ მათს ნაცვლად გვხვდება ჩამოთვლა (“მოკვლევის ორგანო, მომკვლევი, გამომძიებელი, სასამართლო, მოსამართლე”, სხვადასხვა. ზოგჯერ არასრული ვარაციით), რაც ამძმებს, განვრცობს კოდექსის ტექსტს. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ეს ტერმინი უზუსტოა, რადგან მასში ღაპარაკია მხოლოდ „ორგანოზე” და არ ჩანს “თანამდებობის პირი”. რომელიც “ორგანოს” სინონიმი სულაც არ არის. გარდა ლექსიკოგრაფიული, წყაროებისა (იხ., მაგ., “ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი”, ერთგომეული, თბ., 1990, ნაკვეთი I, გვ. 515 და ნაკვეთი II, გვ. 794), ამას ადასტურებს თვითონ სსკ-ის 44-ე მუხლის მე-15 და მე-17 ნაწილებიც, რომელებმც “გამომძიებელი” და “მოკვლევი” განმარტებულია როგორც თანამდებობის პირები, ხოლო ანგაშული მუხლის მე-12 ნაწილში (“სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელი ორგანო”) განმარტების ნაცვლად არასრულადა მოცემული შესაბამის ორგანოთა და თანამდებობის პირთა ჩამონათვალი. ამდენად, ჩემი აზრით, კოდექსის გამარტივების მიზნით შეიძლება შემოვილოთ ტერმინი „პროცესის მწარმოებელი”, რომელიც 44-ე მუხლში უნდა განიმარტოს, როგორც “ორგანო ან თანამდებობის პირი, რომელიც პროცესს (სისხლის სამართლის საქმეს) აწარმოებს – მოკვლევის ორგანო, მომკვლევი, გამომძიებელი, საგამოძიებო სტრუქტურის ან დააყოფის (და არა “ორგანოს”–ეს შეცდომა!–ი.გ.) უფროსი, პროგურორი, სასამართლო, მოსამართლე”.

¹ შემდგომში, სიმოკლისათვის, გამოვიყენებ ტერმინს “საპროცესო იმულება” (შესაბამისად, “საპროცესო იმულების ღონისძიება”), რაც, ვფიქრობ, არც სსკ-ს აწყენდა. ცხადია, 44-ე მუხლში სათანადო განმარტების მიცემის შემდეგ.

² აშკარაა, რომ ამ ნოველაში სიტყვა “ანალოგის” უნდა იყოს სახელობით ბრუნვაში (“ანალოგია”), ანდა ეს ნორმა უნდა ჩამოყალიბდეს სხვაგვარად.



აქ არ შეიძლება არ შევნიშნოთ ერთი ასეთი
საინტერესო ოცნრიულ-პრაქტიკული ასპექტი:
როგორია ამ შემთხვევაში ე.წ. „სამოსამართ-
ლეო სამართლის“ პრინციპის გამოყენების შესა-
ძლებლობა? კერძოდ, ამგვარი “ექსტრემალური
კითარებისათვის” განკუთვნილი საგამონაკლისო
„გამკაცრება“ გამორიცხავს თუ, პირიქით, მეტ
ასპარეზს აძლევს მოსამართლეს ზემოხსენებული
პრინციპის გამოსაყენებლად? ეს კოთხვები ცალკე
შესწავლა-განსჯის თემაა, ამიტომ აქ მხოლოდ
ნაწილობრივი, „ნეგატიური ფორმის“ პოზიტი-
ური პასუხით დავკმაყოფილდები: არა, არ
გამორიცხავს, რასაც ადასტურებს აღკვეთის
ღონისძიებათა ახალი სისტემის გამოყენების
კერჯერობით მოკრძალებული პრაქტიკაც.⁴

2. საპროცესო იტულების ღონისძიებათა გამოყენების ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილადაა დამტკიცებული იმაზე, თუ რამდენად ოპტიმალურადაა კანონმდებლობაში მოცემული პროცესის მონაწილეთა მავალებელი ნორმების მაკორესპონდირებელი ნორმები, კერძოდ, რამდენად აღეკვატურად აწესებენ ისინი ვალდებულებების დამრიცველთა ორიდიულ პასუხისმგებლობას და მისი განხორციელების ეფექტიან პროცედურას (მათს პრაქტიკულად რეალიზაციაზე, ანუ მართლწესრიგის დაცვის ასპექტზე ამჯერად არაფრის გამბობა).

საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისა და სამართალწარმოებისას წესრიგის დარ-

⁴ ამ სტატიის ავტორის, როგორც მოსამართლის, მიერ ერთ-ერთი აღკვეთის ღონისძიების—შინაპატიმრობის ვადის გავრმელებისას “სამოსამართლეო სამართლის” პრინციპის გამოყენების შესახებ იხ. ი. გაბისონია, საგამიმდიებლო კოლეგიის ინსტიტუციურ-კომპეტენციური და ორგანიზაციული სრულფონული ზოგიერთი ასპექტი (თეორია, კონკრეტული მდგრადი მომსახურება, პრაქტიკა), ჟურნ. „სამართლა“, 1999, №5, გვ.16).

დვევისათვის კანონმდებლობა აწესებს სისხლის-სამართლებრივ, ადმინისტრაციულ, დისკიპლინურ და ქონებრივ (მატერიალურ) პასუხისმგებლობას. ამგვარი “კომპლექსური” მიღეომა ასახულია სსსკ-ის ზემოხსენებული კარის ბოლო (XXV) თავის სათაურშიც, სადაც ზოგადადაა ლაპარაკი პასუხისმგებლობაზე. მაგრამ, ცხადია, სისხლის-სამართლებრივი და დისკიპლინური პასუხისმგებლობის ნაწილში სსსკ კამაყოფილდება მხოლოდ მითითებითი ნორმებით, რომლებიც მოცემულია 202-ე მუხლში⁵, აგრეთვე 204-ე, 209-ე და 211-ე მუხლების პირველ ნაწილებში. კონსტატ-აციის წესით აღვნიშნავ, რომ ახალ სსსკ-ში ამ დანაშაულებს ეძღვნება სპეციალური (მეთორმეტე) კარი – “დანაშაული სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ” (მე-4 თავი – 17 მუხლი). იგი, ცხადია, დროულად უნდა აისახოს სსსკ-ში, რომელიც ძალაში შევა ახალი სსსკ-ის სინ-კრონულად – მიმდინარე წლის 1 ივნისს. რაც შეეხება დისკიპლინურ პასუხისმგებლობას, იგი დადგენილია ცალკე (სპეციალური) ნორმატიული აქტებით (მაგ., “პროკურატურის შესახებ” კანონის 38-ე მუხლით). სახელმწიფო მოხელეებისდა დარად, ადვოკატურის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად, დისკიპლინური წესით პასუხს აებენ აგრეთვე ადვოკატებიც, ოღონდ მხოლოდ მათი ერთი ნაწილი – ადვოკატთა კოლეგიების წევრები, რის მიზეზებსაც შედარებით უფრო გამოწვდილივითი ანალიზი სჭირდება.

3. სსსკ-ის 44-ე მუხლის 39-ე ნაწილში “ადგომურა, საადვოკატო ბიურო, ფირმა” გან-

⁵ ეს მუხლი იწვევს შემდეგ შენიშვნებს: ა) მე-2 ნაწილში თოთგებულ “უხეშ დაუდევრობას”, როგორც სისხლისა-ოთლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს (სუბიექტური არს ელემენტს, ნიშანი), არც ამომინდელი და არც ახა- სასხლის სამართლის კოდექსი არ თვალისწინებს. ბ) 4 ნაწილში (იგი ფაქტობრივად მდელოებს 56-ე მუხლის 2 ნაწილის “შ” ქვეყნების!) ღაპარაკია კანონის დარ- ევის გამო საქმის გამომიტებისაგან გამომმიტებლისა და ოკურორის ჩამოშორებაზე, რაც, ცხადია, ორიდოული პა- ხისმგებლობის არც ერთ სახეს არ მიკუთვნება, ამიტომ ნაწილი არ შეესაბამება მუხლის სათაურს: “სله პირთა უხისმგებლობა, რომელიც აწარმოებენ გამომიტებასა და სამართლო განხილვას”; გ) ამავე მუხლში კვლევან ღაპარ- ას პროცესურობის პასუხისმგებლობაზეც, რაც არ ჩანს სა- ურში (პროცესურორი, ცხადია, არც საქმის გამომმიტებელია არც მისი განმხილველი მოსამართლე – იგი გამომიტების პროცეს ხელმძღვანელია....).

მარტებულია როგორც “ორგანიზაციული წარმონაქმნი”, სადაც მუშაობენ საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ადვოკატთა კოლეგიების წევრები, აგრეთვე სხვა პირები, რომლებიც კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილი არიან აწარმონ საადვოკატო საქმიანობა”. ვინ არიან ეს “სხვა პირები” და როგორია მათი სტატუსი?

4. სამართლებრივი სახელმწიფოსა და საზოგადოების იდეალებისაკენ მიღრეკილ ქვეყანაში, სადაც ადამიანებს უკვე გაუჩნდათ “მორალური ავტონომიის” (კანტის ტერმინია) მოთხოვნილება, მინიმალურად აუცილებელია ძლიერი, თავისუფალი ადვოკატურის დროულად და თანმიმდევრულად ფორმირება. ზემოხსენებული “სხვა პირების” საადვოკატო არენაზე გამოსვლაც ამ პროცესის დაწყების გამოხატულებაა, მისი პროდუქტია. მაგრამ ამ პროცესს, ცხადია, ფხიზელი, წინდაზედული, ჯეროვანი სამართლებრივი მოწესრიგება სტირლება, რასაც დღევანდელ ვითარებაზე, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით, ისევე როგორც პროცესის სხვა მონაწილეთა მიმართ არგუმენტები? ინებეთ.

ა) “სხვა პირები” – ესენი არიან ადვოკატთა კოლეგიების არაწევრი, ინდივიდუალურად მომუშავე, ან კიდევ ადვოკატთა ფირმაში თუ ბიუროში გაერთიანებული ადვოკატები – ასე ვთქვათ, “კერძო ადვოკატები”. ისინი, როგორც წესი, რეგისტრირებული არიან სამეწარმეო სტრუქტურებად – ძირითადად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (შპს) ან კიდევ ინდივიდუალური საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. ეს მაშინ, როცა, საადვოკატო საქმიანობით დაკავებულ პირებს “...უფრო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება უხდებათ, მაგრამ იმის გამო, რომ აქ მათი პირადი შრომა, პირადი ღვაწლია განმსაზღვრელი და წინ წამოწეული, არც ამ პირთა საქმიანობა მიიჩნევა მეწარმეობად”⁶. საერთოდ, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების (აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია და ა.შ.), აგრეთვე პოსტსო-

⁶ ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ., გამ. “სამართალი,” 1998, გვ. 6.

ციალისტური სახელმწიფოების (რუსეთიდან დაწყებული, ბალტიისპირეთის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტური სახელმწიფოებით დამთავრებული) კანონმდებლობით საადვოკატო საქმიანობა არ ითვლება სამეწარმეო საქმიანობად, რის გამოც მათ არ ეკისრებათ მოგებიდან გადასახადის გადახდა, ამასთან, კანონის, ჩვეულების თუ ეთიკური ნორმების ძალით დაუშვებელია რეკლამის გამოყენება⁷. ამგვარად, ჩვენში გვაქვს ასეთი პარადოქსული სამართლებრივი სიტუაცია: წმინდა საადვოკატო გაერთიანება – არასამეწარმეო სტრუქტურა რეგისტრირებულია სამეწარმეო სტრუქტურის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, “მეწარმეთა შესახებ” კანონის შესაბამისად...

ბ) “კერძო ადვოკატები” არ შედიან ადვოკატთა კოლეგიების შემაღენლობაში, ამიტომ მათზე არ ვრცელდება ადვოკატურის შესახებ დღეს მოქმედი, აწ უკვე საფუძვლიანად მოგველებული კანონმდებლობა, რომლის მიერ რეგულირებული სამართლებრივი ურთიერთობები, საზოგადოდ, სისხლის სამართლის პროცესის გარეთ მოიაზრება.⁸

გ) სადღესიდ ჩვენში არ არსებობს “ადვოკატთა პროფესიული ქცევის კოდექსი”, რომელიც (ცხადია, სხვადასხვა სახელწოდებით) მსოფლიოს მოწინავე ქვეწებში, იშვიათი გამონაკლისის გარდა,⁹ საყველთაობის პრინციპთ, თანაბრად არგვულირებს ყველა ადვოკატის პროფესიულ და მასთან დაკავშირებულ ეთიკურ მოვალეობებს, აწესებს რა პასუხისმგებლობას იმისდა მიუხდავად, თუ სადირიცება და საქმიანობს ადვოკატი.¹⁰

ეროვნულ (შიდასახელმწიფოებრივ) კანონმდებლობათა ამგვარი პოზიცია ცალსახად გამომ-

⁷ М. Ю. Баршевский. Бизнес-адвокатура в США и Германии. М., “Белые альвы”, 1995, с. 50.

⁸ “Общая теория прав человека”. М., “Норма”, 1996, с. 199.

⁹ ამგვარი გამონაკლისია, მაგ., გერმანია, რომლის 1959 წლის 1 აგვისტოს ფედერალური კანონი “ადვოკატურის შესახებ” არგვულირებს ადვოკატთა როგორც წმინდა პროფესიული, ისე არაპროფესიული, ეთიკური ქცევის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობას (იხ. მ. ბარშევსკის დასახ. ნაშრომი, გვ. 57-59).

¹⁰ საცნობარო მონაცემები იხ. წიგნში: Ф.М. Решетников. Правовые системы стран мира”. Справочник. М.. “Юрид. лит.” 1993.

დინარებს ფუნდამენტური საქართველოს დოკუმენტიდან – “ძირითადი პრინციპები და დოკუმენტთა როლის შესახებ”¹¹. კერძოდ, მასში 26-ე პრინციპი პად მითითებულია, რომ “ადვოკატები თავიანთი... ან საკანონმდებლო ორგანოების მეშვეობით, ეროვნული კანონმდებლობის, აღიარებული საერთაშორისო სტანდარტებისა და ნორმების შესაბამისად, შეიმუშავებენ ადვოკატთა პროფესიული ქცევის კოდექსებს”. შემდეგ დოკუმენტი (3.28) ადგენს, რომ ადვოკატთა მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების საკითხს იხილავენ: ა) თვითონ ადვოკატთა მიერ შექმნილი მიუკერძოებელი სადისციპლინო კომიტეტი ან ბ) კანონით გათვალისწინებული დამოუკიდებელი ორგანო ან გ) სასამართლო. ნებისმიერ შემთხვევაში საკითხი ექვემდებარება დამოუკიდებელი სასამართლოს მხრივ კონტროლს. ამასთან, ყველა დისციპლინური ზომა განისაზღვრება ზემოხსენებული კოდექსის, სხვა, აღიარებული სტანდარტებისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის, აღნიშნული “ძირითადი პრინციპების” შესაბამისად (3.29).

დ) სხვა კოდექსები, გარდა სსსკ-ისა, ადვოკატთა პასუხისმგებლობაზე დუმან, ხოლო სსსკ-ის შესაბამისი დებულებები, ისევ როგორც პროცესის სხვა მონაცილეთა პასუხისმგებლობისადმი მიძღვნილი ნორმები, ფრიად ხარვეზიანი. სახელდობრ:

¹¹ გაეროს მე-8 კონგრესზე (ჰავანა, 1990 წლის 27 აგვისტო-7 სექტემბერი) მიღებული ამ ღოკემენტის ნაწილის (საკუთრივ დანართის –) ძირითადი პრინციპების “სახით-დოკუმენტის დადგენილებითი ნაწილის გარეშე” ქართული თარგმანი გამოქვეყნდა ფურნალ “სამართლის” 1992 წლის 6-7 ნოემბრი სახელწოდებით “დებულება ადვოკატთა როლის შესახებ”. რუსულ ენაზე გამოცემულ ტექსტებით (მათ შორის იხ. ვარშავის 1997 წელს გამოცემული სკეციალური კრებული, რომელშიც დაბეჭდილია გაეროს მიერ რუსულ ენაზე გამოცემული ოფიციალური ტექსტები.–იხ. Права человека и судоустройство. Собрание международных документов. с.157-162) შედარება გვიჩვენებს, რომ ამ თარგმანის რიგი, დასანანი უზუსტობების მიუხედავად (დაწყებული იქნან, რომ ღოკემენტს ჰქვია არა „დებულება“, არამედ „ძირითადი პრინციპები“, მიღების ადვილია არა ნიუ-იორკი, არამედ ჰავანა, ტექსტის თარგმნისას დაშვებულია არსებითი შეცდომები, რის გამოც ამ წერილში ამონარიდები მოტანილია რუსული ტექსტიდან), მასში ინგლისურიდან სპეციფიკური, “უნივერსალური” ტრანსკრიფციის ტექნიკი “იურისტი” სწორადაა გადმოტანილი როგორც “ადვოკატი”.

პირველი: 205-ე მუხლით აღვოკატები (დამკველი ან წარმომადგენელი) და პროცესის სხვა მონაწილენი შრომის ანაზღაურების 10-დან 50 მინიმალურ ოდენობამდე ჯარიმდებიან ზოგიერთი საგამოძიებო და (ან) სასამართლო მოქმედების ჩატარებისათვის ხელის შეშლის ან წინასწარი გამოძიების მონაცემების გამუდავნებისათვის (რისთვისაც მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მიზანშეწონილად არ იქნება მიჩნეული), ხოლო 207-ე მუხლი აწესებს პროცესის მწარმოებლოთან ადვოკატის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო სასამართლოში საქმის განხილვის ან საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გადადებით გამოწვეული ხარჯების გადახდევინებას. მაგრამ ეს ნორმები ჯერჯერობით მკვდარია–არ მოქმედებს. მიზეზი ისაა, რომ, ამ ბოლო შემთხვევაში, არაა განსაზღვრული არც ამ ხარჯების დაანგარიშების მეთოდიკა (წესი) და არც შესაბამისი მასალების გაფორმებისა და განხილვის პროცედურა. რაც შეეხება დაჯარიმებას, 209-210-ე მუხლებით გათვალისწინებული ოქმის შედეგების, სასამართლოში საქმესთან ერთად გაგზავნის და განმწესრიგებულ სხდომაზე განხილვის პროცედურა, ბუნდოვანი და წინაღმდევობრივი¹² რომც არ იყოს, მაიც „ვერ იმუშავებს“ იმის გამო, რომ ეს პროცედურა იშვიათად თუ „ჩატევა“ აღმინისტრაციული სამართლდარღვევისათვის სასჯელის დაკისრების ხანდაზმულობის მცირე (ჩადენიდან სულ ორთვიან) კადაში, მით უმეტეს, რომ საქმეთა დიდი ნაწილის გამოძიება და მასალების გაცნობა არათუ ორთვიან, გაცილებით მეტ ვადაშიც ვერ იტევა, ხოლო სამართლდარღვევების უმეტესი ნაწილი, ცხადია, მოდის არა მაიცდამაინც საქმის დამამთავრებელ სტადიაზე, არამედ უფრო ადრეულ პერიოდებზე. ყოველივე ამას კი, ცხადია, ემატება განმწესრიგებელი სხდომის მოწვევის ვადაც (ცალკეულ შემთხვევებში 1 თვემდე). ამიტომ 209-ე მუხლში

¹² მაგალითად, 210-ე მუხლის მე-4 ნაწილი ადგენს, რომ განმწესრიგებულ სხდომაზე სამართლდარღვევის შესახებ ოქმის განხილვისას „სასამართლოს შეუძლია გამოიძახოს და დაეითხოს მოწმები“, 423-ე მუხლის („განმწესრიგებული სხდომის ჩატარების წესი“) ბოლო წინადადებაში კი წერია, რომ „განმწესრიგებელ სხდომაზე მოწმების ... გამოძახება არ დაიშვება“.



გარკვევით უნდა ჩაიწეროს, რომ აღნიშნული ოქმი თანდართული მასალებით სასამართლოს უგზავნება დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 3 დღისა მისი შედეგიდან. ოქმის და თანდართული მასალების სისხლის სამართლის საქმესთან ერთად სასამართლოში გაგზავნა დასაშვები უნდა იყოს იმ შემთხვევაში, როცა სამართალდარღვევა ჩადენილია გამოიყების დამამთავრებელ ეტაპზე და ეს არ გამოიწვევს ხანდაზმულობის ვადის გაშვებას. ამგვარი ოქმი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც განმწესრიგებელ სხდომაზე (სამართალში მიცემის საკითხთან ერთად), თუკი ასეთი მოწვეული იქნება საერთო წესით, ისე ცალკეც, ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის დაწესებული პროცედურით (ვარიანტი: ეს ოქმი განხილულ უნდა იქნეს განმწესრიგებელ სხდომაზე. მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, ეს გარემოება უნდა აისახოს 50-ე თავში, კერძოდ, 417-ე მუხლში, როგორც განმწესრიგებელი სხდომის მოწვევის კიდევ ერთი სავალდებულო საფუძველი).

მეორე. 209-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულია, რომ 203-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 205-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა ოქმი იგზავნება სასამართლოში. აյ რატომდაც გამოტოვებულია 203-ე მუხლის კვალიფიციური მე-3 ნაწილი, რაც ალოგიკურია.

მესამე. სასამართლოში წესრიგის დარღვევისათვის (რაშიც იგულისხმება აგრეთვე თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობა და სასამართლოს უპატივცემლობა¹³), პროცესის მონაწილეთა უმრავლესობისაგან განხილვებით, განსასჯელს, დამცველს და სახელმწიფო ბრალდებელს სასამართლო (მოსამართლე) ვერ დააჯარიმებს (მუხ. 208, ნაწ. 5). ამავე მუხლის მე-2 ნაწილში სიტყვა „ბრალდებელის“ წინ გამოტოვებულია „სახელმწიფო“. ამასთან, ამ პირების მიმართაც გამოიყენება გაძევება, რასაც,

ამავე მუხლის ძალით, სასამართლო იყენებს მოსამართლის ერთპიროვნული დადგენილებით ან სასამართლოს განჩინებით, ე. ი. კოლეგიურად ეს წესი შეეხება პროცესის მონაწილეებს, ხოლო რაც შეეხება სხდომის დარბაზში მყოფ დანარჩენ პირებს („დამსწრე ნებისმიერ პირს“), ისინი, თანახმად აღნიშნული მუხლის მე-4 ნაწილისა, დარბაზიდან შეიძლება გაძევებულ იქნენ სხდომის თავმჯდომარის განკარგულებით (იგი, ცხადია, სიტყვიერია, მაგრამ ოქმში უნდა აისახოს). ამასთან, თანახმად ამავე მუხლის მე-5 ნაწილისა, ნებისმიერ გაძევებულ პირს (გარდა ზემოხსენებული სამი სუბიექტისა) შეიძლება, ამასთან, დაეკისროს ჯარიმაც (მრომის ანაზღაურების 10 მინიმალურ ოდენობამდე), ოღონდ არა სხდომის თავმჯდომარის განკარგულებით, არამედ მოსამართლის დადგენილებით ან სასამართლოს განჩინებით. ლაპარაკია სწორედ უკვე გაძევებულ პირებზე, ამიტომ გამოდის, რომ მისი დაჯარიმების საკითხს „პოსტ-ფაქტუმ“ იხილავს მოსამართლე ან სასამართლო, თანაც, როგორც ჩანს, გაძევებული პირის დაუსწრებლად. ვფიქრობ, ძნელი არ არის ამ წესში დავინახოთ გარკვეული შეუსაბამოები, მათ შორის ერთპიროვნული ადმინისტრაციულ-განკარგულებითი და სასამართლო წესით განხილვის რაღაცნაირი აღრევა (მაგ., მოსამართლის მიერ საქმის ერთპიროვნულად განხილვისას ეს მოსამართლე, როგორც სხდომის თავმჯდომარე, გააძევებს წესრიგის დამრღვევს დარბაზიდან სიტყვიერი განკარგულებით, ხოლო როგორც მოსამართლე, იმავე სხდომაზე – ოღონდ არ ჩანს რა სტადიაზე! – დააჯარიმებს მას საპროცესო აქტით – დადგენილებით, ამასთან დამრღვევის დაუსწრებლად!). გარდა ამისა, აღნიშნული ნორმები აშკარა წინააღმდეგობაშია 52-ე მუხლთან, რომლის თანახმადაც სასამართლო სხდომის თავმჯდომარე (სხვათა შორის, 208-ე მუხლში სიტყვა „სასამართლო სხდომის“ ყველგან გამოტოვებულია, რაც უსწოროა; ყოველ შემთხვევაში, სიტყვა „სხდომის“ აღბათ ყველგან უნდა დაემატოს, რადგან „სხდომის თავმჯდომარის“ ცნების გარდა არსებობს სრულიად განხილვებული ცნება – „სასამართლოს თავმჯდომარე“)სხდომის დარბაზიდან ამევებს წესრიგის დამრღვევს (რაც გაცილებით ფართოა და მოიცავს, გარდა „დარბაზ-

¹³ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (მუხლი 208) წერია „უპატივცემლობა“, ხოლო ახალი სსსკ-ის 366-ე მუხლში კი – „უპატივცემულობა“. ლექსიკოგრაფია ორივე ვარიანტს დასაშვებად მიიჩნევს, მაგრამ უპირატესობას ანიჭებს „უპატივცემლობას“ (იხილეთ ვ. თოფურია, ივ. გიგინე შვილი. ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., „განათლება“, 1998, გვ. 479).

ში დამსწრე პირებისა“, პროცესის ყველა მონაწილეს, კინც კი შეიძლება წესრიგი დაარღვიოს! – ი.გ.) და აკისრებს(!) მას ფულად ჯარიმას ამ კოდექსით დადგენილი წესითა და ოდენობით“. კომენტარი, ვფიქრობ, ზემდეტია.

პროცესის მონაწილეთაგან პრივილეგირებული პირების—სახელმწიფო ბრალმდებლისა¹⁴ და დამკველის დაუჯარიმებლობას გარკვეულწილად აკომპენსირებს თუ ავსებს 208-ე მუხლით დადგენილი რეაგირების ფორმა—კერძო განჩინება (აქ რატომდაც გამოტოვებულია მოსამართლის ერთ-პიროვნული აქტი—კერძო დადგენილება!), რომელიც ეგზაგნება შესაბამისად ზემდგომ პროკურორს ან ადვოკატთა კოლეგის (ნაწ.2). აქვე ჩანს, რომ ეს ზომა (ლონისძიება) გამოიყენება მხოლოდ გაძვევების შემდეგ—როგორც რეაგირება სახელმწიფო ბრალმდებლის ან დამკველის არა-სათანადო ქცევაზე.

5. ახლა, ამ და გზადაგზა განხილული სხვა
ხარვეზების ფონზე, შევხედოთ პრობლემას ეფექ-
ტუანობის რაკურსით. ყოველივე ზემოთქმულიდან
უკვე იკვეთება იმის კონტურები, რომ არსებული
სისტემის ჯეროვანი ეფექტიანობა მოსალოდნე-
ლი არ არის. სსსკ-ის 445-ე, 446-ე და მისთანა
მუხლები ამ ხარვეზს ვერ ავსებს—მათში ლაპარ-
აკია იმაზე, რომ ამ პირთა გამოუცხადებლობისას
საქმის განხილვა უნდა გადაიღოს, ე.ი. პროცესი
ჩაიშლება, რაც შეიძლება არაერთგზის განმეორ-
დეს. ამ პირთა შეცვლა კი, როგორც ამგვარ
შემთხვევებში, ისე მათი გაძევებისას, მეტად
რთული, ხანგრძლივი და ფრიად უმაღლერი პრო-
ცელურაა საზოგადოდ, ხოლო მრავალბრალდე-
ბულიან, ათეული ტომებისაგან შემდგარ, გაჭია-
ნურებულ საქმეებზე ხომ პირდაპირ კატასტრო-
ფაა!.. ამიტომ კანონმდებელმა პროცესის მწარ-
მოებელთ, უწინარესად, იმის უფლება უნდა მისცეს,
რომ ამგვარი უკიდურესი ზომების გამოუყენე-
ბლად გაუკეთონ რეაგირება პროცესის მონაწი-
ლეთა დარღვევებს — გამომძიებელმა (პროკურორ-

¹⁴ მიმაჩნია, რომ პრივილეგიის გავრცელება მხოლოდ სახელმწიფო ბრალმდებლის მიმართ დასკრიმინაციულია სხვა ბრალმდებლოთა (მაგ., დაზარალებულის, რომელიც კერძო ბრალდების საქმეზე, როგორც წესი, ერთადერთი ბრალმდებლია) მიმართ, მით უმეტეს, რომ მისი საპროცესო მოწინააღმდეგები ყველა შემთხვევაში ინარჩუნებენ ამ პრივილეგიებს. აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში იღლვევა მხარეთა თანასწორობის პრინციპი.

მა) – წარდგინებით, მოსამართლემ (სასამართლომ) – კურძო დადგენილებით (კურძო განჩინებით). არადა, ახალი სსკ-ის 280-ე მუხლის ძალით წარდგინება იგზავნება მხოლოდ “დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ გარემოებათა დადგენისას”, ხოლო კურძო განჩინება (დადგენილება), 50-ე მუხლის თანახმად გამოიტანება, არა მარტო “დანაშაულის ჩადენის მიზეზსა და ხელშემწყობ პირობებზე” ყურადღების მისაქცევად (ნაწ. 1), არამედ აგრეთვე “მოქალაქეთა უფლებების დარღვევისა თუ კანონის სხვა დარღვევათა გამოვლენისას, რომლებიც დაშვებული იყო მოკვლევის, წინასწარი გამოიძიების ან ქვემდგომი სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას” (ნაწ. 2). ამდენად აქ, როგორც ვხედავთ, ლაპარაკი არაა პროცესის მონაწილეთა დარღვევებზე, ვთქვათ, სასამართლო სხდომის მსჯელობისას.

გარდა ამისა, როგორც ზემოთაც დავინახეთ, ამ ცვლილებების შედეგადაც, რეაგირების ამ ზომებით “მოწყვლადობის” ფარგლებს ძირდა დარჩებიან ზემოხსენებული “კერძო ადვოკატები” – ინდივიდუალურ ან 4-5 კაციან ფირმაში გაერთიანებულ ადვოკატთათვის ამგვარი დოკუ-მენტის გაგზავნა, ცხადია, მხოლოდ წყლის ნაყ-ვაა. მით უმეტეს, რომ რიგ ობიექტურ და სუბ-იექტურ მიზეზთა გამო, ჩვენი კოლეგების დიდი ნაწილი სულაც არაა სულიოხორცამდე ან ძალუ-მად გაუღენთილი პროფესიული ეთიკის ნორმე-ბითა თუ იდეალებით, როგორც ეს მოწინავე ქვეყნებშია¹⁵.

6. კოდექსის განსახილველი თავი იწვევს
ზოგიერთ სხვა შენიშვნასაც:

¹⁵ იხ. მაგალითად, ი. ბარშევსკის დასახ. ნაშრ., აგრძელება: «Адвокаты Великобритании-юристам России» (Интервью), «Российская юстиция», 1996, №4; Богорад, Как я стал американским адвокатом, «Российская юстиция», 1996, №11.

ამ გარემოებათა ერთობლიობის შედევებიცაა ის, რომ პროცესის მონაწილეთა ერთი ნაწილი, მათ შორის ზოგიერთი დამცველი, არაიმევათად განზრას არ ცხადდება პროცესზე, ან ცხადდება დადი დაგვაიწერით, ან კადვე თვითონებურად სტრეგიას მას, სხვადასხვა “მეოთოით” განზრას აჭიანურებს პროცესს, იქცევა თავგეძურად, რაც იწვევს პროცესის ჩაშლას, გაჭიანურებას, პროცესის კეთილსინდისიერ მონაწილეთა ინტერესების ხელყოფას და ა. შ., რაც საბოლოო ჯამში ძირს უთხრის სისხლის სამართლწარმოების ეფექტუანობას.



ა) 203-ე მუხლის მე-2 ნაწილში გათვალისწინებულია სამართლდარღვევა – დაზარალებულის მიერ პროცესის მწარმოებელთან “გამოცხადებასა და ამ კოდექსით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულებაზე” უარის თქმა (აშკარაა, რომ აქ კავშირ “და”-ს ნაცვლად უნდა იყოს “ან” ან კიდევ შეწყვილებულად “ან/და”, რადგან თითოეული ნაწილი ცალკე ქმნის სამართლდარღვევას), ხოლო 205-ე მუხლში დაზარალებულის უარი პროცესის მწარმოებლის “კანონიერ მოთხოვნებზე (ეს სიტყვა მხოლობით რიცხვში უნდა იყოს, რადგან თუნდაც ერთი მოთხოვნის შეუსრულებლობა უკვე ქმნის დარღვევას. – ი.გ.) შემოწმების, ექსპერტიზის ჩატარების, შედარებითი კვლევისათვის ნიმუშების მიღების შესახებ.” აშკარაა, რომ მეორე სამართლდარღვევა პირველის კერძო შემთხვევაა, ამასთან, მასში არ გამოსჭვივის რაიმე მაკვალიფიცირებელი (დამამდიმებელი) გარემოება თუ ნიშანი (უფრო პირიქით!). ამიტომ, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, მათი ცალკე გამოყოფა გაუმართლებელია.

ბ) გაუგებარია ამ სამართლდარღვევებისათვის სანქციების დაწესების კრიტერიუმიც: 203-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია ჯარიმის შრომის ანაზღაურების 10 მინიმალურ ოდენობამდე, ხოლო 205-ე მუხლით – 10-დან 50 მინიმალურ ოდენობამდე, რის საფუძველსაც

ამ სამართლდარღვევათა ხარისხისა და ხასიათის შედარება არ იძლევა.

გ) 205-ე მუხლის ბოლო წინადადებაში სიტყვების “კერძო განჩინებას” შემდეგ ფრჩხილებში უნდა ჩაეტანოს “დადგენილებას”, ვინაიდან მოსამართლის კერძო დადგენილება, თანახმად სსკ-ის 50-ე მუხლისა, იმავე რიგისა და მნიშვნელობის საპროცესო აქტია, როგორც კერძო განჩინება (კოდექსში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს ხარვეზი სხვაგანაც გვხვდება).

დ) 211-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ თუ საქმის განხილვისას გამოვლინდა სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის პროცესის მონაწილის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემის საფუძველი, მასალები პროკურორს ეგზავნება განაჩენის ან გადაწყვეტილების გამოტანასთან ერთად. გაუგებარია თუ რატომ “დაამუხრუჭა” კანონმდებლმა დანაშაულის თაობაზე მასალების დანიშნულებისამებრ წარმართვა, რაც, როგორც ცნობილია, ფრიად საშური საქმეა, მით უმეტეს, რომ, როგორც წესი, ამგვარი დანაშაული (მაგ., “სასამართლოს უპატივცემულობა”, გათვალისწინებული სსკ-ის 366-ე მუხლით) შეიძლება ჩადენილ იქნეს (დამთავრდეს) სასამართლო პროცესის საწყის სტადიაზევე, ხოლო პროცესი კი დროში დიდად “გაიწელოს”. ეს “დაყოვნებითი” წესი არაფრით არ არის გამართლებული და, ამდენად, გადასინჯვას მოითხოვს.

01 ბაბისონია,
თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი,
თსუ სისხლის სამართლის პროცესისა და
კრიმინალისტიკის კათედრის დოცენტი.



ნარკოტიკების კონტროლირებადი მიზოდება, როგორც ოპერატიულ-სამძღვრო ღონისძიება

6 არკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლა აქტუალურია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით. აღნიშნული საკითხი გლობალური ხასიათისაა, რადგან ეს პრობლემა თითქმის ყველა სახელმწიფოსა და კაცობრიობის წინაშე დგას.

აქტუალობას რამდენიმე ფაქტორი კიდევ უფრო ზრდის:

1. ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეკურსორების წარმოების, მოთხოვნის და ბრუნვის ზრდის ტენდენცია სერიოზულ საფრთხეს უქმნის სხვადასხვა სახელმწიფოში მცხოვრები ადამიანების ჯანმრთელობას და კეთილდღეობას, უარყოფით გავლენას ახდენს საზოგადოების ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ საფუძვლებზე, საბოლოო ჯამში, ეჭვის ქვეშ აყენებს კაცობრიობის შემდგომი განვითარების საკითხს;

2. მსოფლიოს საზოგადოებრიობა შეშფოთებულია იმით, რომ ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვაში ქოთვების სხვადასხვა სოციალური ჯგუფები, რაც უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს;

3. ყურადღება ექცევა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის და მასთან დაკავშირებული ორგანიზებული დანაშაულებების სხვა ფორმების ურთიერთკავშირს, რომლებიც არყევენ კანონიერ ეკონომიკას და საფრთხეს უქმნიან სახელმწიფოს სუვერენიტეტს, სტაბილურობას და უშიშ-

როებას; აგრეთვე უკანონო ბრუნვა არის საერთაშორისო დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც საჭიროებს გადაუდებელ და დაუყოვნებლივ აღკვეთას;

ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეკურსორების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი ბაზის საფუძვლების შესახებ მეცნიერული განსჯა საქართველოს პირობებში არა თუ აქტუალურია თეორიული თვალსაზრისით, არამედ აუცილებელიც. თუ იმსაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში შექმნილი ნარკოსიტუაცია მეტად რთულია, მაშინ უფრო ცხადი გახდება ამ თემის მნიშვნელობა.

„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების ან პრეკურსორების საერთაშორისო უკანონო ბრუნვის აღსაკვეთად, ასევე უკანონო ბრუნვაში მონაწილე პირთა გამოსავლენად, საქართველოს შეს სამინისტროს სხვა ქვეყნების კომპეტენტურ ორგანოებთან შეთანხმებით ან საერთაშორისო ხელშეკრულებებით გამოიყენებენ „კონტროლირებადი მიწოდების“ მეთოდს, ესე იგი, კონკრეტული ღონისძიების გატარებისას, დაიშვება უკანონო ბრუნვაში ჩართული ნარკოტიკების საქართველოში შემოტანა, გატანა ან ტრანზიტით გადაზიდვა ღონისძიების განმახორციელებელი ორგანოს მუდმივი, განსაკუთრებული კონტროლით და საიდუმლო მეთვალყურეობით.

საკონტროლო მიწოდების მეთოდის მარეგლა-

მენტირებელი საერთაშორისო სამართლებრივი აქტია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1988 წლის კონვენცია „ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ”, რომლის 11-ე პუნქტი შეიცავს რეკომენდაციებს ხელისმომწერ მხარეთავის, საკონტროლო მიწოდების სახელმწიფოთაშორის დონეზე განხორციელებისას.

გადაწყვეტილება საკონტროლო მიწოდების გამოყენების შესახებ მიიღება ყველა ცალკეულ შემთხვევაში, მისი რეალიზაციის პირობებისა და მონაწილე მხარეებთან არსებული შეთანხმების გათვალისწინებით.

საკონტროლო მიწოდებას ადგილი აქვს, როდესაც არალეგალურად გადასაზიდი ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერების ან სამართლებრივი რეჟიმის ქვეშ მყოფი სხვა ქიმიური სუბსტანციების პარტიები აღმოჩენილია საფოსტო გზავნილებში, სარკინიგზო, საჰაერო, საზღვაო ან სხვა სახის ტრანსპორტში (ძირითადად, სხვა საქონლის სახით შენიღბული), დანიშნულების ადგილის მიმართულებით გასაგზავნად ან გადასაზიდად საიდუმლო მეთვალყურეობით, გამგზავნის, მიმღების და სხვა სუბიექტების გამოსავლენად.

კონტროლირებადი მიწოდების მიზანია ნარკოტიკების პარტიის საქართველოში შემოტანა, გატანა ან ტრანზიტით გადაზიდვა, რათა დადგინდეს დანიშნულების საბოლოო პუნქტი, გადაზიდვის ადგილი და უკანონო ბრუნვაში მონაწილე ყველა პირი.

კონტროლირებადი მიწოდება გამოიყენება როგორც ნარკოტიკების ქვეყნის შიგნით გადაადგილებასთან დაკავშირებით, ასევე ქვეყნის გარეთ რამდენიმე სახელმწიფოს გავლით.

კონტროლირებადი მიწოდების (რომელიც მოიცავს სხვა ქვეყნის ტერიტორიებს) განხორციელებისას უცხო სახელმწიფოების კომპეტენტურ ორგანოებთან ურთიერთობა უნდა დამყარდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1988 წლის კონვენციის შესაბამისად.

კონტროლირებადი მიწოდების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, „კანონი პოლიციის შესახებ”, „კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ” და შინაგან საქმეთა სამინისტროს ნორმატიული აქტები.

კონტროლირებადი მიწოდების ოპერაციის გატარება დამოკიდებულია მრავალი ორგანიზაციული მოთხოვნის დაცვის აუცილებლობისა და მიღებული ზომების თანმიმდევრობაზე.

ასეთ შემთხვევაში ღონისძიების ინიციატორი შე ირგვლივ:

- მიიღოს ზომები ინფორმაციისა და ნარკოტიკიანი ტვირთის აღმოჩენის გასასაიდუმლოებლად;

- შექმნილი სიტუაციის მიხედვით გაატაროს სათანადო ღონისძიებათა კომპლექსი ნარკოსაქმისნების პიროვნებების დასადგნად და მათი კანონსაწინააღმდეგო ქმედებების დოკუმენტირებისათვის;

- შეიმუშაოს ოპერაციის ჩატარების გეგმა, მისი რეალიზაციისათვის ოპერატიული ჯგუფის შექმნის გათვალისწინებით;

- უზრუნველყოს იმ ტერიტორიული, თუ სატრანსპორტო პოლიციის ორგანოების ურთიერთობობებით, რომელთა სამომსახურე ზონაშიც სავარაუდოა ნარკოტიკიანი ტვირთის გადაადგილება;

- ოპერაციაში მონაწილე სხვა სუბიექტებთან ერთად უზრუნველყოს ტვირთისა და მისი გამცილებლების გადაადგილების ფარული კონტროლი, ნარკოტიკების გადამზიდების, დანიშნულების პუნქტში მიმღებებისა და გამსაღებლების დადგენა-დაკავება.

აკრძალული ტვირთის გამოვლინებისთანავე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უკანონო ტრანსპორტული ტვირთის ფაქტის სწორად დოკუმენტირებას. ამ მიზნით საქართველოს სსსკ 339-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, დგება ტვირთის დათვალიერების ოქმი, ხოლო დოკუმენტირების პროცესი, ნარკოტიკები და მისი გადაადგილების საშუალებები ფიქსირდება ვიდეო-ფოტოგადაღებებით.



იმ შემთხვევაში, როდესაც ნარკოტიკები გამოვლენილია რენტგენული დანადგარით, მაგალითად, ავიამგზავრის ბარგის შემოწმებისას, მიზანშეწონილია რენტგენოპარატის მონიტორზე არსებული გამოსახულების ფოტოგრაფირება.

კონტროლირებადი მიწოდება სახელმწიფოს
შიდა ტერიტორიაზე ხორციელდება მოტივირე-
ბული დადგენილების საფუძველზე, რომელსაც
ამტკიცებულია:

- ა) საქ. შსს ნარკომანისა და ნარკობიზნესის
წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს უფრო-
სი ან მისი მოადგილეები;

ბ) აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რეს-
პუბლიკის შს მინისტრები ან მათი მოადგილეე-
ბი ოპერატიულ დარგში;

გ) სატრანსპორტო პოლიციის მთავარი სამ-
მართველოს უფროსი ან მისი მოადგილე ოპერ-
ატიულ დარგში;

დ) ქალაქებისა და რაიონების შს მთავარი
სამართლებრივის უფროსები.

კონტროლირებადი მიწოდების ოპერაცია ხორციელდება ერთიანი კომპლექსური გეგმის მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს აღნიშნული ოპერატორულ-სამძებრო ღონისძიების გატარების ნებართვაზე უფლებამოსილი ხელმძღვანელი (ოპერატორულ-სამძებრო კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად).

ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ
ბრძოლის დანაყოფები ორგანიზაციას უწევს სხვა
შეს ორგანოების სამსახურებთან ურთიერთომოქმედე-
ბას, ოპერაციის მომზადებისა და გატარების პრო-
ცესში მათი შესაძლებლობების გამოყენების მიზნით.
საკონტროლო მიწოდების ოპერაციებში, როგორც
წესი, მონაწილეობას ღებულობენ სისხლის სა-
მართლის სამძებროს, ეკონომიკური დანაშაულის
წინააღმდეგ ბრძოლის, სატრანსპორტო პოლიცი-
ისა და საექსპერტო-კრიმინალისტიკური დანაყ-
ოფების ოპერატორები აპარატები.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 110-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად ოპერატორ-სამძებრო ღონისძიების შეღვად მიღებული მონაცემები შეიძლება გახდეს ამა თუ იმ

საპროცესო წყაროს ცნობისა და ფაქტის შინაარსი და მხოლოდ ამ შემთხვევაში დაიშვება როგორც მტკიცებულება. აღსანიშნავია, რომ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია აუცილებლად უნდა გაფორმდეს (დაფიქსირდეს) სათანადო წესით დოკუმენტურად, რომელშიც ასახულია ამ ღონისძიების მსვლელობის მთელი შინაარსი. ამდენად იგი დოკუმენტია და მისი სათანადო შემოწმების შემდეგ, იგი შეიძლება დავუროვდ სისხლის სამართლის საქმეს, როგორც დოკუმენტი. დოკუმენტის, როგორც მტკიცებულების ერთ-ერთი წყაროს შინაარსი და განმარტება მოცემულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 126-ე მუხლში. ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დოკუმენტია ითვლება ინფორმაცია, რომელშიც აღბეჭდილია ფაქტი სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით (ე.ი. წერილობით), ანდა ფოტოკინოვიდეო, ბეგრისა და სხვა ჩანაწერის სახით ან ტექნიკური საშუალების გამოყენებით. უნდა აღინიშნოს, რომ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარებისას გამოიყენება ფოტოკინოვიდეო გადაღება და სხვა ტექნიკური საშუალება, რომელთა გამოყენება და მისი შედეგები ფიქ-სირდება ღონისძიების მასალებში.

კონტროლირებადი მიწოდების ოპერაცია სახ-
ელმწიფოს გარე ტერიტორიაზე ხორციელდება
საზღვარგარეთის ქვეყნების კომპეტენტურ სა-
მართალდამცავ ორგანოებთან შეთანხმებით, მხ-
ოლოდ საქართველოს შე მინისტრის ან მისი
ოპერატორულ დარღვი მოადგილის ნებართვით.
ასეთი ღონისძიებების განხორციელების ინიცია-
ტორმა უნდა მიმართოს საქართველოს შეს ნარკო-
მანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძო-
ლის ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელობას;

შემოსული ინფორმაციის საფუძველზე ნარკო-
მანიისა და ნარკობიზნების წინააღმდეგ ბრძო-
ლის ეროვნული ბიურო იღებს ზომებს:

საზღვარგარეთის იმ ქვეყნების კომპეტენტურ სამართალდამცავ ორგანოებთან პირდაპირი კავშირის დასამყარებლად, რომლებმცი სავარაუდოა საკონტროლო ტვირთის გადაადგილება, ადგენს

სახელმწიფოს გარე ტერიტორიაზე საკონტროლო მიწოდების ოპერაციის განხორციელების ოურიდიულ და ტექნიკურ შესაძლებლობების;

აღნიშნული ღონისძიების ჩასატარებლად გამოითხოვს შეს სამინისტროს ხელმძღვანელობის ნებართვას ღონისძიების ჩატარებაში სხვა სახელმწიფო ორგანოების ჩასართავად და სხვა მათი მოქმედების კორდინაციისათვის;

აწვდის ინფორმაციას ღონისძიების ინიციატორს ოპერაციის ჩატარების ვადებზე;

კორდინაციას უწევს ტერიტორიული შეს ორგანოების მოქმედებებს საკონტროლო ტვირთის საქართველოს სახელმწიფო საზღვართან მიცილებამდე.

სახელმწიფოს გარე ტერიტორიაზე საკონტროლო მიწოდების ღონისძიებაზე გადაწყვეტილების მიღება საქართველოს შეს ხელმძღვანელობის პრეროგატივა და მიიღება მხოლოდ მისი ყოველმხრივი შესწავლისა და ანალიზის შემდგომ, მათ შორის დანიშნულებისა და ტრანზიტის ქვეყნების საკანონმდებლო ბაზის, ოპერაციის გატარების პირობების, მრავალ ორგანიზატორულ საკითხში საზღვარგარეთის ქვეყნების პარტნიორთა მოსაზრებების გათვალისწინებით.

ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეკურსორების საერთაშორისო უკანონო ბრუნვაში, ასევე ამ უკანონო ბრუნვაში მონაწილე პირთა გამოვლენისა და დანაშაულის აღკვეთის მიზნით გამოიყენება საკონტროლო მიწოდების განსხვავებული სახე – სატრანზიტო საკონტროლო მიწოდება.

უკანონო ბრუნვაში მყოფი ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების ან პრეკურსორების გატარება სახელმწიფოს ტერიტორიაზე, კონკრეტულ შემთხვევაში, ნიშნავს ამ ქვეყნის „სატრანზიტო სახელმწიფო“ ცნობას. სატრანზიტო სახელმწიფო არ არის უკანონო ბრუნვაში მყოფი ნარკოტიკების, არც მწარმოებელი და არც მიწოდების საბოლოო პუნქტი.

გამომდინარე არსებული რეალობიდან, საქართველო ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არ არის და შეიძლება ჩაითვალოს, როგორც მიწოდების სატრანზიტო ქვეყანა.

სატრანზიტო კონტროლირებადი მიწოდების მეთოდის გამოყენების ინიციატორია მონაწილე ერთ-ერთი მხარის კომპეტენტური ორგანო. იგი შეიმუშავებს ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების დაგეგმას.

სატრანზიტო კონტროლირებადი მიწოდების განხორციელება წარმოებს როგორც საქართველოს, ასევე სხვა ქვეყნების კომპეტენტური ორგანოების ინიციატივით, მათ მიერ საერთაშორისო სატრანზიტო ტვირთებში ნარკოტიკების აღმოჩენის შემთხვევაში.

მრავალ შემთხვევაში სატრანზიტო კონტროლირებადი მიწოდების ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება შეიძლება განხორციელდეს საქართველოს შეს, ეროვნული ბიუროს მიერ სხვა სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებთან ურთიერთობაში მონაწილე პირთა გამოვლენისა და დანაშაულის აღკვეთის მიზნით გამოიყენება საკონტროლო მიწოდების განსხვავებული სახე – სატრანზიტო საკონტროლო მიწოდება.

გოჩა სისაური,
საქართველოს შეს ნარკომანისა და ნარკობიზნების
წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს უფროსი.



სახელმწიფო სა და სამართლის ისტორია, თეორია

ნინო ცნობილაძე

ხევისბერის ინსტიტუტი ფშავ-ხევსურეთში გაზა-ფშაველას
რამდენიმე მოსაზრების მიხედვით

¶ სტორიულ წყაროებსა და ვაჟას ნააზრევზე
დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, ხევისბე-
რობა ფშავ-ხევსურეთში, პრობითად, ორ – ძველ
და ახალ პერიოდად იყოფა. როგორც იურიდი-
ულ დაწესებულებას, ხევისბერობას ძველად სხვა
დანიშნულება, მნიშვნელობა და ფუნქცია გააჩნ-
და. იგი თვალსაჩინო მოხელე იყო და ხელო
საქმაოდ დიდი ძალაც ეპყრა. მისი ძალაუფლება
კანონითაც იყო განმტკიცებული და მას სახ-
ელმწიფოც იცავდა.

ფეოდალურ საქართველოში ხევისბერობაც
ფეოდალურ წესზე იყო აგებული, ე.ი. როგორც
ერისთავი, ხევისბერიც ხშირად არ ემორჩილე-
ბოდა სახელმწიფო ობრივ ძალას და ებრძოდა,
ეურჩებოდა მას. ამის შესახებ გიორგი ბრწყინ-
ვალის „ძეგლისძებაში“ ნათქვამია: შევედით მთი-
ულეთში „ყოვლგნით უცილებლად ქონებასა შინა
სამეფოსა ჩუენისასა და უცილებლად პყრობად
ტახტისა და სკიპტრისასა... უცილებლად პყრო-
ბად ტახტისა და სკიპტრისასა წარვედით ტახ-
ტით ჩვენით... და მოგახსენით ყოველსა უნებურ-
ნი ხევისბერნი“. ამავე „ძეგლისძების“ წინასი-
ტყვაობაში აღნიშნულია მთიელების აწეწილ-
დაწეწილი ძღვომარეობა და ამ ვითარების გა-
მომწვევი მიზეზები.

ხევისბერის ურჩობის ერთ-ერთი ძირითადი
მიზეზი, ალბათ, ის დიდი უფლებები იყო, რაც
სამხედრო თანამდებობის სახით გააჩნდათ. უნდა
ითქვას, რომ ხევი სახელმწიფოებრივი წყობის
სტრუქტურაში მცირე ტერიტორიულ-ადმინის-
ტრაციული ერთეული იყო. იგი ემორჩილებოდა

როგორც ერისთავს, ასევე გამგებელს, დარბაზს.
თავის საბრძანებლოში კი მრავალგვარი უფლებით
იყო აღჭურვილი.

ხევისბერის ღირსება-უფლებაზე მეტყველებს ისიც, რომ მისი სისხლი გამგებლის სისხლს ეტოლებოდა. გამგებლის სისხლი ღირდა ექვისი ათასი თეთრი. იგივე ფასი ედო ხევისბერის სისხლსაც. საყურადღებოა ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება: ძველი კანონით ხევისბერს უფლება არ ჰქონდა საეკლესიო, რელიგიურ საქმეებში ჩარეულიყო: „სხვა რაც სასჯულო საკითხავი იყოს, იგი კათალიკოზსა და მათ განაჩენთა, მათ ზედა ეპისკოპოსთა მათ კითხონო“, – ნათქვამია „ძეგლისდებაში“.

ძველად ხევისბერობა საერო დაწესებულება იყო. გარდა სამხედროსი, გააჩნდა ადმინისტრაციული და საპოლიციო ფუნქციებიც. ამის შესახებ ვაუა წერს: „ხევისბერი წინანდელს დროში არა ყოფილა სამღვთო წესების ამასრულებელი, არამედ სჭერია ხელში პოლიტიკური და ოურიდიული უფლებაცა. იგი ყოფილა მშვიდობიანობის დროს მსაჯული და ომიანობაში – ჯარის წინამძღვარი ხელში დროშით“!

ხევისბერების სასულიერო ფუნქციებზე არც
გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდებაში“, არც ვახ-
ტანგ VI კანონთა კრებულში ერთი მუხლიც არ
არსებობს. ვაჟა-ფშაველას მოღვაწეობისას კი
ხევისბერობა სხვა დაწესებულებად იქცა — აღარ
უდივს საფუძვლად კანონი, აღარ იცავს სახ-

¹ ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. IX, თბ., 1964, გვ.29.

ელმწიფოებრივი ძალა. ხევისბერი აღარაა მოხულე, სახელმწიფო ორგანო. ხევისბერობამ, ფაქტობრივად, სხვა მიმართულება და გეზი, სხვა მნიშვნელობა შეიძინა, სხვა საფუძველი მიიღო, ის, რომელსაც მთლიანად უარყოფდა ძველი კანონი. პალავ ვაჟა-ფშაველას დავიმოწმებთ: „ხევისბერობა სულ სხვა ნიადაგზეა აღმოცენებული, იგი განკერძოებული მოვლენაა“.²

როგორც აღვნიშნეთ, ძველად ხევისბერს კრძალებოდა საეკლესიო საქმეებში ჩარევა, რადგან კათალიკოსი და ეპისკოპოსი განაგებდნენ მთაშიც.

რა უნდა ექნა ხევისბერს? როგორ აღედგინა ღირსება?

ხევისბერმა გამონახა გზა ხსნისა – ეკლესიის, რელიგიური შენობის კუთხის ბოძს ამოეფარა და დაიწყო ერის „წინამძღოლობა“. ხევისბერის პატივის აღდგენას მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი მთიელთა ცრუმორწმუნეობამაც.

ახალი დროის ხევისბერის საკითხზე ვაჟა-ფშაველა წერს: „მთაში... ხევსურეთში... სადღაც მიუწვდომელ ადგილებში, მთის შუა ჩავარდნილ ხევებში... თითქმის მესამედი ხალხი ქართველებისა იშენებენ უდაბურ კლდეებში თავისთვის ეკლესიებსა... როდესაც დაამთავრეს ამ ეკლესიების შენებლობა, დაიწყეს ქრისტიანული ჭეშმარიტების აღსრულება, მაგრამ ვის უნდა აღესრულებინა, როდესაც მღვდელი, ან ბერი ათასში ერთხელ მოავლებდა ხოლმე თვალსა. მაშ, რაღა უნდა ექნა გაუნათლებელს ხალხს, როგორ უნდა დამდგარიყო ღვთის უმსახუროდ? აი, ამ თანამდებობის აღმასრულებლად აირჩიეს უფრო მცოდინარე კაცები და მისცეს ნება კანონიერი ღვთის მსახურებისა. ამ კაცებს დაარქვეს ამათ დეკანოზები, ანუ ხევისბერები. ამათაც თანდათან გაიდგეს მირი ხალხში და მიიღეს ხალხისაგან დიდი მნიშვნელობა“.³

ე.ი. თუ ძველად ხევისბერი ლაშქარს მიუძღვა, ახალ, მომდევნო პერიოდში იგი „ხატობებსა“ და „სალოცავებში“ მოგვევლინა მეთაურად და წინამძღვრად. თუ ძველად ხევისბერი ბრძოლის ველზე დროშით გაიყვანდა ჯარს, ახლა

ხატისათვის განკუთვნილ ტარიგის დაკვლაში პოვებს ამ მაღალ ღირსებას.

ვაჟა-ფშაველას გაღმოცემით, ფშაველები შედგებოდნენ თორმეტი თემისაგან: გოგოჭური, გაბიდაური, უძილაური, გოგოლაური, ჭიჩუელი, ახადელი, უკვენა ფშაველი, წითელაური, ქისტაური, წოწოლლაური, ტურანი და მისრიანი.

რა თქმა უნდა, ყველა ამ თემს ჰყავს საკუთარი ხატი, მაშასადამე, საკუთარი ხევისბერიც.

ვაჟას მიაჩნია, რომ ხევისბერი მემკვიდრეა მოგვისა და მღვდლისა. ხევისბერებმა, რომლებსაც არ ჰქონდათ საეციალური საეკლესიო განათლება, მართალია, რამდენადმე მაინც დაიცვეს ზოგიერთი ქრისტიანული წესი, მაგრამ მათ შეერია არაქრისტიანული ჩვეულებაც, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ხევისბერობამ დაიცვა მხოლოდ მეორეხარისხოვანი მხარე – რელიგიური კულტის ფორმები.

სწორედ მეორე პერიოდის, ახალი დროის ხევისბერად უნდა მივიჩნიოთ ვაჟას პოემა „ალუდა ქეთელაურის“ ხევისბერი ბერდია, რადგან ძველად თუ ხევისბერს სასულიერო საქმეებში ჩარევის უფლება არა ჰქონდა, ბერდია თვით ხელმძღვანელობს ხატობას, ანუ ხევსურთა რელიგიურ დღესასწაულს, ზვარაკის შეწირვასაც თავად ახორციელებს.

რაკი ხევისბერმა ძველი პატივი და ღირსება დაკარგა, ახლა ცდილობდა აღედგინა პირვანდელი მდგომარეობა. შეიძლება ვიფიქროთ, ამიტომაც გაბრაზდა ხევისბერი ბერდია, როცა ალუდამ თავად დაკლა საკლავი, თვითონ წარმოსთქალოცვა. საკლავის დაკვლა კი ხევისბერის უმთავრეს მოვალეობას შეადგენდა, ამდენად, ალუდა, გარკვეულწილად, ჩაერია მის უფლებამოვალეობაში. ჩაერია თანაც ხატობის დროს, როდესაც მთელი თემი თავმოყრილი იყო. ხევისბერს, ადრინდელი დიდების აღდგენის მოსურნეს, ხელს უშლის „ვიდაც“ ალუდა ქეთელაური, რომელმაც მას, ხევისბერის გაგებით, შეურაცხყოფა მიაყენა. ხევისბერს რაღა დარჩენია, გარდა იმისა, რომ თემსა და ალუდას შორის ჩამოაგდოს კონფლიქტი. მით უმეტეს, „სარწმუ-

² იქვე, გვ. 111.

³ ვაჟა-ფშაველა, თხზ.. ტ. X, თბ., 1964, გვ. 13-14.

ნოების ხაფანგში“ მომწყვდეულ მთიელებს სჯერათ ხევისბერისა, ანუ დეკანზისა, როგორც ღვთის წარმომადგენლისა. ბრმად მიჰყვებიან ყოველ მის სიტყვას, თუნდაც სიცრუეს.

ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებში მოქმედებენ, უმეტესად, ბედს უსიტყვოდ დამორჩილებული გმირები. პოემის დასაწყისში ხევისბერს ვერც ვამჩნევთ მანამ, სანამ ალუდა მის მიერ მოკლული ქისტის – მუცალის საცხონებლად შესაწირს არ მიუყვანს ხევისბერ ბერდის და ეუბნება:

„ეგ სამხვეწროა, ბერდიავ,
ძოლან მოკლული ქისტისა,
მუცალს ეტყოდნენ სახელად
მაუნათლავის შვილისა.
კარგადაც დამიწყალობნე,
გამიმეტებავ მისთვინა,
როგორც უნდომლად მოკლულის,
თვის ლამაზის ძმისთვინა.“⁴

ალუდას თხოვნის შემდეგ ზედმიწევნით წარმოჩნდება ხევისბერის ჭეშმარიტი სახე.

სავარაუდოა, აქ ხევისბერი საკრალური, რელიგიურ კულტთან და რიტუალთან დაკავშირებული თემის წარმომადგენელია, რომელშიც, თუ გერმანელი მეცნიერის – რაინერ კირშის აზრს მოვიშველიებთ, „შეზღუდულობა და არაადამიანური ძალმომრეობაა გამეფებული“.⁵

ალუდასათვის გაცემული შემაზრზენი და უხეში პასუხისათვის ხევისბერი შეიძლება ჩაითვალოს ქრისტიანული სამოსელით შენიღბულ რელიგიის მსახურად:

„გაურჯულებულს არჯულებ
შენეს არ მოგიხდებისა.
მამით არ მოდის ანდერძი
პაპით და პაპის-პაპითა.
გონთ მოდი, ქრისტიანი ხარ,
ურჯულოვდები მაგითა.
ეშმაკს ნუ მისდევ, – ეგ სიტყვა
როგორ ამოგცდა ბაგითა“.⁶

ალუდა იმდენადა დარწმუნებული ზნეობრივი პრინციპების არამართებულობაში და თავისი ახალი შეხედულებების ჭეშმარიტებაში, რომ ხევისბერის სიტყვებს ყურიც არ ათხოვა, თავად დაკლა საკლავი და მოუნათლავი გმირის სულიც ახსნა.

ბერდიას აღმფოთებას საზღვარი არა აქვს. თემს მოუწოდებს ალუდას წინააღმდეგ, რაც სამართლიანობის სახელითაა გამოცხადებული. ეს უფრო ამტკიცებს, რომ ხევისბერი ქრისტიანული სამოსელით შენიღბული რელიგიის მსახურია:

„გაგონილაა – იძახდა
ასრე აგდება რჯულისა,
საკლავს თვითონ კლავს ალუდა
მამხსენე ქისტის სულისა,
ხალხო, მინდარის გვიგო,
პასუხი თქვენის გულისა.
დაჯარდით, ხევსურთ შვილებო
ყველანი – დიღნი, მცირენი,
სამართლი ვქნათ – ვუმტკრიოთ
ალუდას სახლის დირენი“.⁷

ჩანს, ხევისბერს არ სურს ალუდასაგან ურჯულოს „ცხონება“. ალუდა კი პირიქით იქცევა – სურს, „აცხონონ“ მისგან მოკლული ვაჟეაცი. აქვე გავიხსენოთ, რომ ხალხს მღვდელზე წარმოდგენა დაეკარგა, სამაგიეროდ, მძლავრდებოდა ნდობა ხევისბერისადმი. ბოლოს იქმდეც მივიდა საქმე, მთიელებს მღვდლისაგან კურთხევაც აღარ სურდათ: ხევსურთა ერთ-ერთი ხატობის დროს მომხდარ ფაქტზე ვაჟა-ფშაველა წერს: „დედაკაცი... მოვიდა და მოიყვანა თან ბატკნი. მიუბრუნდა ხევისბერის ამ სიტყვებით: – შენი ჭირიმე, ჩემი ნათელისძეო, ე, ბალდი შამიხვეწიე! აქ მდგომარე მღვდელმა საცეცხლური მოამზადა, უნდოდა დაეკურთხებინა. დედაკაცს არ მოეწონა ეს მღვდლის კურთხევა. ცხვარი უკანვე დააბრუნა და თქვა: შენ დაკურთხებულ არ მინდარის, არავ თუ ნათელისძეივ, თორო არ იქნებისავ!“⁸

⁴ ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. III, თბ., 1964, გვ. 69.

⁵ რაინერ კირში, რეალიზმი ვაჟა-ფშაველას პოეზიაში, გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1971 წლის 29 ოქტომბერი.

⁶ ვაჟა-ფშაველა, ტ. III, გვ. 71.

⁷ იქვე.

⁸ ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. X, თბ., 1964, გვ. 21.

მღვდლის კურთხევა ნაკლებად სწამდათ ფშავების ურებეს. ხევისბერის კულტს კი ფესვები მძლავრად ჰქონდა გადგმული. ხშირადაც მიმართავდნენ ფშავების ურებეს ამგვარი კითხვით: „რატომ მღვდელს არ მიიწვევთ ხოლმე თქვენს ხატობებში საკლავის, ტაბლისა და სასმელის საკურთხებლად?“¹⁰ რაზედაც ხალხი პასუხობდა: „მღვდელი ჩვენთან არ არის ყოველთვის, ხოლო ჩვენი ხევისბერები კი ჩვენთან განუშორებელნი არიან“.¹¹

ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა, ხევისბერების არჩევის არსებული წესი ფშავში.

ცნობილია, ხალხი ხევისბერად ირჩევდა სიბრძნით გამორჩეულ პიროვნებას, ამავე დროს, თემის უხუცეს წევრს, ენამჭევრ, დინჯ და სხვა მსგავსი ღირსებებით აღჭურვილს. ვაჟა-ფშაველა მოგვითხრობს ფშავში არსებულ ხევისბერად არჩევის ერთ-ერთ მეტად უჩვეულო წესზე: „ფშაველის ხევისბერად კურთხევა, მოწოდება მოხდება სხვადასხვა მიზეზისა გამო: ჯერ ერთი ქადაგისაგან და მეორე მკითხავისაგან. მაგრამ მკითხავიც ყველას წარამარად არ ირჩევს, იმასაც აქვს, თუ შეიძლება ვთქვათ, საკუთარი მეთოდი ხევისბერის ამორჩევისათვის... თუ რომელსამე ფშაველმა დაიწყო ავადობა დიდხანს და ვერ რჩება, მკითხავი ურჩევს, რომ წმინდობა დაიწყოს, გახდეს, ხევისბერად, ხატის მსახურად. ხევისბერად კურთხევისათვის, ანუ ხელ-მსახურის სანათლავად, უნდება ახლად მოწოდებულს რვა საკლავი და ერთი კურატი. ამათის სისხლით განათლვენ თავის მოძმეს ხევისბერები: სისხლს წაუსმენ შუბლსა, მკლავსა და გულზედ“.¹²

მაშასადამე, თუ კაცი დიდხანს აკადმიურობდა, არ იკურნებოდა, მაშინ თემის ერთ-ერთი წარმომადგენელი – „მკითხავი“, ან „ქადაგი“ ეტყოდა, ეკურთხე ხევისბერად და ხატიც გაგწმინდავს ყოველგვარი ავადმყოფობისაგანო. არცა გასაკვირი, თუ ასეთი პრინციპით ამორჩეული ხევისბერი არ

დაიცავდა რელიგიურ წესებს, რადგან არ გააჩნდა სპეციალური საეკლესიო ცოდნა.

საინტერესოა ისიც, რომ ხევისბერს ჰყავდა თანამშემწე, რომელსაც მთაში „დასტური“ ეწოდებოდა. ამასთან ჰყავდათ არა ერთი „დასტური“, არამედ ზოგიერთ თემში ექვსამდეც აღწევდა, ე.ი. ხევისბერს ექვსი თანამშემწეც ჰყოლია.

„დასტურის“ მთავარ მოვალეობას შეადგენდა რელიგიური დღესასწაულების დროს მოედულებინა ლუდი, მოემზადებინა სასმელ-საჭმელი და დაერიგებინა ხატობაზე მოსული ხალხისათვის.

ისიც აღსანიშნავია, რომ მღვდლებსა და ხევისბერებს შორის მიმდინარეობდა განუწყვეტელი ბრძოლები.

ცნობილია, ფშავ-ხევსურეთში ხატობები იმართებოდა ცარიელ აღგილებზე, ქვიან ყორეებზე, ღია ცის ქვეშ. თავდაპირველად, ამ აღგილებზი ხატებიც კი არ ესვნა. ხალხი ცარიელ, ხავსიან ლოდებზე ანთებდა სანთლებს. მთიელები ასეთ აღგილებში იმიტომ მოდიოდნენ სალოცავად, რომ იგი მიაჩნდათ „წმინდანთა თავშესაყარ“ მიდამოებად. ამის გამო ფშავებიცა და ხევსურებიც კერპთაყვანისმცემლებადაც მონათლეს.

მოგვიანებით, სასულიერო მთავრობის დაუინებული მოობოვნით, ხევისბერები იძულებულები გახდნენ თავ-თავიანთ სალოცავებში დაესვენებინათ შესაბამისი წმინდანების ხატები.

ეკლესია ცდილობდა თავისი მნიშვნელობა ხევისბერობაზე მეტად აღემაღლებინა. საეკლესიო მთავრობა ამტკიცებდა, რომ ხევისბერები და მკითხავ-ქადაგები აუფასურებენ ადამიანთა სულიერ ღირებულებებს, ამდაბლებენ მათ ზნეობას.

ვაჟას წერილების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ვაჟა ნაწილობრივ მაინც იზიარებს ამ აზრს: „მკითხავ-ქადაგისაგან მოსდის ხევსურს... რაც არის. უბედურება ისაა კიდევ, რომ ეს უმეცარი მრჩეველნი უმეცრებას ურჩევენ ხალხს. სკოლაში შვილს ნუ მისცემო, რადგან ხატი არ „უხდენს“, ხატისა სწყინისო“. ამ სიტყვების გამო მშობლები შვილებს სკოლისკენაც არ ახედებდნენ და ასე ეფლობოდა ფშავ-ხევსურეთი უმეცრე-

¹⁰ ოქა, გვ. 71.

¹¹ ოქა.

¹¹ ვაჟა-ფშაველა, თხზ., გ. IX, 1964, გვ. 29.

ბის მორევში. ეს აწუხებდა ვაჟას და მღვდლებსაც ამიტომ აყენებდა ხევისბერებზე მაღლა: „მღვდელი, რაც უნდა გაუნათლებელი იყოს, ხალხს იმას არ ურჩევს, სკოლაში შვილებს ნუ მისცემთო. საყდარი, რაც უნდა უხეირო მომსახურენი ჰყავდეს, მაინც მეტს ასწავლის, ვიდრე ხევსურის ხატი.“

აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლოს საქმე იქამდეც მისულა, ხევსურეთის რამდენიმე სოფელში საეკლესიო მთავრობას შემოუღია კანონი, რომლის მიხედვითაც ხალხს ეკრძალებოდა წირვა-ლოცვი-სათვის ხევისბერისათვის მიემართათ. ეს პროცესი უნდა შეესრულებინა მღვდელს. ამ კანონის დამრღვევთათვის ჯარიმად დაუწესებიათ 25 მანეთი.

ხევისბერობის საკითხს მრავალი მკვლევარი შეეხო და ყველა თავისებურად იხილავს. მა-გალითად, გამოჩენილი მეცნიერი ალექსანდრე ხახანაშვილი, რომელიც 1887 წლის 9 მარტს მოსკოვში, პოლიტიკურ მუზეუმში, ეთნოგრაფი-ის მოყვარულთა საზოგადოების კრებაზე გამო-დიოდა, წაიკითხა „მოხევების შესახებ“. ეს სი-ტყვა შემდგვ დაიბეჭდა იმავე წელს გაზ. „ივერიის“ 59-ე ნომერში. მისი დახასიათებით: „ხევისბერი იყო და არის სარწმუნოებრივის წესის აღმ-სრულებელი“, ე.ი. მისი აზრით, ხევისბერი თავიდანვე სასულიერო პირი იყო და იმთავითვე საეკლესიო საქმებს ედგა სათავეში.

ასევე ცნობილი მკვლევარი დ. ფურცელაძე გაზ. „ივერიის“ 1887 წლის 22 დეკემბრის 269-ე ნომერში აღნიშნავდა: „ხევისბერები თავიდანვე მღვდელთმსახურები იყვნენ და ხან-

დახან ჩაერეოდნენ საერო საქმეების ფუნქციებ-ში“. როგორც ვხედავთ, ამ ორი მკვლევარის აზრი ერთმანეთს ემთხვევა.

ი. ანთელავამ განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა ხევისბერობის შესახებ. მას „ხევისუ-ფალი“ და „ხევისთავი“ გაიგივებული აქვს: „კე-ვის აღმინისტრაციულ მართვას „კევისუფალი“, „კევისთავი“ აწარმოებდა. მთლად გასაგები არ არის, იყო თუ არა რაიმე განსხვავება „კევისუ-ფალსა“ და „კევისთავს“ შორის. უფრო საფიქრა-ლია, რომ ეს ტერმინები ერთსა და იმავე ში-ნაარსს გამოხატავდნენ. იგივე უნდა იყოს „კე-ვისბერიც“. ყოველ შემთხვევაში, ამ ტერმინების სემანტიკა, მნიშვნელობა არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ისინი ერთმანეთს დაკაცილოთ.

ჩვენი აზრით, ბ-6 ილია ანთელავას აზრი არა-მართებულია. არსებობს ძეგლი „საქვეყნოდ გამ-რიგე მოხელენი“, სადაც განმარტებულია სახ-ელისუფლო მმართველობის სტრუქტურა, რომ ხევის უფროსად „კევისუფალი“ ითვლებოდა.

საყურადღებოა კიდევ ერთი გამოჩენილი მკვ-ლევარის – ნიკოლოზ ურბნელის განსხვავებუ-ლი მოსაზრებაც. მას ღრმად აქვს განსილული ხევისბერობისა და საერთოდ, ძველად მთაში არსებული ყველა ინსტიტუტი. მისი აზრით, ხევისბერი თავიდანვე იყო მხოლოდ საერო საქმი-ანობის წარმომადგენელი – აღმინისტრაციული, სასამართლო და სააპელაციო საქმეების განმახ-ორციელებელი. მოგვიანებით, საქართველოს პოლიტიკური ვითარების გაუარესების გამო, ხევისბერებს დაეკისრათ მღვდლის ფუნქციებიც.

ნინო ცერაბილაძე,
იურიდიული მეცნიერებათა კანდიდატი.



თეომურაზ სილაგაძე

პიროვნების კანონითან დამოკიდებულების ზოგიერთი ფსიქოლოგიური ასპექტი

დეისათვის ლიტერატურაში, მხატვრული იქნება თუ სამეცნიერო, პიროვნების დეფინიციის 50-მდე სხვადასხვა ვარიანტი არსებობს. ცნების განსაზღვრების ასეთი მრავალ ფეროვნება მისი სირთულითა განპირობებული. პრაქტიკულად რთულია წარმოუდგენელი პიროვნების არსებოւთი ნიშის მიხედვით განზოგადება ანუ ინტელექტუალური განვითარება, ნებიდან, ემოციური განვითარება, კონსტრუქტურული განვითარება, ნიჭიდან, ხასიათიდან, განწყობის სახიდან და სხვა ნიშნებიდან მთავარის გამოყოფა და საერთო ნიშის მიხედვით მისი განზოგადება მოედლობაზე.

ადამიტებულ განსაზღვრებიდან ერთ-ერთი ძალაშე პოპულარულია, რომელსაც მისი მნიშვნელობა განაპირობებს: “პიროვნება მორალურ ღირსებათა კომპლექსი გახლავთ”.

ფსიქიკის პოსტრატალური ონგრენების პროცესში, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, მორალური დაყენებების ფორმირებას უდიდესი როლი უკავია. მისი მნიშვნელობის ხაზგასასმელად აკადემიკოსი ა. ბურაბაშვილი თანამედროვე ადამიანის ცნების “Homo Sapiens”- გონიერი ადამიანი, “Homo Moralis” - მორალური ადამიანის ცნებით შეცვლის საკითხს აყენებდა.

პიროვნების, მისი მორალური დაყენებების ფორმირებისას მნიშვნელოვანი როლი მის კანონთან და კანონიერებასთან დამოკიდებულებას ენიჭება.

კანონისა და წესრიგის როლი აღბათ უმნიშვნელოვანესია სამყაროს არსებობის პროცესში. შემცირული, ბერძნებული კოსმოგონია სამყაროს შექმნის აუცილებელ პირობად წესრიგის დამყარებას მიაჩნევს – სამყაროს შექმნა ქაოსის მოწესრიგების გზით. აღნიშნული პოსტრატალური საფუძვლად უდევს შემდგომ უდიდეს მონოთეისტურ რელიგიებს: იუდაიზმს, ქრისტიანობას, ისლამს.

კანონისა და წესრიგის მნიშვნელობა ანგიკურ ეპოქაში იქიდანაც ჩანს, რომ კლდებე მიჯაჭვული პრომეთე, მიუხედავად უკიდურესი ტანჯვისა, უარს ამბოს პერაკლეს დახმარებაზე და მხოლოდ მაშინ თანხმდება თავისუფლების მიღებას, როდესაც გმირი დაარწმუნებს, რომ გევსი, ღმერთების მამა და მეფე, იცავს თავისივე დაღგენილ წესრიგს, რომ არაფერი ეთქვათ სხვადასხვა რანგის ღვთაუბებზე და უბრალო მოკვდავებზე.

ბემოაღნიშნული საფუძველს გვაძლევს დაკასკვნათ, რომ კანონი სამყაროს ორგანული, განუყოფელი ნაწილია. ადამიანთა საბოგადოება მასთან ერთად შეიქმნა და მასთან ერთად არსებობს.

დღემდე მოღწეული უძველეს კანონთა კრებული ბაბილონის მეფის “ჰამერაბის კანონების” სახელითად ცნობილი (1792-1750 წ. ჩვენს ერამდე). მას შემდეგ კანონშემოქმედებამ მოელი ეპოქა გაიარა. იგი ესადაგებოდა სხვადასხვა ხალხებს, ეკონომიკურ ფორმაციებს (თემური, მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური, სოციალისტური), პოლიტიკურ წყობებს (მონარქია, ოლგარქია, დემოკრატია და ა.შ.).

საინტერესოა, რომ კაცობრიობის ისტორიის მანძილზე მრავალი ბესახელმწიფო (იმპერია) შეიქმნა და მათგან მხოლოდ ისეთებმა შესძლება ხანგრძლივი დროის მანძილზე არსებობა, რომელიც კანონის უზენაესობას ეყრდნობოდნენ. ასეთებია რომის იმპერია, მონღოლთა იმპერიები (ილანთა, ოქროს ურდო, ყარყუმი) და პირიქით, რომლებშიც არ შეიქმნა მტკიცე საკანონმდებლო ბაზა, იმპერიის დამაარსებლის დაღუპვისთანავე დაიშალნენ, მაგ., ალექსანდრე მაკედონელის, თემურ ლენგის იმპერიები.

კანონის არსებობასა და მის სიცოცხლისუნარიანობაში ორი უმნიშვნელოვანესი მომენტი გვინდა გამოვყოთ.

პირველი, მისი რეალურობაა. იგი მისაღები უნდა იყოს მოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის. ზედმეტი სიმკაცრე ან ლმტბიერება მას რეალობას უკარგავს. როგორც ერთი, ისე მეორე უკიდურესობა საფუძველს აცლის კანონის მეორე აუცილებელ მომენტს, რომელიც მისი აღსრულების გარდუვალობაში მდგომარეობს. მიუხედავად მიმეტთა პოლარულობისა (ლმტბიერება-სიმკაცრე), შედეგი ერთია – მისი შესრულება აუცილებელი ან შესაძლებელი არ ხდება.

ქართველმა ხალხმა თავის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე გამოიმუშავა საკუთარი დამოკიდებულება კანონისა და კანონიერების მიმართ. ამ შიმართულებით აუცილებელია რამდენიმე მომენტის გამოყოფა.

1. დაჩაგრული ხალხის კომპლექსი

ისტორიულად საქართველო და ქართველი ხალხი ხანგრძლივი დროის მანძილზე განიცდიდა სხვადასხვა სახელმწიფოების ზეგავლენის, უბრალო მფარველობიდან – სახელმწიფოებრიობის გაუქმებამდე. ამ დროს, სხვა საკითხებთან ერთად, ისეთებთან, როგორიცაა პოლიგიკური დამოუკიდებლობის დაკარგვა თუ ეკონომიკური მომენტები – კონტრიბუციები, გადასახადები და სხვა, მნიშვნელოვანი იყო იურიდიული ექსპანსია, ე.ი. ქართველი ხალხის მხრიდან სხვა ქვეყნების კანონების შესრულების აუცილებლობის მოთხოვნა. ეს კანონები კი, ძირითადად, მიმართული იყო დამპირობითა, ინგერვენგთა მდგომარეობის განმტკიცებაზე და ფაქტობრივად უგულვებელყოფდა დაპყრობილი ხალხის ინგერესებს, მათ ეთნოკულტურას თუ ეთნოფსიქიკურ თავისებურებებს. ამგვარად, ეს კანონები მიუღებელი იყო ქართველი ხალხისთვის. ამ სიგუაციაში ქვეყნის დამოკიდებლობისათვის ბრძოლა ფაქტობრივად კანონის, ამ შემთხვევაში უცხო ქვეყნის არასასურველი კანონის, მაგრამ მაინც კანონის, საწინააღმდეგოდაც იყო მიმართული. გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები – მეფე, თავადი, რიგითი მოქადაქე, რომელიც ხალხის თვალში ეროვნულ გმირად აღიქმებოდა, მისდაუნებურად კანონის დარღვევის კულტს ამკიდრებდა.

აღნიშნული ტენდენცია XIX საუკუნეში, საქართველოს რესეთის შემადგენლობაში ყოფნის პერიოდში, არა თუ შემცირდა, არამედ კიდევ უფრო გაიზარდა. ამ დროს გმირის რილში მყოფი “კანონდამრღვევები”, ძირითადად, წერილი ამნაურები და გლეხები გვევლინებიან. მათ ქმედებას არა მარტო ამართლების, არამედ ხოტბას ასხავს ქართველი

მწერლობა და ხალხური პოეზია _ არსენას ლექსი, ილია ჭავჭავაძის “გლახის ნამბიობი”, “რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან”, აკაკი წერეთლის “გამზრდელი”, ეგნატე ნინოშვილის ბოგიერთი ნაწარმოები და სხვა მრავალი.

კომუნისტური მმართველობის პერიოდში განსაკუთრებული პრივილეგია ენიჭებოდა ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის იმ ისტორიულ ნაწარმოებებს, რომლებშიც არსებული წყობის და შესაბამისად წესრიგის წინააღმდეგ მიმართული სიუკეტები დომინირებდნენ.

ყოველივე ეს ხალხის ფსიქიკაში არაცნობიერ დონეზე ამკიდრებდა უარყოფით დამოკიდებულებას კანონისა და კანონიერების მიმართ, მით უმეტეს, რომ ეს უკანასკნელი, როგორც წესი, უარყოფით როლში იყვნენ წარმოდგენილნი.

კანონის დამრღვევი, დევნილი, როგორც წესი, იდენტიფიცირდებოდა ადამიანთა დიდ უმრავლესობასთან, რაც მათ მიმართ ემპათიურ დამოკიდებულებას განსაზღვრავდა.

2. მცირერიცხოვანი ხალხის კომპლექსი

საქართველო მთელი თავისი მრავალსაუკანოვანი ისტორიის მანძილზე გარშემორგებული იყო მასზე უფრო მრავალრიცხოვანი მოსახლეობის მქონე ქვეყნებით. მათთან კონფლიქტი, ბრძოლა, ომი, როგორც წესი, მრავალრიცხოვანის მიერ მცირერიცხოვანის დაჩაგრული ცის გმირობა, მისი გამარჯვება მრავალრიცხოვანზე, პერიოდულ შარავანდებს იძენდა, ერთს ცნობიერებაში კი რჩებოდა ფორმულა: მცირერიცხოვანი მართალია, მრავალრიცხოვანი – მგყანი. წარმოდგენილი ფორმულა ძალაუქნებურად ვრცელდებოდა საბოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე და მცირერიცხოვანის მიმართ ემპათიას უზრუნველყოფდა.

თუ რამდენიმე პირი კონფლიქტშია ერთთან – ერთი მართალია, მართალია გამომიებისა და სიგუაციის ანალიზის გარეშე. აქედან გამომდინარე ის ფაქტი, რომ კანონის პირდაპირი დამრღვევი უმცირესობაშია, დევნილი და დაჩაგრულია, უზრუნველყოფს მის მიმართ საბოგადოების თანაგრძობას.

ამ ორი პოზიციის – დაჩაგრულის და მცირერიცხოვანის გათვალისწინებით ადვილი ასახსნელი ხდება ის, რომ თუ ბრძოში რამდენიმე კანონის დამცველი მისდევს ვინმეს, ბრძო, ყოველგვარი განსხის გარეშე, დგება გაქცეულის მხარეზე და პასიურად ხელს უწყობს მას. ცდილობს გზა დაუთ-



მოს დევნილს და ხელი შეუშალოს მდევნელს. ამ სიტუაციაში არავინ არ ფიქრობს, არ უშვებს იმ ფაქტს, რომ შესაძლებელია დევნილს უშძიმესი დანაშაული პქონდეს ჩადენილი და არავითარ თანაგრძნობას არ იმსახურებდეს.

მეოცე საუკუნის დასაწყისში, განსაკუთრებით კი კომუნისტები მმართველობის პირველ ათწლეულებში, ხალხის ცნობიერებაში დაიწყო დამკვიდრება მეტად თავისებურმა კულტმა, ე.წ. “ქურდელმა ტრადიციებმა”. აღნიშნული კულტის დამკვიდრებას მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ამ პერიოდში მთავრობის მიერ წარმოებული უაზრო და განსაკუთრებული სისახლით განხორციელებული რეპრესიები შოსახლეობის ფართო ფენების მიმართ. ეს რეპრესიები ძალოვანი სტრუქტურების, ძირითადად, მიღიცის მუშაქების ხელით ხორციელდებოდა და მათ მიმართ უარყოფით განწყობას ამკიდრებდა.

ხალხის მასებში მკვიდრდებოდა შიში, უნდობლობა კანონის მიმართ, აჩრი, რომ სახელმწიფო და მისი ძირითადი ძალოვანი სტრუქტურები – მილიტარა, პროკურატურა, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, არათუ იცავენ მათ ინტერესებს, არამედ მათთვის საქმაოდ ასახულებული “სახელმწიფო ინტერესების” დაცვის ღობურებით მათ წინააღმდეგ მოქმედებენ.

ამ დროს ამავე არაპოპულარელი კანონდამცველთაგან დევნილი, იმავდროულად ხალხში სამართლიანი მომრიგებლის, “საქმის გამრჩევის” რეპეტიციასაც დებულობს, რასაც კანონიერების დეფუციფით უწყობს ხელს და მას მნიშვნელოვან ავტორიტეტს სძენს.

აღნიშნული პირები, მათი ყალბი შარავანდედი, უარყოფით გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, განსაკუთრებით მოგარდ თაობაზე, ხელს უწყობს მათში არასწორი იდეალების ფორმირებას.

ფსიქიკის პოსტნატალური განვითარებისას, პიროვნების სოციალურ ფაქტორებთან შეხების პრობლემას, კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე, სხვადასხვა მეცნიერები პიროვნების განვითარების სხვადასხვა სტადიაზე გამოყოფენ, მაგ., ბიულერი მესამე სტადიაზე, გიზელი მეოთხეზე და ა.შ. ამავე დროს, მკვლევართა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ “სოციალურის” შემოსვლა ფსიქიკაში, როგორც წესი, 5-7 წლის ასაკიდან იწყება. ამ პერიოდში ბავშვი ხვდება, რომ იგი დამოკიდებულია რეალურად არსებულ გარემოზე. ამ პერიოდში, გარდა ძირითადი მორალური დაყენებებისა, ისეთების, როგო-

რიცხან სიკეთე, ბოროტება, სიყვარული, თავგანწირვა, შერისძიება, ყალიბდება წარმოდგენები და შეხედულებები აუცილებლობაზე, მოვალეობაზე, საჭიროებაზე და სხვა, რაც ორგანულად არის დაკავშირებული წესრიგთან და საბოლოო ჯამში, კანონის დაცვასთან.

კანონთან მიმართება ამ ასაკში შემოდის ისეთი ყოფითი საკითხებით, როგორიცაა ოჯახის შინაგანაწესის დაცვა, საბავშვო ბაღში, სკოლაში სიარული, საშინაო დავალებების შესრულება და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ ბავშვს ამ ასაკიდან უნდა ჩამოუყალიბდეს დადებითი დამოკიდებულება წესრიგის მიმართ. იგი მიწოდებული უნდა იყოს იმ ფორმით, რომ ბავშვს არ გაუჩნდეს პროფესიი, არ დაიწყოს იმ გზების ძიება, რომლებიც სამუალების მისცემს როგორმე გადაუხვიოს მას, არ შეარულოს მისი ძირითადი მოთხოვნები, წესრიგის დაუცემობის შემთხვევაში არ ჩამოუყალიბდეს და განუმტკიცდეს აბრი, რომ წესრიგის დაცვა სულაც არ არის აუცილებელი და მისი დარღვევა ჩვეულებრივი ყოფითი მოვლენაა.

ადლერი აგრძელებდა ნიცქეს იდეებს და აყენებდა პოსტგულაფს, რომ პიროვნების ძირითადი ინსტიტი თვითდამკვიდრებისაკენ სწრაფვაა (ე.წ. ძალაუფლებისაკენ დამოუწევა). სწორედ ამ არაციბიერი ლტოლვის შეჯახება რეალურ ცხოვრებასთან, ადამიანის ფაქტიურ მდგომარეობასთან, მის შიერ მიჩნეულია ფსიქიკური დარღვევების მნიშვნელოვან მიზებად.

პიროვნების მორალური პრინციპების ფორმირების პროცესში, ე.წ. ერთ-ერთი წამყვანი ფაქტორი ოჯახის წევრების (მამის) პირადი მაგალითია.

დეფიციტური ქსევების მობარდთა ნარკომანიის ფორმირების მიზეზთაგან მოწყვეტილობა, უსაქმურობა, დაქსაქმებლობა 1% არ აღემატება, მაშინ, როდესაც ოჯახური პრობლემები, ისეთები, როგორიცაა დედის ან მამის ალკოჰოლიზმია, თავისური “კრახი”, რომელიც მოგარდის სოციალური სტატუსის მკვეთრ შეცვლას იწვევს, ბუნებრივი თავისური წევრის ან წევრების მზრუნველობის მიმართ, მოგარდის მიმართ სასტიკი დამოკიდებულება, დედის მხრიდან არასაქმაო ემოციური დამოკიდებულება, მშობლებს შორის მუდმივი კონფლიქტი და სხვა, დევიაციური ქსევების 60%-ზე მეტის მიზებია.

ამგარად, ბავშვის აღზრდის პროცესში მორალური დაყენებების ფორმირებისას ოჯახის გავ-

ლენა ძალგე დიდია და მისი მთლიანად გადაბარება სხვა აღმზრდელობით ინსტიტუტებზე, როგორიცაა საბავშვო ბალი, სკოლა, სასწავლებლები, სპორტული სექტიები თუ სხვა, არამართებულია. სწორი მორალური დაკენებების ფორმირებისას, რაც უაღრესად ფაქტი საკითხია, დიდი მოთმინებაა საჭირო. აუცილებელია დაკენებების ფორმირებისას დომინირებელს ამრი, რომ წარმატების მიღწევის ერთადერთი შანსი შრომა და წესრიგისადმი პატივისცემაა. მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს აღმრდის პროცესში ე.წ. ორმაგი სგანდარტები, ანუ სიტუაცია, როდესაც მობარდს თეორიულად აწვდიან ერთ აზრს (კანონის უზენაესობას), ხოლო რეალურ ცხოვრებაში იგი სრულიად საპირისპიროს (კანონის დარვევას) ხედავს. ეს პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავით ვლინდება პიროვნული ანომალიის მქონე ბავშვებში, რომელთა რიცხვიც დღეს, სამწეხაროდ, ძალგე დიდია.

ანგისაბოგადოებრივი ქცევების მექანიზმი უაღრესად როგორია და მისი მხოლოდ მორალური პრინციპების სწორი ან არასწორი ფორმირებით ახსნა არამართებულია. არსებობენ სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებიც, ისეთები, როგორიცაა მმკულესერი კონტროლისა და ადაპტაციური დარღვევები, პიროვნული მოშლილობები და სხვა, რომ არაფერი ვთქვათ ფსიქოტერი რეგისტრის ფსიქიკურ აშლილობებზე და გონიერი განვითარების შეფერხებაზე.

არაფსიქოტერი რეგისტრის ფსიქიკური დარღვევები, მიუხედავად იმისა, რომ პიროვნება ამ დროს ხშირად შერაცხადია, ინკრინიმირებული დანაშაულის მიმართ მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანია: ექსპლოაბიური დარღვევები (აგრესიის ეპიზოდები), კლეპტომანია (ქურდობის, მოპარვის მოთხოვნილება), აგარგული თამაშების პათოლოგიური მოთხოვნილება, პირომანია (ხანძრის გაჩენის მოთხოვნილება), დრომომანია (ხეციალის მოთხოვნილება), დიფსომანია (ალკოჰოლის მი-

ღების მოთხოვნილება დამოკიდებულების სინდრომის გარეშე), სადისტერი ტენდენციები, სექსუალური პერვერსიები და სხვა.

რაც შეეხება ფსიქოტერი რეგისტრის ფსიქიკურ მოშლილობებს, აქ პიროვნება, როგორც წესი, შეურაცხადია და ამ დროს ჩადენილი დანაშაული, რომელიც იურიდიული თვალსაზრისით შესაძლებელია ჩამოთვლილი დანაშაულებების იდენტური იყოს, განკირობებულია ენდოგენური, ორგანული მექანიზმებით, ბოლვითი იდენტით, ცნობიერების შეცვლით, პიროვნების უმიმედესი პათოქარაქტეროლოგიური ცვლილებებით და სხვა. ჩამოთვლილი მდგომარეობები, ძირითადად, განპირობებული არიან ბიოლოგიური ფაქტორებით (პიროვნების კონსტიტუცია, გენეტიკური წყობა და სხვა) და სოციალური ფაქტორები მეორე პლანზე გადაწეული. ისინი ხშირად ხელშემწყობ, ფონის შემქმნელ, მაპროვოცირებელ როლს თამაშობენ. რაც შეეხება მორალური დაყენებების ფორმირებას, სოციალურის როლი გაცილებით დიდია და მისი სწორი მიმართულებით წარმართვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

უნდა აღინიშნოს, რომ მორალური დაყენებების ფორმირება და მასში კორექციის შეგანა ძალგე როგორი და ხანგრძლივი პროცესია. პიროვნების აღმრდას, ჩამოყალიბებას, მაღალი მორალური პრინციპების გაჩენას წლები, ზოგჯერ ათეული წლებიც სჭირდება. ამიტომ არ უნდა ვიქონიოთ იღებით, რომ პიროვნები დაყენებებისა და პრიცეპების მთლიანად ან ხაწილობრივ შეცვლას რამდენიმე კვირაში თუ თვეში შევძლებთ. სამწებაროდ, ამ მხრივ არასასურველი გამონაკალისა მორალურ ღირებულებათა დევალვაცია, რაც გაცილებით უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე მისი საპირისპირო პროცესი.

სწორედ ამიტომ, ამ მიმართულებით მუშაობა დაუყოვნებლივ უნდა დავიწყოთ და რაც შეიძლება აღრეულ ასაკში.

თემატურაზ სილაბამ,
კანტრიტელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტროს მთავარი სეცეიალისტი-ფსიქიატრი, სამედიცინო
უნივერსიტეტის ფსიქიატრისა და სამედიცინო ფსიქოლოგის
კათედრის ასისტენტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

მანანა მოსულიშვილი

კანონიერება – სამართლის ერთ-ერთი პრინციპი

სამართლის სხვადასხვა შემაღენელ კო-
მპონენტს შორის უდიდესი მნიშვნელობა
ენიჭება სამართლის პრინციპებს. სამართ-
ლის პრინციპები ის ძირითადი ამოსავალი იდეები
და საწყისი დებულებებია, რომლებიც სამართ-
ლის განვითარებისა და ფუნქციონირების
ფორმირებისათვის წამყვან საწყის პროცესს წარ-
მოადგენ და რომლებიც იმის გარდა, რომ,
უპირველეს ყოვლისა, სამართლის ნორმებში არიან
გამოხატული, ასევე მათით განმსჭვალულია სა-
ზოგადოების სრული სამართლებრივი ცხოვრე-
ბა. სამართლის პრინციპები ახასიათებენ არა
მხოლოდ სამართლის არსეს, არამედ მის ში-
ნაარსსაც.

სამართლის პრინციპები, უპირველეს ყოვლისა,
დიდ ზეგავლენას ახდენენ როგორც ნორმატიუ-
ლი აქტების მომზადებასა და მათ გამოცემაზე,
ასევე სამართლებრივი მოთხოვნების დადგენა-
სა და მათი უზრუნველყოფის მთელ პროცესზე.

სამართლის პრინციპებს ზოგადსავალდებულო
ხასიათი გააჩნიათ და ამით ხელს უწყობენ სა-
მართლის სხვადასხვა დარგისა და ინსტიტუტის
შინაგანი ერთიანობისა და ურთიერთდახმარებ-
ის, სამართლის ნორმებისა და სამართლებრივი
ურთიერთობების განტკიცებას.

თავისი ხასიათით, სამართლის პრინციპები
სულაც არ არიან ნებისმიერი სახის საწყისი
დებულებები, რომლებშიც სამართლის ნორმები,
ინსტიტუტები ან დარგებია ჩადებული. ისინი
ობიექტურად არიან განპირობებული ქვეყანაში
არსებული საზოგადოების ეკონომიკური და

სოციალურ-პოლიტიკური წყობით, სახელმწი-
ფოსა და სამართლის სოციალურ-კლასობრივი
ბუნებით, სახელმწიფოში გაბატონებული პოლი-
ტიკური და სახელმწიფოებრივი რეჟიმის ხასი-
ათით, საზოგადოების პოლიტიკური სისტემის
მოწყობისა და ფუნქციონირების ძირითადი პრინც-
იპებით.

სამართლის პრინციპებს შორის ერთ-ერთი
მნიშვნელოვანი ადგილი კანონიერების პრინციპს
უჭირავს.

კანონიერება სახელმწიფოს ყველა ორგანოს,
თანამდებობისა და ცალკეული პირების მიერ
კანონებისა და მათთან შესაბამისი სამართლებრივი
აქტების ზუსტად და განუხრელად შესრულებაა,
იგი დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმ-
წიფოს ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია.
კანონიერება სამართლის ყველა დარგში პოუ-
ლობს გამოხატულებას და დამახასიათებელია
სამართლებრივი ურთიერთობების ნებისმიერი
სუბიექტის (ფიზიკური თუ იურიდიული პირის:
სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციე-
ბის, დაწესებულებების და მოქალაქეთა) მოქმედე-
ბისათვის.

იდეალური, ჰარმონიული, სამართლიანი სა-
ზოგადოების შესაქმნელად, უპირველეს ყოვლისა,
საჭიროა საზოგადოებრივი წესრიგის დამყარე-
ბა, ხალხის საზოგადოებრივი და პირადი ინ-
ტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილების
უზრუნველყოფა, მათი საზოგადოებრივი და პი-
რადი უსაფრთხოება. საზოგადოებრივი წესრიგის
განტკიცება თავისთავად არ ხდება. იგი სო-

სამართლი №2 2000 წ.

ციალური ურთიერთობების დარეგულირების შედეგია. რეგულირება კი ადამიანთა და მათი სოციალური გაერთიანებების, ქცევების, ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმიანობის გარკვეულ ფარგლებში წარმართვას, მათ მიზან-მიმართულებასა და მოწესრიგებას ნიშნავს. ყოველივე ეს კი ითვალისწინებს მართლმსაჯულების განხორციელებას, კანონის შესრულებაზე ზედამხედველობას, საკონსტიტუციო კონტროლს, მოქალაქეთა თავისუფლების, მათი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვას და ა.შ.

კანონიერების პრინციპი კონსტიტუციური პრინციპია, მისი დაცვა და შესრულება ყველა-სათვის თანაბრად საგალდებულოა. საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლის პირველ პუნქტში გადმოცემულია, რომ „საქართველოში მცხოვრები ყოველი პირი ვალდებულია ასრულებდეს საქართველოს კონსტიტუციის და კანონმდებლობის მოთხოვნებს“.

სამართალი გამოხატულია ნორმატულ-სამართლებრივ აქტებში – კონონებში, ბრძანებულებებში, დადგენილებებში, კოდექსებსა და სხვა სისტემატიზირებულ აქტებში. ბრძანებლური ნება, რომელიც კანონებშია გამოხატული, ხორცის სხამს იმ ადამიანთა – მოქალაქეთა ქცევაში, რომელიც კანონის მოთხოვნებს ასრულებენ, ურთიერთობაში ხელშეკრულების შედეგად ჩაბმული პირების ქცევაში, მოსამართლეთა და სხვა თანამდებობის პირთა ქცევაში. კანონი, თუნდაც ყველაზე სრულყოფილი, მხოლოდ მაშინ ცოცხლობს, როცა იგი სრულდება, როცა იგი ზემოქმედებს საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, ხალხის შეგნებასა და ქცევებზე. სამართლის სწორედ ეს მხარეა დაკავშირებული კანონის ცხოვრებასთან, მის მოქმედებასთან და სასიათდება ცნებით „კანონიერება“.

კანონიერება გამოხატავს საზოგადოების საერთოდ სამართლთან ურთიერთობის ზოგად პრინციპს, ამიტომ მის შინაარსს განიხილავენ სამართლებრივი დახასიათების კუთხით; – კანონის საყოველთაოდ პატივისცემის მოთხოვნათა სუბ-

იექტების მიერ საგალდებულო შესრულების პოზიციიდან და – მოქალაქეთა ინტერესებისა და მართლწესრიგის უცილობლად დაცვას ნებისმიერი განუკითხაობისაგან.

შესაბამისად, კანონიერების შინაარსი დაკავშირებულია როგორც სამართლის რეალიზაციონუბიექტების ქცევასთან, ისე სახელმწიფო ორგანოების საქმიანობასთან, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ ფორმებსა და რეალიზაციას. მეორე ასპექტით ანალიზის დროს კანონიერების მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ მოქალაქეებსა და მათ ორგანიზაციებზე, ორგანოებზე, რომლებიც უშუალოდ ახდენენ თავისი უფლებებისა და მოვალეობების რეალიზაციას, ხოლო იმ ორგანოების საქმიანობა კი, რომლებიც უზრუნველყოფენ სამართლებრივ რეგულირებას (სამართლებრივი მედიუმით), სამართალგამოყენებითი) არის მისი შინაარსის გარეთ.

კანონიერების უზრუნველყოფა მაკონტროლებელი, საზედამხედველო და სამართალდამცავი ორგანოების მუშაობაზე იყო დაყვანილი და გამოიხატებოდა სამართლებრივ მიწერილობათა დამრღვევთა გამოვლენასა და მათ შემდგომ დასჯაში. კანონიერების ასეთი ცნება აკმაყოფილებდა ტოტალიტარული რეჟიმის მოთხოვნებს, რომლებიც საერთოდ არ უზრუნველყოფილი არიან საზოგადოების ნორმალურად ფუნქციონირებას დემოკრატიის პირობებში და, მით უმეტეს, არ უწყობდნენ ხელს სამართლებრივი სახელმწიფოსა და საზოგადოების ფორმირებასა და განმტკიცებას.

ყველაზე უფრო ფართო პოზიციებიდან განხილვისას კანონიერება არის კომპლექსური პოლიტიკურ-სამართლებრივი მოვლენა, რომელიც გამოხატავს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ორგანიზაციის სამართლებრივ ხასიათს, ხელისუფლებისა და სამართლის, სამართლისა და სახელმწიფოს ორგანულ კავშირს.

კანონიერება განუყოფელია სამართლის ზოგად ვალდებულებასთან და სწორედ ამ ასპექტით პოვათვისი გამოხატულება მან მრავალ განმარტებაში. კანონიერება სამართალს ახასიათებს მისი

განხორციელების კუთხით. მთავარი აქ არის კანონების და მისგან გამომდინარე აქტების ცხოვრებაში აუცილებელი გატარების მოთხოვნა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კანონიერება ასეთი გაებით მოითხოვს საზოგადოებრივი ურთიერთობების სუბიექტების ქცევას სამართლის ნორმების მოთხოვნათა შესაბამისად, ე.ი. კანონიერება სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა მართლზომიერი ქცევის რეალური განხორციელებაა.

კანონიერება სამართლის ისეთი პრინციპია, რომელიც კონცენტრირებულად გადმოგვცემს სამართლის თავისებურებებს, იმავდროულად, კანონიერება სახელმწიფოს საქმიანობის პრინციპია. სახელმწიფო და მისი ყველა ორგანო, ორგანიზაცია და დაწესებულება ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმებით, მოქმედებენ ამ ნორმების ფარგლებში და მათი რეალიზაციის დროს ვლინდებიან. ამ კუთხით განხილული კანონიერება, როგორც პრინციპი, ემსახურება არა ყოველგვარ, არამედ მხოლოდ დემოკრატიულ სახელმწიფოს, სხვაგვარად რომ ავხსნათ, კანონიერება განუკითხაობისა და უკანონობის ანტიპოდია თვით სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან. ყველაზე უფრო ნათლად ეს პრინციპი ვლინდება სამართლებრივ სახელმწიფოში და განაპირობებს კიდეც სამართლებრივი სახელმწიფოს არსს.

კანონის შესაბამისად მოქმედება ყველა ორგანოს, თანამდებობის პირის ვალდებულებაა.

კანონიერების პრინციპის დაცვა სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. შემთხვევითი როდია, რომ კანონებში სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის შესახებ (ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ”, 1997 წლის 21 ნოემბერი, მე-3 მუხლი; საქართველოს კანონი „სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შესახებ”, 1998 წლის 18 თებერვალი, მე-2 მუხლი, 1-ლი პუნქტი და ა.შ.). განსაკუთრებულად გამახვილებულია ყურადღება იმ ფაქტორზე, რომ მათი საქმიანობის პრინციპებში კანონიერების პრინციპს უკავია

უმნიშვნელოვანების ადგილი. ამ პრინციპს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგალითად, მტკიცებულებათა მოპოვებისა და მათი გამოყენებისას. აღნიშნულის შესახებ თვით კონსტიტუციის 42-ე მუხლშია ნათქვამი: „კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს”, ეს კონსტიტუციური მოთხოვნა ასახულია აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლშიც, რომელშიც ვკითხულობთ, რომ მომკვლევი, გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე, სასამართლო, მოქალაქეები, დაწესებულებები, საწარმოები, ორგანიზაციები და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილენი ვალდებულნი არიან დაცვან საქართველოს კონსტიტუცია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და სხვა კანონები. აღნიშნული ნორმების მოთხოვნები ავალდებულებენ როგორც სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოებს, ასევე სხვა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს მტკიცებულებათა აღმოჩენისას, მათი დამაგრებისა და პროცესუალურად გაფორმებისას, უცილობლად დაიცვან ეს კონსტიტუციური და იმავდროულად პროცესუალური მოთხოვნები.

მართალია, კანონიერების პრინციპის გატარება და მისი უცილობელი დაცვა სახელმწიფოს საქმიანობის ნებისმიერ სფეროში ხდება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მას განსაკუთრებული გამოხატულება აქვს სისხლის სამართალში. ამ დარგში კანონმდებელი კანონიერების პრინციპის უპირატესობას წინა პლაზე წამოსწევს, რადგანაც, როგორც ცნობილია, ამ დარგში მოქმედებს კლასიკური ფორმულა: „არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე (nulla poena sine lege). ეს ფორმულა იმის საწინდარია, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიეცემა მხოლოდ ის პირი, ვინც ჩაიდენს სისხლის სამართლის კანონით პირდაპირ აკრძალულ ქმედებას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სასჯელი დაინიშნება მხოლოდ და მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც ადგენს სისხლის სამართლის კანონში არსებული სამართლებრივი ნორ-



მა, ე.ი. კანონიერების მთავარი მოთხოვნა მატერიალური სამართლის თვალსაზრისით იმაში მდგომარეობს, რომ პასუხისმგებლობის საფუძველი ისეთი ქმედება უნდა იყოს, რომელიც კანონითაა გათვალისწინებული. პასუხისმგებლობის კანონიერება იმაში მდგომარეობს, რომ სამართლდარღვევების საქმეთა შესახებ გარემობათა კვლევა, სანქციების გამოყენება და რეალიზაცია, განსაკუთრებით კი მკაცრი სასჯელებისა, ხორციელდება პროცესუალური ფორმით, რომელიც მოიცავს საქმის ობიექტურად განხილვის გარანტიებს, საქმის გადაწყვეტას პასუხისმგებლის მიცემულ პირთა კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვის უზრუნველყოფით. კანონმდებლობით განსაზღვრულია კანონიერების სპეციალური გარანტიები, რომლებიც აღკვეთნ და აცილებენ კანონის ფარგლებიდან გადახრას, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების შეფარდებისას მათ ბოროტად გამოყენებასა და შეცდომით (ქმედების არას-

წორი იურიდიული კვალიფიკაცია, სანქციის ფარგლებს გარეთ სასჯელის ან იძულებითი ზღვევინების განსაზღვრა) გამოყენებას, აგრეთვე პროცესუალური ნორმების გამოყენებისას ანალოგიურ დარღვევებს (საქმის განხილვის პროცედურის დარღვევა, მტკიცებულებათა კვლევა, გადაწყვეტილების მიღება, მისი გასაჩივრების წესი, რეალიზაცია და ა.შ.).

კანონიერებასთან მჭიდრო კავშირშია სამართლის სხვა პრინციპებიც.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელმწიფომ და მისმა ყველა ორგანომ თავისი საქმიანობა უნდა წარმართონ კანონიერების საფუძველზე, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უნდა უზრუნველყონ მართლწესრიგის, საზოგადოებრივი ინტერესების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, მაგრამ თუ ისინი ამ უფლებამოსილებებს გადააჭარბებენ, მაშინ მათი საქმიანობა უკვე კანონიერების პრინციპის დარღვევას მოასწავებს, რაც ყოვლად დაუშვებელია.

მანანა მოსელიშვილი,
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის
ბოგადიურიდიული დისციპლინების კათედრის
უფროსის მოადგილე, პოლიციის პოლკონიკი.



საერთაშორისო საძართალი, ურთიერთობები

ალექსანდრე მიქაბერიძე

ადამიანის უფლებათა ეპოქის სასამართლოს აღზიღვებარება, სხდომები და კომანდინცია

Jდამიანის უფლებათა ეპოქული სასამართლო ეპოქის საბჭოს შტაბ-ბინაში ქ. სტრასბურგში არის განლაგებული. თუმცა სასამართლოს შეუძლია განახორციელოს თავისი ფუნქციები ეპოქის საბჭოს ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. აგრეთვე, საჩივრის განხილვისას სასამართლოს შეუძლია გადაწყვიტოს გამოძიების ან სხვა სახის ღონისძიებების ჩატარება ეპოქის საბჭოს წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

სრული შემადგენლობის სასამართლოს პლენარული სხდომა მოწვეული უნდა იყოს სასამართლოს პრეზიდენტის მიერ სასამართლოს ფუნქციების განხორციელებისათვის, კონვენციის დებულებების და სასამართლოს რეგლამენტის წესების შესაბამისად; ან სასამართლოს წევრთა 1/3 მოთხოვნის საფუძველზე; ან ნებისმიერ შემთხვევაში წელიწადში ერთხელ ადმინისტრაციული საკითხების განსახილველად. სრული შემადგენლობის ქვორუმს სასამართლოს წევრთა 2/3 შეადგენს. ქვორუმის არარსებობის შემთხვევაში, სასამართლოს პრეზიდენტი უფლებამოსილია გადაავადოს სხდომა.

სასამართლოს დიდი პალატა, პალატები და კომიტეტები სხდომებს მთელი წლის განმავლობაში ატარებენ. მაგრამ პრეზიდენტის წინადადებით, სასამართლოს შეუძლია განსაზღვროს სესიების პერიოდი. საჭიროებისას დიდი პალატისა და პალატების პრეზიდენტებს შეუძლიათ მოიწვიონ დიდი პალატის და პალატების რიგგარეშე სხდომები.

სასამართლო თავის სხდომებს ატარებს დახ-

ურულ კარს მიღმა. სხდომებში მონაწილეობის მიღება მხოლოდ მოსამართლეებს, რეგისტრატორებსა და მათ მოადგილეებს შეუძლიათ.

სრული შემადგენლობის სასამართლოს, დიდი პალატისა და პალატების გადაწყვეტილებები მიღება დამსწრე მოსამართლეთა უმრავლესობით. საქმის მიღებისა და შეფასების საკითხებზე კენჭისყრის დროს დაუშვებელია ხმის მიცემისაგან თავის შეკავება. ჩვეულებრივ, ხმის მიცემა ხელის აწევით ხორციელდება, თუმცა პრეზიდენტს შეუძლია სახელობითი კენჭის ყრის ჩატარება.

როგორც ცნობილია, არსებობს ოთხი სახის კომპეტენცია, რომელიც შეიძლება გააჩნდეთ სასამართლო და კვაზი-სასამართლო ორგანოებს:

- *ratione loce* (ტერიტორიული);
- *ratione personae* (პირთა წრის მიმართ);
- *ratione temporis* (დროის მიმართ);
- *ratione materie* (საგნების მიმართ).

სტრასბურგის სასამართლოს *ratione loce* (ტერიტორიული) კომპეტენცია განსაზღვრულია ადამიანის უფლებათა ეპოქული კონვენციის 56-ე მუხლის დებულებებით:

„1. ნებისმიერ სახელმწიფოს რატიფიკაციის დროს ან მის შემდეგ შეუძლია გააკეთოს განცხადება ეპოქის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე, იმის თაობაზე, რომ წინამდებარე კონვენცია, ამ მუხლის მე-4 პარაგრაფის შესაბამისად, გავრცელდება მის ყველა ან რომელიმე ტერიტორიაზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც იგი პასუხისმგებელია...“

3. მოცემული კონვენციის დებულებები გამ-

ოიდენება ამ ტერიტორიაზე ადგილობრივი მოთხოვნების სათანადო გათვალისწინებით;

4. ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელმაც გააკეთა განცხადება ამ მუხლის პირველი პარაგრაფის მიხედვით, შემდგომში ნებისმიერ დროს შეუძლია განაცხადოს მისი ერთი ან მეტი ტერიტორიის სახლით, რომელთაც ეხებათ განცხადება, რომ იგი აღიარებს სასამართლოს კომპეტენციას მიიღოს განცხადებები ფიზიკური პირებისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ფიზიკურ პირთა ჯგუფისაგან ისე, როგორც ეს განსაზღვრულია კონვენციის 34-ე მუხლით.“

ევროპის საბჭოს ზოგიერთმა წევრმა სახელმწიფომ გამოიყენა თავისი უფლება გარკვეულ ტერიტორიაზე კონვენციის მოქმედების გავრცელების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველომ, კონვენციასთან შეერთების მომენტში, არ გამოიყენა კონვენციით გათვალისწინებული მექანიზმი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მოქმედების სფეროს შეზღუდვის თაობაზე და კონვენცია საქართველოს მთელს ტერიტორიაზე მოქმედებს, მათ შორის აფხაზეთის ტერიტორიაზეც, რომელიც დღეისათვის *de facto*, საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციის ფარგლებს გარეთ არის.

პირველი განცხადება გარკვეულ ტერიტორიაზე კონვენციის მოქმედების გავრცელების შესახებ გაკეთდა 1953 წლის 7 აპრილს დანიის მიერ გრენლანდის კუნძულის მმართ. მაგრამ ამ განცხადებას არ მოჰყოლია რაიმე იურიდიული შედეგი, რადგან შემდგომში, 1953 წლის 5 ივნისს, ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის ძალაში შესვლამდე, გრენლანდია დანიის ტერიტორიის განუყოფელ ნაწილად გამოცხადდა და განცხადების გაკეთების აუცილებლობა თავისთვალისწინებით.

ნიდერლანდებმა 1954 წლის 18 ივნისს გააკეთეს ასეთივე განცხადება სურინამის და ვესტ-ინდოეთის კუნძულების (1956 წლის 1 იანვარი) მიმართ.

დიდმა ბრიტანეთმა ევროპული კონვენციის 56-ე მუხლით (მე-11 ოქმის ძალაში შესვლამდე – 63-ე მუხლი) გარანტირებული უფლება მთელი რიგი ტერიტორიების მიმართ გამოიყენა – კამიანის, ფოლკლენდის, ტიურკის და კაიკოსკ-

ის კუნძულების (1964 წლის 9 ივნისი) და ბრუნეის მიმართ (1967 წლის 12 სექტემბერი.)

ამასთან, დროთა განმავლობაში, დიდი ბრიტანეთის მიერ კონვენციის 56-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრული ტერიტორიების რიცხვი თანდათან მცირდებოდა, რადგან დიდი ბრიტანეთის რამდენიმე კოლონიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა.

გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ კონვენციის რატიფიცირების დროს, დასავლეთ ბერლინზე კონვენციის დებულებების მოქმედების გავრცელების შესახებ განაცხადა.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთ ბერლინი იყო ფედერაციული გერმანიის შემადგენელი ნაწილი და მის მიმართ 56-ე მუხლის დებულებების ამოქმედება მოკლებული იყო აუცილებლობას. მაგრამ გერმანიის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, გფრ-ის მთავრობა ვალდებული იყო გაეკეთებინა მსგავსი განცხადებები ყველა საერთაშორისო ხელშეკრულებისა და კონვენციის მიმართ, რომლის წევრიც ის იყო.

მეტად საინტერესოა საფრანგეთის მიერ გაკეთებული განცხადება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ საფრანგეთის რესპუბლიკა „გამოიყენებს კონვენციის დებულებებს რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე, ამასთან, 63-ე მუხლის (ამჟამად კონვენციის 56-ე მუხლი) „ზღვის გაღმატერიტორიების ადგილობრივი მოთხოვნების სათანადო გათვალისწინებით“.

განცხადება იმით არის აღსანიშნავი, რომ საფრანგეთის მთავრობა, ერთი მხრივ, „ზღვის გაღმატერიტორიებს“ „რესპუბლიკის მთელი ტერიტორიის“ შემადგენელ ნაწილად ისხსნიებს, ხოლო მეორე მხრივ, ცდილობს „ადგილობრივი მოთხოვნების“ პირობის გამოყენებას, რომელიც კონვენციის 56-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად შეეხება მხოლოდ იმ ტერიტორიებს, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც სახელმწიფო პასუხისმგებელია.

ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ აღნიშნული საკითხი პერმონის საქმესთან დაკავშირებით განიხილა¹. პერმონის საქმის ფაქტობრივი მხარე მდგომარეობდა იმაში, რომ

¹ პერმონის საქმე, 1995 წლის 27 აპრილის სასამართლო განჩინება, (Series A, No. 314).



ფრანგულ პოლინეზიაში შეზღუდული იყო გერმანიის მოქალაქის, ევროპარლამენტის წევრის აზრის გამოხატვის თავისუფლება. საფრანგეთის მთავრობა ამტკიცებდა, რომ „„ადგილობრივი მოთხოვნების“ პირობა, რომელსაც შეიცავდა მომჩინანის განცხადება, კონვენციის 63-ე მუხლის შესაბამისად დათქმის ეკვივალენტური იყო. მაგრამ სასამართლომ უარყო ეს არგუმენტი და აღნიშნა, რომ ამ ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით შექმნილი რთული პოლიტიკური სიტუაცია არ იყო სათანადო საფუძველი, რათა „„ადგილობრივი მოთხოვნების“ პირობა განმარტებულიყო კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვისათვის.

ადამიანის უფლების ევროპული კონვენცია სასამართლოში საჩივრით მიმართვის უფლების მქონე სუბიექტთა (ratione personae (პირთა წრის მიმართ) კომპეტენცია ოთხ კატეგორიას იცნობს:

- ცალკეული პირები;
- არასამათავრობო ორგანიზაციები;
- პირთა ჯგუფები;
- სახელმწიფოები.

მართალია, კონვენციის დებულებებში არ არის უშეალოდ აღნიშნული იურიდიული პირის უფლებაუნარიანობაზე, მაგრამ ამავე დროს კონვენციის არც ერთი დებულება არ კრძალავს იურიდიული პირის, მაგალითად, კორპორაციის მიერ სასამართლოსათვის საჩივრით მიმართვის უფლებას.

ევროპული კონვენცია, სამოქალაქო სასამართლოსაგან განსხვავებით, არ ანსხვავებს პირთა უფლებაუნარიანობას. ამის შედეგად, თეორიულად ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის მოქმედება ვრცელდება ყველა უფლებაუნარიან პირზე, არასრულწლოვნებზე, სულით ავადყოფებზე, ინვალიდებზე და პატიმრებზე. ამასთან, ამ მუხლის მოქმედება ძლიერდება კონვენციის მე-14 მუხლით, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას ეროვნების, კანის ფერის, რასის ან სოციალური მდგომარეობის ან სხვა ნიშნის მიხედვით.

პოტენციური მოსარჩევების მეორე კატეგორიაში – არასამთავრობო ორგანიზაციებში – შედიან სხვადასხვა სახის გაერთიანებები, პერიოდული გამოცემები (გაზეთები, ჟურნალები), პროფესიული კავშირები და ა.შ. არასამთავრო-

ბო ორგანიზაციებს, უმთავრესად, არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები განეკუთვნებან.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები ან სხვა ავტონომიური ან ნახევრადავტონომიური სახელმწიფო ორგანოები მათ რიცხვს არ განეკუთვნებან.

სასამართლო თვითონ განსაზღვრავს მომჩივანის სტატუსს, მიუხედავად მთავრობის მტკიცებებისა ამ წარმონაქმნის საჯარო სამართლის სუბიექტობის შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია სასამართლოს განჩინება, ე.წ. „წმინდა მონასტრების“ საქმეზე. რომელშიც საბერძნების მთავრობა ცდილობდა მომჩივანისათვის (ეკლესია) მიერის მიერ სახელმწიფო დაწესებულების ხასიათი, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის მჭიდრო კავშირიდან გამომდინარე.²

არასამთავრობათშორისო ორგანიზაციები თავისი უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით განცხადებების წარდგენის გარდა, აგრეთვე ასრულებენ მნიშვნელოვან როლს სხვა მომჩივნებისათვის განცხადებების გაკეთებისათვის საჭირო შესაბამისი საბუთებისა და დოკუმენტაციის მომზადებაში, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში წარმოადგენენ მათ სასამართლოში. ამის გარდა, ისინი შეიძლება მოწვეულნი იქნან სასამართლოს სხდომებზე მოწმებად ან ექსპერტებად. სტრასბურგის ორგანოებს აგრეთვე შეუძლიათ განიხილონ მათ მიერ მომზადებული სახელმწიფოთაშორისო საქმეების ან ცალკეულ პირთა საქმეების დოკუმენტაცია.

პოტენციური მომჩივნების მესამე კატეგორიაში – „პირთა ჯგუფები“ – მოიცავნ იმ სიტუაციებს, როდესაც კონვენციის დებულებების დარღვევების შესახებ საჩივრის ერთზე მეტი პირი აღძრავს. მაგალითად, მშობელთა ჯგუფის მიერ, პირველი ოქმის მე-2 მუხლის შესაბამისად შვილების განათლების ხასიათის განსაზღვრის უფლებების დარღვევის შესახებ განცხადება. რადგან კონვენციის მიერ არ არის გათვალისწინებული *actio popularis* შესაძლებლობა, „პირთა ჯგუფის“ თოთოული წვრილდებულია დამოუკიდებლად დაამტკიცოს, რომ იგი არის დაზარალებული და ხელი მოაწეროს სასამართლოში შესატან საჩივრის.

² Case of Holy monasteries v. Greece, judgement of 9 December 1994, (Series A, No. 301-A).



დაზარალებულის კვალიფიკაციის აირობები

სახელმწიფოთაშორისო საჩივრების შემთხვევების გარდა, ევროპულ სასამართლოში მომჩივანმა პირმა უნდა გამოაცხადოს თავისი თავი დაზარალებულად, ერთი ან რამდენიმე მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ კონვენციის მიერ გარანტირებული რომელიმე უფლების ან თავისუფლების დარღვევის შედეგად.³ ეს მოთხოვნა ნიშნავს, რომ კონვენციის დებულების დარღვევა უნდა იყოს უშუალოდ დაკავშირებული მომჩივანისათვის მიყწობულ ზარალთან. ცალკეულ პირს არ შეუძლია შეადგინოს განცხადება *in abstracto* შიდასახელმწიფოთაშორივ ან სახელმწიფოს პრაქტიკაზე დაყრდნობით. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ევროპული კონვენცია არ ითვალისწინებს *in abstracto*. აქედან გამომდინარე, არასამთავრობო ორგანიზაციას შეუძლია, როგორც წესი, გამოაცხადოს თავის თავი დაზარალებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დარღვევა უშუალოდ მის წინააღმდეგ არის მიმართული.

მაგრამ დროთა მსვლელობისას, აღნიშნული პოზიცია შეიცვალა, რის შედეგადაც ეკლესიას (კონკრეტულ შემთხვევაში, სიენტოლოგიურ ეკლესიას) ნება დაერთო გააკეთოს განცხადებები ევროპულ სასამართლოში.

თუ ფაქტები და გარემოებები, რომელთა საფუძველზე გაკეთდა განცხადება, აღარ არსებობს, ეს არ ნიშნავს დაზარალებულისათვის მომჩივანის სტატუსის მოხსნას. მაგალითად, 1994 წელს Lopez Ostra v. Spain საქმეში⁴, მომჩივანმა განცხადა პირადი ცხოვრების მისი უფლების დარღვევის შესახებ, რაც გამოწვეული იყო მისი სახლის შორიახლოს ნარჩენების არასანქციონირებული გადამუშავებით, სასამართლომ უარყო სახელმწიფოს მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ მომჩივანი აღარ არის დაზარალებული, რადგან იგი საცხოვრებლად ქალაქის სხვა უბანში გადავიდა, ხოლო ნარჩენების გადასამუშავებელი სამუშაოები შეწყდა.

³ Case of Drozd and Janousek v. France and Spain, judgement of 26 June 1992, ((Series A, No. 240).

⁴ Case of Lopez Ostra v. Spain, judgement of 9 December 1994, (Series A, No. 303-C).

მოუხედავად იმისა, რომ კონვენციის ფარგლებში *actio popularis* არ დაიშვება, სასამართლომ გააფართოვა დაზარალებულის გაგება, დაიწყო რაიმ საქმეების განხილვა, რომლებშიც მომჩივნები „პოტენციურ“ და „ირიბ“ დაზარალებულად ცხადდებოდნენ.

პოტენციური დაზარალებული

სასამართლომ (კომისიასთან ერთად) თავის პრაქტიკიდან გამომდინარე დაადგინა, რომ მოსალოდნელი ზიანის საფრთხე საქმარისია 33-ე მუხლის შესაბამისად დაზარალებულის სტატუსის განსაზღვრისათვის. ეს შეეხება იმ შემთხვევებსაც, როდესაც კანონი ან პრაქტიკა ჯერ კიდევ არ გამოიყენა მომჩივანი მხარის მიმართ, მაგრამ ამასთან, შესაძლებელია სახელმწიფოს მიერ მომავალში მისი გამოიყენება. მაგალითად, იმ ქვეყნებში, სადაც პომოსექსუალური აქტები სისხლისამართლებრივი დანაშაულია, პომოსექსუალისტები პოტენციურ დაზარალებულად არიან მიჩნეული.

ამასთანავე, სასამართლოს გადაწყვეტილებით, სადაო ნორმატიული დებულებების ძალაში დარჩენა, მომჩივანთა პირადი ცხოვრების უფლების დარღვევა, რადგან ისინი კრძალავენ პარტნიორის თანხმობით ინტიმურ გარემოში პომოსექსუალურ აქტებს. ის ფაქტი, რომ ეს დებულებები ჯერ არ გამოიყენებოდნენ მომჩივანთა მიმართ, არ ცვლის სიტუაციას, რადგან მომჩივნები იძულებული არიან იცხოვრონ მუდმივი ზეწოლის და შიშის ქვეშ, რადგან ხელისუფლებამ არ გამოაცხადა პომოსექსუალური აქტების დაუსჯელობის შესახებ. შესაბამისად, მოცემული კანონმდებლობა უშუალოდ შეეხება მომჩივანთა მიერ პირადი ცხოვრების უფლების განხორციელებას.

ანალოგიურად, თუ მოქმედი კანონი სახელმწიფოს აძლევს უფლებას მიღონს გადაწყვეტილება ან იძულების წესით ჩამოართვას მონასტერს საკუთრება, რომელსაც იგი ფლობს, ის ფაქტი, რომ სახელმწიფო არ იყენებს შესაბამის კანონმდებლობას, არ სპობს საკუთრების მშვიდობიანი ფლობის უფლებისათვის საფრთხეს.

იმ სახელმწიფოებში, სადაც მოქმედებს აბორტების მკრძალავი კანონები, ქალები აგრეთვე მიიჩნევიან პოტენციურ დაზარალებულებად 34-ე

მუხლის შესაბამისად. საქმეში Open Door and Dublin Well Woman v. Ireland, მომჩივანმა განცხადება გააკეთა სახელმწიფოს მიერ სპეციალურად შემოღებული ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომელთა შესაბამისად საადვოკატო ფირმებს ეკრძალებოდათ ქალებისათვის ხელი შეეწყოთ აბორტის გაკეთებაში.

თავის საჩივარში ორივე მომჩივანი ქალი აცხადებდა, რომ ეს შეზღუდვები კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი ცხოვრების უფლების დარღვევაა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ქალები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სასამართლოს მიერ საქმის განხილვის მომენტისათვის არ იყვნენ ფეხმძიმედ, მაინც იყვნენ ფერტილურ ასაკში. აქედან გამომდინარე, დასაშვებია, რომ ისინი შესაძლებელია დაზარალდნენ შემოღებული შეზღუდვების მიერ, რის გამოც მართებულია მათი 34-ე მუხლის შესაბამისად დაზარალებულებად ცნობა.

აღსანიშნავია შევდეთის წინააღმდეგ შეტანილი საჩივარი, რომელიც სკოლამდელი განათლების სისტემის ზოგიერთ ასპექტს შეეხებოდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, ზოგიერთ მშობელს, საჩივრის შეტანის მომენტისათვის არ ჰყავდა სკოლამდელი ასაკის ბავშვი, მშობლები მაინც უნდა განიხილონ დაზარალებულებად 34-ე მუხლის შესაბამისად, რადგან შესაძლებელია ახლო მომავალში მათ ჰყოლოდათ ბავშვები და სადაო კანონები და პრაქტიკა მათაც შეეხებოდა.

Klaas and Other v. Germany საქმეში⁵, მომჩივანებმა განაცხადეს მათი პირადი ცხოვრებისა და კორესპონდენციის უფლებების დარღვევებზე, რაც გამოწვეული იყო გერმანიაში მოქმედი სამართლებრივი ნორმებით. აღნიშნული ნორმები ნებას რთავდნენ ცალკეულ პირებისათვის ფარული თვალთვალის წარმოებას, ამ პირებისათვის შეტყობინების გარეშე. სასამართლომ მომჩივანები აღიარა დაზარალებულებად, იმის მიუხედავად, რომ მათ ვერ შეძლეს ამ ნორმების მათ მიმართ გამოყენების ფაქტების დამტკიცება. სასამართლოს დასკვნით, მათ დაზარალებულების სტატუსი მიენიჭა იმის გათვალისწინებით, რომ

აღნიშნული ხასიათის ნორმების არსებობიდან გამომდინარე, შესაძლებელია მათ ნამდვილად უთვალთვალებდნენ.

ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ განიხილა საკითხი, დასაშვებია თუ არა სადაო ღონისძიების ფარული ხასიათიდან გამომდინარე, პიროვნებისათვის სასამართლოში განცხადების შეტანის უფლების შეზღუდვა? სასამართლომ დაუშვებლად ჩათვალა ის ფაქტი, რომ კონვენციით გათვალისწინებული რომელიმე უფლების განხორციელების გარანტია შეიძლება დაირღვეს იმის შედეგად, რომ ღონისძიების ფარული ხასიათიდან გამომდინარე, პირმა არაფერი იცოდა მისი უფლებების დარღვევის შესახებ. აღნიშნულ შემთხვევაში აზრი ეკარგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლს, რომელიც პიროვნების პირადი და საოჯახო ცხოვრების ხელშეუხებლობას ითვალისწინებს.

ე.წ. „მოსალოდნელი დარღვევების“ შემცველ საქმეთა საინტერესო ნაწილს შეადგინს იმ სახელმწიფოებისათვის ექსტრადიციასთან დაკავშირებული საქმეები, რომლებიც ევროპული კონვენციის ორგანოების იურისდიქციის ქვეშ არ ექცევან. ამის მაგალითია, Soering v. United Kingdom საქმე.⁶ აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ დიდი ბრიტანეთის მიერ ბრალდებულის გადაცემა აშშ-ს ერთ-ერთ შტატისათვის (ვირჯინის შტატი), რომელშიც სიკვდილით დასჯა არ არის გაუქმებული და, რაც კველაზე მნიშვნელოვანია, სიკვდილით დასჯის მოლოდინის პირობები, ნამდვილად არის კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევები. აღნიშნული პირი აღიარებულია „დაზარალებულად“. საბოლოოდ, აშშ-ს მთავრობამ ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციისა და 1972 წლის ექსტრადაციის შესახებ ხელშეკრულების დებულებების გათვალისწინებით, მიიღო გადაწყვეტილება, რომ ექსტრადაციის შემთხვევაში, ბრალდებულს არ შეეფარდება საჯელის უმაღლესი ზომა. აღნიშნულის შემდეგ, ბრალდებული გადაცემა აშშ-ს მხარეს.

⁵ Case Klaas and Other v. Germany, judgement of 6 September, 1978, (Series A, No. 28).

⁶ Case Soering v. the United Kingdom, judgement of 7 July 1989, (Series A, No. 161).



ირიბი დაზარალებული

ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლომ განსახილველად მიიღო საქმეები, რომლებშიც მომჩივანებმა არ განიცადეს რაიმე ზარალი, მაგრამ შესაძლებელი იყო მათი „ირიბ დაზარალებულად“ აღიარება.

„ირიბ დაზარალებულად“ აღიარებენ დაზარალებულის პირდაპირ ნათესავებს, აგრეთვე იმ პირებს, რომლებიც დაზარალდნენ სხვა პირთა უფლებების დარღვევების შედეგად, ან იმ პირებს, რომლებიც დაინტერესებულები არიან დარღვევის აღმოფხვრაში. იმ შემთხვევებში, როდესაც მომჩივანი „ირიბი დაზარალებულის“ სტატუსზე აცხადებს პრეტენზიას, საჭიროა უშუალო დაზარალებულის სახელის შეტყობინება და განცხადების შეტანის ხელშეწყობა.

მთელ რიგ შემთხვევებში, საქმის განხილვა საწყისი მომჩივანის გარდაცვალების შემდეგ მიმდინარეობდა და მას მომჩივანის ნათესავები ან ახლობლები უძლვებოდნენ. მაგალითად, სასამართლომ ზოგიერთ შემთხვევაში ნება დართო მომჩივანის პირდაპირ მემკვიდრეებს, გამოაცხადონ თავი „დაზარალებულებად“ და გარკვეულ პირობებში საკუთარი სახელით აწარმოონ საქმე. კერძოდ, ეს შეეხებოდა იმ შემთხვევებს, როდესაც დარღვეული უფლება, მომჩივანის საკუთრების ნაწილზე ვრცელდებოდა. ამასთანავე, გარდაცვლილი მომჩივანის მემკვიდრეებს არ შეუძლიათ მოითხოვონ საქმის განხილვა საქმის ახალი პირობების გაუთვალისწინებლად. ყველაფერი დამოკიდებულია საჩივრის ხასიათზე და მომჩივან მემკვიდრეებს უნდა გააჩნდეთ საქმარისი ინტერესი, რომელიც გაამართლებს განცხადების შემდგომ განხილვას მათი სახელით.

მაგალითად, X v. France საქმე დაკავშირებული იყო სისხლის გადასხმის შედეგად შიდსით დაავადებული პიროვნების განცხადებასთან. საქმის განხილვის დროს მომჩივანი გარდაიცვალა, რის შემდეგ მისმა მშობლებმა გამოთქვეს სურვილი გააგრძელონ სასამართლო პროცესი. სასამართლომ დააქმაყოფილა მათი მოთხოვნა.

მაგრამ მთელ რიგ შემთხვევებში სასამართლო მიდიოდა იმ დასკვნამდე, რომ საქმის გაგრძელებით დაინტერესება არ არის საქმარისი, რის შემდეგ საქმის განხილვას წყვეტდა.

კონსტიტუციონული გათვალისწინებულ უფლებაზე უარის თქმის შედეგად „დაზარალებულის“ სტატუსის ანულირება

სასამართლოს პრაქტიკაში კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებზე უარის თქმის მხოლოდ ერთ შემთხვევას ჰქონდა აღვილი. საუბარია De Wilde, Ooms and Versyp v. Belgium საქმეზე, რომელშიც სასამართლოს მოუწია იმის დადგენა, შეიძლება თუ არა პირისათვის, რომელმაც უარი განცხადა კონვენციით გარანტირებულ უფლებაზე, ჩაითვალოს „დაზარალებულად“ ამ უფლების დარღვევის შედეგად.

საქმის ფაქტობრივი მხარე იმაში მდგომარეობდა, რომ მომჩივანები დროებითი თავშესაფრისა და სურსათის ძიებაში განგებ გამოცხადდნენ ბელგიურ პოლიციაში და ნებაყოფლობით ჩაბარენენ მას. სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში თავისუფლების უფლება მეტად მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ პიროვნების მიერ სამართლდამცავ ორგანოებს ნებაყოფლობით ჩაბარების შედეგად, ამ უფლებამ კონვენციის შესაბამისად დაცვის შესაძლებლობა დაკარგოს.

თუ საკითხი ევროპის საბჭოს ფარგლებში ordre public შეეხება, მაშინ ყოველ შემთხვევაში კონვენციის ორგანოებმა უნდა აწარმოონ მეთვალყურეობა ყველა იმ ზომისათვის, რომელმაც შეიძლება დაარღვიოს კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები.

ამრიგად, ადამიანს არ შეუძლია თავის ძირითად უფლებებზე უარის თქმა და ნებაყოფლობით დაკარგოს 34-ე მუხლის შესაბამისად „დაზარალებულის“ სტატუსის მინიჭების უფლება.

საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ ცნობილი პრინციპების შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას არ გააჩნია უკუცევითი ძალა და არ გამოიყენება იმ შემთხვევების მიმართ, რომელსაც ადგილი ჰქონდათ კონვენციის ძალაში შესვლის მომენტამდე. აქედან გამომდინარე, კონვენციის ძალაში შესვლამდე მომხდარი დარღვევების ფაქტები არ ექცევა კონვენციის ratione temporis კომპეტენციაში.

სტრასბურგის ორგანოების პრაქტიკაში არსებობს შემთხვევები, როდესაც განცხადება შეეხ-

ებოდა კონვენციის ძალაში შესვლამდე მომხდარ და მას შემდეგ მიმდინარე დარღვევებს. მაგალითად, დე ბეკერის საქმეში⁷, ბელგიის მოქალაქე ბრალდებული იყო მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ფაშისტურ რეჟიმთან თანამშრომლობაში. მისი ბრალი დადგინდა და განაჩენი ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის ძალაში შესვლამდე იყო გამოტანილი. მაგრამ სტრასბურგის ორგანოებში შეტანილი მისი საჩივარი მოიცავდა მთელი რიგი უფლებების შეზღუდვას, რაც, თავის მხრივ, არღვევდა კონვენციის დებულებებს. კომისიამ დაადგინა: მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებები კონვენციის ძალაში შესვლამდე დაირღვა, ამ დარღვევებს განგრძობითი ხასიათი აქვთ, რის გამოც ექვემდებარებიან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს *ratione temporis* იურისდიქციას.

ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია აგრეთვე აღნიშნავდა ისეთ შემთხვევებს, როდესაც საჩივარი შეეხება სასამართლო განხილვას, რომელიც კონვენციის ძალაში შესვლამდე მიმდინარებდა, მაგრამ რომლის საბოლოო გადაწყვეტილება კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ იყო გამოტანილი. ასეთ შემთხვევებში, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ძალაში შესვლის თარიღი მოცემულ სასამართლო განხილვას ორ ნაწილად ყოფს, რომლის პირველი ნაწილი არ ექცევა სტრასბურგის ორგანოების *ratione temporis* იურისდიქციაში, მაგრამ ამ ორგანოებს აქვთ მეორე ნაწილის განხილვის უფლებამოსილება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად სახელმწიფოს მიერ კონვენციის დენონსირებისა, კონვენციის დებულებები აგრძელებენ მოქმედებას ამ სახელმწიფოს მიერ 6 თვის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, დენონსირების თარიღსა და დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღს შორის პერიოდში, სასამართლოში შეტანილი განცხადება სასამართლოს *ratione temporis* იურისდიქციის ქვეშ ექცევა. ამის მაგალითია, „ბერძნული

საქმე“, როდესაც საბერძნეთმა 1969 წლის 12 დეკემბერს მოახდინა კონვენციის დენონსირება და 1970 წლის 12 ივნისს შეწყვიტა კონვენციის წევრობა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის შესაბამისად ამ ორ თარიღს შორის პერიოდში კომისია უფლებამოსილი იყო განეხილა კონვენციის დებულებების შესაბამისად მასთან განსახილველად შეტანილი განცხადებები.

რაც შეეხება სტრასბურგის ორგანოების *ratione materiae* კომპეტენციას, უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ეს კომპეტენცია მოიცავს კონვენციის დებულებებთან დაკავშირებულ ყველა დარღვევას. ამასთან, სასამართლოს კომპეტენცია კონვენციით გათვალისწინებული უფლებების გარდა, მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სახელმწიფოს მხრიდან განცხადების გაკეთების უფლების ხელშეუხებლობის ვალდებულების არ შესრულება.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ყოველწლიურად სასამართლოში შეაქვთ საჩივრები, რომლებიც დაკავშირებულებია იმ უფლებებთან, რომლებიც არ არიან განსაზღვრული კონვენციის დებულებებით. მიუხედავად იმისა, რომ ამ საჩივრების უმეტესი ნაწილი არ რეგისტრირდება, ზოგიერთი მათგანი, რომლებიც განმარტების საკითხს შეეხებიან, გადიან პროცედურებს კომისიის მიერ მათი მიღების შესახებ საკითხის განსაზღვრამდე. დროთა განმავლობაში, სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენცია არ იძლევა გარანტიებს ისეთი უფლებებისათვის, როგორებიცაა სახელმწიფო სამსახურის ხელმისაწვდომობის უფლება, კონკრეტულ სახელმწიფოში ჩასვლის და აქ ცხოვრების უფლება⁸ და სხვა. კონვენცია აგრეთვე არ იძლევა გარანტიებს ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედ სხვა დოკუმენტებში განსაზღვრულ უფლებებზე, მაგალითად, თვითგამორკვევის უფლებაზე, ან მთელ რიგ ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებზე.

⁷ დე ბეკერის საქმე, 1962 წლის 27 მარტის სასამართლო განჩინება, (Series A, No. 4).

⁸ ადულაიზის, კაბალესისა და ბალკანდალის საქმე, 1985 წლის 28 მაისის სასამართლო განჩინება, (Series A, No.94).

ადამიანის უფლებების ეკონომიკური სასამართლო

**ადამიანის უფლებების ეპონატის
სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე:
განის კათოლიკური ეკლესია
საბერძნეთის ფინანსები
პალატის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება**

საბერძნეთი – კათოლიკურ ეკლესიას არა აქვს უფლება სასამართლოში შეიტანოს საჩივარი, რაც გამოწვეულია სამოქალაქო სასამართლოების მიერ მისი სამართლის სუბიექტად აღიარებაზე უარის განცხადებით.

I. მოსამზადებელი ღონისძიებები

მოსაჩივრე ეკლესიამ მიმართა კომისიას ტერას, მიღლოსისა და სიროსის კუნძულების კათოლიკე ეპისკოპოსის მეშვეობით, რომელიც ასევე კრიტოსის დროებით მოქმედი ეპისკოპოსია.

II. ძირითადი შენიშვნა

მოსაჩივრები, ძირითადად, მიუთითებენ სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შეზღუდვაზე.

III. კონვენციის მე-6 მუხლის I პუნქტი

საბერძნეთის სახელმწიფოს წარმოქმნის დღიდან მოყოლებული საბერძნეთის კათოლიკური ეკლესიის და სხვა სამრევლოების სამართალ-სუბიექტობის საკითხი არასოდეს დაუყენებიათ ეჭვის ქვეშ არც ადმინისტრაციულ ორგანოებს, არც სასამართლოებს. აღნიშნული ეკლესიები იძნდნენ, სარგებლობდნენ და ასხვისებდნენ უძრავ და მოძრავ ქონებას; დებდნენ ხელშეკრულებებს; მონაწილეობდნენ გარიგებებში და სარგებლობდნენ საგადასახადო შეღავათებით. წლების განმავლობაში დამკვიდრებულმა სასამართლო და აღმინისტრაციულმა პრაქტიკამ შექმნა ერთგვარი სამართლებრივი ბაზა როგორც საკუთრებასთან დაკავშირებულ საკითხებში, ისე სასამართლო პროცესებში კათოლიკური ეკლესიების წარმომადგენლობასთან დაკავშირებით. მოსაჩივრების თავისუფლად შეუძლიათ დაეყრდნონ ამ ფაქტს.

ეკლესია მიუთითებს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი შიგასახელმწიფოებრივი ნორმებით მოწესრიგებული ურთიერთობები და წარსულში შესრულებული მოქმედებები შეიძლება მიჩნეული იყოს მართლისაწინააღმდეგოდ.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც მოსაჩივრე ეკლესიას არა აქვს სასამართლოში საჩივრის შეტანის უფლება, წარმოაღენს სასამართლოსთვის მიმართვის უფლების აშკარა შეზღუდვას და ამ უკანასკნელს ართმევს შესაძლებლობას მიაღწიოს სასამართლოს გადაწყვეტილებას საკუთრებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

დასკვნა: დარღვევა დაფიქსირდა (ერთსულოვნად).

IV. კონვენციის მე-14 მუხლი მე-6 მუხლის I პუნქტთან ერთობლიობაში

მოსაჩივრე ეკლესიას, რომელსაც საკუთრებაში ჰქონდა მიწა და შენობები, წაერთვა მათ დასაცავად სასამართლოსთვის მიმართვის უფლება მაშინ, როცა მართლმადიდებლურ ეკლესიას და ებრაელთა კავშირს თავიანთი საკუთრების დასაცავად ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.

არ არსებობს ამგვარი განსხვავებული მოპყრობის არანაირი ობიექტური და გასამართლებელი საფუძველი.

დასკვნა: დარღვევა დაფიქსირდა (ერთსულოვნად)

V. კონვენციის მე-9 მუხლი ან №1 ოქმის I მუხლი ცალ-ცალკე ან მე-14 მუხლთან ერთობლიობაში



არ არის საჭირო ამ კუთხით საქმის განხილვა.
VI. კონვენციის 50-ე მუხლი

A. მატერიალური ზიანი

აღნიშნული ზიანი გამოიწვია სასამართლოში საჩივრის შეტანის შეუძლებლობამ გარემომცველი კედლის აღდგენის უზრუნველყოფის მიზნით.

B. ხარჯები და გასავლები

მითითებული თანხა მიჩნეულია მიზანშეწონილად.

დასკვნა: ბრალდებულმა სახელმწიფომ უნდა გადაუხადოს მოსაჩივრე ეკლესიას გარეკვეული თანხა მატერიალური ზიანის და გაწეული ხარჯების დასაფარავად (ერთსულოვნად).

საქმეში კანის კათოლიკური ეკლესია საბერძნეთის წინააღმდეგ

საქმე განიხილა ევროპის ადამიანის უფლება-თა დაცვის სასამართლომ კონვენციის 43-ე მუხლისა და A²-ე რეგლამენტის სათანადო მუხლების შესაბამისად შემდეგი შემადგენლობით:

რ. ბერნჰარდტი – თავმჯდომარე;

ფ. გოლგუკლუ;

ა. შფილმანი;

უ. დემეიერი;

ნ. ვალტიკოსი;

რ. პეკანენი;

ა.ნ. ლუაზუ;

ა.ბ. ბაკა;

ლ. ვილდაბერი,

მდივნის, პ. პეტროლდის და მდივნის მოადგილის, პ.უ. მაპონის, მონაწილეობით.

პროცედურა

საქმე გადაეცა სასამართლოს ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ 1996 წლის 28 ოქტომბერს კონვენციის 32-ე მუხლის I პუნქტითა და 47-ე მუხლით გათვალისწინებულ 3 თვის ვადაში. საქმის სათავეშია საჩივარი, მიმართული ელინური სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც კანის კათოლიკური ეკლესიის სახელით გადაეცა კომისიას ამავე სახელმწიფოს მოქალაქის, მისი უბრწყინვალესობის ფრანგ-

ისკოს პაპამანოლისის – სიროსის, მიღოსის და ტერას კუნძულების კათოლიკე ეპისკოპოსის და კრიტოსის დროებით მოქმედი ეპისკოპოსის მიერ 1994 წლის 2 აგვისტოს კონვენციის 25-ე მუხლის შესაბამისად.

პალატის თავმჯდომარემ, ბერნჰარდტმა (21-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად), მდივნის საშუალებით აუწყა საბერძნეთის ხელისუფლების წარმომადგენელს, მოსაჩივრე ეკლესიის აღვოკატებს და კომისიის წარმომადგენელს პროცესის ორგანიზაციის შესახებ. მდივანმა 1997 წლის 16 ივნისსა და 15 ივლისს მიიღო მოსაჩივრე ეკლესიის, ხოლო 1997 წლის 10 ივლისს – ხელისუფლების წერილობითი მოხსენებები.

თავმჯდომარის გადაწყვეტილებით საჯარო მოსმენა შედგა 1997 წლის 22 სექტემბერს ადამიანის უფლებათა დაცვის სასახლეში.

I. საქმის გარემოებები

კანის წმ. მარიამის კათოლიკური ეკლესია არის კრიტოსის კათოლიკური ეპარქიის კათედრალური ტაძარი. ივი აშენდა მე-13 საუკუნეში და ემიჯნება კაპუჩინის ყოფილ მონასტერს. ტაძარი 1879 წლიდან სისტემატურად გამოიყენებოდა ღვთისმსახურებისთვის. ეკლესიას მის მიერ დაკავებული შენობა გადაეცა მფლობელობის ხანდაზმულობით.

1987 წლის ივნისში ეკლესიის ორმა მეზობელმა – ბ-ნ ი.ნ.-მა და მ-ნ ა.კ.-მა – დაანგრია მისი ერთ-ერთი გარემომცველი 1,20 მეტრის სიმაღლის კედელი და თავიანთ საკუთარ შენობაში გაჭრეს ფანჯარა, რომელიც გადიოდა ეკლესიაზე.

A. საქმის წარმოება კანის საოლქო სასამართლოში

1988 წლის 2 თებერვალს ეკლესიაზე აბატ გიორგის რუსოსის მეშვეობით მიმართა კანის საოლქო სასამართლოს მოთხოვნით, რომ იგი ეცნოთ აღნიშნული კედლის მესაკუთრედ; ხოლო მოპასუხებებს უნდა აღედგინათ პირვანდელი მდგომარეობა და გადაეხდათ 100000 ლრაკმა. იმ შემთხვევაში თუ ეს უკანასკნელი არ დაემორჩილებოდნენ სასამართ-

ლოს გადაწყვეტილებას, ისინი უნდა დასჯილ-იყვნენ 6 თვით თავისუფლების აღკვეთით.

მოპასუხებმა საპასუხოდ განაცხადეს, რომ საბერძნეთში კათოლიკური ეკლესიები არ არიან სამართლის სუბიექტები და ამიტომ აღნიშნულ ეკლესიას არ ჰქონდა უფლება საჩივრით მიემართა სასამართლოსთვის.

მოსაჩივრე ეკლესიამ მიუთითა, რომ იგი დაფუძნდა და უფლებამოსილება მიენიჭა 1830 წლამდე და აღიარებულა 1830 წლის 3 თებერვლის ლონდონის ოქმით. უფრო მეტიც, მან განაცხადა, რომ კაპუჩინის მონასტერი, რომელსაც იგი ემიჯნებოდა, დაარსდა 1830 წლამდე და ეკუთვნილა სიროსის და ტერას ეპარქიებს, რომელთაც გააჩნდათ სამართლის სუბიექტის სტატუსი.

1988 წლის 18 ოქტომბერს საოლქო სასამართლომ დაადგინა, რომ კედელი ეკუთვნილა ეკლესიას და დაავალა ბრალდებულებს მისი საწყის მდგრადარებაში მოყვანა. რაც შეეხება საჩივრის მიუღებლობის შესახებ მოთხოვნას, სასამართლომ იგი მიიჩნია უსაფუძვლოდ და მიუთითა, რომ მოსაჩივრე ეკლესიის მოსაზრებანი დამოწმებული იყო დოსიერში შეტანილი 1975 წლის 20 ივნისის პაპის ბეჭდით. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ აბატი იყო ეკლესიის ქონების მმართველი და არ ჰქონდა მისი სასამართლო პროცესში წარმოდგენის უფლება.

B. საქმის წარმოება კანის სააპელაციო სასამართლოს სტატუსის მქონე I ინსტანციის სასამართლოში.

მოპასუხებმა გაასაჩივრეს სასამართლოს გადაწყვეტილება კანის I ინსტანციის სასამართლოში 1988 წლის 8 დეკემბერს. 1989 წლის 18 მაისს ამ უკანასკნელმა მიიღო საჩივარი და გააუქმა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება შემდეგი მოტივით: წმინდა ეკლესიასა და კაპუჩინის წმ. მონასტერს, რომლის დაარსების თარიღი არ ჩანს საქმის მონაცემებში, არ შეუძნიათ სამართლის სუბიექტის სტატუსი, რადგან მათ არ დაუცვიათ ამისთვის საჭირო საბერძნეთის კანონმდებლობით განმტკიცებული მოთხოვნები.

ამ მიზეზის გამო მათი მოქმედება უნდა უარყოფილიყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 62-ე მუხლის შესაბამისად. სახელმწიფოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაუცველობის ფაქტს თავად მოსაჩივრებიც აღიარებდნენ. აღსანიშნავია, რომ თუნდაც ეს ეკლესია დაფუძნებულიყო 1830 წლამდე, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, შეუძლებელი იყო მისი სამართლის სუბიექტად აღიარება.

C. საქმის წარმოება საკასაციო სასამართლოში 1990 წლის 14 დეკემბერს ეკლესიამ საჩივრით მიმართა საკასაციო სასამართლოს და მიუთითა 1830 წლის 3 თებერვლის ლონდონის ოქმის დარღვევაზე საბერძნეთის სენატის 1830 წლის 1 აპრილის მემორანდუმთან ერთობლიობაში; მიუთითა ასევე 1920 წლის სევრის შეთანხმების მე-8 მუხლის, სამოქალაქო კოდექსის მე-13 მუხლის, კონსტიტუციის მე-13 და მე-20 მუხლების და ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევაზე.

1992 წლის 10 დეკემბერს საკასაციო სასამართლოს მომხსენებელმა მოსამართლემ აღნიშნა, რომ, მისი აზრით, 1989 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება უნდა გაუქმდებულიყო. მან მიუთითა, რომ კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი და სევრის შეთანხმების მე-8 მუხლი საბერძნეთში მცხოვრებ რელიგიურ უცირქუსობებს უზრუნველყოფდა სამართლებრივი დაცვის იმავე საშუალებებით, რითაც სხვა მოქალაქეებს; კერძოდ, მათ ჰქონდათ რელიგიური დაწესებულების შექმნის და საკუთარი სარწმუნოების თავისუფლად განვითარების თანაბარი უფლება. უფრო მეტიც, რომის კათოლიკური ეკლესიის კანონიკური სამართლის შესაბამისად, წმ. ზღვის თანხმობით დაფუძნებული ეკლესიები და მონასტრები ბერძნული კანონმდებლობით განმტკიცებული მოთხოვნების დაცვის გარეშე თავისთავად არიან სამართლის სუბიექტები. მგვარი შეზღუდვა კი ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის მე-13 და სევრის შეთანხმების მე-8 მუხლებს.

1994 წლის 2 მარტს საკასაციო სასამართლომ უკუგდო საჩივარი შემდეგი საფუძვლით:

სამართლის სუბიექტად აღიარებისათვის სავალდებულოა საბერძნეთის კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვა. რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლები არ თავისუფლდებიან ამ მოვალეობისაგან (კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი), რაც სასამართლოსათვის მიმართვის უფლების წინაპირობა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 62-ე მუხლი). ზემოთ ხსენებული პირობების დაკავშირების შემთხვევაში შესაძლებელია კონსტიტუციის მე-20 მუხლის გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს სამართლებრივი დაცვით. სამოქალაქო კოდექსზე დართული კანონის მე-13 მუხლი აღიარებს მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის მიღების თარიღისათვის (1946 წლის 23 თებერვალი) სამართლებრივად გაფორმებული იურიდიული პირების არსებობას. იმდენად, რამდენადაც მოსაჩივრე ეკლესიას არ დაუცვია საბერძნეთის კანონმდებლობის მოთხოვნები სამართალსუბიექტობასთან დაკავშირებით, სასამართლომ მართებულად თქვა უარი აღნიშნულ საქმეში კონსტიტუციის მე-20 მუხლის გამოყენებაზე.

II. შესაბამისი შიგასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა

კონსტიტუციის მე-3 მუხლი:

„1. საბერძნეთის სახელმწიფო რელიგია არის აღმოსავლურ-მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიის მიერ განმტკიცებული რელიგია. ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია, რომელიც თავის ბატონად აღიარებს იქსო ქრისტეს, დაკავშირებულია კონსტანტინოპოლის დიდ ეკლესიასთან...“

2. სახელმწიფოს გარკვეული რეგიონების საეკლესიო რეეიმი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს I პუნქტის დებულებებს;

3. წმინდა წერილების ტექსტი უცვლელია. აკრძალულია მათი ოფიციალური თარგმნა ბერძნული ეკლესიისა და კონსტანტინოპოლის დიდი ქრისტიანული ეკლესიის წინასწარი თანხმობის გარეშე.“

მე-13 მუხლი:

„1. რელიგიის, რწმენის თავისუფლება ხელ-

შეუხებელია. პირადი და პოლიტიკური უფლებების უზრუნველყოფა არ არის დამოკიდებული პირის აღმსარებლობაზე;

2. ყველას შეუძლია თავისუფლად ეწეოდეს ღვთისმსახურებას ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე. ეს საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს საზოგადოებრივ წესრიგს და მორალს....

3. ყველა აღიარებული რელიგიის მსახურები ემორჩილებიან სახელმწიფოს მხრიდან იგივე ზედამხედველობას და აკისრიათ იგივე მოვალეობები, რაც გაბატონებული რელიგიის წარმომადგენლებს;

4. არავის არა აქვს უფლება გათავისუფლდეს სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებებისაგან ან უარი თქვას სახელმწიფოს კანონმდებლობის დაცვაზე საკუთარი რელიგიური შეხედულებების გამო...“

საქმეში ასევე განხილულია სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლი, კოდექსზე დართული კანონის მე-13 მუხლი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 62-ე მუხლი, 1920 წლის 10 აგვისტოს შეთანხმების მე-8 მუხლი და საბერძნეთის ეკლესიის ქარტიასთან დაკავშირებული №590/1977 კანონი.

საქმის წარმოება კომისიის წინაშე

მისმა უწმინდესობამ, ფრანგისკოს პაპამანოლისმა, მიმართა კომისიის 1994 წლის 2 აგვისტოს. მან აღნიშნა, რომ საბერძნეთის სასამართლოები არ ცონდნენ კანის წმ. მარიამის კათოლიკურ ეკლესიას სამართლის სუბიექტად, რაც ამ უკანასკნელის მიერ სასამართლოსთვის მიმართვის და საკუთრების მშვიდობიანი განკარგვის უფლების აშკარა შეზღუდვაა, პაპამანოლისმა მიუთითა კონვენციის მე-6 მუხლის I პუნქტის, მე-9 და მე-14 მუხლების და №1 ოქმის I მუხლის დარღვევაზე.

1996 წლის 15 იანვარს კომისიამ მიიღო საჩივარი, აღნიშნა რა, რომ მოსაჩივრე მოცემულ საქმეში წარმოადგენდა კანის წმ. მარიამის კათოლიკურ ეკლესიას და 1996 წლის 3 სექტემბერს დაადგინა, რომ:

1. არ დარღვეულა ცალკე აღებული კონვენციის მე-9 მუხლი (ერთსულოვნად);
2. დაირღვა კონვენციის მე-9 მუხლი მე-14 მუხლთან ერთობლიობაში (18 წლით 10-ის წინააღმდეგ);
3. არ არის საჭირო საკითხის განხილვა კონვენციის მე-6 მუხლის კუთხით ცალკე ან მე-14 მუხლთან ერთობლიობაში (17 წლით 11-ის წინააღმდეგ);
4. არ არის საჭირო საკითხის განხილვა კონვენციის №1 ოქმის I მუხლის კუთხით ცალკე ან მე-14 მუხლთან ერთობლიობაში (21 წლით 7-ის წინააღმდეგ).

სასამართლოსთვის წარდგენილი საბოლოო მოსაზრებანი

ხელისუფლებამ თავის მოხსენებაში სთხოვა სასამართლოს უკუეგდო საჩივარი.

მოსაჩივრე ეკლესიამ სთხოვა სასამართლოს, რათა მიეღო საჩივარი და დაუფიქსირებინა აღნიშნული მუხლების დარღვევა.

სამართლებრივად

I. მოსამზადებელი ღონისძიებები

ხელისუფლებამ სადაო გახადა საკითხი იმის თაობაზე, რომ ეკლესიას კომისიის წინაშე წარმოადგენდა მისი უწმინდესობა ფრანგისკოს პაპამანოლისი. მაშინ, როცა მისი წარმომადგენელი ეროვნული სასამართლების წინაშე იყო აბატი რუსოსი. ამასთან, კანის კათოლიკურ ეკლესიას არ მოუკია ახსნა-განმარტება აღნიშულ ცვლილებასთან დაკავშირებით.

კომისიის მსგავსად სასამართლომ დაადგინა, რომ ეპისკოპოს პაპამანოლისს სრული უფლება ჰქონდა წარმოედგინა მოსაჩივრე ეკლესია; მით უფრო, რომ თვით საკასაციო სასამართლომ აღიარა ეპისკოპოსის აღნიშნული უფლებამოსილება საკუთრების უფლების დაცვის თაობაზე წარმართულ სასამართლო პროცესებთან დაკავშირებით (№142/1889 და №1099/1985 გადაწყვეტილებები).

II. ძირითადი შენიშვნა

მოსაჩივრე მიუთითებს, რომ კანის სააპელა-

ციო და საკასაციო სასამართლოების გადაწყვეტილებები არღვევს კონვენციის მე-6 და მე-9 მუხლებსა და №1 ოქმის I მუხლს, თითოეულს ცალ-ცალკე ან მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.

განსხვავებით კომისიისგან სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსაჩივრები ძირითადად მიუთითებენ სასამართლოსთვის მიმართვის უფლების შეზღუდვაზე. შესაბამისად იგი საკითხს განიხილავს, პირველ რიგში, კონვენციის მე-6 მუხლთან მიმართებაში.

III. კონვენციის მე-6 მუხლის I პუნქტის დარღვევის შესახებ

კონვენციის მე-6 მუხლის I პუნქტი ადგენს: „თავის სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განხორციელებისას... ყველას აქვს უფლება... მიმართოს... სასამართლოს...“

მოსაჩივრემ აღნიშნა, რომ საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ სამუდამოდ წართვა მას შესაძლებლობა სამართალწარმოების გზით დაეცვა თავისი საკუთრება და ეს მხოლოდ იმის გამო, რომ ეკლესია ემსახურებოდა კათოლიკურ რწმენას. მოსაჩივრემ განაცხადა, რომ სხვა ეპლესიების მსგავსად, რომლებიც არსებობდნენ სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე, მასაც გააჩნდა სამართალსუბიექტობა.

ხელისუფლებამ მიუთითა, რომ მოსაჩივრეს არ დაუცირა საბერძნების შესაბამისი კანონმდებლობა. თანაც მასზე არ ვრცელდებოდა ლონდონის მე-3 ოქმი, რადგან წმ. მარიამის კათოლიკური ეკლესია გაიხსნა 1879 წელს, ანუ აღნიშნული ოქმის მიღების შემდეგ, როცა კრისი ჯერ კიდევ ეკუთვნოდა ოსმალეთის იმპერიას. ყველა შემთხვევაში, იქმი უზრუნველყოფს უმცირესობათა რელიგიურ თავისუფლებას, მაგრამ არ აწესრიგებს საბერძნების კათოლიკურ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს. პოლიტიკურ და რელიგიურ დაჯგუფებებს, რა თქმა უნდა, უფლება აქვთ თავად გადაწყვიტონ მათი ორგანიზაციული საკითხები, მაგრამ სახელმწიფოსთან ურთიერთობისას უნდა დაემორჩილონ ეროვნულ კანონმდებლობას.

კომისიამ არ ჩათვალა საჭიროდ საქმის ამ კუთხით განხილვა.

სასამართლომ შეისწავლა საქმის ყველა გარე-მოება და დაადგინა, რომ აღვილი ჰქონდა ეკ-ლესის სასამართლოსათვის მიმართვის უფლების აშკარა შეზღუდვას, რაც ეწინააღმდეგება კონ-ვენციის მე-6 მუხლის I პუნქტს.

IV. კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევის შესახებ მე-6 მუხლის I პუნქტთან ერთობლიობაში

კონვენციის მე-14 მუხლი ადგენს: „უზრუნვე-ლყოფილია კონვენციის უფლებით სარგებლობა სქესობრივი, რასობრივი, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულე-ბების, ეროვნული და სოციალური კუთხით უფლების... გამო დისკრიმინაციის გარეშე“.

ეკლესიამ აღნიშნა, რომ იგი გახდა დისკრიმინაციის მსხვერპლი იმდენად, რამდენადაც მისი სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შეზღუდვას საფუძვლად ედო მხოლოდ რელიგიური კრიტიკით და რიტუალების შესრულებით;

ხელისუფლების მტკიცებით საბერძნეთში არა-ნაირი რელიგიური გაერთიანება არ შეიძლება ჩამოყალიბდეს იურიდიულ პირად სახელმწიფო კანონმდებლობის დაუცველად. მოსახივრე ეკლესია თავის თავს საჭირო სამართლის იურიდიულ პირადაც კი არ მოიხსენიებს. მართლმადიდებლური ეკლესიის სამართალსუბიექტობა კი იმ მჭიდრო და ხანგრძლივი ურთიერთობების შედე-გია, რაც არსებობს მას და სახელმწიფოს შორის, რომლის მოქალაქეთა დიდი უმრავლესობა მარ-თლმადიდებლები არიან. რაც შეეხება საბერძნე-თის ებრაელთა კავშირს, მისი იურიდიულ პი-რად აღიარების ფაქტი აიხსნება იმით, რომ იგი არ იყო მხოლოდ რელიგიური ორგანიზაცია, არამედ არის პირთა გაერთიანება, რომელიც წარმართავდა თავის საქმეებს და გააჩნდა გარკვეუ-ლი დამახასიათებელი თავისებურებები რელიგი-ის ჩათვლით.

კომისიამ არ ჩათვალა საჭიროდ საქმის ამ კუთხით განხილვა.

სასამართლომ კი დააფიქსირა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა მე-6 მუხლის I პუნქტთან

ერთობლიობაში.

V. კონვენციის მე-9 მუხლისა და №1 ოქმის I მუხლის დარღვევის შესახებ ცალ-ცალკე ან მე-14 მუხლთან ერთობლიობაში მოსახივრე ეკ-ლესია მიუთითებს რელიგიის თავისუფლებისა და საკუთრების მშვიდობიანი განკარგვის უფლების შეზღუდვაზე. კონვენციის მე-9 მუხლი ადგენს:

„1. ყველას აქვს აზრის, რწმენის და რელიგიის თავისუფლება. ეს უფლება გულისხმობს რელიგი-ისა და რწმენის შეცვლის თავისუფლებას; პირთა უფლებას ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად ეწეოდეს თავისი რელიგიის ან რწმენის მანი-ფესტაციას ღვთისმსახურებით, სწავლებით, პრაქ-ტიკით და რიტუალების შესრულებით;

2. რელიგიის და რწმენის მანიფესტაციის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით. ეს შეზღუდვები საჭიროა დემოკრატი-ულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი ინტერე-სების, წესრიგის, მორალის და ასევე სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად“.

№1 ოქმის I მუხლის მიხედვით: „ყველა ფიზ-იკურ თუ იურიდიულ პირს აქვს უფლება მშვი-დობიანად განკარგოს თავისი ქონება. არავის არ შეიძლება ჩამორთვას ქონება, გარდა კანონით ან საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინც-იპებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როცა ამას მოითხოვს საზოგადოების ინტერესები...“

კომისიის აზრით, დაირღვა კონვენციის მე-9 მუხლი არა ცალკე, არამედ მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.

სასამართლომ არ ჩათვალა საჭიროდ საქმის ამ კუთხით განხილვა.

VI. კონვენციის 50-ე მუხლის გამოყენების შესახებ

A. მატერიალური ზიანი

მოსახივრე ეკლესიამ მოითხოვა 5000000 ლრაპმა გარემომცველი კედლის აღსაღენად და იმ ხარჯების ნაწილობრივ დასაფარავად, რაც გამოიწვია საკასაციო სასამართლოს გადაწ-ყვეტილებამ.

ხელისუფლებამ აღნიშნა, რომ დასახელებული თანხა იყო მეტისმეტი და არამიზანშეწონილი.

კომისიის წარმომადგენელმა მიუთითა, რომ მოსახივრე მხარეს უნდა გადასცემოდა გარკვეული თანხა გარემომცველი კვდლის აღსაღენად და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად.

სასამართლომ ეკლესიას მიაკუთვნა მის მიერ მითითებული მთლიანი თანხა მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, რომელიც გამოიწვია სასამართლოში საქმის წარმოების შეუძლებლობაში კედლის აღდგენის უზრუნველყოფის მიზნით.

B. ხარჯები და გასავლები

მოსახივრე ეკლესიამ მოითხოვა 59 08000 დრაკმა ეროვნული სასამართლოების, ხოლო შემდეგ კონვენციის ორგანოების წინაშე გაწეული ხარჯების დასაფარავად.

ხელისუფლებამ გამოთქვა აღნიშნული თანხის გადახდის მზადყოფნა, თუ მოსახივრე მხარე წარმოადგენს ხარჯების დამადასტურებელ დოკუმენტებს და თუ ეს თანხა ეთანხმება მოქმედ სკალას.

სასამართლომ მიიჩნია მითითებული თანხა მისაღებად და დააკისრა მისი გადახდა მოპასუხე მხარეს.

ამ საფუძვლების გამო სასამართლო ერთსულოვნად

1. ადგენს, რომ ეკლესია მართებულად იყო წარმოდგენილი კომისიის წინაშე ეპისკოპოს პაპანოლისის მიერ;

2. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I პუნქტი;

3. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი მე-6 მუხლის I პუნქტთან ერთობლიობაში;

4. ადგენს, რომ არ არის საჭირო აღნიშნული საქმის განხილვა კონვენციის მე-9 მუხლსა და №1 ოქმის I მუხლის კუთხით ცალ-ცალკე ან მე-14 მუხლთან ერთობლიობაში;

5. ადგენს, რომ ბრალდებულმა სახელმწიფომ 3 თვის ვადაში უნდა გადაუხადოს მოსახივრე მხარეს 5000000 დრაკმა მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად და 59 08000 დრაკმა სასამართლო ხარჯების დასაფარავად. ამ თანხას დაემატოს წლიური 6% ზემოთ აღნიშნული ვადის გასვლიდან გადახდამდე.

ინგლისურად და ფრანგულად შედგენილი გადაწყვეტილება საჯაროდ გამოცხადდა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასახლეში 1997 წლის 16 დეკემბერს.

ხელს აწერს:

რუდოლფ ბერნჰარდტი – თავმჯდომარე;
ხელს აწერს:

პერბერტ პეტროლდი – მდივანი.

დედნიდან თარგმნა ნათითა პინწურაშვილმა.



ო ნ ფ თ რ ძ ა ც ი ა

მსოფლიო იურისტთა ასოციაციაში

მსოფლიო იურისტთა ასოციაციის ურნალში „მსოფლიო იურისტი“ გამოქვეყნდა ინფორმაცია პროფ. გიორგი ინწკირველისათვის მსოფლიო იურისტთა ასოციაციის საპატიო წევრის წოდების მინიჭების შესახებ. საქართველოს იურისტთა კავშირი და ურნალ „სამართლის“ რედაქცია გულიოთადად უღოცავს ქართული იურიდიული მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს კიდევ ერთ საერთაშორისო აღიარებას.

გთავაზობთ ამონაწერს ურნალიდან „მსოფლიო იურისტი“ და მის ქართულ თარგმანს.



the world jurist

BULLETIN OF THE WORLD JURIST ASSOCIATION
OF THE WORLD PEACE THROUGH LAW CENTER

1000 Connecticut Ave., NW, Suite 202 Washington, DC 20036 USA March/April, 1999 Volume 36, No. 2



The World Jurist Association and its Board of Governors is pleased to recognize, **Professor George Intskirveli** as an Honorary Member of the

Association, entitled to all the privileges and rights of membership.

Professor Intskirveli's renown expertise in the field of law and his contribution to the Rule of Law has greatly benefited our world wide effort to promote peace through law. His support and dedication to the World Jurist Association is important to us.

მსოფლიო იურისტთა ასოციაცია და მისი დირექტორთა საბჭო სიამოვნებით აცხადებს პროფ. გიორგი ინწკირველს ასოციაციის საპატიო წევრად და ანიჭებს მას წევრისათვის გათვალისწინებულ ყველა უფლებასა და პრივილეგიას

პროფ. ინწკირველის გამოცდილება სამართლის სფეროში და მისი წვლილი სამართლის უზენაესობის საქმეში დიდად წაადგა ჩვენს მცდელობას უზრუნველყოთ მსოფლიოში მშვიდობა სამართლის (კანონის) მეშვეობით. მისი მხარდაჭერა მსოფლიო იურისტთა ასოციაციისათვის უმნიშვნელოვანესია.

REZUME

1. Malkhaz Badzagua – Candidate of Legal Sciences, docent. “Conception sentences about creation and function of Anti-corruption Coordinate Analytic Center”.

The author notes, that during the period of reforms, corruption, which was spread during the process of development of state relations, received wide scales. In order to struggle against corruption certain model was worked out, such as Anti-corruption Social Movement and Coordinate Analytic Center. The article reviews tasks and organizational structure of Center and its great importance in affair of struggle against corruption.

2. Manon Djandjgava – The lawyer. “Rule of president’s election in Georgia and his impeachment comparing with the constitution of USA”.

The author notes, that establishment of presidential government in Georgia demanded a strong executive power. The article reviews rule of president’s election in Georgia and his impeachment comparing with the constitution of USA. The author deals with the question of impeachment of judges in Georgia, notes that the latter is necessary to be improved and gives the example of USA concerning this question. He also points out the institute of president’s retreat and concludes that it would be possible to talk about efficiency of above-mentioned institutes after their practical realization.

3. Kartlos Pridonashvili – The lawyer. “Institute of Ombudsman and horizon of history of State Law of Georgia”.

The author points out the fact of establishment of institute of Ombudsman and notes that this institute existed before in historical reality of Georgia; so it has certain history. In order to illustrate above-mentioned the author reviews historical document of XIII-XIV centuries – “Khelmtsipis Karis Garigeba” (“Treat of Royal Court”) and points out one of the state organs – “Saadjo Kari” (“Court of Complaint”), which was accomplishing functions of Ombudsman.

4. Natia Kintsurashvili – Student of third course of the faculty of Law of Tbilisi State University. “For guaranteeing execution of decisions of Constitutional Court”.

The author notes great importance of execution of decisions of Constitutional Court and many problems concerning this question. Security of above-mentioned puts conditions to efficiency of constitutional control. Concerning this question the article reviews such problems as self-executive character of decisions; liability for non-compliance of decisions and etc. The author opposes Georgian reality with the practice of foreign countries and gives interesting examples from the latter to prove her considerations.

5. Dimitri Baramia – “Federalism”.

The author determines essence of federalism. The article reviews questions connected to federalism, such as its sorts; form of government; subjects' right of cessation; quantity and name of subjects; their possibility to change the federation. The author notes positive and negative aspects of federalism.

6. David Dzamukashvili – Deputy General Director of National Center of Intellectual Property “Sakpatenti”, candidate of Legal Sciences.

Sandro Djorbenadze – Editor of magazine “Decisions of the Supreme Court of Georgia”.

“For improvement of norms about protection of intellectual property in a new Criminal Code”.

The author notes, that Georgia became member of Trade World Association and was required to establish civil, administrative and criminal liability by its national legislation in order to protect rights connected to intellectual property. Concerning this question the author reviews relevant articles of Criminal Code of Georgia, points out its gaps and shows the ways to improve the situation.

7. Lela Kopaleishvili – Head of Judicial Administration of State Anti-monopoly Office of Georgia. “Legal protection from falsification”.

The author determines essence of falsification and points out its great danger. She reviews problems of struggle against falsification and notes that it's necessary to create legal basis. In spite of certain activity in this direction, more radical measures are to be taken to resolve this problem.

8. Nana Kurua – Post-graduate of Civil Law Chair of Tbilisi State University. “Role of judgment in nonattendance in civil procedure”.

The author reviews institute of judgment in nonattendance on examples of different countries with their common and distinctive marks and notes the fact of its establishment by Civil Procedure Code of Georgia. The author concludes that this institute isn't yet practically realized and to prove above mentioned gives statistic data.

9. Anzor Gabiani – Honorary promoter of science, doctor of Philosophy Sciences, professor.

Lali Gvinepadze – Head of Scientific-Investigative Center of Problems of Struggle Against Criminality of Interior Academy of Georgia.

“Medical-social question of spreading of harmful habits among youth”.

The article reviews the problem of spreading of harmful habits among youth, such as smoking, drinking and using narcotics and toxic substances. Statistic data given in the article shows that last time negative habits among youth reached dangerous bound which demands to take adequate measures.

10. Kakha Tsikarishvili – “Strict liability in English-American Criminal Law – law anomaly or an effective mechanism of regulation”.

The article reviews the main point of the institute of strict liability and the area, where it's spread, such as “traditional offences” and “regulatory offences”. The author notes the arguments of supporters and opponents of this institute and gives interesting examples from the precedent to explain above-mentioned questions.

11. Alexander Katsman – The lawyer. “Criminal characterization of computer crimes”.

The author notes that computer crimes are very spread nowadays because of different political, social-economic and legal factors. He determines notion of computer crime, its elements, computer criminals and points out five most spread motives of committing computer crimes. At last the author notes that there are many problems to be resolved concerning this question.

12. Juri Gabisonia – Judge in Tbilisi District Court, candidate of Legal Sciences, assistant professor of the Chair of Criminal Procedure and Criminalistics of Tbilisi State University. “For improvement of legislation about non-criminal liability for disturbing order and non-compliance of procedural obligations in criminal proceeding”.

The article reviews different liabilities for non-compliance of procedural obligations and disturbing order of legal proceeding. There are gaps in legislation concerning this question. That's why efficiency of this system isn't to be expected. The author points out the necessity of stopping such gaps.

13. Gocha Sisauri – Head of National Office of Struggle Against Drug Habit and Drug Business of Ministry of Interior of Georgia. “Giving narcotics under control, as the operational-search measure”.

The author points out actuality of struggle against illegal rotation of narcotic substances. In this direction it's very effective to take such a measure as giving narcotics under control. The author reviews aims of this measure, area, where it's spread and procedure connected to its realization.

14. Nino Tslobadze – Candidate of Legal Sciences. “Institute of Khevisberi in Pshav-Khevsureti according to several considerations of Vaza-Pshavela”.

The author reviews status of Khevisberi (head of region Khevi) and its authority among population of Pshav-Khevsureti. She deals with the problem of combination of popular and

ecclesiastical business by Khevisberi and the rule of his election. In order to show his great role, the author reviews Vaza-Pshavela's poem "Aluda Ketelauri" and points out different considerations of scientists concerning this question.

15. Teimuraz Silagadze – Specialist-psychiatrist of Ministry of Health and Social Insurance, assistant of Psychiatry and Medical Psychology Chair of Medical University, candidate of Medicine Sciences. "Some psychological aspects of person's regard with law".

The author determines notion of person and notes the great importance of his regard with law and legality in process of formation of his moral face. From this point of view the article reviews position of Georgian people, which has been established during a long historical process.

16. Manana Mosulishvili – Deputy Chief of General Judicial Disciplines Chair of the Academy of Ministry of Interior of Georgia, colonel of police. "Legality – one of law principles".

The author determines notion of legality, as one of the main constitutional law principles and notes that the aims of law are realized by protection of legality. The author deals with the essence of this principle and its protection, as important direction of activity of state organs and notes that only thus is possible to create ideal, legal and harmonic society.

17. Alexander Mikaberidze – "Situation, sessions and competence of the European Court of Human Rights".

The article reviews situation, sessions and competence of the European Court of Human Rights. Particularly, there are four kinds of competence. The author points out subjects, who can address the Court, such as "direct" and "indirect" sufferers. At last, the author notes reflexive power of European Convention of Human Rights.



ମୁହଁତକ୍ଷେତ୍ରରେ ଶାଶ୍ଵତାଧିକାରୀଙ୍କ ପଦଃ

სტატიების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლებელია არ ემთხვეოდეს რედაქციისას. მასალები, რომელთა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ორი ინტერვალით ნაბეჭდ 15 გვერდს, სასურველია წარმოადგინოთ კომპიუტერის დისკზე ჩაწერილი სახით.

ურნალი რეგისტრირებულია თბილისის
კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში
რეგისტრაციის ნომერი - 06/4-190

პასუხისმგებელი მდივანი – ირმა ბექაური
კორექტორ-სტილისტი – ნინო ბერძენიშვილი
მთარგმნელი – ნათია კიჩწურაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ბექაური
ნათია და დავით ნახუიდაშვილები

გადაეცა წარმოებას 24.03.2000 წ.,
ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.03.2000 წ.,
ფორმატი 60X84, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6,25.
ტირაჟი 800.
ფასი ხელშეკრულებით.

7371

